1. Salicornietum europaeae; 2. Suaedeto — Atripliceto petrosimonios (S. confusa, A. tatarica, Petrosimonia brachiata); 3. Salsoleta mixtoephemerosa (S. dendroides); 4. Artemisieta mixtoephemerosa (A. hanseniana); 5. Artemisietum cynodonosum (A. hanseniana, Cynodon dactylon); 6. Limonietum scopariae; 7. Atropideto — Phragmiteta (A. bulbosa, Ph. communis);

8. *Glycyrrhizieta mixtoherbosa* (G. glabra); 9. *Tamaricetum* ^{Ononiseta}_{Ononidiseta} (T. hohenackeri, O. arvensis); 10. *Paliureta* (P. spina christi); 11. *Andropogoneta ephemerosa*; 12. *Andropogoneto* — *Artemisieta* (*A. ischaemum*, *A. hanseniana*);

ბოტანიკის კათედრა

(მემორანული 1960 წ.)

А. ЕРКОМАИШВИЛИ

РАСТИТЕЛЬНОСТЬ КОТЛОВИНЫ КУМИССКОГО ОЗЕРА

Резюме

Депрессия Кумисского озера представляет старейшую террасу р. Куры.

Причина образования депрессии местного характера, проявившаяся в выщелачивании солей и в супфозии (А. Джанелидзе).

Озеро соленое, что вполне характерно для таких замкнутых водоемов в аридных климатических условиях.

Кумисская равнина состоит из двух резко отличающихся друг от друга западной и восточной частей: западная — более равнинная и менее сухая, восточная — более сухая и холмистая. В связи с разнообразием микрорельефа и степени засоленности в растительном покрове следует выделить четыре топоэкологических ряда:

1. Мокрые солончаки, местообитание которых характеризуется ровным микрорельефом, близким стоянием грунтовых вод и высокой засоленностью почвы. В виду этих экологических условий в комплексе участвуют следующие ассоциации: *Salicornieta*, *Suaedeta* и *Petrosimonietta*.

2. Сухие солончаки и полупустыни распространены на возвышенных местах и представлены следующими ассоциациями: *Salsoleta* — *mixtoephemerosa*, *Artemisieta caespitosa* — *graminosa*, *Artemisieta* — *mixtoephemerosa*, *Tamariceta* и *Ononieta*.

3. Влажносолончаковая луговая растительность, расположенная преимущественно в западной части озера, характеризуется ровным микрорельефом и средним увлажнением. Здесь распространены следующие ассоциации: *Atropideta*, *Limonieta*, *Phragmiteta* и *Glycyrrhizieta*.

4. Степная растительность занимает микровозвышенностей и высокие холмы. В ее комплексе преобладают бородачевая и полынная сообщества. Здесь представлены *Andropogonetum* (*ischaemonis*) *ephemerosum*, *Andropogon* — *ischaemum* *Artemisia* *Meyeriana*.

В вышеуказанных топоэкологических рядах ландшафтное значение имеют полупустынные и степные формации. Второе место по распространению занимает влажносолончаковая луговая растительность, а именно: *Glycyrrhizieta* и *Phragmiteta*.

Что же касается мокрых солончаков, то они в этом отношении занимают второстепенное место, но сохранились в более первичном состоянии.



1. გულისაშვილი ვ., მეტყველა, ნაწ. I, თბილისი, 1945.
 2. კაკულია ა., თბილისის მიდამოების ზამთრის საძოვრების შესწავლისათვის, ბოტანიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VIII, 1941.
 3. კეცხოველი ნ., საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, თბილისი, 1935.
 4. საბაშვილი გ., ნიადაგმცოდნება, სახელმძღვანელო უმაღლეს სასწავლებლებისათვის, თბილისი, 1941.
 5. ჯავახიშვილი ა., საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია, თბილისი, 1926.
 5. Алехин В. В., Методика полевых геоботанических исследований, М.—Л., 1938.
 6. Антипов-Каратайев И. Н. и Седлецкий И. Д., Физико-химические процессы солонцеобразования. «Почвоведение», № 6, М.—Л., 1937.
 7. Горькова И., О некоторых неясных вопросах современного учения о засоленных почвах. «Почвоведение», № 1, М.—Л., 1937.
 8. Кавришвили В. И., Ландшафтно-гидрологические зоны Грузинской ССР, Тбилиси, 1955.
 9. Келлер Б. А., Явления крайней солеустойчивости у высших растений в дикой природе и проблема приспособления, Труды лаборатории эволюционной экологии растений, т. I, Растение и среда, М.—Л., 1940.
 10. Нуцубидзе Т., Озера Грузии (рукопись).
 11. Поплавская Т. И., Краткий курс экологии растений. Ленинград, 1937.
 12. Справочник по водным ресурсам СССР. Т. XI, Закавказье. Ленинград, 1935.
 13. Труды Главного ботанического сада, том XVI, В. 2, Ленинград, 1938.
 14. Фомин А., Солончаки и сопровождающие их формации в Восточном и Южном Закавказье, Тифлис, 1906.
 15. Швыряев А. М., Эволюция растительного покрова темноцветных западин в двухчленном комплексе, Советская ботаника, № 2, М.—Л., 1939.

ა. მიდამოების განვითარების

ზოგიერთი საინირო სახეობა თბილისის მიდამოების ცლობაში

თბილისის მიდამოების ფლორა მრავალი გამოჩენილი მეცნიერის გამოკვე-
ლებას დაექვემდებარა (ტურნეფორი, ბეკეტოვი, სმირნოვი, ოვრინინი, ბუქსბაუ-
მი, გულდენშტედტი, პალლასი, მარშალბიძერშტეინი, სტევენი, ეიჭვალდი,
ჰოპნენკერი, სომხე და ლევი, ლიასკი, რადე). ამ საქმეში განსაკუთრებით
დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე საქართველოსა და კავკასიის ფლორის ცნო-
ბილ მკლევარებს: ა. გრისკეიძეს, დ. სოსნოვსკის, ნ. შიშკინსა და სხვ.

მუშაობა თბილისის მიდამოების მცენარეულობის სახეობრივი შემადგენ-
ლობის შეჯამებისა და დაზუსტების მიზნით, მრავალი წლის მანძილზე ტარდე-
ბოდა. ამ საკითხის ირგვლივ უკვე რამდენიმე შრომა გამოქვეყნებული (1, 2,
4, 5, 7, 8). ამ გამოკვლევათა შედეგად ჩენი ადგილობრივი ფლორა საკმა-
რისად დეტალურად იქნა შესწავლილი, რის შედეგადაც დადგინდა, რომ იგი
სახეობრივი შემადგენლობით მეტად მდიდარია და მრავალფეროვანი.

შემდეგში, ჭაობისა და მლაშობის მცენარეულობის შესწავლის მიზნით
ჩატარებული მუშაობის შედეგად ნაბოვნია თბილისის მიდამოების ფლორისათვის
კიდევ რამდენიმე ახალი სახეობა.

აღნიშნულის შესახებ ნაშრომი დიდი ხანია გამზადებულია. მას შემდეგ
ჩენი მასალების საფუძველზე ამ სახეობათა უშრავლესობა ა. მაყაშვილის (2)
მიერ უკვე შეტანილია თბილისის მიდამოების ფლორის სარკვევში, მაგრამ ვი-
ნაიდან აქ დეტალურად ვიძლევით ამ მცენარეთა გეოგრაფიულ და ეკოლო-
გიურ გავრცელებას და ამასთანავე მოგვყავს მათი სრული ეტიკეტი, ამჟამა-
დაც არ იქნება ინტერესმოქლებული ამ ნაშრომის გამოქვეყნება.

1. *Berula angustifolia* M. et k (= *Sium erectum*) ნაბოვნია ზაჰესის
ჭაობში ტარიიფიანისა და ლელიანის ასოციაციებში, 10.VII—1946 წ. თბილი-
სის ბოტანიკის ინსტიტუტში დაცულ ჰერბარიუმის მიხედვით, ამ სახეობის
ეგზემბლარები შემდეგი პუნქტებიდანაა შეგროვილი: ბათუმის მიდამოები, VII
1902 წ., ალექსენკო, ვორონოვი; ქობულეთის ჭაობი, VI, 1923 წ., ო. ზედელ-
მეირი; გარდაბანი, VII, 1906 წ., ფომინი.

Berula-ს გვარი კავკასიისა და საქართველოს ფლორაში ერთი სახეობითაა
წარმოდგენილი (*Berula angustifolia* M. et k.). იზრდება დაჭაობებულ ადგი-
ლებში უმთავრესად მდინარეებისა და არხების გასწვრივ. ასეთ ეკოლოგიურ
პირობებში იგი ცნობილია აფხაზეთში, სამეგრელოში, აჭარაში, გარეკახეთში,
გარდაბანში. საბჭოთა კავშირის დანარჩენ ნაწილში გვხვდება იმიერ და ამიერ-
კავკასიაში (ზაფი ზღვის სანაპირო, აზერბაიჯანი, სომხეთი), შეა აზიაში. სა-

ერთო გავრცელებით დაკავშირებულია შუა ევროპასთან, ხმელთა შეუძლებელი მხარესა და მცირე აზიასთან.

მისი ფართოდ გავრცელება ზაქესის ჭაობში იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი მისთვის დამახასიათებელ ბუნებრივ აღგილსამყოფელს წარმოადგენს.

2. *Scutellaria galericulata* პირველად გ. კვარაცხელიას მიერ ყოფილა ზაქესის საგუბართან ნაპოვნი 6. VI—1939 წ., ხოლო 17.VIII 1944 წ. იგი აქვე ნაირბალიხოვან მდელოსა და ტირიფიანის ასოციაციებშია საპერბარიოდ შეგროვილი.

საქართველოს საკვლევ დაწესებულებებში დაცული ჰერბარიუმის მასალების მიხედვით, ეს სახეობა შემდეგი პუნქტებიდანაა შეგროვილი: ქართლი, ატენის ხეობა, მდ. ტანას სათავესთან, ტბაზე, 13.VIII 1928 წელი, ე. ქიქოძე; ფოთი, მდ. პეჩორას ნაპირზე, 30.VIII 1923 წ., შიშკინი; ცხავიას რაიონი, სოფ. ქინოთა, 20.VII 1927 წ., ა. მაყაშვილი, ა. გროსგეიმი; აფხაზეთი, ბეგესირის ტბა, 28.IX 1927 წ., ი. ბუაჩიძე; ახალქალაქი, ხანჩალიგელის ტბა, VII 1924 წ., მ. ზედელმეირი; ბაკურიანი, საკოჭაოს ტბა, 17.VIII 1919 წ., ნ. ტროცკი; ბორჯომის მიდამოები, 23.VII 1917 წ., კოზლოვსკი, გროზეგიმი; ბორჩალოს მიდამოები, ბაშკიჩეთთან ახლოს ჭაობში, VII 1929 წ., ნ. კეცხოველი; დუშეთის რაიონი, ბაზალეთის ტბასთან, 25.VIII 1928 წ., ვ. კოზლოვსკი, დ. სოსნოვსკი; ტაბასიყურის ტბა, 17.VII 1914 წ., ვ. კოზლოვსკი. ილიშნული სახეობა იზრდება ტენიან ადგილებში, ჭაობებსა და მდინარეების ნაპირებზე, ტყეებში, ტყის პირებზე, დაბლობებში, მთის ქვედა და შუა სარტყელში. ზოგჯერ გვხვდება სარეველა მცენარის სახით ნათესებსა და ბოსტნებში. ყვავილობს და ნაყოფიანობს იყლის—აგვისტოში. ზაქესის ჭაობის ყველა ასოციაციაში გვხვდება, განსაკუთრებით მრავლად დაჭაობებულ მდელოს დაჯუფებაში.

3. *Gratiola officinalis* L საპერბარიოდ შევკრიბეთ 5.V 1947 წ. ტირიფიანში, სადაც იგი თითო-ოროლა ეგზებლარის სახით იყო გავრცელებული.

საქართველოს მუზეუმში არსებულ საპერბარიო მასალების მიხედვით მისი გავრცელების უახლოესი პუნქტი ქუთაისის რაიონია. შეგროვილია სადგურ აჯამეთთან ახლოს, წიფლნარ ტყეში 22.VI 1920 წ. ა. ილინსკის მიერ. იგი შეტანილია აგრეთვე რადეს მიერ შედგენილ მცენარეთა კატალოგში. ობილისის ბოტანიკის ინსტიტუტის ჰერბარიუმში საქართველოდან მოპოვებული ამ სახეობის ეგზებლარი არ აღმოჩნდა.

ეს სახეობა იზრდება ტენიან ადგილებზე, მდინარის სანაპიროებზე, მთის ქვედა სარტყელში. მისი სამშობლოა ბორტუგალია. კავკასიის ფარგლებში იყი დასავლეთ იმიერ და ამიერკავკასიისათვისაა მითითებული. საერთო გავრცელებით დაკავშირებულია შუა ევროპასთან, მცირე აზიასა და ჩრდილო ამერიკასთან.

4. *Iuncus effusus* L ობილისის მიდამოებში გავრცელება საეჭვოდ იყო ცნობილი (2). ზაქესის ჭაობის ასოციაციებში კი საქმარისად მრავლად გვხვდება და კარგი განახლების უნარითაც ხასიათდება. ეკუთვნის დასავლეთ პალეორქტიკულ გეოგრაფიულ ტიბს. იზრდება ტენიან მდელოებსა და ეელობებზე, დაჭაობებულ ადგილებში, მდინარის, ტბისა და რუების ნაპირებზე, ზღვის დონიდან სუბალბურ სარტყლამდე. მსგავს ეკოლოგიურ პირობებში იგი გავრცელებულია საქართველოში, სსრ კავშირის დანარჩენი ნაწილიდან—იმიერ-

კავკასიაში, ამიერკავკასიაში, ევროპულ ნაწილში (არქტიკის გამოკლებული დასავლეთ ცამბირში. საერთო გავრცელებით დაქავშირებულია შუაევროპასთან, ხმელთაშუა ზღვის მხარესა და მცირე აზიასთან.

5. *Iuncellus serotinus* (Rottb) C. B. clarke.

Iuncellus-ის გვარი, რომლის 4 სახეობა უმეტესად ტროპიკულ სარტყელშია ცნობილი, ჩვენს ფლორაში ზემოაღნიშნული ერთი სახეობითაა წარმოდგენილი, რომელიც ზაქესის ჭაობში (*Typhaetum*-ის დაჯგუფების გარდა) თითქმის ყველა ასოციაციაშია აღნიშნული. საპერბარიუმო მასალების მიხედვით, იგი შემდეგი პუნქტებიდანაა შეგროვილი: ბათუმის მიდამოები, ციხისძირი, ჭაობში, VII 1920 წ., ა. გროსხეიმი; ფოთი, პატარა პალიასტომის ტბასთან, ტორფიან ჭაობებში, 21. VII 1923 წ., ბ. შიშვინი; ზუგდიდი, 26.IX 1915 წ., ნ. ბუაჩიძე.

აღნიშნული სახეობა ხმელთაშუა ზღვის გეოგრაფიული ელემენტია. იზრდება ტბის, ჭაობებისა და არხების ნაპირებზე, დაბლობ ზონაში. მსგავს ეკოლოგიურ პირობებში ის გავრცელებულია მთელ საქართველოში, კავკასიაში, საბჭოთა კავშირის სამხრეთ ევროპულ ნაწილში და შუა აზიაში. საერთო გავრცელების გეოგრაფიულ პუნქტებად მითითებულია: ხმელთაშუა ზღვის მხარე, მცირე აზია, სომხეთ-ქურთისტანი, ირანი, ინდომალაი და ჩინეთი. ზაქესის ჭაობი მისთვის ჩვეულებრივ აღგილსამყოფელს წარმოადგენს; იგი ზემოამოთელილ სახეობებთან შედარებით უფრო ფართო გავრცელებით ხასიათდება, რაზედაც ის გარემოება მიუთითებს, რომ ჭაობიან მდელოში ცალკე დაჯგუფებას ქმნის.

6. *Carex pseudocyperus* L. ზაქესის ჭაობში ფართოდაა გავრცელებული, უმთავრესად ალუვიურ ნიადაგებზე და მონაწილეობს როგორც ლელიანის, ისე ტირიფიანის დაჯგუფებში. ხშირად იმ აღგილებში, სადაც ლელიანი წყდება, ჰიგროფიტული ხასიათის ფრაგმენტს წარმოშობს.

თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტში დაცული ამ სახეობის პერბარიუმი საქართველოს შემდეგი კუთხეებიდანაა შეგროვილი: ბაკურიანი, ტბა ძველი, 19 VI 1916 წ. ვ. კოზლოვსკი; ბორჯომის მიდამოები, 8 VII 1917 წ., ვ. კოზლოვსკი; გარდაბანი, სარწყავი არხის ნაპირას, 3 V 1923 წ., ნ. ტრიოცე.

ეს სახეობა პოლარქტიკის გეოგრაფიული ელემენტია და მთელ საქართველოშია გავრცელებული. საბჭოთა კავშირის სხვა აღგილებიდან იგი ცნობილია: მთელ კავკასიაში, ციმბირში, შუა აზიაში, ხოლო მისი საერთო გავრცელება განისაზღვრება ეგროპით, ხმელთაშუა ზღვის მხარით, მცირე და ცენტრალური აზიათა და ჩრდილო ამერიკით.

ბოტანიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 23.2.1961)

A. ЕРКОМАИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ИНТЕРЕСНЫЕ ВИДЫ ФЛОРЫ ОКРЕСТНОСТЕЙ ТБИЛИСИ

Резюме

В результате изучения материалов, собранных с целью исследования растительности болот и солончаков окрестностей г. Тбилиси, нами обна-



ружены несколько новых видов еще не отмеченных для местной ^{флоры} как-то: *Berula angustifolia* M. et k (= *Sium erectum* Nuds.), *Gratiola officinalis* L., *Scutellaria galericulata* L., *Iuncus effusus* L., *Iuncellus serotinus* (Rottb.) C. B. Clarke., *Carex pseudocyperus* L.

Эти виды являются многолетними растениями, растущими в определенных экологических условиях (влажные места лугов, берега рек, озера и болота). Упомянутые виды достаточно широко распространены в ассоциациях болота Загэса, являющегося характерным для них естественным местообитанием.

ლ 0 ტ ე ჩ ა ტ უ რ ა

1. ე რ ქ თ მ ა ი ზ ვ ი ლ ი ა . , ა ხ ა ლ ი ც ე ნ ბ ე ბ ი თ ბ ი ლ ი ს ი ს მ ი დ ა მ ო ე ბ ი ს ფ ლ თ რ ი ს ა თ ვ ი ს , თ ს უ შ რ თ მ ბ ე ბ ი , ტ . 40 , 1950 .
2. გ ა ყ ა ზ ვ ი ლ ი ა . , თ ბ ი ლ ი ს ი ს მ ი დ ა მ ო ე ბ ი ს ფ ლ თ რ ა , ტ . 1—2 , თ ბ ი ლ ი ს ი , 1952 , 1953 .
3. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ფ ლ თ რ ა , ტ . 6 , თ ბ ი ლ ი ს ი , 1950 .
4. Гроссгейм А. А., Сосновский Д. И. и Шишкян Б. К., Флора Тифлиса, часть I, Тифлис, 1925.
5. Гроссгейм А. А., Определитель растений Кавказа, Москва, 1949.
6. Сосновский Д. И. и Гроссгейм А. А., Определитель растений окрестностей Тифлиса, Тифлис, 1920.
7. Шерозия В. М., О новых для флоры Грузии растениях, Труды Тбилисского ботанического института, т. II, 1938.
8. Шишкян Б. К., Новые растения окрестностей Тбилиси, Труды музея Грузии, Тбилиси, 1926.
9. Радде Г. И., Коллекции Кавказского музея, Тифлис, 1901.

ზ. შენგალია

ბოლნისის რაიონი გავრცელებული სამართლის მცხოვრები

ბოლნისის რაიონი საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში— ქართლში მდებარეობს. ჩრდილოეთით მას მდინარე ხრამის შუა დინება ესაზღვრება, დასავლეთით—სოფ. წყნარიბანი, აღმოსავლეთით არახლომდე თეთრი წყაროს რაიონი ეკვრის, სამხრეთით ლოქ-ჯანდარის ქედის თხემია (აქ მას სომხეთის სსრ ესაზღვრება), დასავლეთი საზღვარი მდინარეების: ლოქჩაისა და ყარასუს ზემო დინების წყალგამყოფ-დემურდაგის სერის თხემს გასდევს, სოფ. დმანისთან გადაჭყვეთს მაშვერას და მწვერვალ ქემურდაგზე (1361 მ) გავლით მიიმართება სოფ. წყნარიბანამდე (ამ საზღვრის გასწვრივ დმანისისა და წალკის რაიონები აკრავს). აღმოსავლეთით კი ლოქ-ჯანდარის ქედის ჩრდილო განშტრება—შიშტაფას სერს მიუყვება, რომელიც მას მიმდებარე მარნეულის რაიონისაგან გამოჰყოფს.

ბოლნისის რაიონი ფართობით 746,9 კვ. კმ. აღწევს. განხილული ტერიტორია, მიუხედავად მისი ფართობის სიმცირისა, ბუნების მნიშვნელოვანი ნაირგვარობით ხასიათდება. აქ წარმოდგენილია ზომიერი სარტყლისათვის დამახსიათებელი მთათაშორისი ბარის ზონის მშრალი სუბტროპიკული ველის ლანდშაფტი, დამთავრებული მაღალი მთის სუბალბური მდელოებისა და მათ შორის მოქცეული რიგი გარდამავალი ლანდშაფტური ტიპები.

რაიონის გეოლოგიურ აგებულებაში ყურადღებას იქცევს მეტ-ნაკლები სიდიდის „კუნძულების“ სახით წარმოდგენილი მესამეული დაციტების გამოსავლები და მეოთხეული ანდეზიტურ-ბაზალტური ლავების ნაკადები. პირველ-თან ციცაბო ფერდობებიანი კონუსისებრი გორაკ-ბორცვებია დაკავშირებული, ხოლო ნაკადებთან—გაკე-ტერასისებული უბნები. სამხრეთ-დასავლეთიდან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ საერთო დახრილობის შესაბამისად დასერილია ამავე მიმართულების მდინარეებით.

ბოლნისის რაიონის უდაბლესი წერტილი მდინარე ხრამის ჭალაზე დაახლოებით 400 მ სიმაღლეზე მდებარეობს. აქედან სამხრეთ-დასავლეთით ტერიტორია თანადათანობით მაღლდება და მწვერვალ ლოქზე 2144 მ აღწევს. ამ-რიგად, რაიონის უდაბლეს და უმაღლეს წერტილებს შორის სიმაღლეთა სხვაობა 1700 მ აღემატება, მაშინ როცა მათ შორის პირდაპირი მანძილი დაახლოებით 30 კმ-ს უდრის. სიმაღლეთა ესოდენ დიდი ვარდნა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბუნების როგორც ცალცეულ კომპონენტებზე, ასევე მათ კომპლექსებზე და აპირობებს სიმაღლით (ვერტიკალურ) ზონალობას.

მსგავსად რელიეფისა, რაიონი ჰავის მიხედვითაც საქმაო მრავალფეროვნებით ხასიათდება, რაც გამოწვეულია გეოგრაფიული მდებარეობის, რელიეფის ნაირგვარობისა და ჰავის მასების ცირკულაციური პროცესების თავისებურე-



ჩებით. დაბალ გეოგრაფიულ განედებში მდებარეობისა და მზიდან შემოწმებული სხივების დაცემის კუთხის სიდიდის გამო მზის ნათების ხანგრძლიობა 2000-დან 2500 საათამდე აღწევს. ტერიტორიის ტოპოგრაფიული პირობები (სამი მხრიდან მთებით შემოფარგლულობა) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თერმულ რეაქტორები. პარას წლიური საშუალო ტემპერატურაა $11,5 - 12^{\circ}$ (ვაკე-ბარის ნაწილში), $3 - 4^{\circ}$ (მთიან ნაწილში). ატმოსფერული ნალექებიც რაიონის ფარგლებში უთანაბროდ არის განლაგებული როგორც ცალკეული არეების, ასევე წლის დროების მიხედვით. ნალექთა წლიური საშუალო რაოდენობა 450—500 მმ-დან (ჩრდ. აღმ. ბარის ნაწილში) 700 მმ-დე აღწევს (სამხრეთ-დასავლეთ მთიან ნაწილში). როგორც წესი, აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ადგილის სიმაღლის მატებისა და დასავლეთიდან მონაბერი პარას მასების გავლენის ზრდასთან ერთად ნალექთა რაოდენობა მატულობს. ყველაზე უხვნალექებიანია მაისი—83 მმ, ივნისი—77 მმ, ხოლო ყველაზე მშრალია დეკემბერი (16 მმ)—იანვარი (19 მმ).

ბოლნისის რაიონის ლითოლოგიური შედგენილობის სიჭრელე და ორგანული სამყაროს ნაირგარობა განაპირობებენ მისი ნიადაგების მრავალფეროვნებას. ამ უკანასკნელზე ნათელ წარმოდგენას იძლევა აქად. მ. საბაშვილი (3) შრომაში „საქართველოს ნიადაგები“. აქ აღუვიური ქანების გამოფიტვის პროცესზე განვითარებულია წაბლა ნიადაგები და მისი სახესხევარი, ხოლო მდინარეების ჭალების გასწვრივ სხვადასხვა შედგენილობისა და თვისებების ალუვიური ნიადაგებით გავრცელებული. მაღალნივიერი წაბლა ნიადაგები მორწყვის პირობებში ფართოდაა გამოყენებული ხეხილის ბალებისა და ვენახებისათვის, ალუვიური ნიადაგები კი—ხორბლეულისა და ბალ-ბოსტნის კულტურებისათვის, ტყის ყავისფერი ნიადაგები—მარცვლეული კულტურებისათვის, ნეშომბალა-კარბონატული და შავმიწისმაგვარი ნიადაგები—ვენახებისათვის.

აქად. ნ. კეცხოველის (2) მიხედვით ბოლნისის რაიონში ძირითადად ურიანი ველი ბატონობს, რომლის შემდეგ ჯაგეკლიანი ველია წარმოდგენილი, მაგრამ გარდა ამისა, ვეზდებით ნათელ ფოთლოვან ტყეს, მუხნარ-რცხილნარს, მუხნარ-ჯაგ-რცხილნარს, წიფლნარს, სუბალპების ტყესა და ქსეროფიტებს.

ბოლნისის რაიონის მცენარეულობის ყველა ამ ტიპში ჩვენ ვხვდებით როგორც მცენიერულ, ისე ქართულ-ხალხურ მედიცინაში გამოყენებულ სამეცნიერო მცენარეებს. აღვილობრივი მცხოვრებლების მიერ გამოყენებული სამეცნიერო საშუალებებიდან მეტად უმნიშვნელო რაოდენობის მცენარეები აღინიშნება, რაც აღბათ იმით უნდა იახსნას, რომ აღვილობრივ-მკვიდრ ქართველთავან აქ ახლა მეტად მცირე რიცხვი ცხოვრობს. აქაური ტყეები მდიდარია სამეცნიერო მცენარეების გარდა ველური ხილის: პანტა, მაჟალო, გარეული ბალი, ზღმარტლი, ზინდი, კუნელი, ასკილი, ტყემალი, კვრინჩი, ძახველი, თამელი, ჭავა, თხილი, მაყვალი, უოლო, მაბურა და სხვა წარმომადგენლებით, რომლებიც კავალთან ერთად რაიონის სატყეო მცენარეობაში ერთ-ერთ თვალსაჩინო აღვილს იქცერენ და არ იქნება ურიგო, თუ რაიონში ველური ხილის გადამშუშევებელი ქარხანა აშენდება, რაც რაიონის შემოსავალს კიდევ უფრო გაზრდის. ამ რაიონში 1957 წლიდან სამი წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კათედრის ყველა წევრი, სადაც პირადად მე დავალებული მქონდა ბოლნისის რაიონის ველური ხილის რესურსების აღრიცხვა და ზღმარტლის სისტემატიკური შესწავლა. ამ ორი

თემის პარალელურად დავამუშავე ბოლნისის რაიონში გავრცელებული სამკურნალო მცენარეები ნალო მცენარეები, რომლის მოქლე ანგარიშს ამ შრომით ვიძლევთ.

მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებული სამკურნალო მცენარეებიდან ბოლნისის რაიონისათვის აღსანიშნავია: *Achillea millefolium*, *Aconitum orientale*, *Artemisia* sp. div., *Agropyron repens*, *Agrimonia eupatoria*, *Ailanthus altissima*, *Allium* sp. div., *Alnus barbata*, *Althaea officinalis*, *Asparagus* sp. div., *Astragalus* sp. div.. *Atropa caucasica*, *Betula verrucosa*, *Bryonia alba*, *Carum carvi*, *Carum caucasicum*, *Capsella bursa Pastoris*, *Cetraria islandica*, *Cichorium intybus*, *Cornus mas*, *Cuscuta europaea*, *Chelidonium majus*, *Chenopodium album*, *Claviceps purpurea*, *Crataegus* sp. div., *Cydonia oblonga*, *Datura stramonium*, *Daphne mezereum*, *Digitalis ferruginea*, *Dryopteris filix mas*, *Ephedra procera*, *Equisetum arvense*, *Euphorbia* sp. div., *Gentiana caucasica*, *Gentiana verna*, *Helichrisum* sp. div., *Humulus Lupulus*, *Hyoscyamus niger*, *Hypericum perforatum*, *Inula helenium*, *Inula glandulosa*, *Iuglans regia*, *Lamium album*, *Linum usitatissimum*, *Malus orientalis*, *Melilotus officinalis*, *Mentha longifolia*, *Mentha aquatica*, *Nepeta betonicifolia*, *Orchis* sp. div., *Origanum vulgare*, *Plantago major*, *Polygonum carneum*, *Polygonum hydropiper*, *Primula* sp. div., *Pyrethrum roseum*, *Pyrethrum carneum*, *Pyrus communis*, *Potentilla reptans*, *Quercus iberica*, *Quercus macranthera*, *Rhamnus cathartica*, *Rosa* sp. div., *Rubus Buschiorum*, *Rumex acetosa*, *Rumex crispus*, *Salix caprea*, *Sambucus nigra*, *Senecio platyphyllus*, *Taraxacum vulgare*, *Thalictrum minus*, *Tilia caucasica*, *Thymus serpyllum*, *Fagus orientalis*, *Fragaria vesca*, *Fraxinus excelsior*, *Frangula alnus*, *Urtica dioica*, *Valeriana officinalis*, *Valeriana tiliefolia*, *Veratrum Lobelianum*, *Verbascum* sp. div., *Viburnum Opulus*, *Viola* sp. div., *Viscum album* და სხვა.

ქართულ-ხალხურ მედიცინაში გამოყენებული მცენარეებიდან ბოლნისის რაიონისათვის აღსანიშნავია: *Anemone umbellata*, *Anthemis* sp. div., *Asplenium septentrionale*, *Bidens tripartitus*, *Betonica grandiflora*, *Berberis vulgaris*, *Caltha palustris*, *Cannabis ruderalis*, *Cerasus avium*, *Corylus avellana*, *Crocus speciosus*, *Eryngium coeruleum*, *Erigeron* sp. div., *Erodium cicutarium*, *Evonymus europaeus*, *Epilobium* sp. div., *Inula germanica*, *Inula britanica*, *Lactuca* sp. div., *Lonicera caucasica*, *Lotus ciliatus*, *Malva silvestris*, *Mespilus germanica*, *Peganum harmala*, *Populus tremula*, *Prunus Padus*, *Polypodium vulgare*, *Pimpinella* sp. div., *Prunus spinosa*, *Physalis alkekengi*, *Ranunculus* sp. div., *Rubus caucasica*, *Rubus* sp. div., *Sambucus ebulus*, *Sanguisorba officinalis*, *Scabiosa caucasica*, *Scrophularia* sp. div., *Sorbus aucuparia*, *Trifolium* sp. div. და სხვა მრავალი.

ბოლნისის რაიონში სამრეწველო მნიშვნელობის ბეჭრი სამკურნალო მცენარეა, რომელთა შორის აღსანიშნავია: *Achillea millefolium*, *Cornus mas*, *Crataegus* sp. div., *Datura stramonium*, *Digitalis ferruginea*, *Dryopteris filix mas*, *Humulus Lupulus*, *Hyoscyamus niger*, *Hypericum perforatum*, *Iuglans regia*, *Malus orientalis*, *Pyrus communis*, *Quercus iberica*, *Rosa* sp. div., *Veratrum Lobelianum*, *Viscum album* და სხვა მრავალი.

ბოლნისის რაიონში სამკურნალო მცენარეების გარდა ველურად იზრდება: კაუჩუკის შემცველი, ვიტამინებით მდიდარი, თაფლოვანი, საკვები, მთრიმლავ



ნივთიერებათა შემცველი, საღებავის მომცემი, საქულინარიო საქმეზე მამოწევი ყენებელი, სპირტებისა და გამაგრილებელი წყლებისათვის სიროვების დამზადების ღროს საჭირო ნივთიერებებისა და ეთერზეთების შემცველი, პარფიუმერიის საქმეში გამოსადეგი და სხვა მრავალი სასარგებლო მცენარე. გვხდება შეამიანი, მავნე და დეკორატიული მცენარეებიც.

ბოტანიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 28.11.1960)

3. შენგელია

ЛЕКАРСТВЕННЫЕ РАСТЕНИЯ, РАСПРОСТРАНЕННЫЕ В БОЛНИССКОМ РАЙОНЕ

Резюме

Болниssкий район расположен в юго-восточной части нижней Картли, содержит 746,9 кв. км территории и занимает своеобразное географическое положение. В связи с этим этот район характеризуется разнообразием природы и пестротой растительного покрова. Здесь представлены характерные для умеренных поясов ландшафты сухих субтропических степей межгорно-равнинных зон, заканчивающиеся высокогорными субальпийскими лугами и рядом переходных типов ландшафтов, расположенных среди них. Низшая точка изученной территории расположена на пойме реки Храма на высоте 400 м. н. у. м. Отсюда территория на юго-западе постепенно возвышается у вершины Лока, достигая 2144 м.

Таким образом, от низшей до высшей точки района разница в высоте превышает 1700 м, в то время как между ними прямое расстояние приблизительно равняется 30 км. Топографические условия района, низкие географические широты, температурный (термический) режим, особенности почвы, атмосферные осадки и др. влияют на существующий здесь растительный покров. По данным академика Н. Н. Кецховели (2) растительный покров Болниssкого района представлен следующими типами: 1. Бородачевая степь (основное). 2. Колючекустарниковая степь (из основных). 3. Светлые лиственные леса. 4. Дубовограбовые дубово-грабинниковые леса. 5. Буковые леса. 6. Субальпийские леса. 7. Ксерофиты — все эти перечисленные типы в определенном количестве составлены лекарственными растениями. Число используемых лекарственных растений в научной медицине равно 105 видам, а что касается числа лекарственных растений, используемых в народной медицине, то оно равно 52 видам. Количество используемых лекарственных растений местными жителями незначительно.

В Болниssком районе, кроме лекарственных растений, дико растут, богатые витаминами, каучуконосные растения, содержащие дубильные вещества; богатые красителями и используемые в кулинарном деле, медовые и кормовые растения; растения, содержащие необходимые вещества и эфиромасличные вещества, употребляемые в приготовлении сиропов для спир-

тов и прохладительных вод, используемые в парфюмерном деле и множество других полезных растений. Встречаются: ядовитые, вредные и декоративные растения.

ლ 0 ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. კ ე ც ხ ვ ე ლ ი ნ., კ უ ლ ტ უ რ უ ლ მ ც ე ნ ა რ ე თ ა ზ ო ნ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი შ ი, 1957.
2. კ ე ც ხ ვ ე ლ ი ნ., ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს მ ც ე ნ ა რ ე უ ლ ი ს ა ფ ა რ ი, 1960.
3. ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი მ., ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ნ ი ა გ ე ბ ი, 1948.
4. ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ფ ლ ი რ ა, ტ. I, II, III, IV, V, VI, VII, VIII.
5. შ ე ნ გ ე ლ ი ა ზ., ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ი მ ც ე ნ ა რ ე ბ ი, 1952.
6. შ ე ნ გ ე ლ ი ა ზ., ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ზ ო გ ი ე რ თ ი შ ხ ა მ ი ა ნ ი მ ც ე ნ ა რ ე, 1954.

ა. ჭავაძე

საქართველოს გარეული ქოში

შესაგალი

ჩვენი გამოკვლევის მიზანდასახულებას წარმოადგენდა საქართველოში გავრცელებული გარეული კომშის შიდასახეობრივი შესწავლა, ე. ი. მისი ფორმობრივი შემაღენლობის გამოყლინება, საქართველოში გარეული ფორმების გავრცელების დადგენა და შეძლებისამებრ კულტურულ ჯიშებთან მათი კავშირის გარკვევა.

გარეული ხილის შიდასახეობრივი შესწავლა და მისი არსებობის ბუნებრივი პირობების დადგენა იძლევა სასელექციო და საძირე მასალის ბაზას ახალი ჯიშის გამოყვანისათვის. სწორედ ამ მოსაზრებით ვხელმძღვანელობდით გარეული კომშის (*Cydonia oblonga* Mill.) ბოტანიკური შესწავლისას.

პირადად მოპოვებული საქაოდ მდიდარი საქერბარიო და კარბოლოვიური მასალის გარდა გამოყნებულია საქ. სსრ მეცნიერებათა ოკადემიის თბილისის ბოტანიკური ინსტიტუტის, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკის კაოედრის მუზეუმის მასალები. უნდა აღინიშნოს, რომ ხსნებულ სამეცნიერო დაწესებულებებში გარეული კომშის საქერბარიო მასალები მცირე რაოდენობითაა წარმოდგენილი.

მოპოვებული მასალა იძლევა წარმოდგენას კომშის ფორმობრივ სხვადასხვაობაზე, მათ გეოგრაფიზმზე და ეკოლოგიურ-ცენოტიკურ თვისებებზე. ამ მონაცემების მიხედვით ერთგარად შესაძლებელი ხდება ამ ფორმათა წარმოქმნის გზების ზოგადად მაინც მოხაზვა და ნაწილობრივ დაკავშირება კულტურულ ჯიშებთან.

ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ნ ა ჭ ი ლ ი

(კომშის სისტემატიკა)

გვარი *Cydonia* Mill.-ის კომში (იმერულად ბია) ექუთვნის ოჯახ *Rosaceae*-ბის ქვეოჯახ *Pomoideae*-ს. იგი წარმოდგენილია ერთი სახეობით *Cydonia oblonga* Mill., რომელიც შეიცავს რამდენიმე სახესხვაობას. გარეული კომშის სახესხვაობათა რაოდენობა, მკვლევრების მიხედვით, სხვადასხვაა. ჩვენს მიერ საქართველოში და ნაწილობრივ დაღესტნის ასსრ-ში მოპოვებული მასალის შესწავლის საფუძველზე მისაღებად მიგვჩნია შნაიდერის სისტემა.

შეგროვილი საქერბარიო და კარბოლოვიური მასალის შესწავლის საფუძველზე გამოირკვა, რომ საქართველოში გარეულად გავრცელებული კომში რამდენიმე განსხვავებული სახესხვაობითაა წარმოდგენილი. თუ ჩვენ მის ჩვეულდენის განსხვავებული სახესხვაობითაა წარმოდგენილი. თუ ჩვენ მის ჩვეუ-



ლებრივ ცნობილ სახეობას var. typica C. K. Schneid. და var. maliformis (Mill.) Kirch. ძირითად ფორმად მივიჩნევთ, შესაძლებელი იქნება ოღნიშნულ სახესხვაობათა ფარგლებში ნაყოფის, ფოთლების, ჯამის ფოთოლაქების ფორმისა და კიდის ხასიათის მიხედვით v. typica C. K. Schneid.-დან ორი და v. maliformis (Mill.) Kirch.-დან ერთი სახესხვაობის გამოყოფა. ამრიგად საქართველოს ფლორაში გარეული კომზის Cydonia oblonga Mill.-ის პოლო-მორფიზმი წარმოდგენილია ხუთი სახესხვაობით.

1. Var. typica (C. K. Schneid) A. Kachadze (C. vulgaris a. pyriformis Kirch. Arbor. Musc. 311 1864)

ფოთოლი მომრგვალო ელიფსური ან კვერცხისებრი, ნაყოფი ოვალური (თითქმის მოგრძო), ოდნავ წახნაგოვანი, ჯამის ფოთოლაქი ლანცეტია, ერთ-ჯერ ხერხებილა კიდით, თანაფოთლები ლანცეტია, კიდედაქბილული.

აღნიშნული სახესხვაობა გეხვდება ლეშამბიანი ტყის ნაპირებზე, ტყის გაჩეხილ ადგილებში, ჯაგ-ეკლიანი ველისა და მთის ქვედა სარტყლის საზღვარზე (ჰემიქსეროფილურია).

Specimina visa

საქართველოს სსრ, ლაგოდეხის რაიონი, სოფელი აფენი, 16. 8. 39, ა. კახაძე; ჭიათურის ტყე, 24.5.39, ა. კახაძე; სიღნაღის რაიონი, ქ. სიღნაღის სასაფლაოს მიდამოები, 22. 11. 39, ა. კახაძე; სიღნაღის მიღამ., 14. 11. 39, ა. კახაძე; სიღნაღი, სასაფლაოს გზა, 25. 5. 39, ა. კახაძე; ახმეტის რაიონი, ლალისყური, 28. 5. 39, ა. კახაძე; სოფ. ლალისყური, 17. 11. 39, ა. კახაძე; ლალისყური, 28. 5. 39, ა. კახაძე; ზემო ალვანი, ოთხთვალის ხევი, 16. 11. 39, ა. კახაძე; ქვემო ალვანი, 28. 5. 39, ა. კახაძე; ზემო ალვანი, ოთხთვალის ხევი, 16. 11. 39, ა. კახაძე; დალესტნის ასსრ, დარუბანდის (დერბენდის) რაიონი, ქურდლელაურის მიდამოები, 6. 8. 39, ა. კახაძე; 6. 8. 39, ა. კახაძე; ქურდლელაურის მიდამოები, 6. 8. 39, ა. კახაძე; ფერვაიგორთას მიდამოები, 7. 8. 39, ა. კახაძე; ხასავიურტის რაიონი, სოფ. მუშელაური, 10. 8. 39, ა. კახაძე.

2. Var. biserrulata A. Kachadze var. nova

(var. typica C. K. Schneid. p. p.) sepalaе biserrulatæ

ფოთლები მოგრძო კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ლანცეტია, ჯამის ფოთოლაქი ლანცეტია, ორმაგ ხერხებილა, თანაფოთოლი ტოტების ქვედა ნაწილზე დაქბილული, ხოლო ზედა ნაწილზე დანაკვთული. ნაყოფი მსხლისებრი, რომელსაც წახნაგოვანი ზედაპირი აქვს. მონარინჯო-ოქროსფერისა და ძლიერ სურნელოვანია. აღნიშნული სახესხვაობა ძლიერ გაგრცელებულია სიღნაღისა და ახმეტის რაიონში, იზრდება ქსეროფილურ ბუჩქნარებს შორის, სადაც იგი პირველ იარუსზია და შეგუებულია სამხრეთ ფერდობების ღორლიან ნიადაგებს, კარგად მსხმოიარობს (ქსეროფილურია).

Specimina visa

საქართველოს სსრ, ახმეტის რაიონი, სოფ. ალავანი მუხლოვანი, 15. 11. 39, ა. კახაძე; ზემო ალვანი, 15. 11. 39, ა. კახაძე; სოფ. ქვემო ალვანი, 28. 5. 39, ა. კახაძე; ქვემო ალვანი, 15. 11. 39, ა. კახაძე; ზემო ალვანი, 4. 11.

39, ა. კახაძე; ლალისყური, 28. 5. 39, ა. კახაძე; სიღნაღის რაიონი ფართობი, 28. 11. 39, ა. კახაძე; ახოს ფართობი, 22. 11. 39, ა. კახაძე; ახოს ფართობი, 22. 11. 39, ა. კახაძე; გოგოსანის აგარაკი, 23. 11. 39, ა. კახაძე; ახოს ფართობი, 23. 5. 39, ა. კახაძე; ახოს ფართობი ანაგის გზის გასწვრივ, 23. 5. 39, ა. კახაძე; ლაგოდების რაიონი, სოფ. აფენი მუხიანი, 16. 8. 38, ა. კახაძე; ჭიაურის ტყე, 12. 8. 38, ტყე, 24. 5. 38, ა. კახაძე; დალესტნის ასსრ, დერბენდის (დარუბანდის) რაიონი, ქურდღელაურის მიდამოები, 6. 9. 39, ა. კახაძე; სადგური ბერივეიპ, რკინის გზის პირას, 6. 8. 39, ა. კახაძე.

3. Var. *integerrimo*—*sepala* A. Kachadze var. nov
(var. *typica* C. K. Schneid. p. p.) *sepalae integerrimae*

ფოთოლი განიერ ელიფსური, ჯამის ფოთოლაკი განიერი ლანცეტია, კიდევმთლიანი, გვირგვინის ფურცელი უკუკერცხისებრი, თანაფოთოლი უკუკერცხისებრი, ოდნავ დაკბილული, ნაყოფი მსხლისებრი ფორმისაა, სადა ზედა-ბირით, მონარინჯო-ოქროსფერი და ძლიერ სურნელოვანი. შედარებით იშვია-თად გვხვდება სიღნაღისა და სოფელ ლალისყურის მიდამოებში, იზრდება მუხნარ-ჯაგრცხილნარში ან გაჩეხილ ადგილებში ქსეროფილურ ბუჩქნარებს შორის.

Specimina visa

საქართველოს სსრ, სიღნაღის რაიონი, თამარის ტყის მიდამოები, 14. 10. 39, ა. კახაძე; სიღნაღი, ანაგის გზიდან სასაფლაოსკენ მიმავალი გზის პირი, 23. 5. 39, ა. კახაძე; ანაგის გზის გასწვრივი ფერდო, 7. 8. 39, ა. კახაძე; ახმეტის რაიონი, ქვემო ალვანი, 19. 10. 39, ა. კახაძე; ქვემო ალვანი, 28. 5. 39, ა. კახაძე; თბილისი, ბოტანიკური ინსტიტუტის კავკასიური განყოფილება, 10. 9. 39, ა. კახაძე; დალესტნის ასსრ, დერბენდის (დარუბანდის) რაიონი, ფერ-ვაიგორთას მიდამოები, 7. 8. 39, ა. კახაძე; ქურდღელაურის მიდამოები, 6. 8. 39, ა. კახაძე;

4. Var. *maliformis* (Mill.,) Kirch. (C. *maliformis* Mill. I. C)
C. *vulgaris* Perss. var. *maliformis* Kirch. I. C.)

ღამახასიათებელია: ფოთოლი კვერცხისებრი ან ელიფსური, იშვიათად ოვალური, ნაყოფი მომრგვალო ვაშლის ფორმისა, რომელსაც მერთალი ყვითელი ან ყვითელი ფერი აქვს, ნაკლებ სურნელოვანია, ჯამის ფოთოლაკი ხაზური ლანცეტია, ორმაგ ხერხებილ კიდით, გვირგვინის ფურცელი სოლისებრი, ამოკვეთილი ბოლოთი, ფრჩხილის არეში შებუსვილი. თანაფოთოლი ლანცეტია, დანაკვთული. ვავრცელებულია: ლეშამბიანი ტყის შემაღენლობაში ქვეტყის სახით (ალაზნის სანაპიროზე), შედარებით იშვიათად—ზემო და ქვემო ალვანის მიდამოებში (მეზოფილურია).

Specimina visa

საქართველოს სსრ, ლაგოდების რაიონი, სოფ. აფენი, 16. 8. 39, ა. კახაძე; ჭიაურის ტყე, 17. 11. 39, ა. კახაძე; ჭიაურის ტყე, 23. 11. 39, ა. კახაძე; ჭიაურის ტყე, 11. 8. 38, ა. კახაძე; ჭიაურის ტყე; ალაზნის პირი, 11. 8. 38, ა. კახაძე; ახმეტის რაიონი, ზემო ალვანი, 19. 11. 39, ა. კახაძე; ზემო ალვანი, მუხლოვანი, 19. 11. 39, ა. კახაძე; ქვემო ალვანი, 28. 5.


39, ა. კახაძე; ლალისყური, 17. 11. 39, ა. კახაძე; ხევის ჭალა, 5, 9, 39,
3. პაბაგა.

გ. ვაშავა

5. Var. rotundata A. Kachadze var. nov

(var. maliformis (Mill.) Kirch. p. p.) *Fructus rotundatus*

ფოთლები გულისებრი ან გულისებრ-ქვერცხისებრი, ჯამის ფოთლავი
ლანცეტა, დანაკვთული, ნაყოფი ბრტყელი გაშლისებრი, ფუძის და წვერის




ნახ. 1.

Cydonia ablonga Mill
Var. integerrimo—*Sepala* A. Kachadze

არეში დანაოჭებული, მომწვანო ყვითელი ან ლიმონისფერი. გავრცელებულ ია
ქსეროფილურ ბუჩქნარებში ლალისყურის მიღამოებში.

Specimina visa

ახმეტის რაიონი: ქვემო ალვანი, 19. 11. 39, ა. კახაძე; ლალაშებური, 17. 11. 39, ა. კახაძე; ქვემო ალვანი, 19. 11. 30, ა. კახაძე; დაღესტერშე—სასტეპული, დარჯბანდის რაიონში სოფ. ქურდლელაურის მიდამოებში, 6. 8. 39, ა. კახაძე.



ნახ 2.

Cydonia oblonga Mill.
var. *biserrulata* A. Kachadze


Var: *pyramidalis* Dipp. (*C. vulgaris* b. *pyramidalis*

Dipp. Handb. Laubholzk. III, 357 (1893).—*C. oblonga* Mill.

var. *pyramidalis* C. K. Schneid. I. c. (1906)

ფოთლები კვერცხისებრი ან კვერცხისებრ-ლანცეტია, ჯამის ფოთოლაკი ლანცეტი, დაკბილული, ნაყოფი მსხლისებრი, წაგრძელებული ფუძით (კარგად

გამოსახული ყელით) და წახნაგოვანი. ბუჩქი პირამიდული ფორმისაც, დრუჟული ტყის პირებზე და ველებში ზოლად დარჩენილ ქსეროფილურ ბუჩქნარებში (აღნიშვნული სახესვაობა საქართველოში არ შემხვედრია).



556. 3.
Cydonia oblonga Mill
var. *rotundata* A. Kachadze

Specimina visa

დალექტნის სსრ, დარუბანდის რაიონი, ფერვაიგორთას მიდ., 7. 8. 39,
ა. კახაძე;

Cydonia oblonga Mill.-ის სახესხვაობათა სარკვევი ტაბულა

2. ნაყოფი მსხლისებრი არაწახნაგოვანი, ფოთლები განიერი კუთხულოვანი, ჯამის ფოთოლაქი განიერი ლანცეტა, კიდემთლიანი... var. *integerrimo-sepala* A. Kachadze

3. ნაყოფი მსხლისებრი, წახნაგოვანი, ფოთლები მოგრძო კვერცხი-
სებრ ან კვერცხისებრი ლანცეტა. ჯამის ფოთოლაკი ლანცეტა, ორმაგ-ხერხ-
ქბილა ქიდით var. *biserrulata* A. Kachadze.

4. ნაყოფი ოვალური (თითქმის მოგრძო), ოდნავ წახნაგოვანი, ფოთ-ლები მომრგვალო ელიფსური ან უკუკვერცხისებრი, ჯამის ფოთოლაკი ერთ-ხელ ხერხებილი var typica (C. K. Schneid.) A. Kachadze.

— ნაყოფი მსხლისებრი, ფუძე წაგრძელებული (კარგად შესამჩნევი ყელით)

და წახნაგოვანი. ფოთლები კვერცხისებრი ან ლანცეტი, ჯამის ფოთოლაკი დაკბილული. მცენარის გარჯის ფორმა პირამიდულია.... var *pyramidalis* Dipp.

5. ფოთოლი კვერცხსებრი ან ელიტური, ივერთაღ ფალური, გამოიჭირო მომრგვალო ვაშლისებრი *var maliformis* (Mill.) Kirch.

—ფოთოლი გულისებრი ან გულისებრ კვერცხისებრი, ხაყოფი ბოტელისებრი, ფუძესა და წვერთან დანაკვებულ წახნაგოვანი, მკრთალი ყვითების... var. *rotundata* A. Kachadze.

პოლიტიკური სამინისტრო გეორგიაშვილი გადაცემის და

ՅՈՒՆԻՎԵՐՍԻՏԵՏ-ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ԿԱՆԿԱՆ

გარეული კომში ლინეის მიერ აღწერილია საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე მოპოვებულია ნიმუშების მიხედვით. ამავე ავტორის მონაცემებით, გარეული კომში გავრცელებულია ჩრდილო აფრიკის მაღალმთიან აღგილებში და ძუინარე დუნაის სანაპიროზე. დეკანდოლის მიერ (19) გარეული კომშის გავრცელება მითითებულია სამხრეთ ევროპაში, სადაც მას გამოიყენებენ კოცხალ ღობებად. ბიბერზტეინი (22) გარეული კომშის სამშობლოდ თვლის ევრაზიის ქვეყნებს და აღნიშნავს, რომ მისი გავრცელება აღწევს ყირიმსა და კავკასიონის სამხრეთ კალთებს.

აშერსონისა და გრებნერის (18) მონაცემებით, გარეული ქომშის სამშობლოდ ითვლება ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლეთი ნაწილი, მათივე აღნიშვნით, იგი ნატურალიზებულია ბევრგან, სახელდობრ, მრავლადაა აღპების სამხრეთ ნაწილში და უნგრეთში.

შნაიდერი (23) გარეული კომშის სამშობლოდ თველის ირანსა და თურქეთს, საიდანაც გავრცელდა სამხრეთ ევროპაში, ხოლო შუა ევროპაში გახვდება მხოლოდ კულტურაში. ჰეგის მონაცემების მიხედვით, გარეული კომში იზრდება შემდეგ ქვეყნებში: ამიერკავკასიასა, ირანსა, თურქეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ არაბეთში. ნატურალიზმებულია მცირე აზიასა, სირიასა, ჩრდილო აფრიკასა და სამხრეთ ევროპაში, კულტივიზრებულია და ხშირად გარეულდება მთელ რიგ ქვეყნებში, გარდა ავსტრიალიის. გერმანიაში გაგარეულებულია თითქმის ყველან, უფრო იშვიათად—ავსტრიაში (ზალცბურგის მახლობლად ბოჭემიაში, შტეინიმარქში, ფირალმერგზე, სამხრეთ ტიროლში ტირინგის მახლობლად და სხვაგან). იშვიათია აგრეთვე შევიცარიაში.

ზემოთ აღნიშნული ლიტერატურული წყაროების ანალიზის საფუძველზე გარეული კომშის სამშობლოდ ბოტანიკურ-გეოგრაფიულად შეიძლება მიჩნეულ

იქნეს ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ქვეყნები: კავკასია, შუა აზია (ოსმალი მენეთი) და ჩრდილო ირანი. თურქეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აშაბდეთში კომშის აუტოხტონობა დამტკიცებულად არ ჩაითვლება, მიუხედავად რიგი მკვლევრების მითითებისა.

კავკასიის ფლორის მკვლევრები: მედვედევი, როლოვი, ტროიცკი, გროს-ჰეიმი, სოსნოვსკი, ვინოგრადოვ — ნიკიტინი, ყანჩაველი და კეცხოველი ადას-ტურებენ კავკასიაში გარეული კომშის გავრცელებას.

გროს-ჰეიმის (8) მონაცემებით კავკასიაში გარეული კომში გავრცელებულია ტყეებში მთების შუა სარტყლამდე, დალესტანსა (აღმოსავლეთ ამიერკავკა-სიაში თალიშის ჩათვლით) და შედარებით იშვიათად დასავლეთ საქართველოში (კოლხეთში).

ვინოგრადოვ — ნიკიტინის აღნიშნით არცერთ ქვეყანაში, როგორც გარეული, ისე კულტურული კომშის ისეთი დიდი რაოდენობა და მრავალფეროვნება არ გვხვდება, როგორც კავკასიაში.

კორდონის (12) მონაცემებით გარეული კომში გვხვდება მტკვრის ხეობა-ში, თალიშსა და კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე.

მედვედევის მიხედვით (13) კავკასიაში გავრცელებულია კომში როგორც გარეული, ისე გაგარეულებული. აღნიშნული მონაცემები და ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა გვაძლევს საბუთს დავასკვნათ, რომ გარეული კომშის არეალის ძირითადი ნაწილი მოთავსებულია კავკასიაში, სადაც ნათლადაა წარმოდგენილი მის სახეობათა პოლიმორფიზმი. ეს პოლიმორფიზმი ძირითადად ქვერკვორფოგენეზის შედეგია.

საქართველოში გარეული კომშის გავრცელება აღნიშნულია აკად. ნ. კეცხოველის მიერ (4), გარეული კომში მის მიერ ფიქსირებულია კახეთის ლეშამბიანი მუხნარის შემადგენლობაში. ამავე პირობებში გარეული კომშის გავრცელებას ადასტურებენ სოსნოვსკი, გროს-ჰეიმი და ტროიცკი.

პროფესორ ყანჩაველის მიერ 1928 წელს გურჯანისა და ჭიან ტყის მიდამოებში შეგროვილია გარეული კომშის სახერბარიო მასალა.

საქართველოში გარეული კომშის Cydonia oblonga Mill.-ის გავრცელების შესწავლის შედეგი ადასტურებს ამ სახეობების აუტოხტონობას აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ, ე. წ. ალაზნის ხეობაში და ჭიზიში (სიღნაღის მიდამოები), ხოლო დასავლეთ საქართველოში წინააღმდეგ ზოგიერთი მკვლევრის შეხედულებისა, კომში გარეულად (ბუნებრივად) არ იზრდება, თუმცა გაგარეულებული ფორმების გავრცელება არ არის იშვიათი მოვლენა (მაგალითად, სოფელ ლიჩის, კორბოულის, რიკოთის გადასავლის დასავლეთით, საჩხერისა და ჭიათურის მიდამოებში, სამეგრელოში — სალხინოდან ასხევ მიმავალ გზის პირად, ჩაქვის მიდამოების ტყეში შეგროვილი გ. მთვარიაძის მიერ).

ვასილევის (6) მონაცემებით გარეული კომში აფხაზეთში (შავი ზღვის სანაპიროზე) არ გვხვდება, ხოლო გაგარეულებული ფორმები გვხვდება დიდი ნახორისა, მდ. კილასურისა და მაჭარის შორის მდებარე მთაზე.

საქართველოში გარეული კომშის გეოგრაფიული გავრცელება წარმოადგენს დასავლურ გაგრძელებას მისი არეალის იმ საერთო ნაწილისა, რომელიც მდებარეობს აღმოსავლეთ კავკასიაში დალესტანსა და აზერბაჯანის სსრ. საქართველოში ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, შიგა კახეთში.

Cydonia oblonga Mill. წარმოდგენს პირკანის ფლორისტულ ელემენტების რომლიდანაც წარმოშობილი ქსერომორფოგენეზური ფორმები იმყოფებიან ამჟამად გავრცელების პროცესში, ამიტომაც საქართველოში არა აქვთ ფართო გავრცელება.

ალაზნის სანაპირო ლეშამბიანი ტყის ცენოზი ადამიანის ზემოქმედების შედევრად შეტაც ან ნაკლებად დარღვეულია. მაგალითად, სოფელ აფენის მი-დამოებში თითო-ოროლა მუხაა შერჩენილი, რომლის ორგვლივ მეორად და-ჯგუფებას ქმნის ქსეროფილური ბუჩქნარები თავისი თანამგზავრებით. მათ შორის მრავლად გვხვდება *Cydonia oblonga* Mill. სამი ვარიაცია: var. *ser-
rulata* A. Kachadze, var. *integerrimo-sepala* A. Kachadze, var. *typica* (C. K. Schneid), A. Kachadze.

აკადემიკოს ნ. კეცხოველის მონაცემებით, სამხრეთ ქიზიყის ძირითად ფორმაციას ჯაგეკლიანი ველი წარმოადგენს, რომლის შემაღენლობაში მრავ-ლადა *Cydonia oblonga* Mill.-ის გარეული ფორმები, კარგად შეგუებული ბუჩქნარების. წნორის შეკლივადან სიღნაღმი მიმავალი გზის პირი დაფარულია ქსეროფილური ბუჩქნარებით, რომელთა შორის *Cydonia oblonga* Mill.-ის მსხმიარე ბუჩქნები შემოდგომით ოქროსფრად მოჩანს. სიღნაღმისა და ანაგის გზის გასწვრივ მდებარე სამხრეთი ფერდობი ზედა ნაწილში ჩამორეცხილია და აქ გავრცელებულია ქსეროფილური ბალახეულობა, რომლის ფონზე ფრაგმენტის სახით გვხვდება ჯაგნარი შემდეგი შემაღელობით:

1. *Quercus iberica* Stev.
2. *Rosa canina* L.
3. *Cydonia oblonga* Mill. var. *biserrulata* A. Kachadze
4. " " " var. *integerrimo-sepala* A. Kachadze
5. " " " var. *typica* (Schneider) A. Kachadze
6. *Crataegus melonocarpa* M. B.
7. *Cornus australis* C. A. M.
8. *Paliurus spina christi* (Mill.) K. C.

საღაც *Cydonia oblonga* Mill. var. *integerrimo-sepala* m. A. Kachadze და var. *biserrulata* A. Kachadze სახესხვაობანი მრავლად გვხვდება პირველ იარუსში. დაჯგუფებაში საერთოდ სჭარბობს ქსეროფილური ბუჩქნარები, მუხის მხლობ ერთეულები გვხვდება. მსგავს დაჯგუფებას ენდებით „გოგოსანის აგარაკის“ ოღონსავლეთ ფერდობზე (ნადაგი თიხნარ-ქვიშიანი). გარეული კომ-შის *Cydonia oblonga* Mill.-ის სახესხვაობანი var. *biserrulata* A. Kachadze და var. *typica* (Schneid.) A. Kachadze მონაწილეობებს შემდეგ დაჯგუფებაში:

1. *Coryllus avellana* L.
2. *Cornus mas* L.
3. *Cornus australis* C. A. M.
4. *Rosa canina* L.
5. *Crataegus melanocarpa* M. B.
6. *Sambucus nigra* L.
7. *Ligustrum vulgare* L.
8. *Lonicera caprifolium* L.
9. *Mespilus germanica* L.



აღნიშნულ დაჯგუფებაში დომინანტობს ზღმარტლი *Mespilus germanica* Mill. ca L., შინდი *Cornus mas* L. და ქომში *Cydonia oblonga* Mill.

სიღნალის მახლობლად მდებარეობს ე. წ. „ახოს აგარაკი“, რომელიც ტყეს წარმოადგენს, ხოლო ფართობის ერთ ნაწილზე ყოფილი ბალის ნაშთია დარჩენილი, რასაც ადასტურებს ისეთი მცენარეები, როგორიცაა იასამანი *Syringa vulgaris* L., ნუში *Amygdalis communis* L. და სხვა, მათთან ერთად კომში, ამ უკანასკნელის გარეულ ფორმებთან var *serrulata* m. ერთად გვხვდება გაგარეულებული *Cydonia oblonga* Mill. var *integerrimo—sepala* m., რომელიც აშკარად განსხვავდება გარეული ეგზემბლარებისაგან როგორც საერთო პაბიტუსით, ისე ფოთლის, ყვავილის, ნაყოფის ზომისა და ზრდის ხასიათით. აღნიშნული ფართობის ტყე წარმოადგენს ჯაგრცხილნარ-მუხნარს შემდეგი კომპონენტების მონაწილეობით:

1. *Quercus iberica* Stev.
2. *Carpinus orientalis* Mill.
3. *Crataegus monogyna* Iacq. Sl.
4. *Pyrus caucasica* An. Fed.
5. *Malus orientalis* Ugl.
6. *Cornus mas* L.
7. *Mespilus germanica* L.
8. *Cerasus avium* Mnch.
9. *Cydonia oblonga* Mill. var. *biserrulata* m.
10. *Rosa canina* L.

და სხვები, სადაც ტყის წამყვანი როლი მიეკუთვნება მუხას და ჯაგრცხილას.

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ სიღნალის მიღამოებში გავრცელებული გარეული კომში მონაწილეობს ძირითად ქსეროფილურ ბუჩქნარებში (ჯაგეკლიანი ველის შემადგენლობაში). აქ იგი პირველ იარუსში ექცევა და პროგრესულ ბიოტიპს წარმოადგენს.

უფრო იშვიათად გარეული კომში გვხვდება მთის ზუა სატყლის ტყეში, სადაც უფრო მეტად II იარუსში მონაწილეობს და ნაკლები სიცოცხლის უნარიანობით ხასიათდება (ცუდად მსხმიარობს). სიღნალის მიღამოებში გავრცელებული სახესხვაობებიდან მეტად გავრცელებულ სახესხვაობას წარმოადგენს *Cydonia oblonga* Mill. v. *biserrulata* A. Kachadze. შედარებით ნაკლები სიხშირით გვხვდება v. *integerrimo—sepala* A. Kachadze და v. *typica* (Schneid.) A. Kachadze. სულ არ გვხვდება ანდა თუ შეგვხვდება, ერთეულების სახით var. *maliformis* (Mill.) Kirch. ჩვენს მიერ მხოლოდ ერთი ბუჩქი იქნანაპოვნი „კრამიტის“ მიღამოებში.

ამრიგად, როგორც ჩანს, დასახელებული სახესხვაობებიდან ქსეროფილურ პირობებს ყველაზე უკეთ შეეგუა var. *biserrulata*, ხოლო უფრო მეტოფილურ პირობებში იზრდება var. *maliformis* (Mill.) Kirch, რაც შეეხება *Cydonia oblonga* Mill. v. *typica* (Schneid.) A. Kachadze და v. *integerrimo—sepala* A. Kachadze მათ გარდამავალი ადგილსამყოფელი უკავიათ (ე. ი. პემიქსეროფილურნი არიან).

უნდა აღინიშნოს, რომ *Cydonia oblonga* Mill.-ის სახესხვაობები საქმაოდ განსხვავებულ ადგილსამყოფელოში გვხვდება. მისი ცენოლოგიური ადგილსამყოფელი საკმაოდ განსხვავებულია; სახელდობრ, ერთი მხრივ, ის

კომპონენტია ისეთი თავისებური ეკოლოგიური ტიპის ტყისა, როგორიცაა ე.წ. ლეზამბიანი ტყე, სადაც კომში მონაწილეობს ქვეტყები (უფრო ზოგადია ტყების პირებზე), მეორე მხრივ, იზრდება ჯაგეკლიანი ველის შემადგენლობაში ჰემიქსეროფილურ და ქსეროფილურ ბუჩქნარებში. უფრო იმგათად გვხვდება ჯაგრცილნარ-მუხნარის ტყის შემადგენლობაში გარეული კომში *Cydonia oblonga* Mill. იგი სათანადო მონაცემების მიხედვით წარმოადგენს პირკანის მესამეული ხანის რელიქტს, რომელიც მონაწილეობს პირკანის მესამეული ხანის ტიპიური რელიქტური ტყის შემადგენლობაში.

ჩვენი აზრით პირკანის ტყე წარმოადგენს გარეული კომშის *Cydonia oblonga* Mill.-ის პირველი ეკოლოგიურ-ცენოლოგიურ ადგილსამყოფელს; იგი



ნახ. 4.

Cydonia oblonga Mill.—გარეული კომში ლაგოდების მიღამოებში
ფოტო ნ. კეცხოველისა

ტყისპირული მცენარეა, რომლის მიგრაცია წასულა, ერთი მხრივ, თვით ტყის სილრმით, გაჩეხილ ადგილებზე, ხოლო მეორე მხრივ, ტყის უკანდახევის შედეგად წარმოშობილ ქსეროფილურ ბუჩქნარებში, სადაც იგი პირველ იარუსში მონაწილეობს და სიცოცხლისუნარიანობით ხასიათდება. ამრიგად, ძირითადი ფაქტორი, რომლის ზეგავლენით *Cydonia oblonga* Mill.-ის სახესხვაობების წარმოშობა მომხდარია, გარემოს ცვლილებაა, რაც კლიმატურ, ნიადაგობრივ და სხვა ფაქტორთა ცვალებადობითაა გამოწვეული. ევოლუცია მეოთხეულ პერიოდში ქსერომორფოგანეზის გზით არის მიმართული. მეზოფილური ფორმები შენარჩუნებული არიან მესამეული პერიოდის რელიქტურ ტყეებში, ხოლო ნაწილი სახესხვაობების გავრცელება მიმდინარეობს ქსეროფილურ მცენარეულობასთან შეგუების გზით. ეს ელემენტები სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ ქსეროფილური პირობებისადმი, რასაც მათი გავრცელება და მრავალფეროვნება ადასტურებს.

საქართველოში გავრცელებული გარეული კომში *Cydonia oblonga* Mill. var *maliformis* (Mill.) Kirch იმდენად მყვეტრი მორფოლოგიური ჩაშენებით ხასიათდება, რომ შესაძლებელია წარმოადგენდეს, თანახმად მიღერის შეხედულებისა, დამოუკიდებელ ტაქსონომიურ ერთეულს. დღეს ჩვენ ფლორაში აღნიშნული სახესხვაობა მხოლოდ რელიქტურ ადგილსამყოფელს ინარჩუნებს, ხოლო იგი კულტურაში ძლიერ გავრცელებულია.

კომშის კულტურული ჯიშაბის მოკლე მიმოხილვა გარეულ ფორმისთვის
მათი კავშირის თვალსაზრისით

კომშის კულტურას მსოფლიოში საქმაოდ შორეული ისტორია აქვს. ლი-
ნეის (21) მიერ კომშის აღწერის დროს მოყვანილია კომშის ბერძნული სახელ-
წოდება „მეიონ კოდონიონ“ (ვაშლი კოდონისა), რაც ჰეგის მოსაზრებით ასა-
ბუთებს იმას, რომ მცენარე შემოტანილია კუნძულ კრიტას იმ ნაწილიდან,
სადაც დასახლებული არიან კოდონელები. მცენარის სახელწოდების წარმოება
ერთი სახელწოდებიდან ნათლად ადასტურებს ამ ერთს როლს კომშის გაკულ-
ტურების საქმეში. რომაული სახელწოდება „Malum cotonatum“ (ვაშლი კოდონე-
ლებისა) ასაბუთებს იმას, რომ აღნიშნული მცენარე რომაელებმა ბერძნების
კოლონიებიდან შემოიტანეს.

საქართველოში კომშის კულტურის სიძველეს ადასტურებს საქართველოს
ცნობილი გეოგრაფის ვახუშტის შრომაში მოტანილი ცნობები: „ოლწერა სამე-
ფოსა საქართველოისა“ 1754 წელს (3), სადაც ნათქვამია: „ხოლო ხილნი წალ-
კოტა მრავალი ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის ხილი, მსხალი და
ვაშლი. მრავალგვარი კომში, ნივოზი და სხვა“. მაშასადამე, ზემოხსენებული
მკვლევარი ჩვეულებრივ ხილთა შრომის იხსენიებს კომშს.

ჩვენი აზრით, ეს იმის დამადასტურებელია, რომ 1754 წელს საქართვე-
ლოში კომში (*Cydonia oblonga* Mill.) მეხილეობაში გარეულ როლს ასრუ-
ლებდა, რაც საქმარისად ნათელყოფს საქართველოში კომშის კულტურის
სიძველეს.

მიჩრინის მიერ გამოყვანილია კომშის ჯიში ჩრდილოეთისათვის, რომე-
ლიც ცნობილია „ჩრდილოეთის კომშის“ სახელწოდებით. აღნიშნული ჯიში
მიჩრინის მიერ მიღებულია კავკასიის გარეული კომშის (*Cydonia oblonga*
Mill.) შეჯვარების შედეგად სახენსკის (გერმანელების ყოფილი კოლონია) ნა-
ხევრად ველურ ჯიშთან. ეს ჯიში ხასიათდება ყინვაგამძლეობით, გარდა ამისა,
კარგად ხარობს მშრალ ნიადაგზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია კალმით გამ-
რავლების ოვისება.

საქართველოში კულტურული კომშის ჯიშობრივი შემადგენლობის შე-
სწავლას მხოლოდ ჩვენს დროს მიეკუთხა გარეული ყურადღება, რის შედეგად
გამოქვეყნდა მ. ერისთავისა და თ. სამხარაძის შრომები.

კავკასიის ფლორის მკვლევარები: მედვედევი, როლოვი, შმალპაუზნი და
გრისპერიმი აღნიშნავენ საქართველოში კომშის კულტურის არსებობას საერ-
თოდ, მაგრამ მისი ჯიშობრივი შემადგენლობის შესახებ მხოლოდ როლოვი
იძლევა მცირე მონაცემებს.

ჩვენი გამოყვლევის დროს კულტურული კომშის ჯიშობრივ შემადგენ-
ლობას ყურადღებას ვაჭუევდით გარეული სახესხვაობებისა და კულტურულ
ჯიშთა შორის გენეზური კავშირის გამოვლინების თვალსაზრისით.

შეგროვილი ფაქტიური მასალების საფუძველზე ირკვევა, რომ ხახესხვაც მას სისტემატიკური ნიშანთვისებები წარმოადგენენ ჯიშთა დახასიათების ძირითად ნიშანს სხვა ბიოლოგიურ თავისებურებებთან ერთად. ამრიგად დასტურდება, რომ ჩვენს მიერ აღწერილი სახესხვაობები კულტურაში წარმოდგენილი არის როგორც ჯიში და ზოგჯერ როგორც ჯიშთა კომპლექსი.

საქართველოს კულტურული კომშის ჯიშები მომწიფების მიხედვით შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

1. ადრეულა (მომწიფების დრო 15. 8)
2. საგვაანო („ „ „ 30 ნოემბერი)



ნაჩ. 5.

Cydonia oblonga Mill.—გარეული კომში ალაზნის ჭალაში
ფოტო ნ. კეცხოველისა

ადრეულა ჯიშები

1. „ვაშლაბია“ (სამტრედიის რაიონი „ვაშბია“)—ეს ჯიში ყველაზე შეტადა გავრცელებული როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში.

ნაყოფი ოვალური ან ბრტყელი ვაშლისებრი ფორმისაა, ოდნავ წახნაგოვანი ზედაპირით, მკრთალი ყვითელი ან მონარინჯო-ოქროსფერისაა; მისი ფუძე ჩაღრმავებულია, წვერი ბორცვოვანია, ნაყოფის ბბილეული გაქვავებულ უჯრედებს ნაკლებად შეიცავს, წვნიანია და მომჟავო გემო აქვს. ნაყოფი იწონის 200—600 გ-მდე. ეს ჯიში გვხვდება როგორც ხეების, ისე ბუჩქების სახით. ამონაყარს უხვად ივითარებს, რის გამოც იყენებენ ცოცხალ ღობებად და ქარსაცავ ნარგავებად. ჭიათურის, საჩხერის, ჩხარისა და სხვა რაიონებში მწიფებრა სექტემბერში. აღნიშნული ჯიშის მსგავს სახესხვაობას წარმოადგენს გარეულად მოზარდი *Cydonia oblonga* Mill. var. *maliformis* (Mill.) Kirch.

2. „წყალბია“—დასავლეთ საქართველოში მიღებული ჯიშობრივი სახელ-წოდებაა. წარმოადგენს ვაშლაბიის მახლობელ ფორმას, ხასიათდება ბრტყელი

ან ოვალური გაშლისებრი ფორმის ნაყოფით, რომელსაც სადა ზედამდებრები შეავს. მისი ფუქ ღდნავ ღვალურია, წვერი ჩაღრმავებულია, საიდანაც ღდნავ მოჩანს ჯამის ფოთოლაკები. ნაყოფი საშუალო ზომისაა, ვაშლის მსგავსი ნაზი რბილებული აქვს, მკრთალი ყვითელი ფერისაა, მოტკბო-მომქავო გემოსი.

ამავე ჯამის მსგავსია როლოვის მიერ (16) აღწერილი *Tym Aiba* ან *Ширин Айва*, რომელიც მახლობელია var. *rotundata* m. ტიპისა. მწიფდება ავგისტოში. გავრცელებულია სოფ. დიდ-ჯიხაიშში (სამტრედიის რაიონი).

საგვიანო ჯიშები

1. „მალაჩინა“ კომში აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული კომშის ჯიშობრივი სახელწოდებაა.

„მალაჩინა“ კომში ხასიათდება მსხლისებრი ფორმის ნაყოფით, რომლის ზედაპირი სადაა ან ღდნავ წახნავოვანი, მონარინჯო-ოქროსფერისაა და ძლიერ სურნელოვანია. ნაყოფის რბილებული მცირედ შეიცავს გაქვავებულ უჯრედებს და ტებილია. ნაყოფი საშუალო ზომისაა, მწიფდება ოქტომბერში. ამ ჯამის მახლობელ სახესხვაობას წარმოადგენს გარეულად მოზარდი *Cydonia oblonga* Mill. var. *integerrimo—sepalae*. და var. *biserrulata* m.

2. „ხებია“ (დასავლეთ საქართველოში), „მახრიხობელა ბია“ (აღმოსავლეთ საქართველოში)—ხასიათდება დიდი ზომის მოგრძო, წახნავოვანი ნაყოფით, მონარინჯო-ოქროსფერია და ძლიერ სურნელოვანი. ნაყოფი რბილებული დიდი რაოდენობით შეიცავს გაქვავებულ უჯრედებს, ნაკლებ წვნიანია, მოტკბო მწკლატე გემოსია, შენახვის შემდეგ ტებება. მწიფდება გვიან შემოდგომაზე (ნოემბერში), კარგად ინახება, იზრდება დიდტანიან ხებიად, კარგი მოსავლიანი ჯიშია, უფრო მეტად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. გარეულად მოზარდი სახესხვაობებიდან აღნიშნულ ჯიშთან მსგავსებას იჩენს *Cydonia oblonga* Mill. var. *typica* (Schneid. A.) Kachadze.

ზემოთ აღნიშნულ ჯიშთა შორის მოსავლიანობისა და შენახვის ხანგრძლიობის მიხედვით კულტურაში უპირატესობის ღირსია „ხებია“. „მალაჩინა“ კომში შედარებით მათთან დაბალი ლირსებისაა. „ვაშლაბია“, მიუხედავად დაბალი ლირსებისა, გავრცელებულია მთელ საქართველოში. რაც შეეხება „ხებიას“ და „მალაჩინას“, ისინი იშვიათად გვხვდებიან როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.

კომშის სამაურნეო მიზანები

მიჩურინის (14) ნაშრომებიდან ცნობილია, რომ მსხლის ზოგიერთი ჯიში, დამყნილი კომშებე, იძლევა უკეთესი ხარისხის ნაყოფს, მსხმოიარობს ადრე და დაბალი ტანის ვარჯი უვითარდება.

მიჩურინის (15) მონაცემებით მეტად მნიშვნელოვანია ჩეენი მასალები გამოყენების ოვალსაზრისით. მისივე მონაცემებით დადასტურებულია სახე-სხვაობების განსხვავებული ბიოლოგიური თავისებურება. მეტ შანსს მსხლის საძირედ გამოყენებისას იძლევა მსხლისებრი ფორმები, ხოლო ვაშლისებრი—უფრო ნაკლებს მსხლის მიმართ. ვაშლის ჯიშს თუ შევაჩევთ კომშთან სიმბიოზს, ნამდევილად გამოვიმუშავებთ კომშის საძირებე კარგი ზრდის უნარის მქონე ვაშლის ჯიშს.

აღნიშნული მონაცემები უზრუნველყოფენ ჩვენს მიერ მოპოვებული მიზანის მიზნობრივ გამოყენებას მეხილეობაში. კომში ცნობილია როგორც საძირე ქონდარა მსხლის ჯიშისათვის. ზელენსკის (11) მონაცემებით ქონდარა მსხლის გაშენებას საჭმაო მნიშვნელობა ენიჭება, ერთი მხრივ, იმით, რომ ადრე მსხმიარობს, მეორე მხრივ შესაძლებელია ბალში გაშენდეს ხეებს შორის (მეორე იარუსის სახით), რაც ნაკვეთის უფრო რაციონალურად გამოყენების საშუალებას იძლევა და ამავე დროს აადგილებს ნაყოფის დაკრეფას.



ნახ. 6.

Cydonia oblonga Mill—გარეული კომში ზემო ალვანის მიდამოებში
ფოტო ა. კახაძისა

ეს საკითხი, ვფიქრობთ, ყურადღების ღირსია საქართველოს მეხილეობის საცდელი სადგურებისათვის.

ჩვენ ფაქტიური მასალების საფუძველზე გვქონდა საშუალება აღგენიშნა, რომ ზოგ რაიონებში კომში ცოცხალ ღობედ გამოიყენება. იდამიანთა ეს გამოცდილება უშუალოდ (მისი ბიოლოგიური თავისებურება) მიგვითითებს, რომ კომში შეიძლება მნიშვნელოვანი მონაწილე გახდეს ქარსაცავი ზოლებისა. პროფ. გულისაშვილის ნაშრომში (1) ჩამოთვლილ გვალვის გამძლე ხეხილის ჯიშებს, რომლებიც განკუთვნილი არიან ქარსაცრების მეორე სართულისათვის, საჭიროდ მიგვაჩნდა მიემატოს კომში, რომელსაც აქვს თვისება ამონა-

კომშის ნაყოფი, როგორც განსაკუთრებული სურნელების მქონე, იმა-
რება საკონსერვო მრეწველობაში: მურაბების, ფელეს, მარმალადის, ესენცი-
ების, ლიქიორის და სხვადასხვა სასმელების დასამზადებლად.

კახეთში (ახმეტის რაიონი), ზემო და ქვემო ალგანი, ლალისყური და
სხვაგან მოსახლეობა გარეულ კომის აგროვებს როგორც საზამთრო ხილს-
ხალხის თქმით, იგი შენახვის შემდეგ ტკბება.

კომშის თესლის მიერ გამოყოფილი ლორწოვანი ნივთიერება დიდი ხნიანაა მედიცინაში ცნობილი როგორც სამკურნალო საშუალება. გამოიყენება როგორც გამაგრილებელი საშუალება კანის დაზიანების შემთხვევაში ჭრილობებისათვის, თვალის ამოსარეცხად, იხმარება ავტომატური კოსმეტიკაში. კომშის თეთრი და მაგარი მერქანი გამოიყენება ტექნიკაში ჩანართებისათვის.

კომშის ქიმიური შემაღენლობის დასახასიათებლად ჩვენ გავაკეთოთ ქიმიური ანალიზი როგორც კულტურული ჯიშის „ვაშლაბია“-სი, ისე გარეული სახესხვაობის *Cydonia oblonga* Mill. var. *integerrimo-sepala* m. და var. *rotundata* m. ანალიზი შესრულებულ იქნა საქართველოს ზოოგეტ. ინსტიტუტის ცხოველთა კვების კათედრის მიერ (იხ. ქვემოთ ანალიზური ტაბულა).

მასალები ხევადასხვა ჯიშის კოშის ქიმიური შემცველობის დაპასიათებისათვის
(გარეული კოში *Cydonia oblonga* Mill)

№ რიგზე	განსაზღვრულ ნივთიერებათა დასახელება	კულტურული კომში		№ 3 მსხლი- სებრი Var. intergerri- mo—sepalal A. Kach.		№ 6 ბრტყე- ლი გაშლი- Var. ra- tundata A. Kach.		შენიშვნა
		ნიდა- ნი გ/ტ	გასა- მართვის მდგრადი ტექნიკური მდგრადი გ/ტ	ნიდა- ნი გ/ტ	გასა- მართვის მდგრადი ტექნიკური მდგრადი გ/ტ	ნიდა- ნი გ/ტ	გასა- მართვის მდგრადი ტექნიკური მდგრადი გ/ტ	
1	ჭყალ ი.	84.0	—	68.64	—	72.85	—	
2	ბშრალი ნივთიერება	16.0	16.0	31.35	31.36	27.14	27.14	
3	ნედლი უჯრედანა	2.01	12.56	6.41	20.435	7.40	27.158	
4	ნედლი ნაცარი	0.333	2.081	0.828	2.64	0.43	1.58	
5	საერთო შექრის რაოდენობა	8.180	51.13	5.09	16.23	6.23	22.86	
6	გაშლის მეუღვა	0.9606	6.003	0.6353	2.025	0.804	2.951	
7	თრიმშლოვანი ნივთიერება	0.143	0.8937	0.2143	0.6832	0.392	1.4386	
8	ვიტამინი „A“ (კაროტინი)	4.602	28.763	7.75	24.707	3.262	119.72	რაოდ. მილიგრ.
9	ვიტამინი „C“ (ასკონრბინის მეუღვა)	50.44	315.25	45.59	145.34	53.55	196.529	1 კ/გ. წო- ნახე ნიმუ- შისა

1. ნაცრის რაოდენობა განსახლველია მშრალად დანაცრების წესით.
 2. უჯრედან განსახლველია ჰერხერგისა და შრომანის მეთოდით.
 3. გაშლის მუკა დადგენილია საერთო მუკინობის განსაზღვრის წესით.



4. თრომლოვანი ნივთიერება განსაზღვრულია ნეიბაუერ-ლევანტალის მეთოდით. გუნისა-ბის დისკისი.
5. შაქარი განსაზღვრულია ბერტრანის წესით.
6. ვიტამინი „A“ (კაროტინი) განსაზღვრულია კათედრის მიერ გაუმჯობესებული კუნისა-და ბროკმანის მეთოდით. რაოდენობა მოცემულია მილიგრამებით 1 კილ. ნიმუშის წონაზე გაანგარიშებით.
7. ვიტამინი „C“—(ასკორბინის მჟავა) განსაზღვრულია ტილმანის (2.6 დიხლორფენო-ლით დატიტვა) მეთოდით. რაოდენობა მოცემულია მილიგრამებით 1 კილოგრამ-ნიმუშის წონაზე გაანგარიშებით.

ბოტანიკის კათედრა

(მემორიდა რედაქციაში 2. 9. 1960)

А. КАХАДЗЕ

ДИКОРАСТУЩАЯ АЙВА В ГРУЗИИ

Резюме

Географическое распространение дикой айвы в Грузии представляет продолжение ареала, который лежит в Закавказье, Дагестане и Азербайджане.

В Грузии айва дико распространена в восточной части, именно в Алазанской долине и окр. Сигнахи, в Зап. Грузии, в противоположность взглядам некоторых исследователей, айва дико не произрастает. По-видимому, *Cydonia oblonga* Mill. представляет собою гирканский вид, ксероморфогенетические производные формы которого находятся сейчас в процессе расселения. Поэтому в настоящее время они не имеют в Грузии широкого распространения.

В результате детального исследования нашего материала выяснилось, что за отличительный признак разновидностей, кроме формы плода, следует принять форму чашелистиков и характер их краев поверхности плода и его окраску.

В Грузии в диком виде айва представлена несколькими, довольно четко отличающимися друг от друга, формами. Из известных разновидностей var. *typica* C. K. Schneid. и var. *maliformis* (Mill.) Kirch на основании формы чашелистиков и характера их краев, представляется возможным выделить новые разновидности: из var. *typica* Schneid—2 и из Var. *maliformis* (Mill.) Kirch—1 разновидность.

Таким образом, во флоре Грузии полиморфизм дикой айвы *Cydonia oblonga* Mill. представлен 5 разновидностями:

- 1) Var. *typica* (c. k. Schneid). A. Kachadze (*C. vulgaris*.
a. *pyriformis* Kirch. Arbor. Musc. 311, 1864)

растет на опушках лиановых лесов, лесных вырубках, на границе нижне-горного лесного пояса и колюче-кустарниковой степи. Экологически является гемиксерофит. Распространена: в Лагодехском районе с. Афени (Чиаурский лес), Ахметском р-не с. Лалискури, Земо и Квемо Алвани и в окр. Сигнахи.

2) Var. *biserrulata* A. Kachadze var. *nova* (var. *cypica*
Sepalae biserrulatae. K. Schneid p. p.)

обитает среди ксерофильных кустарников на каменистых почвах южных склонов, является одной из наиболее ксерофильных разновидностей.

Распространена: в Ахметском р-не с. Земо и Квемо Алвани, Мухловани, с. Ламискури Сигнахского р-на, Аго, Гогосанский и Орхевская дача, в Лагодехском р-не с. Афени, Мухиани и Чиаурский лес.

3) Var. *integerrimo—sepala* A. Kachadze var. nov
 (Var. *typica* Schneid. p. p.).

Sepalae integerrimae

растет в дубово-грабинниковых лесах, а также в составе ксерофильных кустарников. Гемиксерофильная разновидность.

Распространена: в Сигнахском р-не Тамаранского леса, Сигнахи по дороге Анага, Лагодехском р-не с. Афени, Ахметском р-не Земо и Квемо Алвани, Тбилиси, Кавказский отдел Ботан. сада.

4) Var. *maliformis* (Mill.) Kirch. (*C. maliformis* Mill. l.
C. vulgaris Perss. Var. *maliformis* Kirch. L. C.)

растет в лиановых лесах в виде подлеска берега Алазани, окр. Земо и Квемо Алвани. Мезофильная разновидность.

5) Var. *rotundata* A. Kachadze var. nov
 (var. *maliformis* (Mill.) Kirch. p. p.)
Fructus rotundatus

обитает среди ксерофильных кустарников.

Распространена: в Ахметском р-не с. Лалискури.

На основании собранного нами фактического материала устанавливается, что признаки разновидностей систематически встречаются среди культурных сортов.

Во время работы мы обращаем внимание на сортовой состав культурной яйвы с точки зрения выявления генетической связи между дикими формами и культурными сортами.

ლ 0 ტ ე რ ა ტ ჭ რ ა

1. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი ვ. ზ., ტ უ ვ ე ლ ე ბ ი ს ა დ ა ვ ე ლ ე ბ ი ს ბ უ ნ ე ბ ი ს გ ა რ დ ა ქ მ ნ ი ს ს ტ ა ლ ი ნ უ რ ი გ ე გ მ ა , თ ბ ი ლ ი ს ი , 1949.
2. ე რ ი ს თ ა ვ ი ე . დ ა ს ა მ ხ ა რ ა ძ ე თ . , კ ო მ შ ი , თ ბ ი ლ ი ს ი , 1953.
3. ვ ა ხ უ შ ტ ი , ა ღ წ ე რ ა ს ა მ ე ფ მ ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ს ა , თ ბ ი ლ ი ს ი , 1941.
4. კ ე ც ხ ვ ე ლ ი ბ . ბ . , ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ მ ს მ ც ე ნ ა რ ე უ ლ დ ი ს ძ ი ხ ი თ ა დ ი ტ ი პ ე ბ ი , თ ბ ი ლ ი ს ი , 1935.
5. В а с и л ь е в А . В . , Д и к о р а с т у ш ие п л о д о в ы е и п и щ е в ы е д р е в е с н ы е п о р о д ы А б х а - з и и , С у х у м и , 1938 .
6. В а с и л ь е в А . В . , Д и к о р а с т у ш ие п л o д o v y e d e r e v y a i k u s t a r n i k i l e s n o y z o n y A b x a z i i , S u x u m i , 1938 .
7. В и н о г р а д о в - Н и к и т и н П . З . , П л o d o v y e i p i щ e v y e d e r e v y a l e s o v Z a k a v - k a z i a , T r . B . P . B . , t . X X I I , 1929 .

8. Гросгейм А. А., Растительный покров Кавказа, Москва, 1948.
 9. Гросгейм А. А., Растительные ресурсы Кавказа. Изд. АН Азерб. ССР, 1946.
 10. Декандоль А., Местопроисхождение возделываемых растений, пер. с франц., изд. под ред. д-ра Хр. Гоби, СПБ, 1898.
 11. Зеленский М. А., Айва как подвой для груши в условиях Предкавказья, Вестник сель.-хоз. наук, плодово-ягодные культуры, 2 вып., Москва, 1940.
 12. Кордон Р. Я., Айва, Изд. ВИР., 1934.
 13. Медведев Я. С., Деревья и кустарники Кавказа, Тифлис, 1919.
 14. Мичурин И. В., Сочинения, т. 1, Москва—Ленинград, 1939.
 15. Мичурин И. В., Итоги шестидесятилетних работ, 1936.
 16. Роллов А. Х., Дикорастущие растения Кавказа, Тифлис, 1906.
 17. Шмальгаузен И., Флора Ср. и Южн. России, Крыма и Кавказа. т. 1., Киев,
 18. Aseherson und Graebner, Synopsis d. mitteleur. Flora, Bd. VI, 1905—1910.
 19. De Candolle A. P., Prodromus Systematis naturalis Regni vegetabilis II. Paris, 1825.
 20. Hegi G., Illustrierte Flora von Mittel. Europa Bad. IV, 2, München, 1922.
 21. Linnaeus C., Species plantarum, I, Edit. 2. Holmiae.
 22. Marschall a Bieberstein F., Flora Taurica—Caucasica, I, Stuttgartiae, 1844—46.
 23. Schneider C. K., Illustrierzes Handbuch. der Laubholzkund. I, V. 1906.
-

რ. ცხაკაია, ე. მირიანაშვილი

სიმინდის ნაზრის შინაგანი აგებულება

ტარო სიმინდის მდედრობითი ყვავილედია, რომელიც გარედან დაფარულია სახეცვლილი ფოთლებით — ფუჩქით. ფუჩქიში ვაგინის ნაწილს მეტი ადვილი უჭირავს, ხოლო ფოთლის ფირფიტა ძლიერ დაგიწროებული და შემცირებულია, ხშირად იგი სულ არ არის გამოხატული. ტარო წარმოადგენს დამოკლებული მუხლობრივობისა გვერდითი ტოტის — ტაროს ფეხის გაგრძელებას. ტაროს გამსხვილებული ხორცოვანი ღერძის — ნაქუჩის ირგვლივ, ჩაღრმავებებში, მთელ სიგრძეზე ჩამწკრივებულია თავთუნები. თითო თავთუნში წყვილწყვილად სხედან მდედრობითი ყვავილები. თავთუნში მდედრობითი ყვავილების წყვილიდან ჩვეულებრივ მხოლოდ ერთი ვითარდება, მეორე კი რუდიმენტულ, ჩანასახურ მდგომარეობაშია. ამ ატროფიზრებული ყვავილის შემჩნევა შეიძლება თხელი, თეთრი სიფრიფანა წარმონაქმნის სახით (1, 3, 5). იშვიათ შემთხვევაში თავთუნში შეიძლება ორივე ყვავილი განვითარდეს (3, 4). ტაროში შეიძლება შევამჩნიოთ ყვავილებისა და თავთუნების კილები, რომელთაც დაცვითი ფუნქცია დაკარგული აქვთ, ვინაიდან ამ დანიშნულებას ფუჩქით ასრულებს.

მდედრობითი ყვავილის თავთუნის კილები ყვავილობისას ხორციანია, მოვეინებით ისინი ტყავის სებრნი ხდებიან. კილები სიმინდის მარცვალს მთლიანად არ ფარავს, გამონაკლისია კილიანი სიმინდი, რომელსაც კარგად განვითარებული ყვავილის კილები აქვს. მისი ცალკეული მარცვალი კილებშია მოქცეული.

ტარო ვითარდება ფოთლის ილლის კვირტებიდან როგორც მთავარ, ისე გვერდით ღეროზე. იგი შეიძლება განვითარდეს ყოველი ფოთლის ილლაში გარდა ზედა 2—4 ფოთლისა. სიმინდის აღრეული და გვიანა ჯიშებში სხვადასხვა ფოთლის ილლაში განვითარებული ტაროს ზომა განსხვავებულია. ტარო ერთნაირი ზომის არ არის აგრეთვე სხვადასხვა იარუსის ფოთლის ილლაში ერთი მცენარის ფარგლებში. ზედა ტაროები ჩვეულებრივ უფრო მსხვილია და უკეთ განვითარებული. ტარო ერთნაირი რაოდენობით არ შეიცავს თავთუნებს. მათი რიცხვი მერყეობს 20—50-მდე და ზოგჯერ შეიძლება მეტიც იყოს. სიმინდის ყვავილს თავისებური აგებულების ბუტკო აქვს. მისი მჯდომარე ნასკები ბოლოვდება წვრილი და ძალიან გრძელი ორად გაყოფილი დინგიანი სვეტით. ნასკები მხოლოდ ერთი თესლებით — ერთი თესლის ჩანასახი. ტაროს სხვადასხვა ადგილის თავთუნში მარცვლის ჩანასახს ერთნაირი მდებარეობა არა აქვს. შემჩნეულია, რომ თავთუნში ერთმანეთის გვერდით მდებარე ყვავილებიდან განვითარებულ მარცვალში ჩანასახი ერთში შეიძლება ტაროს წყვერისკენ იყოს მოქცეული, მეორეში კი — ტაროს ფუძისკენ. ასეა, მაგ., ტებილ სიმინდში (4). სხვადასხვა სიმინდში ტარო ფუჩქით ერთნაირი სიმქვრივით არ არის

დაფარული, რასაც მავნებლებისა და ავადმყოფობათა გავრცელებისათვის გაუკეთება. რკვეული მნიშვნელობა ენიჭება. მნიშვნელოვნად განსხვავდება, აგრძელებული წყუჩის სიმსხო და მისი შინაგანი აგებულება.

ტაროს მომწიფების პროცესი დაახლოებით ორი თვე გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ადგილი აქვს ფოთლებიდან და ლეროდან ორგანულ ნივთიერებათა გადასვლას ტაროში, სადაც ნივთიერებათა მოძრაობის გზას ნაქუჩი წარმოადგენს. ნაქუჩიში გადმოსულ ნივთიერებათა გადადენა ხდება ნასკვში მოთავსებული თესლებისაკენ, რომლისგანაც მარცვალი ვითარდება. სიმინდის მარცვალში, ჩანასახის გარდა, პლასტიკური ნივთიერებები სპეციალურ სამარაგო ქსოვილში—ენდოსპერმში გროვდება. სამარაგო ნივთიერებათა ხასიათი მარცვლის ამ ორ ნაწილში თვისტობრივად განსხვავებულია. სიმინდის შწიუე მარცვლის ჩანასახში ცხიმებია, ხოლო ენდოსპერმის ცენტრალური ნაწილი ამოგებებულია სახამებლით, მის პერიფერიაზე კი სამარაგო ცილაა. ალეირონის შრეში ცილა აღეირონის მარცვლების სახით გვხვდება.

მარცვალში ცილებით მდიდარი რქისებრი და სახამებლით მდიდარი ფქვილისებრი ენდოსპერმის გაადგილება სიმინდის სხვადასხვა ჯგუფის დამახასიათებელ ნიშანთვისებად ითვლება. სამარაგო ნივთიერებათა დაგროვება მარცვლის დამწიფებასთან დაკავშირებით კარგად არის შესწავლილი ალექსანდროვისა და იაკოვლევის მიერ (2). ყვავილობის დასაწყისში ორკაპა დინგებიანი სვეტები ტაროს წვერთან ფუჩების გარეთ გამოდის ე. წ. ულვაშის სახით. ტაროს გასწვრივ მოთავსებულ ნასკებს განსხვავებული სიგრძის სვეტები აქვს. ტაროს ჭვედა ყვავილების ნასკების სვეტები ყველაზე გრძელია, ტაროს წვერისკენ მათი სიგრძე თანდათან იკლებს. ყვავილობის დასაწყისში სვეტები უფერული ან მოვარდისფროა ანთოციანით შეფერების გამო. განაყოფიერების პროცესის შემდეგ სვეტები ყომრალდება და ხმება.

ტაროს გამსხვილებული ლერდი—ნაქუჩი იზრდება როგორც სიგრძეზე, ისე სიმსხოზე. ნაქუჩი თავთუნი ყველაზე ადრე ტაროს ფუძიდან ცოტა დაცილებით ვითარდება, შემდეგ კი თავთუნების მომწიფების პროცესი ამ ზონიდან ზევით და ქვევით ვრცელდება (9). ნაქუჩის ზრდასთან ერთად ხდება მარცვლების განვითარება ორმაგი განაყოფიერების შემდეგ.


ნაქუჩის ზრდაზე დაკავირვებამ ჩვენ დაგვარწმუნა, რომ ბუტკოების ნასკვების ზომა ნაქუჩის გასწვრივ არ არის ერთნაირი: ნაქუჩის ფუძესთან ისინი უფრო დიდებია, ნაქუჩის წვერისკენ კი პატარები. ზომაში განსხვავება მათი განსხვავებული ფიზიოლოგიური მდგომარეობის ერთ-ერთი გარეგნული ნიშან-თვისებაა და მათ არაერთდროულ დიფერენცირებაზე მეტყველებს. თუ ტაროს ზრდისა და მასზე მარცვლების განვითარების მანძილზე შესაფერი პირობები არ არის, განაყოფიერების შემდეგაც თესლებისაკენ შეიძლება არ მივიღოთ ერთნაირი მარცვალი; განსაკუთრებით სახითათოა ეს ტაროს წვერის მარცვლებისათვის, რომლებიც არახელსაყრელ პირობებში განვითარებელი რჩებიან, რაც სიმინდის ტაროს ხარისხის უარყოფით მაჩვენებლად ითვლება.

ლიტერატურაში მცირე ცნობები მოგვეპოვება ნაქუჩიში მიმღინარე სტრუქტურულ პროცესებზე და ნივთიერებათა გარდაქმნაზე. ამ ხარვეზის ზესავსებად ჩვენ მიერ ჩატარებულია მიკროსკოპული კვლევა.

ნაქუჩის შინაგანი აგებულების შესასწავლად მიზანშეწონილად ჩაფთვალეთ საკვლევი მასალა აგველო ტაროს განვითარების სხვადასხვა ფაზაში.

სიმინდის ნაქუჩის შინაგანი აგებულების შესასწავლად პრეცენტული მზადდებოდა ნაქუჩის შუა ნაწილიდან (როგორც განივი, ისე სიგრძეში გრძელები). ქსოვილთა გარსების გახევების გასარკვევად განაკვეთებზე ჩატარებულია სათანადო მიკროქიმიური რეაქციები (8).

ტაროს ნაქუჩის მიკროსკოპულმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მასში შეიძლება გამოიყოს სტრუქტურულად ერთმანეთისაგან განსხვავებული სამი ნაწილი. ნაქუჩის ცენტრში ერთგვაროვანი თხელგარსიანი უჯრედებისაგან შემდგარი გულგულია; მას პერიფერიისკენ ესაზღვრება შედარებით წვრილუჯრედოვანი, გამტარი კონების შემცველი ნაწილი. ნაქუჩის პერიფერიაზე ჩატარებული მოთავსებულია თავთუნები წყვილი მდედრობითი ყვავილებით. ამ წყვილიდან, როგორც ზემოთ აღინიშნა, შარცვლად მხოლოდ თითო ვითარდება.



ნახ. 1.


ყვავილობის ფაზაში ნაქუჩის განივ (ნახ. 1) განაკვეთზე კარგად ჩანს კავშირი ზემოთ აღნიშნულ სამ ნაწილს შორის. იგი ხორციელდება გამტარი კონებიდან განშტოების სახით გამოყოფილი გამტარი ელემენტებით. იმავე განაკვეთზე ერთ სიბრტყეში ნასკვებს ერთი და იგივე მდგომარეობა არა აქვს. ეს იმით აიხსნება, რომ ნაქუჩზე განლაგებული თავთუნების წყვილები ზუსტად ერთ სიბრტყეში არ მდებარეობს. ზოგჯერ განაკვეთში შესაძლებელია ნასკვის გაგრძელება — წვრილი სვეტიც არ მოხვდეს.

განვიხილოთ ნაქუჩის სამივე ნაწილის შინაგანი აგებულება. დავიწყოთ გულგულიდან. გულგულს ნაქუჩში საქმაოდ დიდი აღგილი უჭირავს. გულგულის ფართობი იცვლება ტაროს ზრდასთან დაკავშირებით. იგი განსხვავებულია სხვადასხვა ადგილზე ტაროს გასწვრივ. გულგულის ფართობის მატება ხდება როგორც ახალი უჯრედების წარმოშობის, ისე, წუმთავრესად, არსებული უჯრედების ზომაში გაზრდის ხარჯზე. განვითარებულ ტაროში გულგულის უჯრედები თხელგარსიანი რჩება. მიუხედავად უჯრედების თხელგარსიანობისა

და ზომაში მატებისა, სიმინდის მწიფე ტაროშიც გულგულის უჯრედებზე ჩატლას არ განიცდის. ნაქუჩის გულგული ტაროში სამარაგო ნივთიერებაზე კალიზაციის ადგილად შეიძლება ჩაითვალოს უკავილობის განმავლობაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პლასტიკური ნივთიერებების გარევეული რაოდენობა მასში უფრო გვიანაც გვხვდება. ამ სამარაგო ქსოვილიდან ნივთიერებათა გადაადგილებას ემსახურება გამტარი კონების რგოლი, რომელიც თავისი განშტოებებით ჯერ ნასკებთანაა დაკავშირებული, შემდეგ კი სიმინდის მარცვლებთან.

ყურადღებას იმსახურებს ნაქუჩში გამტარი კონების თითქმის ერთ რგოლზე განლაგება. კონების ასეთი განლაგება, უნდა ვითქიქროთ, ნაქუჩის ფიზიოლოგიურ ფუნქციას უკავშირდება. სამარაგო ნივთიერებათა დაგროვების ადგილიდან პლასტიკურ ნივთიერებათა გადატანა უმთავრესად პერიფერიაზე მოთავსებულ ნასკებისკენაა მიმართული, რაც გამტარი კონების სხვაგვარი განლაგებისას ისე გაადვილებული არ იქნებოდა. გამტარ კონათა გაფანტულობას ნაქუჩის მოკლე მანძილზე შეიძლება მათი გადახლართვა მოჰყოლოდა.

ნაქუჩის გამტარი კონები სიმინდის ღეროს გამტარ კონებს ზოგიერთი სტრუქტურული ნიშანთვისებით ემსგავსება, მაგრამ ზოგიერთ თავისებურება-საც ავლენს. ნაქუჩის გამტარი კონები პროკამბიალური წარმოშობისაა. მათი სტრუქტურის ჩამოყალიბების პროცესი გრძელდება ტაროს განვითარების პარალელურად. ნორჩ ტაროში ნაქუჩის გამტარი კონები შექანიკურ ქსოვილს ჯერ კიდევ არ შეიცავს. აქ მხოლოდ პროტოქსილებისა და პროტოფლოების ელემენტებია. მალე გამტარ კონებში მეტაქსილებისა და მეტაფლოების ელემენტები ჩნდება (ნახ. 2). პროტოქსილების ელემენტების ნაწილი თანდათანობით ობლიტერაციას განიცდის და მათ ადგილზე ჩნდება ღრუ. პროტოფლოების ელემენტების გარსი გასქელებას განიცდის და მეტაფლოების განვითარების შემდეგ თანდათან დეფორმირდება. ტაროს განვითარების გარევეულ ფაზაში ნაქუჩის გამტარ კონებში შესამჩნევი ხდება კამბიალური მოქმედების ქსოვილის წარმოქმნა. აღსანიშნავია, რომ კამბიულისებრი უჯრედები შეტაქსილებასა და მეტაფლოებას




ნახ. 2.

შორის გამტარ კონას მთლიანად იშვიათად გადაკვეთს. ისინი უმთავრესად კონის შუა ნაწილში მოქმედებენ; კონის კიდეებზე კი გრძელდება პროკამბიალური ტიპის უჯრედების დაყოფა (ნახ. 3). კამბიალური ტიპის უჯრედების მოქმედება, ღრეროს მსგავსად, ნაქუჩშიც ხანმოკლეა (7).

ტაროს ზრდასა და განვითარებას თან სდევს სათანადო ცვლილებები ნაქუჩის შინაგან აგებულებაში. ცვლილებებს განიცდის გამტარი კონის სტრუქ-


ტურაც. გამტარი კონის ორგვლივ ვითარდება წვრილუჯრედოვანი მექანიუმული ქსოვილი. მექანიკური ქსოვილის სიფართე კონის სხვადასხვა ადგილზე განვითარება. პროტოქსილემის ელემენტების ჩაშლის ადგილებზე ღრუ ჩნდება. ქსილემაში როგორც საერთო, ისე დიდღიამეტრიანი ჭურჭლების რიცხვი მნიშვნელოვნად იზრდება. ეს უკანასკნელი გარემოება ნაქუჩის ჭურჭელბოჭკოვან კონის თავისებურ სახეს აძლევს და ღეროს ჭურჭელბოჭკოვანი კონისაგან განასხვავებს (ნახ. 4). სიმინდის ნაქუჩში გამტარი კონები ზომაში საქმაოდ მატულობს, მაგრამ ერთმანეთს ისინი იშვიათად უერთდებიან.

თავისებურია ნაქუჩის ჭურჭელბოჭკოვან კონებში დიდღიამეტრიანი ჭურჭლების განლაგება. ისინი, რო-



ნახ. 4.

ქსოვილიც ხევდება, ჭურჭელბოჭკოვანი კონების ორგვლივ გახევებულვარსიანი მექანიკური ქსოვილის განვითარების შემდეგ ნაქუჩის გამსხვილების პროცესი ჩერდება.



ნახ. 3.

გამტარი კონის განვითარებას თან სდევს მისი ელემენტების გარსის გასქელება და გახევება. ყველაზე აღრე გასქელებასა და გახევებას განიცდის პროტოქსილემის ჭურჭლები, შემდეგ მეტაქსილემის ჭურჭლები, ხოლო კამბიალური წარმოშობის ჭურჭლები გარსის ცვლილებას ყველაზე გვიან განიცდის. ამ დროსთვის გამტარი კონის ორგვლივ განვითარებული მექანიკური

გამტარი კონის განვითარებას თან სდევს მისი ელემენტების გარსის გასქელება და გახევება. ყველაზე აღრე გასქელებასა და გახევებას განიცდის პროტოქსილემის ჭურჭლები, შემდეგ მეტაქსილემის ჭურჭლები, ხოლო კამბიალური წარმოშობის ჭურჭლები გარსის ცვლილებას ყველაზე გვიან განიცდის. ამ დროსთვის გამტარი კონის ორგვლივ განვითარებული მექანიკური

სხვადასხვა წარმოშობის ჭურჭლების კედლების გასქელების შემცირებული ისევე, როგორც მათი დიამეტრი, განსხვავებულია, რაც კარგად ჩანს ნაქუჩის სიგრძივ განაკვეთზე. კონაში გვხვდება როგორც რგოლური, ისე სხვადასხვა სიბზირის სპირალური ჭურჭლები და მოკლე ნაწილაკებიანი წერტილოვანი ჭურჭლები.

ნაქუჩის პერიფერიაზე, გამტარქონებიანი ნაწილის შემდეგ წარმოდგენილია შეღარებით წვრილუჯრედოვანი ქსოვილი, რომელიც ალაგ-ალაგ ჩაღრმავებულია. ამ ჩაღრმავებებში მოთავსებულია ნასკვები (ნახ. 1). ნასკვის ქსოვილი ყვავილობის აღრულ ფაზაში მეტად თხელგარსიანი და წვრილუჯრედოვანია. მას ტიპობრივი ებბრიონული ქსოვილის სახე აქვს, შემდეგში კი ნასკვის კედლებში შეიმჩნევა ქსოვილთა დიფერენცირება. იმის მიხედვით, თუ საღ გადაიჭრა ნასკვი, საერთო სურათი განაკვეთში განსხვავებულია. ზოგ ადგილზე შეიძლება შეგვხვდეს ნასკვის ზედაპირული ქსოვილები, ზოგან კი ნასკვის უფრო ღრმა შრეები, საღაც თესლებირტი იქნება გამოხატული. ამის შესაბამისად, კავშირი ნაქუჩში არსებულ გამტარ კონებსა და ნასკვში არსებულ გამტარ ელემენტებს შორის ერთი განაკვეთის ფარგლებში სხვადასხვაგვარად იქნება წარმოდგენილი. იმ ადგილებში, საღაც მოცემულია ნასკვის ზედაპირული ჭრილი, ნაქუჩის გამტარი კონების განშტოებები და ნასკვის კედლის გამტარი ელემენტები მკვეთრად ჩანს. ნასკვის სილრმეზე გაჭრისას ნაქუჩის გამტარი სისტემის კავშირი ნაკლებ ვლინდება, მიუხედავად იმისა, რომ ნაქუჩში რგოლზე განლაგებულ ყველა კონას უშუალო კავშირი აქვს ნასკვთან.

სიმინდის ყვავილობის ფაზაში ნასკვების ფუძეებთან მრავალშრიანი ქსოვილების მქონე კილებია წარმოდგენილი. თავთუნისა და ყვავილის კილები თავიდანვე განსხვავებულია როგორც სიგრძითა და სისქით, ისე უჯრედთა შედგენილობითა და აგებულებით. განსხვავება თანდაონობით მკვეთრი ხდება—ყვავილის კილი შედარებით თხელგარსიანი რჩება, ხოლო თავთუნის კილის უჯრედების გარსი სქელდება და თვით კილიც ტყავისებრ სახეს ღებულობს. თავთუნისა და ყვავილის კილები მარცვლის გამოფშნის შემდეგ ნაქუჩზე რჩება (9). პირველი უხეში გამონაზარდის სახითაა, მეორე კი თეთრი თხელი ქერქლისებრია და ადვილად სცილდება ნაქუჩის ზედაპირს.

ნაქუჩის პერიფერიულ ნაწილში ყურადღებას იძყრობს შებუსვის ხასიათი. კილები განსხვავებული შებუსვით ხასიათდება. საყვავილე კილებს უფრო გრძელი ბუსუსები აქვს; შებუსვა ფუძიდან წვერამდე ვრცელდება. თავთუნის კილებს უფრო მეტად ფუძისეული შებუსვა ახასიათდებთ. შებუსულია, აგრეთვე, ნაქუჩის ზედაპირი იმ ჩაღრმავებებში, საღაც კილები ერთმანეთს ესაზღვრება. სიმინდის სხვადასხვა ჯიშის ტაროში ნაქუჩის ამ პერიფერიულ ნაწილში კილები შეიძლება შეფერილი ან შეუფერავი იყოს, რაც ნაქუჩის შეფერვას განაპირობებს.

ტაროს ზრდასა და განვითარებასთან ერთად იცვლება ნაქუჩის სხვადასხვა ნაწილის ძირითადი ქსოვილის უჯრედების ზომა და გარსის თვისებები. ზომაში ყველაზე დიდ მატებას განიცდის ნაქუჩის გულგულის უჯრედები, რომელთა გარსი ბოლომდის თხელი რჩება. შემდეგი ადგილი უჭირავს გამტარ კონებს შორის მოთავსებულ ძირითად ქსოვილს. ამ ქსოვილის უჯრედები შედარებით დიდხანს რჩება თხელგარსიანი. მაგრამ სიმინდის ზოგიერთ ჯიშში შეიძლება აქაც მივიღოთ უჯრედების გარსის მნიშვნელოვანი გასქელება. ყვე-

ლაზე აღრე გარსის გასქელებას განიცდის პერიფერიული წვრილუჯრეფოგენტი ქსოვილი.

გარცვლის განვითარებასთან ერთად ნაქუჩის ეს პერიფერიული ნაწილი სქელგარსიანი მექანიკური ქსოვილის სახეს ღებულობს და ტაროზე მარცვლების მომწიფებისას მას უფრო ღრმა შრეებიც ემატება, რითაც თხელგარსიანი გულ-გულის გარშემო იქმნება მკვრივი სქელგარსიანი ნაქუჩის კედელი.

მექანიკური ქსოვილის კომპლექსის სრული განვითარება, უეზერუოქსის (9) აზრით, დამოკიდებულია ჰორმონალური ბუნების გამოიზიანებელზე, რომელიც განაყოფიერების შემდეგ ვლინდება და თესლის განვითარების დროს მოქმედებს.

სქლერიფიკაციის ხარისხი და ნაქუჩის სქლერიფიკირებული კედლის სისქე სიმინდის სხვადასხვა ჯიშში ერთნაირი არ არის. შეიძლება ნაქუჩის მოვაცილოთ თხელგარსიანი პარენქიმა ბიოლოგიური (ბაქტერიული დალბობა), ანდა ქიმიური ხერხის გამოყენებით. ამის შემდეგ მივიღებთ ერთმანეთში ჩაღმულ ორ მაგარკედლიან ცილინდრს. ამ ტიპის აგებულების დაწვრილებით შესწავლას მნიშვნელობა ენიჭება სიმინდის ტაროს ფილოგენეზის გარევევისათვის (9). ჩვენი შეხედულებით, ნაქუჩში მიმღინარე სქლერიფიკაციის საკითხის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის დაფშვნის მექანიზაციის საკითხებთან დაკავშირებითაც. რაც უფრო აღრე ხდება ნაქუჩის კედლის გახვება—სქლერიფიკაცია, მით უფრო გაადვილებული უნდა იყოს დაფშვნის მექანიზაცია ტაროს განვითარების აღრე ფაზებში.

პლასტიკური ნივთიერებებიდან ჩვენი ყურადღება შევაჩერეთ სახამებლისა და ცხიმის შემცველობაზე ნაქუჩში. სახამებელი ნაქუჩის ყველა ნაწილში გვხვდება ნაქუჩის განვითარების მთელ ბანდილზე, მაგრამ მისი რაოდენობა ყოველთვის ერთნაირი არ არის. ნაქუჩის ქსოვილებში ყვავილობის ფაზიდან სიმინდის სიჭყინეტის ფაზამდე სახამებლის რაოდენობა მატულობს როგორც გამტარი კონების ახლოს, ისე ძირითადი ქსოვილის სხვა უჯრედებში. სხვადასხვა ჯიშში სახამებლის ლოკალიზაცია და დინამიკა ნაქუჩის ქსოვილებში ერთნაირი არ არის. განსხვავებულია, აგრეთვე, სახამებლის ზომა და ფორმა.

ცხიმის თანაბოვნიერება გამოვლინდა ნაქუჩის განივი განაკვეთების სათანადო (8) სუდან III-ში მოთავსებისა და შემდეგ 50 % სპირტში გარეცხვის შედეგად. ნაქუჩში ცხიმი სხვადასხვა ზომის წვეთების სახითაა. ცხიმის გავრცელება ნაქუჩის ქსოვილებში ერთნაირი არ არის. ნაქუჩის გულგულში ცხიმის მცირეზომის წვეთებია, ისიც იშვიათად. ცხიმის წვეთები მნიშვნელოვნადაა ნაქუჩის პერიფერიულ ნაწილში, ხოლო ყველაზე მეტი ცხიმი გვხვდება გამტარი კონების ქსილემისა და ფლოემის თხელგარსიან პარენქიმულ უჯრედებში. ცხიმის წვრილი წვეთები ბევრია თესლკვირტის ემბრიონულ უჯრედებში.

ყურადღებას იძყრობს სახამებლისა და ცხიმის დაგროვებისა და ლოკალიზაციის ურთიერთდამოკიდებულება: იმ უჯრედებში, სადაც სახამებელი ბევრია, ცხიმი სრულიად არ არის და, პირიქით, ცხიმის დიდი რაოდენობით შემცველ უჯრედებში სახამებელი არ გროვდება. ზოგან გვხვდება ისეთი უჯრედებიც, სადაც დასახელებული პლასტიკური ნივთიერებები ერთად მოიპოვება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში თრივე ძალიან მცირე რაოდენობითაა.

სიმინდის ნაქუჩში აღინიშნება სახამებლისა და ცხიმის შემცირება მარცვლის დამწიფებასთან დაკავშირებით. მიუხედავად თვალსაჩინო შემცირებისა,



სახამებელი და ცხიმი ნაქუჩში მიკროქიმიურად მაინც შეიძლება უსტარებული ულავნოთ.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაქოთებულია შემდეგი დასკვნები:

1. სიმინდის ნაქუჩში შეიძლება გამოიყოს სტრუქტურულად ერთმანეთი—საგან განსხვავებული სამი ნაწილი: 1) გულგული, 2) გამტარკონებიანი ზონა და 3) პერიფერიული ნაწილი.

2. ტაროს ზრდისა და განვითარების პარალელურად ნაქუჩის სამიერ ნაწილში ხდება სტრუქტურული ცვლილებები, რაც ვლინდება გულგულის ფართობის მატებაში, გამტარი კონების ინტენსიურ დიფერენცირებაში და პერიფერიული ნაწილის სკლერიფიკაციაში.

3. ნაქუჩის გამტარი კონები პროკამბიალური წარმოშობისაა. გამტარ კონებში ხანმოკლე მოქმედებას ამჟღავნებს კამბიუმისებრი მერისტება.

4. ნაქუჩში მომხდარი სტრუქტურული ცვლილებების სისწრაფე და გარდაქმნების ხასიათი თავისებურია სიმინდის სხვადასხვა ჯიშში, რასაც მნიშვნელობა ენიჭება სიმინდის ტაროს ავალყოფობათა და მავნებლებისადმი გამდლების საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით. ნაქუჩის სკლერიფიკაციის ხარისხი საყურადღებოა, აგრეთვე, მექანიზმებული დაფუძნის ჩატარებისათვის.

მცენარეთა ანატომიისა
და უიზიოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 25.2.1961)

ქ. ცხაკა, Е. МИРИАНАШВИЛИ

ВНУТРЕННЕЕ СТРОЕНИЕ СТЕРЖНЯ ПОЧАТКА КУКУРУЗЫ

Резюме

Изучено внутреннее строение стержня женского соцветия—початка кукурузы и прослежено за структурными изменениями, протекающими в стержне в процессе роста и развития початка, вплоть до созревания зерна. С начальных же этапов развития початка в стержне намечается его дифференцировка на три структурно отличающиеся части. Центральная часть стержня занята сердцевиной, состоящей из тонкостенных крупных паренхимных клеток; к периферии от нее расположена сравнительно мелкоклетная зона с сосудистыми пучками, а край стержня початка занят еще более мелкоклетной тканью, в углублениях которой сидят колоски с парными цветками, из которых в зерно обычно развивается лишь один. На ранних этапах дифференцировки ткани во всех трех частях стержня клетки тонкостенные с целлюлозными оболочками. Первые признаки одревеснения оболочки обозначаются в проводящих пучках.

Прослежено за развитием и формированием проводящих пучков. В стержне початка расположение проводящих пучков иное, чем в стебле кукурузы. Наряду с отличительными признаками отмечены общие черты строения проводящих пучков.

Проводящие пучки стержня прокамбиального происхождения ^{образуются}
в процессе разрастания тканей происходит постепенная смена их. Прото-
ксилема и протофлоэма претерпевают уплотнение и разрушение, их сме-
няют метаксилема и метафлоэма; на границе между ними, редко пересекая
весь пучок, начинают действовать камбиобразные клетки, подобные описан-
ным для стебля и початка. Вокруг проводящих пучков постепенно об-
разуется механическое кольцо и они принимают типичный вид сосудисто-
волокнистых пучков. В процессе развития початка наблюдается одревес-
нение и утолщение клеток межпучковой паренхимы, а также наружной
части стержня. Процесс склерификации стержня в разных сортах куку-
рузы протекает с неодинаковой интенсивностью и быстротой, что имеет
важное значение при механизированном обрушивании кукурузного початка.

Прослежено за динамикой и характером локализации крахмала и масла. Отмечено преимущественно их взаимноисключающее распределение в тканях початка; в редких случаях они встречаются в одной и той же клетке и тогда их весьма немного.

Л И Т Е Р А Т У Р А

1. ა ბ ე ს ა ძ ე ., პ უ რ ე უ ლი დ ა მ ა რ ც ე ლ ე უ ლ -პ ა რ კ თ ს ა ნ ი , კ უ ლ ტ უ რ ე ბ ი , თ ბ ი ლ ი ს ი , 1955,
2. Александров В. Г. и Яковлев М. С., Морфология зерна и строение эндосперма различных форм кукурузы — *Zea mays L.*, Ботанич. журн. СССР, т. 20, № 3, 1935.
3. Андреенко С. С., Куперман Ф. М., Физиология кукурузы, Изд. Москов. ун-та, 1959.
4. Кулешов Н. Н., Ботаническое описание кукурузы *Zea mays L.*, Записки Харьковского сельскохоз. ин-та, т. XI, (XI, VIII), 1955.
5. Мудра Алоис, Кукуруза, просо, сорго. Растениеводство, перев. с нем. О. В. Якушиной, Изд. ИЛ, М., 1958.
6. Сасс Дж. Е., Морфология вегетативных органов (кукурузы). Кукуруза и ее улучшение. Перев. с англ. под общ. ред. П. М. Жуковского, Изд. ИЛ, М., 1957.
7. Цхакая К. Е., Деятельность меристем у однодольных в связи с особенностями роста. Сб. «Рост растений», Изд. Львовского ун-та, 1959.
8. ვ ხ ა კ ა ი ა ქ ., მ ა რ ი ა ბ ა შ ვ ი ლ ი ე ., მ ც ე ნ ა რ ე თ ა ა ნ ა ტ ო მ ი ა . პ რ ა ქ ტ ი გ უ ლ ი კ უ რ ს ი , თ ბ ი ლ ი ს ი , 1957.
9. უ ე ზ ე რ უ ი კ ს ი ს ., Строение и развитие репродуктивных органов (кукурузы). Кукуруза и ее улучшение. Перев. с англ. под общей ред. П. М. Жуковского. Изд. ИЛ, М., 1957.

ე. ნადირაძე

ჭოგივრთი ვითამინის ღინაშიკა ხორბალ კახი 8-ის გარცვალში

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დამტკიცებულ იქნა ვიტამინების აუცილებლობა ცხოველებისა და ადამიანის ორგანიზმში მიმღინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესების ნორმალური მსელელობისათვის.

თანამედროვე გაგებით ვიტამინები ფიზიოლოგიურად ძეტიური ბუნების ორგანული ნივთიერებებია, რომელთა მცირე რაოდენობა ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლის პროცესში ასრულებს კატალიზატორის ფუნქციას.

დაღგენილია, რომ მრავალი ვიტამინი წარმოადგენს ფერმენტთა აქტიური ჯგუფის კომპონენტს, რომელიც სინთეზირდება ორგანიზმში და რომლის გარეშე ნივთიერებათა ცვლა ვერ ხერხდება (1,9).

ვიტამინების ნაკლებობით გამოწვეული დაავადებანი თვალსაჩინო გამოვლინებას ცხოველურ თრგანიზმში იძლეოდნენ, რის შედეგადაც მათი მნიშვნელობის შესწავლა ადამიანისა და ცხოველური ორგანიზმისათვის ადრევე დაიწყო. მცენარეებს იხილავდნენ როგორც ვიტამინების წყაროს ამ ორგანიზმებისათვის, თვით მცენარეებისათვის კი ვიტამინების როლის გარკვევას ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ.

მრავალი კვლევის შედეგად ეს შეხედულება უკუგდებულია. გარკვეულია, რომ ვიტამინები თვით მცენარის ნივთიერებათა ცვლისათვის უდიდეს როლს თამაშობენ, ისინი მონაწილეობენ მცენარეში მიმღინარე ჟანგვა-აღდგენით პროცესებში, ფოტოსინთეზის, ზრდისა და განვითარების პროცესებში, ეს მიუთითებს ვიტამინების დიდ მნიშვნელობაზე მცენარეული ორგანიზმებისათვის (5,9).

მრავალი ფაქტობრივი მასალა დაგროვდა მცენარეებისათვის ვიტამინების მნიშვნელობის შესახებ.

ს. ა. ბელიუკენებ (4), სწავლობდა რა თიამინით და ნიკოტინის მევათი დამუშავებულ ქერის თესლებიდან მიღებულ მცენარეებში ზოგიერთ ფიზიოლოგიურ პროცესს და მოსავლიანობას, დაადგინა სუნთქვის ინტენსიურობისა და ქლოროფილის რაოდენობის მატება ფოთლებში, ნახშირწყლების დაგროვების გადიდება მარცვალში და მოსავლიანობის ზრდა.

ი. ვ. რაკიტინი და ქ. ე. ოქაროვი (13) მიუთითებენ აღნინისა და ნიკოტინის მევას წყალხსნარების შესხურების დადებით გავლენას ბამბის მცენარეზე.

ა. ა. ზემლიანუხინმა (6) ასკორბინის მევას ოპტიმალური კონცენტრაციის შერჩევით მიიღო ზოგიერთი მცენარის ზრდის გაძლიერება, სუნთქვის და ფოტოსინთეზის პროცესების გააქტივება და შაქრების შემცველობის გადიდება.

ქ. ცხაკაიაშ და ა. კობერიძემ (2) ნიკოტინის მჟავათი დამუშავული შემცირდება
წინ სიმინდისა და ლობიოს თესლები. სათანადო კონცენტრაციისა და ექსპო-
ზიციის შერჩევით ავტორებმა მოსავლის მატება მიიღეს.

ქ. ლ. ბოგოლოვკაიას და სხვათა (12) მიერ მიღებულია ხორბლის, სი-
მინდის, შვრიის და ბარდის აღმონაცენების ზრდის გაძლიერება თესლების
B₁, B₂ და PP ვიტამინებით დამუშავებისას.

თ. სულაკაძემ, თ. კვიჭელმა და მ. ჭრელაშვილმა (15) თიამინით და ნიკო-
ტინის შეავათი დამუშავებულ ციტრუსოვანების თესლების გალივების პროცენ-
ტის მატებას მიაღწიეს.

ვიტამინები ხელს უწყობენ მცენარეთა განაყოფიერების პროცესს, რა-
ზედაც მიუთითებენ ნ. კახიძე და გ. მედვედევა (7).

მცენარეების სხვადასხვა ორგანოში ვიტამინების დიდი რაოდენობით
შემცველობა ამ ნივთიერებით აღამიანისა და ცხოველების უზრუნველყოფის
საშუალებას იძლევა.

ვიტამინების ერთ-ერთ შეაროს ხორბალი და მისი ვეგეტაციური ნაწი-
ლები წარმოადგენს.

დადგნილია, რომ ხორბლის მარცვალში ვიტამინები (თიამინი და რი-
ბოფლავინი) გვხვდება მარცვლის კანში, ალეირონის შრეში, ენდოსპერმში და
განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ჩანასახის ფარში (10).

თიამინის შემცველობა საგაზაფხულო რბილი ხორბლის 100 გ შშრალ
მარცვალში მერყეობს 0,43—0,61 მგ-ს შორის. საშემოდგომო ხორბალში კი
0,52—0,61 მგ-ს შორის. რბილოფლავინი ხორბლის მარცვალში თიამინთან შე-
დარებით მცირება.

ნიკოტინის მჟავას რაოდენობა სხვადასხვა ჯიშის ხორბლის მარცვალში
საშუალოდ 5,3—6,3 შორის მერყეობს (მგ-ით 100 გ შშრალ მასაზე). ნიკოტი-
ნის მჟავა უმთავრესად კონცენტრირებულია ქატოში; ჩანასახში იგი მნიშვნე-
ლოვნად ნაკლებია (8,10).

აღნიშნული ვიტამინები ხორბლის მარცვალში თესლის ფიზიოლოგიურ
მდგომარეობასთან დაკავშირებით ცვლილებებს განიცდის. თესლის გალივები-
სას ვიტამინების რაოდენობა იზრდება. ამავე დროს გალივებისას თვით თესლში
ხდება ვიტამინების გადაადგილება (11).

ჩვენ შევისწავლეთ ხორბლის სელექციური ჯიში კახი 8-ის მარცვლის
ვიტამინიანობა მისი სიმწიფის სხვადასხვა ფაზაში (რძებამდგარი, ოდოშლერისა
და სრული სიმწიფის ფაზები).

მუშაობა შესრულებულია ბროფ. ქ. ცხაკაიას ხელმძღვანელობით.

საანალიზო მასალის აღება მოხდა ორი კოლმეურნეობის (კასპი, ს. ულია-
ნოვკა) და ერთი სასელექციო სადგურის (ნატახტარი) ნათესი ფართობებიდან,
სამი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში (1957, 1958, 1959).

მარცვალში განსაზღვრულ იქნა თიამინი, რბილოფლავინი, ნიკოტინისა
და ასკორბინის მჟავა (5,14).

მიღებული მონაცემები წარმოდგენილია ცხრილებში.

თიამინის რაოდენობა მარცვალში არ იძლევა განსხვავებას სასელექციო
სადგურისა და ულიანოვკის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალს შორის, კა-
ბის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალში კი თიამინის შემცველობის მხრივ
სხვაობა უფრო თვალსაჩინოა (ცხრ. 1).

თიამინის დინამიკა ხორბალ კახი 8-ის მარცვალში ხიმური სხვადასხვა ფაზაში
(88 %-ით ჟ/ზ მასაში)

წლები და ფაზები	1957			1958			1959		
	სრული დანერგული სადგურის მასაში								
სასელექციო სადგურის ნაკვეთი (ნატახტარი)	0,50	1,00	1,20	0,375	0,50	0,75	0,125	0,375	0,50
კალმეურნეობის ნაკვეთი (კასპი)	0,375	0,75	0,80	0,125	0,375	0,5	—	—	—
კოლმეურნეობის ნაკვეთი (ულახოვა)	0,50	0,75	1,20	—	—	—	0,125	0,375	0,50

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, 1957 წ. რძეჩამდგარ სიმწიფის ფაზაში თიამინის რაოდენობა ნატახტარისა და ულახონვების ნაკვეთების ხორბლის მარცვალში ერთნაირია და 0,50 მგ %-ით იღინიშნება, ხოლო კასპის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალში მისი რაოდენობა ნაკლებია — 0,375 მგ %-ს უდრის. ოდოშლერის ფაზაში თიამინის სასელექციო სადგურის ხორბლის მარცვალი შეიცავს მეტი რაოდენობით (1,0 მგ %), სრული სიმწიფის ფაზაში კი სასელექციო სადგურისა და ულახონვების კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალი თიამინის კვლავ ერთნაირ რაოდენობას იძლევა (1,2 მგ %).

1958 წ. ორი ადგილის (ნატახტარი, კასპი) ხორბლის მარცვალში იქნა განსაზღვრული თიამინი, სიმწიფის სამივე ფაზაში თიამინის რაოდენობა ჭარბობს სასელექციო სადგურის ხორბლის მარცვალში.

1959 წ. აღნიშნული ვიტამინი სასელექციო სადგურის და ერთი კოლმეურნეობის (ულახონვები) ხორბლის მარცვალში განისაზღვრა, სიმწიფის სამივე ფაზაში თიამინის რაოდენობის სურათი სავსებით მსგავსია.

თიამინის მერყეობის აპპლიცაცია ფაზების მიხედვით სამივე ადგილის ხორბლის მარცვალში შემდეგნაირია: რძეჩამდგარ სიმწიფის ფაზაში 0,125 მგ %-დან 0,5 მგ %-დე, ოდოშლერის სიმწიფის ფაზაში 0,375 მგ%-დან, 1,0 მგ %-დე, სრული სიმწიფის ფაზაში 0,375 მგ %-დან 1,2 მგ %-დე.

მიღებული შედეგებიდან ჩანს, რომ თიამინის რაოდენობა მარცვლის მომწიფებასთან ერთად მატულობს.

თიამინის რაოდენობის მხრივ ჩვენი მონაცემები ეთანხმება ლიტერატურულ წყაროებს (8,10).

ცხრილ მე-2-ში განხილული გვაქვს რიბოფლავინის რაოდენობა და დინამიკა იგრეთვე მასალის აღების ადგილებისა და მარცვლის სიმწიფის ფაზების მიხედვით.

რიბოფლავინის საერთო მერყეობა, როგორც ცხრილიდან ჩანს, რძეჩამდგარ სიმწიფის ფაზის მარცვალში აღინიშნება 0,187 მგ %-ით უცირესი, 0,37 მგ %-ით უდიდესი, რაც შესაბამისობაშია ლიტერატურულ ცნობებთან (11, 12).

ცხრილი 2
სიმუშავებული
სისტემისთვის

რიბოფლავინის დინამიკა ხორბალ კახი 8-ის მარცვალში სიმწიფის
სხვადასხვა ფაზაში (მგ % -ით შემ მასაში)

წლები და ფაზები	1957			1958			1959		
	რეგულარული სიმუშავებულის ფაზა	სიმუშავებულის ფაზა	სიმუშავებულის ფაზა	რეგულარული სიმუშავებულის ფაზა	სიმუშავებულის ფაზა	რეგულარული სიმუშავებულის ფაზა	რეგულარული სიმუშავებულის ფაზა	სიმუშავებულის ფაზა	რეგულარული სიმუშავებულის ფაზა
სახელმექანიკ სად- გურის ნაკვეთი (ნატასტარი)	0,37	0,28	0,141	0,28	0,047	კვალი	0,28	0,093	კვალი
კოლმეურნეობის ნაკვეთი (კასპი)	0,187	0,187	კვალი	0,05	0,047	0	—	—	—
კოლმეურნეობის ნაკვეთი (ულია- ნოვა)	0,28	0,187	კვალი	—	—	—	0,187	0,047	0

სამივე წლის მონაცემის მიხედვით სიმწიფის ყველა ფაზაში რიბოფლავინის რაოდენობა სახელმექანიკ სადგურის ხორბლის მარცვალშია ყველაზე მეტი, ხოლო ყველაზე ნაკლები — კასპის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალში, ულიანოვას კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალს საშუალო ადგილი უჭირავს მათ შორის.

სიმწიფის ფაზების მიხედვით რიბოფლავინის რაოდენობის კლებას ადგილი აქვს რეგულარული სიმწიფის ფაზიდან სრული სიმწიფის ფაზამდე. სრული სიმწიფის ფაზაში, დიდ უმეტეს შემთხვევაში, იგი ძალიან მცირე რაოდენობითაა. ზოგიერთი ადგილის (ულიანოვა, 1959 და კასპი, 1958) ხორბლის მარცვალში კი სულ არ არის.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რიბოფლავინის რაოდენობა მარცვლის სიმწიფის ფაზების მიხედვით და საერთოდ სავეგეტაციო პერიოდის ბოლოსათვის კლებულობს. რიბოფლავინი კლებულობს აგრეთვე ვეგეტაციურ ნაწილებში, შემოდგომით აღებული ჩალა გაცილებით ღარიბია აღნიშნული ვეტამინით, ვიდრე ზაფხულისა (12).

თავამინისა და რიბოფლავინის შემცველობის მხრივ მარცვალში პირდაპირი დამოკიდებულება მიერთოთ საცდელი მცენარის აღების ადგილების მიხედვით. ორივე ვიტამინს მეტი რაოდენობით სახელმექანიკ სადგურის (ნატასტარი) ხორბლის მარცვალი შეიცავს.

ნიკოტინის მჟავას განსაზღვრის შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში, სადაც ნაჩენებია ნიკოტინის მჟავას შემცველობის მერყეობა 3 წლის მანძილზე ხორბლის მარცვლის მომწიფების სხვადასხვა ფაზაში.

როგორც მე-3 ცხრილიდან ჩანს, ნიკოტინის მჟავას რაოდენობა დიდ ფარგლებში არ მერყეობს. მარცვლის სიმწიფის ფაზების მიხედვით თუ განვიხილავთ, გნახავთ, რომ რეგულარული სიმწიფის ფაზაში სამივე წლის მონაცემის მიხედვით ხორბალ კახი 8-ის მარცვალში მისი მერყეობა 0,318 მგ % -ისა და 0,478 მგ % -ის ფარგლებით განისაზღვრება; ოდოშერის ფაზაში 0,320 მგ

ცხრილი ქართულ ტერიტორიაზე
შემწიფებული

ნიკორინის მჟავას დინამიკა ხორბალ კაზი 8-ის მარცვალში სიმწიფის
სხვადასხვა ფაზაში (მგ % - ით ჰ/ მასაში)

წლები და ფაზები	1957			1958			1959		
	რენდენტის სიმწიფის ფაზი	სიმწიფის ფაზი	დანარჩენის ფაზი	რენდენტის სიმწიფის ფაზი	სიმწიფის დანარჩენის ფაზი	სიმწიფის სიმწიფის ფაზი	რენდენტის სიმწიფის ფაზი	სიმწიფის დანარჩენის ფაზი	სიმწიფის სიმწიფის ფაზი
მასალის აღების ადგილი									
სასელექტციო სადგურის ნაკვეთი (ნატან-ტარი)	0,353	0,360	0,310	0,472	0,494	0,396	0,320	0,320	0,30
კოლმეურნეობის ნაკვეთი (კასპი)	0,318	0,386	0,315	0,420	0,443	0,360	—	—	—
კოლმეურნეობის ნაკვეთი (ულიანოვკა)	0,478	0,553	0,420	—	0,443	—	0,462	0,432	0,435

0/0-ისა და 0,553 მგ %-ს შორის მერყეობს, ხოლო სრული სიმწიფის ფაზაში — 0,30 მგ %-სა და 0,420 მგ %-ს შორის.

ნიკორინის მჟავას რაოდენობა სხვადასხვა ადგილის ხორბლის მარცვალში განსხვავდულია, ყველაზე მეტია ეს ვიტამინი ულიანოვკის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალში სიმწიფის საშივე ფაზაში.

მარცვლის მომწიფებისას ნიკორინის მჟავას რაოდენობა მარცვალში იცვლება. ოდოშლერის ფაზაში რეჩამდგარი სიმწიფის ფაზასთან შედარებით მისი რაოდენობის მატებას აქვს ადგილი და სრული სიმწიფის ფაზაში კვლავ კლებას. ზოგჯერ მისი რაოდენობა კლებულობს მარცვლის მომწიფებისას (1959).

ნიკორინის მჟავა ხორბლის მარცვალში B₁ და B₂ ვიტამინთან შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. მისი რაოდენობრივი ცვლილებები ფაზების მიხედვით ჩვენ მიერ განხილულ ლიტერატურაში არ შეგვხედრია.

იმავე ობიექტებში ჩვენ მიერ განსაზღვრული იყო აგრეთვე ასკორბინის მჟავა. ფართო ლიტერატურაში ასკორბინის მჟავას არსებობა ხორბლის მარცვალში მითითებული არ არის, აღნიშვნულია მხოლოდ მისი წარმოქმნა მარცვლის გაღივების მომენტიდან (8,11).

ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს ხორბლის მარცვალში ასკორბინის მჟავას არსებობაზე (3). აქედან გამომდინარე დაგვაინტერესა შეგვემოწებია ჩვენს ობიექტში მისი თანაპონიერება. ანალიზებმა დადგბითი შედეგი მოგვცა. მიღებული შედეგები წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

როგორც ცხრილი 4-დან ჩანს, ასკორბინის მჟავას არსებობა ხორბლის ჯიშ კაზი 8-ის მარცვალში, სიმწიფის სამივე ფაზაში დადასტურდა.

ასკორბინის მჟავას რაოდენობა განსხვავებულია სხვადასხვა ადგილის ხორბლის მარცვალში. 1957 და 1958 წლების მოსავალში დასახელებული ვიტამინი მეტია ნატანტარის სასელექტციო სადგურის ხორბლის მარცვალში, 1959 წ. მონაცემები კი ულიანოვკის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალს პირველ ადგილზე აყენებს ასკორბინის მჟავას რაოდენობის მიხედვით.

ასკორბინის მჟავას რაოდენობა იცვლება მარცვლის მომწიფებლის შეზღუდვის ერთად. მისი რაოდენობა სამიერ ადგილის ხორბლის მარცვალში მოწიფებისას კლებულობს.

ცხრილი 4

ასკორბინის მჟავას დინამიკა ხორბალ კახი 8-ის მარცვალში სიმწიფის
სხვადასხვა ფაზაში (მგ % -ით შე მასაში)

წლები და ფაზები	1957			1958			1959		
	რეაქტორის ფაზი	სრული სიმწიფის ფაზი	რეაქტორის სიმწიფის ფაზი	რეაქტორის ფაზი	სრული სიმწიფის ფაზი	რეაქტორის სიმწიფის ფაზი	რეაქტორის ფაზი	სრული სიმწიფის ფაზი	სრული სიმწიფის ფაზი
მასალის აღების ადგილი									
სასელექციო სადგურის ნაკვეთი (ნატანტარი)	5,32	3,87	7,74	4,37	2,42	5,81	4,84	2,90	
კოლმეურნეობის ნაკვეთი (კასპი)	4,84	3,39	6,29	3,80	1,94	—	—	—	
კოლმეურნეობის ნაკვე- თი (ულიანოვკა)	4,84	2,20	—	—	—	6,89	4,84	3,39	

ლიტერატურაში აღნიშულია, რომ მცენარეში მაღალმოლექულურ ნივ-
თიერებათა,—კერძოდ, აზოტოვან ნივთიერებათა და ნახშირწყლების,—სინ-
თეზთან ერთად ხდება თიამინისა და ზოგიერთი სხვა ვიტამინის ბიოსინთე-
ზიც (10,11).

საცდელ ობიექტში ჩევნს მიერ შესწავლილი იყო ცილისა და სახამებლის
დინამიკა მარცვლის სიმწიფის ფაზების მიხედვით; მიღებული შედეგების შე-
დარება თიამინთან მოცემულია მე-5 ცხრილში. განხილული ნივთიერებები
ცხრილში წარმოდგენილია ორი და სამი წლის საშუალო მონაცემების სახით,
ცილა და სახამებელი მოცემულია პროცენტობით, ვიტამინები—მგ % -ით.

ცხრილი 5

ცილის, სახამებლის და თიამინის დინამიკა ხორბალ კახი 8-ის მარცვლის
მომწიფებასთან დაკავშირებით.

ფაზა და ნივთიერება	რეაქტორის სიმწიფის ფაზა			თდოშლერის ფაზა			სრული სიმწიფის ფაზა		
	ცილ	სახამებელი	თიამინი	ცილ	სახამებელი	თიამინი	ცილ	სახამებელი	თიამინი
მასალის აღების ადგილი									
სასელექციო სადგუ- რის ნაკვეთი (ნატან- ტარი)	12,96	26,6	0,336	12,30	46,4	0,625	15,08	57,5	0,81
კოლმეურნეობის ნა- კვეთი (კასპი)	12,96	28,9	0,247	12,90	44,3	0,560	13,87	66,3	0,65
კოლმეურნეობის ნა- კვეთი (ულიანოვკა)	14,80	26,5	0,310	14,00	45,2	0,560	15,70	54,5	0,85



როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, უმნიშვნელო გამონაკლის თუ აუცილებელი მხედველობაში, შესწავლილ ნივთიერებათა ცვლილებები კანონზომიერად მიმდინარეობს მარცვლის მომწიფებებისას. ცილის და სახამებლის მატებას მომწიფებულ მარცვალში თან ხვდება თიამინის რაოდენობის მატება.

საინტერესოა ასკორბინის მჟავას რაოდენობისა და უანგვა-ალდგენით ფერმენტთა აქტიურობის ცვლილებების შედარება საცდელ ობიექტში, რამდენადც ასკორბინის მჟავა, წარმოადგენს რა წყალბადის დონატონს, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს უჯრედში მიმდინარე უანგვა-ალდგენით პროცესებში.

ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზებიდან ირკვევა, რომ უანგვა-ალდგენით ფერმენტების (კატალაზა, პეროქსიდაზა) აქტიურობასა და ასკორბინის მჟავას რაოდენობას ზორის გარკვეული ურთიერთობაა (ცხრილი 6).

ცხრილი 6

კატალიზის, პეროქსიდაზის და ასკორბინის მჟავას მერყეობა
ხორბლის მარცვალში

წელი	ფაზა და ნივთიერება	რძეჩამდგარი სიმწი- ფის ფაზა			ოდოშდერის ფაზა			სრული სიმწიფის ფაზა		
		კატ	პეროქ- სიდაზა	ასკორბინის მჟავა	კატ	პეროქ- სიდაზა	ასკორბინის მჟავა	კატ	პეროქ- სიდაზა	ასკორბინის მჟავა
1957	მასალის ალების ადგილი	—	—	—	1,4	9,00	5,32	1,4	3,25	3,87
	სასელექტრიკ სადგურის ნა- კვეთი (ნატახტარი)	—	—	—	1,8	3,25	4,84	1,2	3,00	3,39
1958	კოლმეურნეობის ნაკვეთი (კაბი)	—	—	—	1,5	4,70	4,84	0,5	3,25	2,20
	სასელექტრიკ სადგურის ნა- კვეთი (ნატახტარი)	4,8	15,2	7,74	1,8	9,75	4,37	0,4	7,25	2,42
1959	კოლმეურნეობის ნაკვეთი (კაბი)	3,0	9,2	6,29	1,7	5,00	3,80	0,2	4,0	1,94
	სასელექტრიკ სადგურის ნა- კვეთი (ნატახტარი)	4,9	10,2	5,81	—	—	—	0,6	9,0	2,90
	კოლმეურნეობის ნაკვეთი (ულიანოვკა)	10,0	14,5	6,89	2,1	12,5	4,85	1,5	12,0	3,39

მე-6 ცხრილიდან ჩანს, რომ მარცვლის მომწიფებასთან ერთად იქლებს როგორც ასკორბინის მჟავას რაოდენობა, ისე ფარმენტთა აქტიურობაც.

დიდუმეტეს შემთხვევაში ასკორბინის მჟავას მაღალ შემცველობას მარცვალში შეესატყვისება ფერმენტთა აქტიურობის მაღალი მაჩვენებელი.

1958 წ. მოსავლის მარცვალში სიმწიფის ყველა ფაზაში კატალაზის და პეროქსიდაზის აქტიურობა მეტია სასელექტრიკ სადგურის ხორბლის მარცვალში კოლმეურნეობის (კაბის) ნაკვეთის ხორბლის მარცვალთან შედარებით. ასეთივე სურათია ასკორბინის მჟავას რაოდენობის მიმართაც. 1959 წ. მო-

სავლის მარცვალში აღნიშნული ფერმენტები და ასკორბინის მეუაც ულიან/ნოვკის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალშია მეტი რაოდენობით უსტურებული ციო სადგურის ხორბლის მარცვალთან შედარებით.

მიღებული შედეგები შეესაბამება ლიტერატურულ მონაცემებს, სადაც აღნიშნულია, რომ ასკორბინის მეუაც რაოდენობის ზრდა კატალაზია და პეროქსიდაზის ზრდის პარალელურად ხდება. მცენარეები, რომლებიც იძლევიან აშეარა პეროქსიდაზულ რეაქციას, ასკორბინის მეუაც დიდ რაოდენობას შეიცავენ (5).

ჩათარებული მუშაობის შედეგად გილებული დასკვნები

1. ვიტამინების (თიამინი, რიბოფლავინი, ასკორბინისა და ნიკოტინის მეუაც) რაოდენობა სხვადასხვა ადგილზე აღზრდილ ხორბალ კახი 8-ის მარცვალში უმეტეს შემთხვევებაში განსხვავებულია.

2. თიამინის მაღალი შემცველობით ხასიათდება სასელექციო სადგურის და ულიანოვკის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალი. თიამინი რეჟიმდგარ სიმწიფის ფაზაში მერყეობს 0,125 მგ % -იდან 0,50 მგ % -დე, ოდოშლერის სიმწიფის ფაზაში—0,375 მგ % -დან 1,0 მგ % -მდე და სრული სიმწიფის ფაზაში—0,50 მგ % -დან 1,2 მგ % -მდე (სამივე წლის მიხედვით).

3. რიბოფლავინის მეტ რაოდენობას შეიცავს სასელექციო სადგურის ხორბლის მარცვალი, ხოლო მცირე რაოდენობას—კასპის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალი, ულიანოვკის ხორბალს საშუალო ადგილი უკავი მათ შორის.

4. თიამინის შემცველობა მარცვალში მისი მომწიფების პარალელურად მატულობს, რიბოფლავინის რაოდენობის კლებას ადგილი აქვს მარცვლის მომწიფებასთან ერთად.

5. ნიკოტინის მეუაც ყველაზე მეტია ულიანოვკის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალში, ხოლო კასპის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვალში—ყველაზე ნაკლები.

ნიკოტინის მეუაც რაოდენობა იცვლება იგრეთვე სიმწიფის ფაზების მიხედვით, ორი წლის (1957—58) მონაცემით ოდოშლერის ფაზაში მომატებულია, მაგრამ სრულ სიმწიფეში კლავ კლებულობს და უფრო მცირე, ვიდრე რეჟიმდგარ სიმწიფის ფაზაში. ერთი წლის (1959) მონაცემით კი ნიკოტინის მეუაც კლებულობს მარცვლის მომწიფებასთან ერთად.

6. ასკორბინის მეუაც შემცველობა სამივე ადგილის (ნატახტარი, კასპი, ულიანოვკა) ხორბლის მარცვალში კლებულობს მარცვლის მომწიფებასთან დაკავშირებით.

ასკორბინის მეუაც რაოდენობა მეტია სასელექციო სადგურის ხორბლის მარცვლის 1957—58 წლის მოსავალში, ასევე ერთი კოლმეურნეობის (ულიანოვკა) ნათესის 1959 წლის მოსავალში.

7. მარცვლის მომწიფებისას გარკვეული დამოკიდებულებაა ზოგიერთ მარაგ ნივთიერებასა (ცილა, სახამებელი) და ვიტამინებს (თიამინი) შორის.

ცილისა და სახამებელის მატებას მომწიფებულ მარცვალში თან ხვდება თიამინის რაოდენობის მატება.

8. ხორბალ კახი 8-ის მარცვალში სიმწიფის სამივე ფაზაში შეიმჩნევა კავშირი უანგვა-ალდეგენითი ფერმენტების (კატალაზა, პეროქსიდაზა) აქტიურობასა და ასკორბინის მეუაც შემცველობას შორის.

მარცვლის მომწიფებასთან ერთად იკლებს როგორც აღნიშნული ცენტერი მენტების აქტიურობა, ისე ასკორბინის მჟავას რაოდენობა. მარცვლის სიმძიმეს ცალეულ ფაზაში ფერმენტების მაღალ აქტიურობას შეესაბამება ასკორბინის მჟავას მეტი რაოდენობა.

9. წარმოების პირობები (ულიანოვკის კოლმეურნეობა) ხორბალ კახი 8-ის მარცვლის ვიტამინების შემცველობაზე დადგეთთან.

კაბინის კოლმეურნეობის ხორბლის მარცვლის ვიტამინიანობა სახელმწიოდებულის ხორბალთან შედარებით ნაწილობრივ დაკლებულია.

მცნარეთა ანატომიისა
და ფიზიოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 24. 2. 1960)

М. НАДИРАДЗЕ

ДИНАМИКА НЕКОТОРЫХ ВИТАМИНОВ В ЗЕРНЕ ПШЕНИЦЫ КАХИ 8

Резюме

Известно, что витамины имеют большое значение как для человека и животных организмов, так и для растений.

Зерно пшеницы один из главных источников витаминов в рационе питания человека.

На содержание витаминов в зерне пшеницы влияет место произрастания растения, а также фаза спелости зерна.

Целью нашего исследования было изучение динамики некоторых витаминов в зерне пшеницы Кахи 8, выращенного в производственных условиях.

Материал для анализа брали на участках колхозов (с. Каспи, с. Ульяновка) и на Грузинской селекционной станции (в Натахтари) в разных фазах спелости зерна.

В зерне пшеницы Кахи 8 определялись некоторые витамины (тиамин, рибофлавин, аскорбиновая и никотиновая кислоты) в трех фазах спелости—молочной, восковой и полной.

Данные анализов показали, что содержание витаминов в зерне пшеницы Кахи 8, выращенной в разных районах Грузии (Картли и Кахети), в большинстве случаев различно.

Высоким содержанием тиамина отличается зерно пшеницы с участка Грузинской селекционной станции и колхоза с. Ульяновки.

Количество рибофлавина и аскорбиновой кислоты больше в зерне пшеницы Кахи 8 с участка селекционной станции, меньшее количество указанных витаминов в зерне с участка колхоза с. Каспи.

По содержанию никотиновой кислоты первое место занимает зерно пшеницы с участка колхоза с. Ульяновки, а второе—с участка селекционной станции и колхоза с. Каспи.



Сравнение исследуемых веществ по фазам развития растений показало, что количество витаминов различно в зерне разной спелости. Количество тиамина увеличивается по мере созревания зерна, и максимум его отмечается в фазе полной спелости зерна, а количество рибофлавина и аскорбиновой кислоты уменьшается до минимума.

Никотиновая кислота в зерне Кахи 8 увеличивается в фазе восковой спелости по сравнению с молочной спелостью, а в фазе полной спелости опять уменьшается.

При созревании зерна заметна определенная взаимосвязь между некоторыми органическими веществами (белок, крахмал) и витаминами. Увеличению белка и крахмала в спелом зерне соответствует увеличение тиамина.

Во всех фазах спелости в зерне пшеницы Кахи 8 заметна связь между активностью окислительно-восстановительных (каталаза, пероксидаза) ферментов и количеством аскорбиновой кислоты.

С созреванием зерна уменьшается как активность ферментов, так и содержание аскорбиновой кислоты. В отдельных фазах спелости зерна, высокой активности ферментов соответствует большее количество аскорбиновой кислоты.

Такое же взаимоотношение между активностью окислительных ферментов и содержанием аскорбиновой кислоты наблюдается в зависимости от местообитания.

ЛІ ТЕМУЮЧІ

1. Гомбетова З., Чигдали ბიოქიმიის კურსი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის 1956.
2. ცხაკარი ქ., კობერიძე ა., ზრდის სინთეზური ნივთიერებით ზოგიერთ სასოფლო-სამუშაოთ მცენარის თესლის თესვისწინა დამუშავების (პორმონიაციის) გაფლენა მოსავალზე, საქ. სას.-სამ. ინსტ. შრ., ტ. 29, 1948, გვ. 92—114.
3. ცხაკარი ქ., უნგვითი პროცესების ცვალებადობა ხორბალზე, თუ საბეცნ. სესიის თემისში, 1954.
4. Белючене С. А., Влияние тиамина и никотиновой кислоты на развитие и урожай ячменя. Сб. Рост растений, Изд. Львовского ун-та, 1959, стр. 294—295.
5. Девятин В. А., Витамины. Пищепромиздат, М., 1948.
6. Земляничин А. А., Физиологические изменения в растении, вызываемые действием аскорбиновой кислоты. Физиология растений, т. 3, В. 4, 1956, стр. 313—318.
7. Каидзе Н. Т. и Медведева Г. А., Изучение выделения витаминов органами цветка методом индикаторных культур. Физиология растений, т. 3, В. 5, 1956, стр. 435 — 439.
8. Княгиничев М. И., Биохимия пшеницы, М., 1951.
9. Кудряшов Б. А., Витамины, их физиологические и биохимические значения. Моск. общ. исп. пр., 1953.
10. Мурри И. К., Проблема витаминов в растениеводстве. Биохимия культурных растений, т. 8, 1948, стр. 304 — 419.
11. Овчаров К. Е., Роль витаминов в жизни растений, Изд. АН СССР, М., 1958.
12. Поволоцкая К. Л., Кондрашова А. А., Пушкинская О. И., Скоробогатова Е. П., Витамины В₁, В₂ и РР в зерне и продуктах его переработки, Биохимия зерна, сб. 2, Изд. АН СССР, 1954, стр. 177 — 192.

13. Ракитин Ю. И. и Овчаров К. Е., Влияние аденина и никотиновой кислоты на яйцеклетки и плодоношение хлопчатника, ДАН СССР, т. 61, № 5, 1948, стр. 933 — 934.
14. Светлов И. П., Содержание никотиновой кислоты в ржаном хлебе, выпеченном с картофелем, Изд. АН СССР, 1953.
15. Сулакадзе Т. С., Кезели Т. И. и Чрелашивили М. Н., Влияние предпосевной обработки семян стимуляторами на их прорастание и дальнейшее развитие сеянцев некоторых цитрусовых. Вестн. Тб. бот. сада, 62, 1955, стр. 158 — 167.

6. პირავაზი

აზომობაზოგით თავსილითა დამუშავების ჩავლენა ხილიდას მარცვალზი ვიზავილი შემცველების შემცველობაზი

მცენარის ნიადაგიდან კვების დროს ადგილი აქვს არა მარტო მცენარესა და მის გარემოს შორის მციდრო კავშირს, არამედ აგრეთვე მცენარისა და ნიადაგის მიკროორგანიზმებს შორის ურთიერთობასაც. ეს ურთიერთობა გამოიხატება როგორც მიკროორგანიზმების მიერ ნიადაგში ნივთიერებათა შეცვლაში (აზოტის ფიქსაცია, ნიტრიფიკაცია და სხვ.), ისე მიკროორგანიზმების მიერ მცენარეების რიგი ფიზიოლოგიურად ძეტიური ნივთიერებებით—მათ შორის ვატამინებით—მომარაგებაში (9).

ნიადაგში გარდა ისეთი მიკროორგანიზმებისა, რომლებიც მოითხოვენ გარედან ვიტამინების მიწოდებას, მოიპოვებიან ისეთებიც, რომელთაც ვიტამინების სინთეზისა და გარემოში მათი გამოყოფის უნარი აქვთ.

საკითხის შესასწავლად, თუ როგორ მოქმედებს ნიადაგის მიკროფლორის მიერ შექმნილი ვიტამინები ნივთიერებათა ცვლაზე, მკვლევარები აყენებდნენ ცდებს. აღმოჩნდა, რომ ვიტამინებით გამოკვებილ მცენარეში ნიტრატული აზოტის გარდაქმნის პროცესები (ამიღური, ამინური და ამონიაკური აზოტი) საკონტროლოსთან შედარებით 1,5—2 ჯერ იყო გადიდებული (8). გეოგრაფიული ფაქტორების შესწავლასთან ერთად გამოირკვა, რომ ნიადაგობრივი პირობები და მინერალური კვება გავლენას ახდენს ვიტამინების ბიოსინთეზზე (7).

მცენარეთა მინერალური კვება წარმოადგენს ძლიერ ფაქტორს, რომელიც განაპირობებს მცენარეში ვიტამინების სინთეზს და დაგროვებას.

მინერალური კვების განსაკუთრებული როლი იმით არის გაპირობებული, რომ ზოგიერთი ვიტამინის შემცველობაში შედის აზოტი, გოგირდი. გარდა ამისა, მინერალური კვების ელემენტები უჯრედში ქმნიან სტრუქტურებსა და სისტემებს, რომლებიც უშუალო მონაწილეობას იღებენ ვიტამინების ბიოსინთეზში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მცენარეების მინერალური სასუქებით სრული და დროული დაქმაყოფილება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ვიტამინების შესაქმნელად (7).

მცენარეში ვიტამინების ბიოსინთეზზე გავლენას ახდენს არა მარტო ნიადაგში არსებული მინერალური და ორგანული სასუქების შედგენილობა, არამედ ნიადაგის მექანიკური შედეგნილობა და მისი სტრუქტურა (7). ნიადაგის მიკრობთა შედეგენილობაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ ვიტამინის მეტანაკლები დაგროვება. სხვადასხვა მიკროორგანიზმი არეში გამოყოფს სხვადასხვა ვიტამინს. მაგალითად, აზოტობაქტერი მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოყოფს თამინს.



მამწიფარ თესლებში ვიტამინების დაგროვება დამოკიდებულია თესლების სინთეზურ უნარიანობაზე, ისე ფოთლების ფიზიოლოგიურ შედგობა-რეობაზე.

ვიტამინების გადაადგილება ვეგეტატიური ნაწილებიდან თესლებში მიმღინარეობს ნახშირწყლების, ამინომჟავების, ცხიმებისა და ცილების გადასვლასთან ერთად. ვეგეტაციური ნაწილებიდან გადასული ვიტამინები თესლში გროვდება მნიშვნელოვანი რაოდენობით, რომელიც ბევრად აღმატება ვიტამინების რაოდენობას ფოთლებში (7). დადგნილია, რომ მცენარეებს შეუძლია მიიღოს ვიტამინები მიკროორგანიზმებისაგან. ეს მოვლენა დადგენილი იყო ნიშნული ელემენტების ცდებით (5).

აზოტობაქტერი ფართოდაა გამოყენებული სოფლის მეურნეობაში სხვა-დასხვა ბაქტერიალური პრეპარატის სახით. იგი აზოტიფიქსაციის უნართან ერთად დიდი რაოდენობით ასინთეზებს აუქსინებს და B ჯგუფის ვიტამინებს (3). პროცეტამინი D—ერგოსტერინის ბიოსინთეზი ცნობილია მხოლოდ ერთი ბაქტერიისათვის—Azotobacter chroococcum-ისათვის (6).

შევჩერდებით იმ ვიტამინებზე, რომელთა განსაზღვრა ჩავატარეთ ჩვენს საცდელ ობიექტში—სიმინდი ქართული კრუგის მარცვალში.

თავამინისა და რიბოფლავინის როლი მრავალმხრივია მცენარეთა ცხოვ-რებაში. ისინი მონაზილეობენ ნივთიერებათა საერთო ცვლაში, სინთეზურ პროცესებში, ზრდაში. ვიტამინ B₁-ს ზრდის პორმონს უწოდებენ.

ექსპერიმენტულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ B₁ ვიტამინის სინთეზის უნარით აღჭურვილია ბაქტერიების მრავალი სახე (4, 6, 7, 9).

B₂ ვიტამინების ჯგუფის ლოკალიზაცია მცენარეში სუსტად არის შე-სწავლილი, რიბოფლავინი იმყოფება უმეტესად ფოთლებში. თესლი ჩვეულებ-რივად რიბოფლავინს შეიცავს ცოტა რაოდენობით, გამონაკლისია ბარდა (6, 7, 9).

ვიტამინი C მცენარეულ სამყაროში ფართოდ არის გავრცელებული ფოთ-ლებში და ნაყოფებში. შედარებით ღარიბია ძირხვენები. მომწიფებული თეს-ლები მოსვენების მდგომარეობაში თითქმის არ შეიცავს ვიტამინ C-ს (6).

დამატებითმა მინერალურმა კებამ შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი გავ-ლენა მოახდინოს მცენარეში ასკორბინის მჟავას ბიოსინთეზშის პროცესზე (8).

ასკორბინის მჟავას ბიოსინთეზშე უშუალო გავლენას ახდენს ნიადაგის აზოტობაქტერით დასნებოვნება. როგორც ცნობილია, თვითონ მიკროორგა-ნიზმები არ აწარმოებენ ვიტამინ C-ს სინთეზს, მაგრამ ნიადაგში შეტანისას ისინი აძლიერებენ მცენარის კვებას და ხელს უწყობენ მათში ასკორბინის მჟავას უფრო ენერგიულ ბიოსინთეზს (7).

ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმში პელაგრით დაავადების პროცე-ლაქტიკა და განკურნება ვიტამინი PP-თი ხორციელდება. ვიტამინი PP გავრ-ცელებულია მრავალ მცენარეულსა და ცხოველურ პროდუქტში (6). თესლის დამწიფებასთან დაკავშირებით დადგენილია ვიტამინ PP-ს შემცველობის შე-მცირება (6).

საქართველოში სიმინდი ქართული კრუგის მარცვალში ვიტამინი B₁ შესწავლილია თ. იოსელიანის (1) მიერ, ხოლო B₁, B₂, C და PP ვიტამინი—ნ. ჩენენკელის (2) მიერ.

გავითვალისწინეთ რა ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ზემოთ დასახე-ლებულ ვიტამინებს აქვს, მათ შესასწავლად ჩავატარეთ სათანადო მუშაობა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მცენარეთა ანატომიისა და ფიზიოლოგიის კათედრაზე პროფ. ქს. ცხაკაიას ხელმძღვანელობით. ჩვენ მიერ გამოყოფილი აზოტობაქტერის ადგილობრივი შტამებით სიმინდი ქართული კრუგის მარცვალი თესვის წინ (1959 და 1960 წლ.) დამუშავებული და დათესილ იქნა სელექციის საცდელ სადგურზე ნატახტარში (სამ გამეორებაში). ვიტამინები განვსაზღვრეთ სრული სიმწიფის მარცვალში.

აზოტობაქტერით თესვის წინ დამუშავებულ ქართული კრუგის სრული სიმწიფის მარცვალში 1959 წლის მოსავალში განსაზღვრულია ვიტამინები. მონაცემები მოცემულია ცხრ. 1-ში.

ცხრილი 1

აზოტობაქტერით თესვის წინ დამუშავებულ ქართული კრუგის სრული ხიმუნის
მარცვალში (1959 წლის მიხედვით) B₁, B₂, C და PP-ვიტამინების შემცველობა
მილიგრამ %-%-ში (ჰაერმშრალ 1 გ მასაში).

№№	ვარიანტები	ვიტამინი B ₁	ვიტამინი B ₂	ვიტამინი C	ვიტამინი PP
1	საკონტროლო	0,125	0,041	3,63	0,20
2	№ 42 შტამით თესვ. წინ. დამ.	0,125	0,041	7,40	0,41
3	№ 55	0,125	0,050	7,40	0,36
4	№ 58	0,375	0,050	10,6	0,32
5	№ 65	0,125	0,050	9,74	0,27
6	№ 70	0,125	0,050	8,68	0,34
7	№ 81	0,125	0,050	7,0	0,28
8	№ 9 სტ.	0,125	0,050	7,89	0,31
9	№ 53 სტ.	0,375	0,041	9,86	0,32
10	შერეული ადგ.	0,375	0,041	11,40	0,30

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ქართული კრუგის 1959 წ. მოსავლის მარცვალში ვიტამინი B₁ ადგილობრივი № 58 შტამით და სტანდარტი № 53-ით დამუშავებულ ვარიანტის მარცვალში უფრო მეტი რაოდენობითაა, ვიდრე საკონტროლო და დანარჩენ ვარიანტებში.

ვიტამინი B₂-საკონტროლო ვარიანტის № 42 და სტანდარტი № 53 შტამის ვარიანტში 0,041 მილიგრამ %-ს უდრის, ხოლო დანარჩენი ადგილობრივი შტამების და სტანდარტი № 9-ის ვარიანტში მეტი რაოდენობითაა.

ვიტამინი C კი ყველა ბაქტერიზებულ ვარიანტის მარცვალში მეტია, ვიდრე საკონტროლო (დაუმუშავებელ) ვარიანტის მარცვალში. საცდელი ვარიანტებიდან ყველაზე მეტი რაოდენობით აზოტობაქტერის ადგილობრივი № 58 შტამით ბაქტერიზებულ ვარიანტშია. შემდეგი ადგილი სტანდარტი № 53 შტამით დამუშავებულ ვარიანტს უჭირავს. ვიტამინი PP საერთოდ მცირე რაოდენობითაა, მაგრამ აქც ყველა ბაქტერიზებულ ვარიანტში მეტია, ვიდრე საკონტროლო (დაუმუშავებელ) ვარიანტში.

როგორც ცხრილის ვარიანტის ბაზილური გავლენა აზოტობაქტერით სიმინდის მარცვლის თესვისწინა ბაქტერიზაციამ ვიტამინ C და PP-ს დაგროვებაზე დადებითი გავლენა მოახდინა. ვიტამინი B₂ კი ძალიან მცირე რაოდენობითაა მომატებული, ხოლო ვიტამინი B₁-ის მომატება მხოლოდ (ადგილობრივი № 58 და სტანდარტი № 53) ბაქტერიზებულ ვარიანტშია მიღებული.

1960 წლის მოსავალში ვიტამინის შემცველობა მოცემულია ცხრ. 2-ში.

აზოტობაქტერით თეხვის წინ დამუშავებული ქართული კრუგის სრული სიმწიფის
მარცვალში (1960 წ. მოსავალში) B_1 , B_2 , C და PP-ვიტამინების შემცველობა
ზილდგრამ $\%/\%$ -ში (პარმურალ 1 გ მასაში)

№№	გარიანტები	ვიტამინი B_1	ვიტამინი B_2	ვიტამინი C	ვიტამინი PP
		B_1	B_2	C	PP
1	საკონტროლო	0,125	0,41	8,81	0,297
2	№ 58 შტამით თესვ. წინ. დამ.	0,375	0,41	10,13	0,304

როგორც № 2 ცხრილიდან ჩანს, სიმანდი ქართული კრუგის აზოტობაქტერის ადგილობრივი № 58-შტამით თესვისწინა ბაქტერიზაციამ მარცვალში ვიტამინი C და PP შემცველობის გადიდება მოგვცა.

ვიტამინი B_1 მცირე რაოდენობითაა გაზრდილი, ხოლო ვიტამინი B_2 -ის მომატება არ გამოიწვია.

ადგილობრივი შტამებით სიმინდის თეხვის წინ აზოტობაქტერით დამუშავებული ვარიანტების 1959-სა და 1960 წლების შედარებიდან შეგვიძლია აღვნიშნოთ აზოტობაქტერის ადგილობრივი შტამების დადებითი გავლენა მარცვალში ვიტამინების შემცველობაზე. განსაკუთრებით გამოირჩევა № 58 შტამი.

ქართული კრუგის თესვისწინა ბაქტერიზაციის შედეგად მარცვალში ვიტამინების მომატება 1959 წ. მოსავალში უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე 1960 წლის მოსავალში.

მცენარეთა ანატომიისა და
ფიზიოლოგიის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 20.1.1961)

Н. ЧИКАШУА

ВЛИЯНИЕ ПРЕДПОСЕВНОЙ ОБРАБОТКИ АЗОТОБАКТЕРОМ ЗЕРНОВКИ КУКУРУЗЫ НА СОДЕРЖАНИЕ ВИТАМИНОВ

Резюме

С целью выяснения влияния предпосевной бактеризации в зерне кукурузы (Картули Круги) были исследованы витамины B_1 , B_2 , C и PP.

Предпосевная бактеризация зерен кукурузы выделенными автором местными штаммами азотобактера оказала положительное влияние на содержание витаминов. Содержание витаминов C и PP в зернах кукурузы увеличивается при предпосевной обработке всеми местными штаммами, а увеличение содержания B_1 и B_2 витаминов вызывают лишь некоторые (№ 58, № 53 и др.) штаммы.

Лист 1 из 1

1. Осовецкий А. Н. и др., Маслоандроид и сафаринтогенолы в почве и корне растений. Труды института по изучению почв и грунтов, № 10, 1949.
2. Борисов Б., Сафаринтогенолы. Рядомные опыты по изучению физиологии и биохимии почв и растений. Известия АН СССР, № 2, 1958, 187—193.
3. Гебгардт А. Г., Сравнительное действие тиамина и азотобактера на рост и обмен веществ проростков растений. Рост растений. Изд. Львовск. университета, 1959, стр. 298—302.
4. Девятников В. А., Витамины. Пищепромиздат, М., 1948.
5. Красильников Н. А., Усвоение витаминов. Микроорганизмы почвы и высшие растения. Изд. АН СССР, М., 1958, стр. 261—262.
6. Кудряшов Б. А., Витамины, их физиологическое и биохимическое значение. Московское Общ-во испытателей природы, 1959.
7. Овчаров К. Е., Роль витаминов в жизни растений. Изд. АН СССР, М., 1958.
8. Райнер Е. И. и Доброхотова И. Н., О возможной роли витаминов, продуцируемых почвенными микроорганизмами в корневом питании растений. Физиология растений, т. 3, Вып. 2, 1956, стр. 101—109.
9. Мурри И. К., Проблема витаминов в растениеводстве. Биохимия культурных растений, т. 8. Сельхозгиз, 1948, стр. 334—419.



| ღ. მელაპე |

თემატიკის ნაკრძალში აკლიმატიზებული ალტაზრი
ცივის გოგილის გოგილის ზესჭავლის გადაგვა

შესავალი

თებერდის სახელმწიფო ნაკრძალში აკლიმატიზებული ალტაზრი ციყვის (Sciurus vulgaris altaicus Serebr., 1928), ამ ძვირფასი სარეწაო ბეჭვეული ნადირის, აკლიმატიზაციის შედეგების ყოველმხრივ შესწავლაში, როგორც ეს უკვე გამოქვეყნებულ შრომებში (6, 7, 8) მაქვს დასაბუთებული, სხვა საკითხებთან ერთად გარკვეული ადგილი უნდა დაეთმოს აგრეთვე მისი შინაგანი პარაზიტების შესწავლას.

ჭარმოდგენილი შრომა მიძღვნილია საერთოდ ცხოველებში და კერძოდ მღრღნელებში (Rodentia) მეტად გავრცელებულ უმარტივისებს (Protozoa s. Monozytzoa) კუთვნილ შინაგანი პარაზიტის კოკციდიის (Coccidiida Labbe, 1889) შესწავლისადმი თებერდის ნაკრძალში აკლიმატიზებულ ალტაზრ ციყვებში.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ანტონ ფონ-ლევენცუის 1674 წლის დაკვირვებებს, ჰაკე პირველი იყო, რომელმაც 1839 წელს ოღწერა ბოცვერის (Oryctolagus cuniculus L., 1758) კოკციდიის ოოცისტები, მაგრამ ჰაკემ ეს ოოცისტები შეცდომით მიიჩნია ჩირქის წვეთებად. კოკციდიის ოოცისტების ნამდვილი რაობა, როგორც უმარტივესი ორგანიზმებისა, დადგენილი იყო 1845 წელს რემარკისა და 1865 წელს შტიდას მიერ (in litt. 13).

პირველი საფუძვლიანი გამოკვლევა კოკციდიაზე მოგვცა ეიმერიმ, 1870 წელს (in litt. 2), ხოლო უფრო გვიან, სახელდობრ, 1875 წელს, შენიდერმა კოკციდიათა შორის გამოკყო ერთერთი გვარი, რომელსაც ეიმერის პატივსაცემად ეიმერია (Eimeria) უწოდა (in litt. 19). ალტაზრ ციყვში კი ჩემს მიერ შესწავლილი კოკციდია—Eimeria sciurorum Galli—Valeri, 1922—პირველად აღმოჩენილი იყო გალი-ვალერიოს მიერ ჩვეულებრივი ციყვის ერთ-ერთ ვარიაციაში (Sciurus vulgaris var. alpina) 1922 წელს (1).

კოკციდიების კვლევა იმთავითებ მომდინარეობს მისი განვითარების მხოლოდ და მხოლოდ ექზოგენური ციკლის შესწავლით, რასაც ძალზედ ვრცელი ლიტერატურა მიეძღვნა, მაგრამ უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით ხეისინის სადოქტორო დისერტაციაში, დადგენილი იყო კოკციდიის სრულ შესწავლაში მარტო განვითარების ექზოგენური ციკლის უქმარობა და განვითარების ენდოგენური ციკლის შესწავლის დიდი მნიშვნელობა (13).

კოკციდიების შესწავლაში შემოღებული ეს სიახლე—განვითარების ენდოგენური ციკლის შესწავლა—მოითხოვს გარკვეულ პირობებს: რაც მთავარია, შესასწავლი ცხოველის სტაციონარს და ზოგიერთი ექსპერიმენტული მუშაობის ჩატარებას, რასაც, ბუნებრივია, მოკლებული ვიყავი თებერდის ნაკრძალში

საველე მუშაობის დროს მოპოვებული ციყვების აღგილზე შესწავლისათვის გვიჩვენები თელრის ლაბორატორიაში ჩამოტანილი მასალის დამტკიცებისას.

ამიტომ თებერდის ნაკრძალში კულიმატიზებული ალტაური ციყვის კოკ-ცილია გამოკვლეული მაქვს მისი განვითარების ექიმოგენური ციკლის, კერძოდ, მომწიფებული ოოცისტების შესწავლით. კვლევის ამ გზით მიღებული შედეგი ინტერესს არ უნდა იყოს მოკლებული, მით უმეტეს, როგორც ეს ზემოთ აღნინიშნება, მრავალი მკვლევრის მიერ კოკციდიიების ასეთი წმინდა ზოოლო-გიურ-სისტემატიკური შესწავლით მიღებული შედეგები ჯერ კიდევ ფართოდაა გამოყენებული სხვადასხვა ცხოველის კოკციდიიების მიმართ. ამჟამად მკვლევ-რები და მათ შორის ზოგიერთ შემთხვევაში თვით ხეისინიც, განსაკუთრებით გარეული ცხოველების კოკციდიიების შესწავლისას, იძულებულნი არიან დაკმა-ყოფილდნენ კოკციდიის განვითარების მხოლოდ ექიმოგენური ციკლის შეს-წავლით (4, 11, 12, 14, 15).

იგივე უნდა ითქვას ჩემი მასაღლისათვის შესაღარებელი, ციყვის სხვადა-სხვა ფორმაში შესწავლილი კოქციდის ყველა სახის მიმართაც, სადაც კოქცი-დიების არსებობა და სახებრობა ჯერჯერობით დადგენილია მხოლოდ და მხო-ლოდ მათი მომწიფებული ორიგისტრების შესწავლის შედეგად (1, 5, 9, 10, 20, 22).

მასალა ვა მეოთოდი

თებერდის ნაკრძალში აკლიმატიზებული ალტაური ციყვის კოკციდიების შესწავლისათვის მივმართავდი ორ მეთოდს: 1) ბირველ ჩიგში გამოყენებული ციყვის სხვადასხვა დროს მოპოვებული და გაკვეთილი 300 ციყვი (100 მოზარდი და 200 ზრდასრული). ციყვის გაკვეთისას ვიღებდი წვრილი, ბრმა და მსხვილი ნაწლავების შიგთავსს და მათი ლორწოვანი გარსის ანაფევებს ცალ-ცალქე, აგრეთვე არაყოველთვის, მაგრამ მაინც ხშირად ღვიძლსაც. ასე დახარისხებულ მასალას ვამჟავებდი ფაულებორნის მიერ შემოღებული წესით—NaCl-ის კონცენტრირებულ ხსნარში (in litt.-16). მარილის კონცენტრირებულ ხსნარში დამჟავებულ ნაწლავების შიგთავსსა და ღვიძლს ვასხამდი ფართო სინჯარაში და დახსლოებით 15—20 წუთის შემდეგ (როდესაც ნაზავი დადგებოდა) ვაღებდი მის ზედაპირულ ნაწილს მავთულის მარყუჟის საშუალებით და ესინჯავდი მიკროსკოპში, სადაც ვეძებდი მოუმწიფებელ ოოცისტებს, ე. ი. გავვითილ ციყვში ვადგენდი კოკციდიების არსებობას ან არარსებობას. 2) კოკციდიების შესწავლის შეორე ხერხის დროს აღებული მქონდა 100 მოზარდი და 10 ზრდასრული ციყვის ფერალური მასა და ვამჟავებდი პირველად დე-ბლიკ და ღოუვესის მიერ 1920 წელს გამოყენებული წესით (in litt.-19). სახელდობრ, ყოველი ციყვის ფერალურ მასას ცალ-ცალქე ვხსნიდი $K_2Cr_2O_7$ -ის 2 %₀-იან ხსნარში. სპოროგონიის თუ სპორულაციის პროცესის დაჩქარების მიზნით მეტ შემთხვევაში ვაყენებდი $K_2Cr_2O_7$ -ის 5%₀-იან ხსნარს (in litt.-19). ასეთ ხსნარებში დამჟავებულ ფერალურ მასას ვათავსებდი თერმოსტატში საშუალოდ 25°C პირობებში, რათა განავალთან ერთად გამოსულ მოუმწიფებელ ოოცისტებში დაწყებულიყო სპოროგონია და მიმელო მომწიფებული ოოცისტები. მასალას სისტემატურად ესინჯავდი მიკროსკოპში, სადაც ენახულობდი როგორც ოოცისტების მომწიფების სხვადასხვა სტადიას, ისე თვით მომწიფებულ ოოცისტებს.

მომწიფებული ოლცისტების შესწავლით გაღვენდი მათ სახეობრივ რაგვარობას (16, 17, 21). ოლცისტები და მათი ნაწილები ჩახატულია სახა-

ტავი აპარატის საშუალებით და გაზომილია მიკროსკოპის მხედველობის არეში, მიკროსკოპული სკალის საშუალებით. ყველა შემთხვევაში უზომვები და ესატავდი ისეთ ოოცისტებს, რომელნიც მდებარეობდნენ ერთ ჰორიზონ-ტალურ სიბრტყეში, ე. ი. ყოველი ოოცისტის ორივე ბოლო ერთსა და იმავე ღროს უნდა ყოფილიყო მიკროსკოპის ერთ ფოკუსში.

მიღებული მონაცემები და მათი მიმოხილვა

200 მოზარდი და 200 ზრდასრული ციყვის წვრილი, ბრმა და მსხვილი ნაწლავების ზიგთავსის შესწავლისას ფიულებორნის მეთოდით, თითქმის ყოველთვის ვნეხულობით კოკციდის მოუმწიფებელ ოოცისტებს. ერთ შემთხვევაში, სახელდობრ, № 542 ციყვში, ოოცისტები ენახე აგრეთვე ღვიძლში, სადაც მათი რაოდენობა მიკროსკოპის მხედველობის არეში (გად. 10X40) 12-ს არ აღმატებოდა. ნაწლავის ცალკეულ განყოფილებებში ოოცისტების რაოდენობა განისაზღვრებოდა 1—36 ფარგლებში, სადაც მათი საშუალო რიცხვი უბირატესად მერყეობდა 2—9 შორის. რაც შეეხება კოკციდიით დასენიანებული ციყვების რაოდენობას, იგი მოზარდში უდრიდა 91,25%—ს, ხოლო ზრდასრულებში—86,42%—ს.

თებერდის ნაკრძალში ბინადარი ალტაური ციყვების კოკციდიის ოოცისტებით დასენიანების ინტენსივობას თუ შეფადარებთ სხვა ცხოველთა კოკციდიის ოოცისტებით დასენიანების ინტენსივობას, სადაც მათი რაოდენობა მიკროსკოპის მხედველობის არეში 2000-მდე ადის (3, 4, 18), მივაღლთ დასკვნამდე, რომ ალტაურ ციყვში კოკციდიით დასენიანების ინტენსივობა ძალზედ მცირე და უმნიშვნელოა. სწორედ ამიტომა აღბათ, რომ თებერდის ნაკრძალში სამი წლის მუშაობის მანძილზე არც ერთი შემთხვევა არ მქონია აღმერიცხოს ციყვის კოკციდიობით დაავადება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორ მოზარდ ციყვს, რომელნიც გარკვეული მიზნით ჩამოვიყანე თბილისში და მყავდა თბილისის ზოოპარკის მიერ მათვების გამოყოფილ ვოლიერში. ხსენებული 2 ციყვი თბილისში ჩამოვიყანე აგვისტოს დამლევს, მაგრამ ორივე მოკვდა. ერთი ციყვი დახსლობით 2 თვეს შემდეგ და მეორე— $2\frac{1}{2}$, თვეს შემდეგ. ამ $2-2\frac{1}{2}$ თვეს მანძილზე ციყვებმა დაპკარგეს მათვების დამახასიათებელი სიმკვირცხლე, ძალზედ მოღუნდნენ, დაეტყოთ უმაღობა, შემდეგ ჭამა სრულიად მიატოვეს, თანდათან გახდნენ, დაუძლურდნენ, რასაც სიკვდილი მოკვდა. პათოლოგიურ-ანატომიურმა გაკვეთამ გვიჩვენა ნაწლავის ლორწოვანი გარსის კატარალური ანთება, ბირველ ციყვში კი აგრეთვე წვრილი ნაწლავის წყლული.


ის ამბავი, რომ ბუნებაში მყოფ ციყვებში არის კოკციდიის ოოცისტების მეტად უმნიშვნელო რაოდენობა და მათი ინტენსივობა არ აღწევს იმდენს, რომ გამოიწვიოს კოკციდიობით, უნდა აეხსნათ ციყვების ცხოვრებით ბუნებრივ პირობებში, რომელიც ირლვევა ტყვეობისა და ვოლიერის ცხოვრების პირობებში, რის გამოც ძალზედ იზრდება კოკციდიით დასენიანების ინტენსივობა და თავს იჩენს კოკციდიობით, რაც ასე ხშირია მუღმივად ვოლიერში მცხოვრებ ცხოველებში, განსაკუთრებით კი სისტემატურად ციყვებთან მეტად ახლო მდგარ ბოცვერებში (*Oryctolagus*).

100 მოზარდისა და 10 ზრდასრული ციყვის ფექალურ მასაში მყოფი კოკციდიის მოუმწიფებელი ოოცისტების $K_2Cr_2O_7$ -ის ხსნარში დამუშავების შე-



დეგად მიღებული მომწიფებული ოოცისტების შესწავლის შედეგების უკანასკნელი რიცი მაჩვენებლები შემდეგ განაზომებში გამოიხატება: ოოცისტების სივრცე მერყეობს 26,60—32,00 მიკრონებს შორის, სიგანე კი—14,40—18,42 მიკრონებს შორის, ხოლო საშუალო სივრცე და სიგანე უდრის 27,14 მიკრ. $\times 16,32$ მიკრონზე. ფორმინდექსი 1:0,60. სპორების ზომა სიგრძეში მერყეობს 10,00—13,33 მიკრონებს შორის, ხოლო სიგანეში — 5,76—8,40 მიკრონებს შორის. საშუალო სივრცე და სიგანე კი უდრის 11,69 მიკრ. $\times 7,04$ მიკრონზე.


შესწავლილი ოოცისტების მრავალი ჩანახატიდან შრომაში მოტანილია ოოცისტების მხოლოდ 6 ნახატი, რომელიც, გარდა ნახ. №1-სა, განასახიერებენ მომწიფებულ ოოცისტებს და წარმოდგენილი არიან №№ 1, 2, 3, 4 5 და 6 სურათებით.




ნახ. 1.



ნახ. 2.



ნახ. 3.



ნახ. 4.



ნახ. 5.



ნახ. 6.

მომწიფებული ოოცისტების შერჩეული ეს სურათები ნათლად ცხადყოფს, რომ შესწავლილი ოოცისტების ფორმა ელიბსური ან ოვალურია, მათ ყოველთვის აქვთ ორმაგი თხელი გარსი, რომელთაგან შეიგნითა გარსი მეტ შემთხვევაში უფრო მკვეთრად მოჩანს. ძალზედ ხშირ შემთხვევაში აქვთ კარგად გამოხატული მიკროპილე და აგრეთვე პოლარული გრანულა. ოოცისტაში 4 სპორა, ხოლო თითოეულ სპორაში ორ-ორი სპორონიტია, რომელთა შორის ყოველთვის ვნახულობთ ნაშთით სხეულს.

თუ ოოცისტების მოხსნიებული სისტემატურ-ზოოლოგიური შესწავლის შედეგებს შევადარებთ ციყვის ზოგ სხვა ფორმაში ნაპოვნ და შესწავლილ კოკიდიიგბის ოოცისტებს (1, 5, 9, 10, 20, 22), მივალთ იმ დასკვნამდე, რომ თებერდის ნაკრძალში აკლიმატიზებულ აღტაურ ციყვში ნაპოვნი მაქვს კოკიდიის მხოლოდ ერთი სახე, სახელდობრ,—*Eimeria sciurorum Galli—Valer.*, 1922.

ამ დასკვნის მართებულობას ადასტურებს ქვემოთ მოტანილი ცხრილი, სადაც მოცემულია ზოგიერთი მკვლევრის მიერ ციყვის სხვა სახეებსა და

ქვესახეებში ნაპოვნი და შესწავლილი *Eimeria sciurorum*-ს მომზადებული
ოოცისტების შედარება ჩემს მიერ შესწავლილი კოკცილის მომზადებულ
ოოცისტებთან.

ଓବନ୍ଦିମା

ა ვ ტ ა რ ი	გალი-გალერია	მელერი	იაჭიმოვი, სოკო-ლოვი და როსტეგავა	მელაძე
ციყვის სისტემატიკური რაოდა	<i>Sciurus vulgaris</i> var. <i>alpina</i>	<i>Neosciurus carolinensis</i>	<i>Sciurus vulgaris</i>	<i>Sciurus vulgaris altaicus</i>
ოოცისტი: ფორმა	ცილინდრული	ელიპსური ზოგჯერ ცილინდრული	ოვალური	ელიპსური ან ოვალური
ზომა (მიკრო- ფორმინდექსი მიკროპილე (მიკრონებში))	25×15 0,50	22–28×14–18 —	M=31,44×21,44 0,68	M=27,14×16,32 0,60
—	4—6×1,0—1,5	7,20	+	
სპორა: ფორმა	—	მოგრძო	ოვალური	ელიპსური ზოგჯერ ოვალური
ზომა (მიკრო- ფორმინდება)	—	10—14×6—8 4	M=12,86×8,09 4	M=11,69×7,04 4
სპოროზოტი: რაოდენობა	8	8	8	8.
ნაშთითი სხეუ- ლი: ოოცისტში სპორაში	—	0 +	0 ?	0 +

१८६५३६९०

1. თებერდის ნაკრძალში აკლიმატიზებული ალტაური ციყვებიდან (*Sciurus vulgaris altaicus* Serebr., 1925) მოპოვებული 410 (200 მოზარდი და 210 ზრდასრული) ციყვის ქოქციდიების შესწავლის შედეგად დადგენილია, რომ მოზარდი ციყვების 91,25%, ხოლო ზრდასრულების – 86,42%. ინვაზირებულია ქოქციდით.

2. აღტაური ციყვების კოკციდიით დასენიანების დიდი ექსტენსიონბის მიუხედავად, დასენიანების ინტენსივობა ძალზე მცირება უბირატესად 2—9 ოოცისტი მიუჩროსკოპის მხედველობის არეში. ეს უნდა აისხნას ციყვის ცხოვრებით ბუნებრივ პირობებში, რის შედეგადაც თებერდის ნაკრძალში ციყვის კოკციდოზის არც ერთი შემთხვევა არაა აღნიშვნული, მაშინ როდესაც თბილისში ჩამოყვანილი ორი მოზარდი ციყვი ვოლიიერის (ტყვეობის) პირობებში ცხოვრებისას ერთი—2 თვისა და მეორე $2\frac{1}{2}$ თვის შემდეგ დაიხოცნენ კოკციდოზისაგან.



3. კოკციდიის მომწიფებული ოოცისტების შესწავლის ჰელეგაზე მომულებული განახომები და თვით მომწიფებული ოოცისტების მორთოლოგიური შეღარება ციყვის ზოგ სხვა ფორმაში აღმოჩენილ კოკციდიების მომწიფებულ ოოცისტებან, უფლებას იძლევა დავასკვნათ, რომ თებერდის ნაკრძალში აკლიმატიზებულ ალტაურ ციყვში ნაპოვნი და შესწავლილია კოკციდიის მხოლოდ ერთი სახე, სახელდობრ, *Eimeria sciurorum Galli—Valer.*, 1922.

უხერხემლოთა ზოოლოგიის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 11. 1. 1961)

Д. МЕЛАДЗЕ

РЕЗУЛЬТАТЫ ИЗУЧЕНИЯ КОКЦИДИИ АЛТАЙСКОЙ БЕЛКИ (*Sciurus vulgaris altaicus* Serebr., 1928), АККЛИМАТИ- ЗИРОВАННОЙ В ТЕБЕРДИНСКОМ ЗАПОВЕДНИКЕ

Резюме

1. В результате изучения кокцидий у 410 (200 молодых и 210 взрослых) алтайских белок, акклиматизированных в Тебердинском заповеднике, установлено, что 91,25% молодых и 86,42% взрослых белок инвазированы кокцидиями.

2. Несмотря на высокую экстенсивность инвазирования алтайских белок кокцидиями, интенсивность инвазирования очень низкая — в среднем 2—9 ооцистов в поле зрения микроскопа. Это объясняется обитанием белки в естественных условиях, в результате чего в Тебердинском заповеднике не отмечается ни одного случая кокцидиоза белок, в то время как две молодые белки, привезенные в Тбилиси, погибли в неволе (условиях вольера) спустя 2 и $2\frac{1}{2}$ месяца от кокцидиоза.

3. Примеры, полученные в результате изучения зрелых ооцистов, а также и морфологическое сравнение самих ооцистов с ооцистами кокцидии, найденных у некоторых других форм белки, дают возможность заключить, что у белок, акклиматизированных в Тебердинском заповеднике, найден и изучен только один вид кокцидий — *Eimeria sciurorum galli* Valer., 1922.

ЛІТОГРАФІЯ

1. Galli-Valerio B., Parasitologische Untersuchungen und Beiträge zur parasitologischen Technik: Centralbl. f. Bakter. Bd. 56, 1922.
2. Догель В. А., Общая протистология, М., 1951.
3. Кирис М. Д., Протозойные и глистные инвазии и их роль в динамике численности белки. Труды Всесоюз. научно-исслед. ин-та охотничьего промысла. Вып. VIII, 1948.
4. Кобякова И. И., Динамика кокцидианосительства молодняка диких млекопитающих в зоопарках Узбекистана. Доклады АН Уз. ССР, № 10, 1960.

5. Любимов М. П., Болезни белок и зайцев. Сборник. Биология зайцев и белок и их болезни. М., 1935.
6. Меладзе Д. Д., К вопросу акклиматизации алтайской белки (*Sciurus vulgaris altaicus Serebr.*) в Грузинской ССР, Третья экологическая конференция, ч. 111, Киев, 1954.
7. მელაძე დ. დ., თებერდის ნაკრძალში აკლიმატიზირებული ალტაური ციყვის (*Sciurus vulgaris altaicus Serebr.*) რაოდენობრივი აღრიცხვა; თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჟრომები, ტ. 70, 1959.
8. მელაძე დ. დ., თებერდის სახელმწიფო ნაკრძალში აკლიმატიზებული ალტაური ციყვის (*Sciurus vulgaris altaicus Serber.*, 1928) პელმინთოფაუნა. თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჟრომები.
9. Möller J., Coccidien bei den Säugetieren des zoologischen Gartens zu Berlin: Jnaug—Dissert. Berlin, 1923.
10. Rastegai eff E. T., Zur Frage über Coccidien wilder Tiere: Arch. f. Protist., 71 b. h.3., 1930.
11. Сванбаев С. К., Фауна кокцидий диких копытных животных Казахстана, Труды Института зоологии АН. Каз. ССР, Т. V, 1956.
12. Сванбаев С. К., К познанию фауны кокцидий грызунов Центрального Казахстана, Тр. Инс—та зоологии АН. Каз. ССР, Т. IX, Алма-Ата, 1958.
13. Хейсин Е. М., Кокцидии кишечника кролика, Ученые записки Ленингр. пед. ин—тута им. Герцена, 51, 1947.
14. Хейсин Е. М., Наблюдения над остаточными телами ооцист и спор некоторых видов *Eimeria* из кролика и *Isospora* из лисицы, хорька и ежа, Зоологический журнал, т. XXXVII, Вып. 12, 1959.
15. Хейсин Е. М. и Заика В. Е., О видовом составе кокцидий карпа, Вопросы ихтиологии, вып. 15, 1960.
16. Якимов В. Л. и Васильевская В. И., О способе исследования ооцист кокцидий, „Вестн. микроб. и эпидем.“, т. IV, вып. 3, 1925.
17. Якимов В. Л., К технике исследования на кокцидиозы, „Лабораторная практика“, 9, 1930.
18. Якимов В. Л. и Растегаева Е. Ф., К вопросу о кокцидиозе кроликов, „Кролиководство“, № 6—7, 1930.
19. Якимов В. Л., Болезни домашних животных, вызываемые простейшими (Protozoa), Ветеринарнаяprotozoologia, 1931.
20. Jakimoff W. Z., Sokoloff J. J., Rastegai eff E. F., Zur Frage der Coccidien beim Eichhörnchen: Arch. f. Protist., 73 B., H. 3, 1931.
21. Якимов В. Л., К вопросу о дифференциальной диагностике кокцидий, „Лабораторная практика“ № 6, 1934.
22. Якимов В. Л., Кокцидиозы пушных животных в СССР, „Природа“, 12, 1936.



თ. მხედვე

აცხაზეთის ჯოგიერთი მცირე ზოგის ფალსატევის ტკიბების
სახეობრივი შედგენილობის შესავლისათვის

შეხავალი

უკანასკნელ დროს წყლის ტკიბები (Hydrachnellae) მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოკვლეული მათი სახეთა შედგენილობა, გავრცელება, ბიოლოგია და ფილოგენია. გარდა ამისა, წყლის ტკიბების შესწავლას პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

საქართველოში წყლის ტკიბების ფაუნა ჯეროვნად არ არის გამოკვლეული, განსაკუთრებით უცნობია ჩევნი გამდინარე წყლებისა და შედარებით დიდი ზომის ტბების ტკიბების სახეობრივი შედგენილობა და ცხოვრების ნირი.

ჩევნში სადღეისოდ წყლის ტკიბების მხოლოდ 38-მდე სახეა ცნობილი (1,23), მაშინ როდესაც ოღნიშნული ჯგუფის აქამდე აღწერილ სახეთა რაოდენობა საერთოდ 2000-ს აღმატება.

საქართველოს მრავალი დიდი და მცირე ზომის წყალსატევი, რომლებიც ნაირგვარ მიეროებიმატურ ზონებშია განლაგებული, საინტერესო ობიექტებს წარმოადგენენ წყლის ტკიბების არა მარტო ფაუნის, არამედ მათი ცხოვრების ნირის გამოკვლევისათვის. ამიტომ ინტერესმოქლებული არ არის საქართველოს სუბტროპიკული რაიონის, კერძოდ, აფხაზეთის მცირე ზომის წყალსატევთა ტკიბების ის მასალაც, რომელიც ჩევნს მიერ 1954—55 წლებში იყო შეგროვილი და დამუშავებული.

აღნიშნულ წლებში მოწყობილი ექსპედიციის დროს მასალები შევაგროვეთ შემდეგი წყალსატევებიდან: ინკიტის ტბა და ბეჭვინთის მიღამოების ზოგიერთი სხვა წყალსატევი მუდმივი და დროებითი (გაგრის რაიონი); ეშერის მიდამოების მცირე ზომის დამდგრადი და გამდინარე წყალსატევები, შუქურას მიდამოების გაუმდინარე წყალსატევი და მისი მახლობელი ჭაობიანი ადგილები; დრანდა—გაუმდინარე წყალსატევები (სოხუმის რაიონი) და ბებე-სირის ტბა (გალის რაიონი). მასალა შევაგროვეთ მდინარე გუმისთილანაც.

გარდა ამისა, შრომაში მოტანილია 1954 წელს ხობის რაიონში (ხეთა) „ჰაპაწყვილ“ ტბაში შეგროვილი მასალაც.

წყლის ტკიბებს ვაგროვებდით საფხექით და პლანქტონის ბადით. პლანქტონის ბადით ვიჟერდით პელაგურ ფორმებს, ხოლო ბენთოსურს—საფხექით. ფიქსატორად ვიყენებდით კონიკებს ხსნარს*. აღნიშნულ ხსნარიდან 2 კვირის შემდეგ მასალა საბოლოოდ გადავჭრონდა სუფთა გლიცერინში.

* 5 ნაწილი გლიცერინი, 2 ნაწილი ძმრის მჟავა, 3 ნაწილი გამოხდილ წყალი.



წყლის ტკიბების სისტემატიკური დამუშავება ჩატარებულია ქვეყლმრწერული გრაფში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში პროფესორი ი. ი. სოკოლოვის საერთო ხელმძღვანელობით და უფროს მეცნიერ-მუშავის ა. ი. იანკოვსკაიას უშუალო მონაწილეობით, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

წყლის ტკიბების სახეთა შედგენილობა და გავრცელება*

აფხაზეთის წყლის ტკიბების სახეთა შედგენილობისა და გავრცელების შესახებ ლიტერატურული ცნობები არ მოიპოვება.

1954—55 წლებში ჩვენს მიერ აფხაზეთის ზოგიერთ რაიონებში შეგროვილ მასალაში აღმოჩნდა შემდეგი სახეები:

ოჯახი *Eylaidae*

1. *Eylais mülleri* Koenike

შევაგროვეთ სოხუმის რაიონში—შუქურა 17.VII. 1954 წელს 2 ეგზემპლარი დროებით დაჭაობებულ ადგილებში, რომლის სიგრძე უდრის 102 მმ., სიგანე—2,5 მმ. წყლის ტემპერატურა 31°C, წყალსატევი დაფარული იყო საძოვარი ბალახით, ხოლო დრანდაში 18.VI. 1954 წ.—3 ეგზემპლარი მუდმივ გაუმდინარე წყალსატევიდან, რომელსაც უჭირავს 200 მმ. ფართობი. სილრმე უდრის 1 მეტრს, წყლის ტემპერატურა 27°C.

პირველადაა რეგისტრირებული როგორც აფხაზეთში, ისე საერთოდ საქართველოში.

ოჯახი *Hydrodromidae*

1. *Hydrodroma (Diplodontus) despiciens* (Müller)

აღნიშნული სახე 1948—49 წლებში შევაგროვეთ ბაზალეთის ტბაში (ლუ-შეთის რაიონი) და ბაკურიანის მცირე ზომის წყალსატევებში (1). ამის შემდეგ 1954 წ. VIII შევაგროვეთ ინკიტის ტბაში 4♂ და 3♀. დრანდაში — მუდმივ წყალსატევიდან. წყალი სუფთა, ტემპერატურა 27°C. 18.VII 1954, 10 ეგზემპლარი და ხეთაში (ხობის რაიონი) 1954 VIII. 52♂ 2♀ გაუმდინარე წყალსატევიდან. H. (*Diplodontus*) *despiciens*-ი ეწევა პლანქტონურ ცხოვრებას, გაურბის გატე-ჭყიანებულ წყალს. ხასიათდება მტაცებლობისა და პარაზიტობის დიდი უნა-რით. ხშირად პარაზიტობს კოლოს მატლებზე და წყლის ბალლინჯოებზე.

გავრცელებულია თითქმის ყველა მუდმივ წყალსატევში, სადაც არ არის დიდი რაოდენობით ორგანული ნივთიერება.

აფხაზეთში პირველადაა რეგისტრირებული.

ოჯახი *Limnesiidae*

1. *Limnesia maculata* maculata (Müller)

1954—55 წლებში შევაგროვეთ ბებესირის ტბაში 3♂. 1♂ 15.VIII 55 წ. და ხეთაში 5 VIII 54 წ. 3♀. თითოეულ დედალში კვერცხების რაოდენობა შეადგენდა 6—7—8 ცალს.

* სისტემატიკური ნაწილი დალაგებულია კ. ფიცის (Viets K., 4) სისტემის მიხედვით.

აფხაზეთის ზოგიერთი მცირე ზომის წყალსატევის ტკიბების გამოკვლევისათვის

პირველადაა რეგისტრირებული როგორც აფხაზეთში, ისე საქართველოში საქართველოში.

2. *Limnesia undulata* undulata (Müller)

შევაგროვეთ ბიჭვინთის მცირე ზომის გამდინარე წყალსატევში 2♀, 1954
14 VII და ხეთაში (ხობის რაიონი) 1954 5 VIII, 3♂, 1♀.

პირველადაა რეგისტრირებული როგორც აფხაზეთში, ისე საერთოდ საქართველოში.

ოჯახი *Hygrobatidae*

1. *Hygrobates* (s. str.) *calliger* Piersig

შევაგროვეთ მდინარე გუმისთაში (სოხუმის ჩ.) 2 ეგზემპლარი 1955 წ.
10 VIII.

დამახასიათებელია სუფთა გამდინარე წყლებისათვის.

პირველადაა რეგისტრირებული როგორც აფხაზეთში, ისე საერთოდ საქართველოში.

2. *Hygrobates* (s. str.) *fluviatilis* (Ström)

გვხდება მდინარე გუმისთაში 1♂, 1♂, 1955 წ. 10 VIII. გავრცელებულია
მდინარეებში.

პირველადაა რეგისტრირებული როგორც აფხაზეთში, ისე საერთოდ საქართველოში.

3. *Hygrobates* (s. str.) *foreli* (Lebert).

შევაგროვეთ ეშერში 2♂, 1954 წ. 17 VII. წყაროს ტიპის გამდინარე წყალსატევიდან და ხეთაში 1♀, 1♂ 1954 VII დამდგარ წყალსატევში. სტენო-
თერმული ფორმაა. ცხოვრობს როგორც გამდინარე, ისე გაუმდინარე მცირე
და დიდი ზომის წყალსატევში.

პირველადაა რეგისტრირებული როგორც აფხაზეთში, ისე საერთოდ საქართველოში.

4. *Hygrobates* (s. str.) *longipalpis* (Hermann)

საქართველოსათვის 1948 წლამდე აღნიშნული არ იყო (1). 1954 წელს
შევაგროვეთ ეშერში სხვადასხვა სახის წყალსატევიდან: წყაროდან გამდინარე
წყალი, რომლის სიგრძე უდრის 1,5 კილომეტრს, სიგანე—2,5 მეტრს, სიღრ-
მე კი—0,5 მეტრს. წყალი ცივი, t უდრის 13°C. ირგვლივ იწვევს დაჭიობებას.
შევაგროვილია 15 ეგზემპლარი (8♀, 3♂, 4 ნიმფა), დედლებში კვერცხების რაო-
მენობა უდრის 40-ს. 17. VII 1954. იგივე წყალსატევში 18.VIII 54 შევაგ-
როვეთ 9 ეგზემპლარი. დედლებში კვერცხების რაოდენობა უდრიდა 39—40
ცალს, ხოლო 20 VII 54 წელს იგივე მასალა ვნახეთ (1♀ 1♂) წყაროს ტიპის
მუდმივ წყალსატევში. წყალსატევი გამდინარეა, უღრთდება ზღვას, უჭირავს
0,5 ჰა ფართობი, სიღრმე უდრის 1 მეტრს, t უდრის 17°C.

გავრცელებული სახეა. ხშირია გამდინარე და დამდგარ წყალსატევში.
აფხაზეთში პირველადაა რეგისტრირებული.

ოჯახი Unionicidae

Unionicola Sp.



შევაგროვეთ ბებესირის ტბაში 2 ეგზემპლარი ნიმფის ფაზაში 18 VIII 55 წ. ამ ოჯახის წარმომადგენლებისათვის დამახასიათებელია პარაზიტობის ღილი უნარი. თითქმის ყველა ფაზაში პარაზიტობს ორსაგდულიანების (უნიო, ანოდონტი) ლაყუჩებზე.

პირველად აღინიშნება როგორც აფხაზეთში, ისე საერთოდ საქართველოში.

ოჯახი Pionidae

1. *Piona* (s. str.) nodata (Müller)

1948 წელს პირველადაა რეგისტრირებული საქართველოში (1), ხოლო 1954 წლის 27 VII შევაგროვეთ შუქურაშიც 2♀ (კვერცხების რაოდენობა უდრიიდა 9-ს) დამდგარ წყალსატევში და ჭაობიან აღგილებში, სადაც მრავლად იყო წყლის მცენარეები.

აფხაზეთში პირველად აღინიშნება.

2. *Piona* (s. str.) carnea (Koch)

ეს სახეც შევაგროვეთ შუქურაში დამდგარ ტბაში და ჭაობიან აღგილებში. 27 VIII 1954 წელს 1♂.

პირველადაა რეგისტრირებული აფხაზეთსა და საერთოდ საქართველოში.

ოჯახი Arrenuridae

1. *Arrenurus* (s. str) radiatus Piersig

საქართველოში მისი გავრცელების შესახებ ლიტერატურაში არავითარი მონაცემები არ არის.

1954 წლის 22 VII შევაგროვეთ ინჯიტის ტბაში 1 ♂ და 1 ნიმფა. პირველად აღინიშნება აფხაზეთსა და საერთოდ საქართველოში.

2. *Arrenurus* (Megaluracarus) buccinator (Müller), syn.
(A. Meg.) caudatus (de Geer)

შევაგროვეთ ეშერში 2♀, 2♂, 2 ნიმფა 1954 წლის 24 VII. მასალა აღებულია მუდმივი წყაროს ტიპის წყალსატევიდან, რომელიც 2 მ² ფართობისაა, ირგვლივ იწვევს დაჭაობებას. წყალი სუფთაა, წყლის t უდრის 16°C.

პირველად აღინიშნება როგორც აფხაზეთში, ისე საერთოდ საქართველოში.

დასტვები

1. 1954—1955 წლებში ჩვენს მიერ მოწყობილი ექსპედიციის დროს აფხაზეთის მცირე ზომის (მუდმივი, დროებითი) წყალსატევებში შეგროვილია წყლის ტიპების 13 სახე: *Eylais mülleri* Koenike; *Hydrodroma* (*Diplodon-tus*) *despiciens* (Müller); *Limnesia maculata* *maculata* (Müller); *Limnesia undulata* *undulata* (Müller); *Hygrobates* (s. str.) *caliger* Piersig; *Hygrobates* (s. str.) *fluviatilis* (Ström); *Hygrobates* (s. str.) *foreli* (Lebert.); *Hyg-*

robates (s. str.) longipalpis (Hermann); Unionicola sp.; Piona (s. str.) nodata (Müller); Piona (s. str.) carnea KocL; Arrenurus (s. str.) radiatus Piersig; Arrenurus (Megaluracarus) buccinator (Müller) syn. A. (Megaluracarus) caudatus (de Geer), რომელიც პირველადაა ჩეგისტრირებული აფხაზეთში.

2. ზემოთ დასახელებულ სახეთა შორის საქართველოში პირველადაა აღნიშნული 10 სახე: Eylais mülleri Koenike; Limnesia maculata maculata (Müller); Limnesia undulata undulata (Müller); Hygrobates (s. str.) caliger Piersig; Hygrobates (s. str.) fluviatilis (Ström); Hygrobates (s. str.) foreli (Lebert.); Unionicola Sp.: Piona (s. str.) carnea (KocL); Arrenurus (s. str.) radiatus Piersig; Arrenurus (Megaluracarus) buccinator (Müller) Syn. A. (Megaluracarus) caudatus (de Geer).

3. აფხაზეთის მცირე ზომის წყალსატევებში ტიპიურ ფორმადებებს და მასობრივადაა გავრცელებული: Hydrodroma (Diplodontus) despiciens (Müller) და Hygrobates (s. str.) longipalpis (Hermann).

უნერხემლოთა ზოოლოგის
გათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 2. 7. 1960)

Т. МХЕИДЗЕ

К ИЗУЧЕНИЮ ВИДОВОГО СОСТАВА ВОДЯНЫХ КЛЕЩЕЙ НЕКОТОРЫХ МЕЛКИХ ВОДОЁМОВ АБХАЗИИ

Резюме

В течение 1954—55 гг. нами изучался видовой состав водяных клещей мелких водоёмов (постоянных и временных) Абхазии.

После проработки собранного материала в означенных водоёмах Абхазии оказалось 13 видов клещей: Eylais mülleri Koenike; Hydrodroma (Diplodontus) despiciens (Müller); Limnesia maculata maculata (Müller); Limnesia undulata undulata (Müller); Hygrobates (s. str.) caliger Piersig; Hygrobates (s. str.) fluviatilis (Ström); Hygrobates (s. str.) foreli (Lebertia); Hygrobates (s. str.) longipalpis (Hermann); Unionicola sp.; Piona (s. str.) nodata (Müller); Piona (s. str.) carnea (KocL); Arrenurus (s. str.) radiatus Piersig; Arrenurus (Megaluracarus) caudatus (de Geer), которые для Абхазии зарегистрированы впервые.

Из перечисленных выше видов для Грузии впервые отмечаются следующие 10 видов: Eylais mülleri Koenike; Limnesia maculata maculata (Müller); Limnesia undulata undulata (Müller); Hygrobates (s. str.) caliger Piersig; Hygrobates (s. str.) fluviatilis (Ström); Hygrobates (s. str.) foreli (Lebert.); Unionicola sp.; Piona (s. str.) carnea (KocL); Arrenurus (s. str.) radiatus Piersig; Arrenurus (Megaluracarus) buccinator (Müller) Syn. A. Megaluracarus caudatus (de Geer).

Типичными формами, массово распространенными в мелких водоёмах Абхазии, являются: Hydrodroma (Diplodontus) despiciens (Müller) и Hygrobates (s. str.) longipalpis (Hermann).



ლიტერატურა

თბილისის უნივერსიტეტი

1. მხეიძე თ., მასალები აღმოსავლეთ საქართველოს მცირე ზომის წყალსატევების ტკიბების ფაუნის შესწავლისათვის. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 46, 1952.
 2. Соколов И. И., К познанию фауны гидракарин Кавказа, Раб. Сев.—Кавк. гидробиолог. ст., т. II, Вып. I, 1927.
 3. Соколов И. И., Hydracarina—водяные клещи (ч. I, Hydrachnellaе); Фауна СССР, Паукообразные, V, Вып. 2, 1940.
 4. Viets K., Die Milben des Süsswassers und des Meeres Hydrachnellaе et Halarcaridae (Bibliographie, Katalog, Nomenklatur). 1956.
-

გრ. ჯავალიძე

გურიის გრანატი წყლის მოლუსკების გამოკვლევა

შესაგალი

საქართველოს მტკნარ წყლებში გავრცელებულ რბილსხეულიანთა შესახებ ცნობებს ვხვდებით რიგ შრომებში (3, 4, 5, 7, 9). მიუხედავად ჩატარებული მუშაობისა, ჯერ კიდევ არ ვგაქვს სრული მონაცემები ამა თუ იმ რაონის მტკნარ წყლებში ბინადარ მოლუსკთა შესახებ. იგივე ითქმის გურიის მტკნარ წყლებში გავრცელებულ რბილსხეულიანებზე.

მოლუსკების მნიშვნელობის შესახებ ცნობებს ვხვდებით რიგ შრომებში (1, 4).

გურიის მტკნარ წყლებში გავრცელებული უნიობის ნიუარა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სადაფის ღილების დასამზადებლად, ხორცი კი—ცხოველების საკვებად.

დღემდე საკვლევი მიღამოების მტკნარი წყლის მოლუსკები შედარებით ნაკლებად იყო შესწავლილი.

წყალსატევები, რომლებშიაც მოლუსკებია მოპოვებული

გურიის მთავარი მდინარეებია: სუფსა, გუბაზაული, ბახვისწყალი, ნატანები, ბუუჭი, ფიჩორი და აცაურა.

დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ გურიის მიღამოები ვაკეა, ალაგ-ალაგ ჭაობიან აღგილებსაც ვხვდებით, ხოლო აღმოსავლეთით მთაგორიანია, მდიდარია ლელეებითა და წყაროებით. მრავლად მოიპოვება მცირე ზომის წყალსატევები.

მდ. სუფსა სათავეს იღებს მეტისწყაროდან (2700 მ. ზ. დ.) (2). მდინარის სიგრძე შავი ზღვის შესართავამდე 93 კმ-ია., მდინარის საშუალო სიგანე—25—28 მ., ხოლო სათავესთან ახლოს კი 2—4 მ. სოფ. ბუკისციხემდე მდ. სუფსა ჩქარა მიედინება დიდი დაქანების გამო, შემდეგ კი შედარებით უფრო მდორედ. სოფ. ნაგომრამდე მდ. სუფსას ერთვის მდ. გუბაზეული, რომლის სათავე გომისციხის მიღამოებში იწყება (2250 მ. ზ. დ.). გუბაზეულის სიგრძე 45 კმ-ია (2). სათავეიდან 6 კმ-ის შემდეგ მას ერთვის მისი მთავარი შენაკადი ხანისწყალი. ამ შენაკადის სათავე—2300 მ. ზ. დ. გუბაზეულს აგრეთვე ერთვის მდ. საშუალა, ჩხაკოურა, კალაშა, ლუგუბა და სხვა. გუბაზეული მდ. სუფსას სოფ. ზომლეთთან უერთდება. ნიგოითის ქედიდან სათავეს იღებს მდ. აცაურა. იგი მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით და ქვემო-კეთის ბოლოს შეერთვის მდ. სუფსას. მდ. სუფსის მარჯვენა შენაკადს წირ-მოადგენს აგრეთვე მდ. შავწყალა (შავწყალა სოფ. გრიგოლეთთან შეერთვის სუფსას).

ბახვისწყალი სათავეს იღებს აჭარა-გურიის ქედიდან (მთა კარტველის კალო, (2650 მ. ზ. დ.) (2) და მისი სიგრძე სუფსის შესართავამდე 40 კმ-ია. მდ. ნატანები საწყისს იღებს აჭარა-გურიის ქედიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთი საყორნია 2600 მ. ზ. დ.). სოფ. მახარაძესთან მდ. ნატანებს ერთვის მდ. ბეუჯი, ეს უკანასკნელი სათავეს იღებს ხინოს მთიდან (2500 მ. ზ. დ.). (2). ბეუჯის ერთვის აჭარისწყალი. ბეუჯის სიგრძეა 32 კმ. მდ. ჩოლოქი, რომელიც მიედინება მდ. ნატანების პარალელურად, სათავეს იღებს ელიას ციხიდან (900 მ. ზ. დ.). მდ. ჩოლოქს მარჯვნივ ერთვის შარისწყალი.

მდ. ფიჩორი სათავეს იღებს ნიგოითის ქედიდან სოფ. ქვიანის მიღა-მოებში. 2—3 კილომეტრის შემდეგ ჩაედინება კოლხეთის არხში და ერთვის პალიასტომის ტბას. ფიჩორის სიგრძეა 61 კმ. მისი წყალტევადობა მეტად ცვალებადია. ხევისწყალი საჭამიასერის მახლობლად მიედინება. იგი ყოფს გურიის იმერეთისაგან. გურიის აღმოსავლეთ ნაწილში, მის აღმარტინი, გურიის საზღვარზე მდებარეობს ჯაჯის ტბა, რომელშიაც ლიტერატურული წყაროების (2) მიხედვით მოლუსკები არ ბინადრობს.

გურიის ჩრდილო-დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში (ლანჩხუთის რაიონი) მოიპოვება ტბები, რომელთაგან აღვწერთ ზოგიერთს.

ტბა ჯაპანა. მდინარეული წარმოშობისაა (10), იგი იმყოფება რიონის ყოფილ ტერასაზე. ტბის სარკე 14 ჰექტარს აღწევს. მაკროფიტებიდან მასში გავრცელებულია: ლელი (Graminaceae), ღუმფარა (Nymphaeaceae), „ეშმაკის თხილი“ (Trapa colchica N. Alb.) და სხვა.

ტბა ჭოლაბა. ტბის სარკე 40 ჰექტარია, იგი ზაფხულობით თითქმის შრება. მას ერთვის მდ. ოკვარე. კოლხიდმშენის არხით ტბა დაკავშირებულია მდ. ფიჩორთან. ჭოლაბას მახლობლად მოწყობილია საკოლმეურნეომათაშორისი მეფეინველების ფერმა.

ტბა გრიგოლეთი. ტბის სარკე 11 ჰექტარია. იგი მდ. სუფსის ყოფილ ტერასაზე მოთავსებულია. ადგილობრივი მცხოვრები მას „ნასუფსარს“ უწოდებენ. ტბა ზაფი ზღვის ნაპირიდან 150—200 მეტრითაა დაშორებული. ზღვის დლიერი ღელვის დროს წყალი შემოღის ტბაში. დასახელებულ ტბაში მაკროდლიტებიდან გავრცელებულია: ღუმფარა (Nymphaeace), „ეშმაკის თხილი“ (Trapa colchica N. Alb.), ოჯახი (Hydrocarynaceae).

ტბა ჭვათირი. ჭვათირის ტბა სოფ. ლესას მიღამოებშია და მისი სარკე 1,5—2 ჰექტარს აღწევს. წყლის სიღრმე მერყეობს 1,5—2 მეტრამდე. გამდინარი ტბაა. ტბაში გავრცელებულია: ყვითელი ზამბახი (Iris pseudocorus L.) და „ეშმაკის თხილი“ (Trapa colchica N. Alb.).

ტბა ჭვათირი. ჭვათირის ტბა გრიგოლეთი. ტბების გარდა ჩვენს მიერ მოლუსკები მოპოვებული იყო: ღელებიდან, წყაროებიდან, ტბორებიდან და მცირეზომის წყალსატევებიდან, რომლებიც მრავლად მოიპოვებიან გურიის მიღამებში.

მასალა და მუშაობის შეთოდი

1958, 59, 60 წლებში ჩვენ შევისწავლეთ გურიის (მახარაძის, ჩოხატაურის, ლანჩხუთის რაიონების) მტკნარ წყლებში გავრცელებული ჩბილსხეულიანები. მასალის მოპოვება ხდებოდა ცნობილი მეთოდით.

ექსპედიციის დროს შეგროვილი მოლუსკების გამოკვლევა ჩვენს მიერაც ჩატარებული. ნაშრომში მოცემულია ნიერისა და ნიერის ბაგის განაკვეთების ოთხი მიმართულებით, რაც შედარებულია ლიტერატურაში არსებულ მონაცემებთან.

გურიის მტკნარ წყლებში გავრცელებული მოლუსკები

ქვემოთ მოცემულია ცნობები იმ მოლუსკების შესახებ, რომლებიც ჩვენს მიერაა მოპოვებული გურიის მტკნარ წყლებში.

ტიპი მოლუსკები — Mollusca

კლასი მუცელფეხიანები — Gastropoda

ქვეკლასი ფილტვიანები — Pulmonata

ოჯახი ლიმნეუსები — Limnaeidae

გვარი რადიქსები — Radix Montfort, 1810.

Radix ovata (Draparnaud, 1805).

ლიტერატურის (4) მიხედვით Radix ovata საბჭოთა კავშირის სხვა აღგი-ლებთან ერთად გავრცელებულია ზავი ზღვის, აუზში, ამიერკავკასიაში.

განაზომები მმ-ში

	ნიერა		ბაგე	
	სიმაღლე	სიგანე	სიმაღლე	სიგანე
ლიტერატურის მიხედვით	25—30	20—30	23-მდე	17-მდე
საკუთარი მასალით	17—26	17—21	12—15-მდე	10—13-მდე

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპიური ფორმებისაგან რამდენადმე განსხვავდება — უფრო მცირე ზომისაა. ეს სხვაობა ეკოლოგიური პირობებით უნდა აისნას. საკვებ ნიერიებასთან ერთად ნიერის სიდიდეზე გავლენას ახდენს წყლის ქიმიური შედგენილობა და სხვა ფაქტორებიც.

Radix ovata ჩვენს მიერ ნაპონია მდ. სუფსის მარჯვენა ნაპირის წყალ-სატევებში (სოფ. ნაგომარის მახლობლად, 10. VII. 58), მდ. აცაურას, „ნარიონალის“, სოფ. ჭანჭათისა და ლანჩხუთის მიდამოების მტკნარ წყლებში (25. V. 4. XI. 1960). აღრიცხულია 43 ეგზემპლარი.

ლიტერატურული (1,7) მონაცემებით ირკვევა, რომ Radix ovata ზუ-ლედი მასპინძელია: მწოველა ჭიის Dolichasaccus rastellus (Ollsson, 1876), აგრეთვე დამატებითი მასპინძელი — Echinoparyphium recurvatum-ის (Linstow, 1873).

Radix lagotis (Schrank, 1803)

ვ. უადინის (4) მიხედვით Radix lagotis საბჭოთა კავშირის სხვა აღგი-ლებთან ერთად გავრცელებულია კავკასიაში.

	ნიჟარა		ბაგე	
	სიმაღლე	სიგანე	სიმაღლე	სიგანე
ლიტერატურის მიხედვით	9—20—21	5—14—21	6—16—21	3—10—12
საკუთარი მასალით	10—19	8—17	9—12—15	5—8—11

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპიური ფორმებისაგან თითქმის არ განსხვავდება.

Radix lagotis. ნაპოვნია: მდ. ნაღინების, ხევისწყალისა და ლანჩხუთის მიღამოების წყალსატევებში (18. VII. 59, 25. X. 60).

მოპოვებული იყო 25 ეგზემპლარი.

გვარი — Galba Schrank, 1803
Galba palustris (Müller, 1774)

ლიტერატურული (4) წყაროების თანახმად *Galba palustris* სხვა ადგილებთან ერთად ამიერკავკასიის მტკნარ წყლებშიცა გავრცელებული.

განაზომები მმ-ში

	ნიჟარა		ბაგე	
	სიმაღლე	სიგანე	სიმაღლე	სიგანე
ლიტერატურის მიხედვით	20—22	10	10	6
საკუთარი მასალით	15—22	6—11	11	7

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპიური ფორმებისაგან არ განსხვავდება.

Galba palustris ნაპოვნია: საღ. ნატანებისა, მერიის, სოფ. ზომლეთის, ჯაბანის და „ნარიონალის“ მიღამოთა წყალსატევებში (15. V. 58, 30 V 59, 27. X. 60). „ნარიონალის“ წყლის ტემპერატურაა $17^{\circ} C$.

ცნობილია (1,7), რომ *Galba palustris* შუალედი მასპინძელია მწოველი ჭიათურების *Opistogliphe rane* (1711), Looss, 1907. ხოლო *Hypoderæum conoidium* (Bloch, 1782)-ისათვის კი დამატებითი მასპინძელია. აღრიცხულია 17 ეგზემპლარი.

Galba truncatula (Müller, 1774)

საქართველოს მტკნარ წყლებში *Galba truncatula*-ს გავრცელების შესახებ ცნობებს ვხვდებით რიგ შრომებში (4). გურიის მიღამოებში ჩვენს მიერ მოპოვებული *Galba truncatula*-ს ეგზემპლარები ტიპიური ფორმებისაგან არ განსხვავდება. აგრეთვე ცნობილია ის დიდი უარყოფითი ექონომიური მნიშვნელობა.

ლობა, რაც *Galba truncatula*-ს აქვს როგორც შუალედ მასპინძელს ფასცოვანი ლოზის გავრცელებაში.

ჩვენს მიერ *Galba truncatula* ნაპოვნი იყო: სოფ. ნაგომარის, ბახვის, ვაკიჯვარის, კონჭკათის, ბასილეთის, ჭავიეთის, ბუქსიეთის, ხევის, ნაბელლავის, ქვაბლას, ჩოხატაურის, ბურნათის, კოხნარის, საჭამიასერის, ლესის, აცაურას მიღამოთა წყალსატევებიდან (15. V—27. VII 58, 28. VIII 19. VIII, 20—X. 59, 27. VIII, 30. X. 60).

Galba truncatulas-ს გავრცელების სიხშირე ზოგიერთ წყალსატევში 1 გ² 10—15 ეგზემპლარს აღწევდა. აღრიცხულია 35 ეგზ.

ოჯახი Physidae

გვარი *Physa* (Draparnaud, 1801)

Physa acuta (Drap, 1806)

ვ. უაღინს (4) *Physa acuta*-ს გავრცელება აღნიშნული აქვს საბჭოთა კავშირის მტკნარ წყლებში, მათ შორის დასავლეთ საქართველოში. გ. კოქოჩაშვილის (6) შრომის მიხედვით დასახელებული მოლუსკი გვხვდება ბათუმის მიღამოების წყალსატევებში. იმავე ნაშრომში აღნიშნულია *Physa acuta*-ს მოპოვების 12 ადგილი.

ჩვენს მიერ *Physa acuta* ნაპოვნი იყო: ნატანების, ურეკის, ბახვისწყალის, მდ. სუფსის, ნადინების, გუბაზეულის, ხევისწყალის, აცაურას და ფიჩორის მიღამოთა მტკნარ წყლებში. აგრეთვე დასახელებული მოლუსკი მასობრივ იყო გავრცელებული გრიგოლეთის, ჭოლაპას, ჯაპანას და ჭვათირის გად ტბაში. ზოგიერთ წყალსატევში *Physa acuta*-ს გავრცელების სიხშირე 1 გ² 15—20 ეგზემპლარს აღწევდა (12. V. 8. VIII. 58 25. V. 22. VII. 26. X. 59, 23. 20. VIII. 3. XI. 60). აღრიცხულია 65 ეგზემპლარი.

როგორც ზემომოყვანილი ცნობებიდან ჩანს, *Physa acuta* გურიის მიღამოების მტკნარ წყლებში თითქმის ყველგანაა გავრცელებული. ლიტერატურული (8) მონაცემებით *Physa*-ს გვარში გაერთიანებული ზოგიერთი სახე ექინოსტომური ჭიის შუალედი ან ღამატებითი მასპინძელია.

ოჯახი Planorbidae

გვარი *Planorbis* (Geofferg, 1767)

Planorbis planorbis (L. 1758)

ლიტერატურული წყაროების (4,7) მიხედვით, *Planorbis planorbis*-ი გავრცელებულია შავი ზღვის აუზში.

ჩვენს მიერ ნაპოვნი ეგზემპლარები ტიპიურ ფორმებთან შედარებით არ განსხვადება. *Planorbis planorbis* ნაპოვნი იყო: რუისწყალში, ხევისწყალსა და ზომლეთის მიღამოებში არსებულ წყალსატევებში. ჩოხატაურის რაიონში (24. V. 21. VII. 25. X. 1959) აღრიცხულია 15 ეგზემპლარი.

ცნობილია (8), რომ *Planorbis planorbis*-ი ექინოსტომური ჭიის (*Pata-gifer bilobus*-ის 1819) შუალედი მასპინძელია.

ოჯახი—Aculyidae

გვარი—*Ancylus* Muller, 1774

Ancylus fluviatilis (Baur, 1882)

ვ. უაღინის (4) მიხედვით *Ancylus fluviatilis*-ის გავრცელება აღნიშნულია კასპიისა და შავი ზღვის აუზებში.

განაზომები მმ-ში



	ნიუარა		
	სიგრძე	სიგანე	სიმაღლე
ლიტერატურის მიხედვით	5	5	4
საკუთარი მასალით	6—8	5—6	4—5

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ აღრიცხული ეგზემპლარები ტიპიზურთან შედარებით მცირედით განსხვავდება. უფრო დიდი ზომისაა. ეს თავისებურება წყალსატევის ტიპის, საკვები ნივთიერებისა და წყლის ქიმიზმით უნდა აისანას. ანცილუსები წყალსატევში ქვემზეა მიმაგრებული, ისინი ლიტერეონფილური ფორმებია.

ჩვენს მიერ *Ancylus fluviatilis*-ი ნაპოვნი იყო: ბახვისწყალის, ნატანების, ბეჭუჭის, მდ. სუფსის, გუბაზეულის, რუისწყალსა და სოფ. მამათის მიღამოების წყალსატევებში (8. V—10. VII. 58, 23. X. 59, 27. V. 25. V. 60).

მოპოვებული იყო 48 ეგზემპლარი.

ქვეკლასი წინალაყუჩიანები—*Prosobranchia*
ოჯახი—*Viviparidae*

გვარი—*Viviparus* Montfort, 1810

***Viviparus viviparus* (L. 1758)**

ლიტერატურის (4,5) მიხედვით *Viviparus viviparus*-ი გავრცელებულია საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებთან ერთად, ზავი ზღვის აუზში, პალიასტომის ტბასა და ბათუმის მიდამოების წყალსატევებში.

განაზომები მმ-ში

	ნიუარა		ბაგე	
	სიმაღლე	სიგანე	სიმაღლე	სიგანე
ლიტერატურის მიხედვით	40	28	—	—
საკუთარი მასალით	42	31	19	16

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპიზურ ფორმებთან შედარებით დიდი ზომისაა; ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ლანჩქუთის რაიონის წყალსატევებში აღრიცხული ეგზემპლარები.

Viviparus viviparus-ი ნაპოვნი იყო: მდ. ზარისწყლის, შეკვეთილის, ყურეფის, ფიჩორისა და გრიგოლეთის ტბაში. მდ. ზარისწყალსა და ფიჩორში *Viviparus viviparus*-ის გავრცელება 1 მ² 10—15 ეგზემპლარს აღწევდა. (7. V. II. VIII. 58, 25. X. 4. XI. 60).

მოპოვებული იყო 65 ეგზემპლარი.

ცნობილია (8), რომ *Viviparus viviparus*-ი ზოგიერთი ექინოსტომური ჭიის შუალედი და დამატებითი მასპინძელია.

ოჯახი—Melaniidae
გვარი—*Melanopsis* Ferusac, 1807

მართველი
გიგანტური

Melanopsis praerosa var *mingrelica* (Bayer, 1863)

ვ. უდინის (4) მიხედვით *Melanopsis praerosa* var. *mingrelica*-ს გავრცელება საბჭოთა კავშირის სხვა აღილებთან ერთად აღნიშნულია შავი ზღვის აუზში.

ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპიურ ფორმებთან შედარებით მორფოლოგიური ნიშნით არ განსხვავდება.

Melanopsis praerosa var. *mingrelica* ნაპოვნი იყო მდ. ყურეფას, წყალწითელას, ბეუეისა და აცაურას მიდამოების მტკნარ წყლებში (17. V. 6. XIII, 58, 23. X. 60).

აღრიცხულია 45 ეგზემპლარი.

კლასი ორსაგდულიანები—*Bivalvia*
გვარი უნიო—*Unio* Philipsson, 1788

Unio tumidus (Philipsson, 1788)

Unio tumidus-ის გავრცელება დასავლეთ საქართველოს მტკნარ წყლებში აღნიშნულია რიგ შრომებში (3, 4, 5).

განაზომები მმ-ში

	ნიჟარა		
	სიგრძე	სიმაღლე	დიამეტრი
ლიტერატურის მიხედვით	60—90	30—40	25—35
საკუთარი მასალით	72—94	36—38	27—29

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპიური ფორმებისაგან არ განსხვავდება.

მომწვანო-მოყავისფერი ნიერა სოლისებურია. მკეთრად შეინიშნება ზრდის ზონა. საღაფის ზრე თეთრია. ნიერა მასიურია, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს სადაფის ღილების დასამზადებლად.

კარდინალური და ლატერალური კბილაკები კარგადაა წარმოქმნილი.

Unio tumidus-ი ნაპოვნი იყო: გრიგოლეთის ტბაში და „ნარიონალში“ (5. X. 60).

აღრიცხულია 27 ეგზემპლარი.

Unio sieversi (Droulf, 1881)

ლიტერატურის (4,5) მიხედვით *Unio sieversi*-ი გავრცელებულია შავი ზღვის აუზში.

განაზომები მმ-ში

	ნიჟარა		
	სიგრძე	სიმაღლე	დიამეტრი
ლიტერატურის მიხედვით	50—53	26—29	16,5—18
საკუთარი მასალით	46—48—51	25—29	15—19

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპური ფორმებისაგან არ განსხვავდება.

Unio sieversi ნაპოვნი იყო გრიგოლეთის ტბაში (ლანჩხუთის რაიონი) (4. X. 60). აღრიცხულია 4 ეგზემპლარი.

გვარი ანოდონტა—*Anodonta* Lamark, 1799

Anodonta cellensis (Schröter, 1779)

Anodonta cellensis-ის გავრცელების შესახებ ცნობები მოტანილია რიგ შრომებში (3, 4).

განაზომები მმ-ში

	ნიჟარა		
	სიგრძე	სიმაღლე	დიამეტრი
ლიტერატურის მიხედვით	90—160	42—70	30—50
საკუთარი მასალით	114—125	64—70	30—37—48

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპური ფორმებისაგან არ განსხვავდება.

Anodonta cellensis-ი გამოიყენება თევზებისა და შინაური ფრინველების საკვებად.

Anodonta cellensis-ი ნაპოვნი იყო მდ. შეკვეთილში (10. VIII. 1958). აღრიცხულია 15 ეგზემპლარი.

Anodonta piscinalis (Nilsson), 1822

ლიტერატურული წყაროების (4, 5) მიხედვით *Anodonta piscinalis*-ი გავრცელებულია შავი ზღვის აუზში.

განაზომები მმ-ში

	ნიჟარა		
	სიგრძე	სიმაღლე	დიამეტრი
ლიტერატურის მიხედვით	109	65	35
საკუთარი მასალით	120	68	42

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ მოპოვებული ეგზემპლარები ტიპიური ფორმებისაგან თითქმის არ განსხვავდება.

Anodonta piscinalis-ი ნაპოვნია: გრიგოლეთის ტბაში და „ნარიონალში“ ჭაბანას მიღამოები (23. X. V. XI. 1960).

აღრიცხულია 35 ეგზემპლარი

გვარი—Pisidium c. Pfeiffer, 1821

Pisidium (Eupisidium) casertanum (Poli. 1791)

Pisidium casertanum-ის გავრცელების შესახებ ცნობები გვხვდება შრომებში (4, 7).

განაზომები მმ-ში

	ნიჟარა		
	სიგრძე	სიმაღლე	დიამეტრი
ლიტერატურის მიხედვით	4	3,8	3
საკუთარი მასალით	6	5	4

როგორც განაზომებიდან ჩანს, ჩვენს მიერ ნაპოვნი ეგზემპლარები ტიპიური ფორმებისაგან მცირედით განსხვავდება. უფრო დიდი ზომისაა. Pisidium casertanum-ი ნაპოვნია: მდ. ბახვისწყლის, ნატანების, სოფ. ბასილეთის, ქვაბლის და „ნარიონალის“ მიღამოთა წყალსატევებში (27. VII. 58. 23. VI. 59, 28. X. 60).

აღრიცხულია 29 ეგზემპლარი.

დასკანა

1958, 59, 60 წლებში ჩვენს მიერ ექსპედიციების დროს გურიის მიღამების მტკნარი წყლებიდან შეგროვილი მასალის შესწავლის საფუძველზე აღრიცხულია მოლუსკების 14 სახე: Radix ovata, Radix lagotis, Galba planistris, Galba truncatula, Physa acuta, Planorbis planorbis, Ancylus fluviatilis, Viviparus viviparus, Melanopsis praerosa var. mingrelica, Unio tumidus, Unio sieversi, Anodonta cellensis, Anodonta piscinalis, Pisidium (Eupisidium) casertanum.

ზემოდასახელებული მოლუსკებიდან უფრო მეტადაა გავრცელებული: Radix ovata, Galba truncatula, Physa acuta, Viviparus viviparus. Unio tumidus-ის, Anodonta piscinalis-სა და Anodonta cellensis-ის ხორცი გამოიყენება ცხოველების საკვებად, ხოლო Unio tumidus-ისა და Anodonta piscinalis-ის ნიჟარა — სადაფის ღილების დასამზადებლად.

საკვლევი მიღამოების მტკნარ წყლებში გავრცელებული მოლუსკების მიკროარეალები პირველად ჩვენს მიერაა დაღგენილი.

უხერხებლოთა ზოოლოგიის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 25. 1. 1961)

Г. ДЖАВЕЛИДЗЕ

ИССЛЕДОВАНИЕ ПРЕСНОВОДНЫХ МОЛЛЮСКОВ ГУРИИ

Резюме

О фауне пресноводных моллюсков Гурии до настоящего времени имеются весьма скучные данные.

В работе излагается значение пресноводных моллюсков,дается краткое описание водоемов, где были найдены моллюски.

В результате проведенных исследований автором в водоемах Гурии найдены следующие 14 видов моллюсков: *Radix ovata*, *Radix lagotis*, *Galba palustris*, *Galba truncatula*, *Physa acuta*, *Planorbis planorbis*, *Ancylus fluviatilis*, *Viviparus viviparus*, *Melanopsis praerosa* var. *mingrelica*, *Unio tumidus*, *Unio sieversi*, *Anodonta cellensis*, *Anodonta piscinalis*, *Pisidium (Eupisidium) casertanum*.

Распространение вышеперечисленных моллюсков в пределах Гурии впервые отмечено автором данной статьи.

ლიტერატურა

1. Голиков М. Н., Эколого-паразитологическое изучение биоценоза некоторых озер Калининградской области. Зоологический журнал, т. XXXIX, Вып. 7. 1960.
2. Джакели Х. Г., Опыт физико-географической (ландшафтной) характеристики бассейнов рек Сунсы и Натаеби (Гурия), (Рукопись), Тбилиси. 1948.
3. Жадин В. И., Unionidae, Fauna СССР, т. IV, В. I. М.—Л., 1938.
4. Жадин В. И., Моллюски пресных и соленоватых вод СССР, М.—Л., 1952.
5. Кокочашвили Г. В., Список кавказских моллюсков коллекции Кутаинского государственного пед. института им. А. Цулукидзе, т. V, 1943.
6. Кокочашвили Г. В., Заметки о естественных биотопах *Physa acuta* Drap. в Грузии. ა. წულუკიძის სახელმისამართის ქუთაისის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1948.
7. Rosen O., Katalog der schalenfagenden Mollusken des Kaukasus Изд. Кавказского музея, т. VI, в. 2—3, 1914.
8. Скрябин К. И., Трематоды животных и человека, т. XII, М., 1956.
9. კოკოჩიშვილი გ., ნასაკირალში ზეგროვილი მუცელფეხიანი მოლუსკები. ქუთაისის ა. წულუკიძის სახელმწიფო პედ. ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1941 წ.
10. კუტუბიძე ლ., ჯავანის ოკეანის ფერმენტების წყალსატევების საკვები რესურსები. თბილის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. IX, 1960 წ.

8. ანდრულაძე

შავი ზღვის წილის მომავალობის რეაციის გავლენა პლანიზონის განვითარების დარღვევის

შესავალი

ცნობილია, რომ შავი ზღვის ცოცხალი მოსახლეობის ერთ-ერთ დიდ ექოლოგიურ ჯგუფს წარმოადგენს ისეთი ორგანიზმები, რომლებიც ფსკერულ ცხოვრებას ეწევიან. მაგრამ ამ ორგანიზმების ლარვები პირველ ხანებში ცხოვრობენ პლანქტონში. გარდაქმნის შემდეგ ისინი უბრუნდებიან ფსკერულ ცხოვრებას.

ყოველი წყალსატევის პროდუქტიულობისათვის ფსკერის ცხოველების ასეთ ლარვებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ, რაც საგულისხმოა არა მარტო იმიტომ, რომ ისინი უშუალო საკედებს წარმოადგენენ მთელი რიგი სარეწაო თევზებისათვის, არამედ იმიტომ, რომ ბენთოსური ორგანიზმების ლარვების დიდი რაოდენობა შედის წყალსატევის ორგანულ ნივთიერებათა ციკლში.

ერთი შეხედვით, მსგავს მოვლენებს უნდა ჰქონდეს ადგილი შავი ზღვის პირობებში; მაგრამ შავი ზღვის თავისებური პიდროლოგიური პირობების გამო ამას ჩვენ იქ ვერ ვაკვირდებით.

საკითხის განხილვა

შავი ზღვის გამოკვლევებმა 1890—1891 წლების ღრმაზღვისეული ექსპედიციებისა დაადგინეს ამ ზღვის პიდროლოგიური რეჟიმის თავისებურებანი, რომლებიც ანსხვავებენ მას ყველა სხვა ზღვისაგან.

მარილიანობის ვერტიკალური განაწილების მხრივ შეინიშნება მისი თანდათანობითი გაზრდა ზედაპირიდან ($17 - 18\%$) სიღრმისაკენ ($21 - 22\%$). გარდა ამისა, წლის უმეტესი დროის განმავლობაში (გარდა ზამთრის პერიოდისა) ზღვის ზედაპირული ფენების ტემპერატურა უფრო მაღალია, ვიდრე სიღრმისეულისა. ორივე ეს ფაქტორი წარმოადგენს იმის მიზეზს, რომ ზედაპირული ფენების წყლის ნაწილაკები ნაკლები მარილიანობის გამო უფრო ნაკლები სიმკერივისანი არიან და არ შეუძლიათ უფრო დიდ სიღრმეზე ჩაღწევა, სადაც წყალი უფრო მეტივია.

ამგვარად, შავი ზღვის წყლების ვერტიკალური ცირკულაცია განისაზღვრება $100 - 125$ მ-ის სიღრმით.

ამის შედეგია ის, რომ დიდ სიღრმეზე ვერ აღწევს ზედაპირული ჟანგბადი, რაც, თავის მხრივ, იწვევს იქ გოგირდწყალბადის დაგროვებას. შავი ზღვის სიღრმისეული წყლები, რომლებიც მოკლებული არიან ჟანგბადს და გაუღენთილი არიან გოგირდწყალბადით, ამავე დროს მოკლებული არიან ცოცხალ ორგანიზმებს, გარდა ზოგიერთი ანაერობული ბაქტერიებისა, რომლებსაც



არ ესაჭიროებათ თავისუფალი ქანგბადი. ეს ფაქტორები, რომლებიც უქმდათ მკეთრად ანსხვავებენ შავ ზღვას ყველა დანარჩენი ზღვისაგან, დაღასტურებული იყო უკანასკნელი ექსპედიციის მიერაც, რომელიც შეისწავლიდა შავ ზღვას 1923—1928 წლებში. ამასთან ვ. ნ. ნიკიტინის (1, 2), მიერ დადგენილი იყო სიცოცხლის გავრცელების ქვედა საზღვარი როგორც პლანქტონისათვის, ისე ბენთოსისათვის შავი ზღვის მთელ პელაგიალში. ბენთოსისათვის ეს საზღვარი გადის სიღრმეში 130 მ-დან 175 მ-დე და გამოჰყოფს ზღვის ფსკერის შედარებით ვიწრო სანაპირო ზოლს, რომელიც დასახლებულია ბენთოსის ცოცხალი ორგანიზმებით და შეადგენს ზღვის ფსკერის საერთო ფართობის დაახლოებით 30% ს, მაშინ როდესაც, ზღვის ფსკერის დანარჩენი ნაწილი (70%) ბენთოსის ცოცხალ ორგანიზმებს მოკლებულია.

პლანქტონისათვის სიცოცხლის ქვედა საზღვარი გადის სანაპიროების გასწროვ 125—150 მეტრის სიღრმეზე და მხოლოდ ზოგიერთ აღილას აღწევს 175—200 მ-მდე.

ზღვის ცენტრალურ ნაწილში ეს საზღვარი გადის 100—125 მ-ის სიღრმე-მდე. მგგარად, შავი ზღვის წყლის უზარმაზარი მასა ამ სიღრმის ქვევით პლანქტონურ ორგანიზმებს მოქლებულია, გარდა ანაერობული ბაქტერიებისა. სიცოცხლის ეს თავისებური განაწილება შავ ზღვაში ყველაზე არსებით როლს ასრულებს ორგანული ნივთიერების ბრუნვის პროცესში და დიდი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის ბიოლოგიური პროცესების შესწავლის საქმეში.

ნორმალური პირობების მეონე ზღვებში ქანგბადი აღწევს ფსკერისეულ სიღრმემდე და ყოველი ორგანული ნივთიერება დახოცილი ორგანიზმებისა, რომელიც მოხვდება ზღვის ფსკერზე, იქ იყანგება ბაქტერიების მონაწილეობით და სხვადასხვაგარი არაორგანული მარილების სახით ხელახლა უტილიზირდება ცოცხალი ორგანიზმების მიერ და ამგვარად შედის წყლის აუზის ორგანულ ნივთიერებათა ციკლში.

შავი ზღვის სიღრმეებში ქანგბადის არარსებობა ქმნის ისეთ პირობებს, რომლის დროსაც ორგანული ნივთიერების მინერალიზაცია, იქ მოხვდრილი დახოცილი ორგანიზმების სახით, არ ხდება და იგი გამოითავს ციკლიდან. ეს მეტად მნიშვნელოვანია ისეთი ნივთიერებებისათვის, როგორიცაა აზოტი და ფოსფორი, რომელთა მარილები აუცილებელს წარმოადგენს მცენარეული პლანქტონის განვითარებისათვის, ის კი, თავის მხრივ, წარმოადგენს საკეგები ჯაჭვის პირველადს, დასაწყის როლს, რომლისგანაც დამოკიდებულია წყლის აუზის შემდგომი ორგანული სიცოცხლე.

წყლის აუზებში ბენთოსურ ცხოველებს გააჩნიათ ლარვები, რომლებიც ამა თუ იმ დროის განმავლობაში პლანქტონურ ცხოველებას ეწევიან. როდესაც დადგება მათი მეტამორფოზის პერიოდი, ისინი ფსკერზე ეშვებიან და ბენთოსის სრულ ცხოველებად გარდაიქმნება. ამასთან ლარვების გარევეული ნაწილი არახელსაყრელ პირობებში ხვდება და იღუპება, მაგრამ შავ ზღვაში ეს მოვლენა განსაკუთრებულ ხასიათს ღებულობს.

ბენთოსური ორგანიზმების ლარვებს, რომლებიც ეშვებიან სანაპირო ზონის შედარებით ვიწრო ფარგლებში 150—160 მ-ის სიღრმეში, აქვთ არსებობის შესაძლებლობა, თუკი მათ შეხვდებათ ფსკერზე ხელშემწყობი სარსებო ეკოლოგიური პირობები. პლანქტონის ბენთოსური ლარვები, რომლებიც დინების მიერ გატანილი იქნება 10—20 მილის ან უფრო მეტი მოშორებით და მათი

ფსკერზე დაშევბის დროს დინებათა მიერ უკან არ იქნება დაბზუნდულობა სანაპირო ზონაში, უენგბადო წყალში მოხვდებიან და იღუბებიან.

ამასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს წარმოადგენს საკითხი, თუ რა რაოდენობის ლარვები იღუბებიან მეტამორფოზის დროს შავი ზღვის ისეთ რაიონებში ჩაშვებისას, სადაც სიღრმე აღემატება 150—200 მ-ს, სადაც ისინი აუცილებლად იღუბებიან.

პროფ. ვ. ნიკიტინის წინადადებით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩემს მიერ ჩატარებული იყო დაახლოებითი გამოკვლევა ბენთოსური ცხოველების ლარვების იმ რაოდენობისა, რომელიც ცხოვრობს შავი ზღვის ისეთ აღილებში, სანაპირო ზონის მოშორებით, სადაც ზღვის სიღრმე 150—200 მ-ზე მეტია.

ამ საკითხის გამოსაკვლელად ჩემს მიერ ჩატარებული იყო ბენთოსის ზოგიერთი ჯგუფის ცხოველთა ლარვების რაოდენობრივი აღრიცხვა იმ მასალების შიხედვით, რომლებიც 1926—1930 წლებში შეგროვილი იყო შავ ზღვაში პროფ. ვ. ნიკიტინის მიერ. სულ ჩემს მიერ გაანალიზებულია 145 სინჯი. რაოდენობრივი აღრიცხვა ჩატარებულია პენსენის (3) რაოდენობრივი აღრიცხვის შეთოვლით.

ასეთი გამოკვლევის შედეგად შესაძლებელი გახდა დაგვედგინა ორგანიზმთა რაოდენობა წყლის მოცულობის ერთეულში.

გამოკვლევის პერიოდში ჩატარებულია აღრიცხვა შემდეგი ბენთოსური ორგანიზმების ლარვებისა: 1. Lamellibranchiata, 2. Gastropoda და 3. Polychaeta.

იმის გამო, რომ სინჯების აღების დრო წლის სხვადასხვა სეზონზე მოდის, ამიტომ ყველა სინჯიდან ვიღებთ რა საშუალო რაოდენობას ერთ კუბიკურ მეტრზე, შესაძლებელია ეს რაოდენობა შავი ზღვის პლანქტონში ჩავთვალით საშუალო წლიურად ბენთოსის ამ ლარვული ფორმებისა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ Lamellibranchiata-ს, Gastropoda-ს და Polychaeta-ს ლარვები ერთნაირი რაოდენობით არ გვხდება. მათ შორის Lamellibranchiata-ს ლარვები უფრო მეტი რაოდენობით მოიპოვება.

თუ ავილებთ მხოლოდ Lamellibranchiata-ს ლარვებს, მაშინ წლიური საშუალო სიმჭიდროვე წყლის ერთ კუბიკურ მ-ში იქნება 1,6 ეგზებლარი.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ შავი ზღვის იღნიშნული ბენთოსური ორგანიზმების ლარვები წელიწადის სხვადასხვა დროს ერთნაირი რაოდენობით არ არიან წარმოდგენილი, რაც დაკავშირებულია მათი განვითარების ბიოლოგიურ ციკლთან. მაგალითად, თუ ავილებთ ზამთრისა და გაზაფხულის ოვეებისათვის, ყველა აღნიშნული ცხოველის ლარვების საშუალო სიხშირე ერთ კუბიკურ მ. წყალში იქნება 3,66 ეგზებლარი, ხოლო ზაფხულისა და შემოდგომის ოვეებისათვის—1,41 ეგზებლარი.

პროფ. ვ. ნიკიტინის (1,2) მონაცემების მიხედვით ბენთოსის ლარვული ფორმები პლანქტონში გვხდება უმეტესად 50 მ-დე, ხოლო უფრო დაბლა 100—125 მ-ზე გვხდება ერთეულების სახით. ამიტომ ვიღებთ რა შავი ზღვის წყლის მოცულობას 50 მ-ის სიღრმემდე, რომელიც პროფ. ვ. ნიკიტინის (1) მონაცემების მიხედვით შეაღვენს 20 ბილიონ კუბიკურ მ-ს, შეიძლება დაახლოებით ითქვას, რა რაოდენობის ლარვული ფორმებია შესაძლებელი საშუალოდ შავი ზღვის ზედა ზონაში იყოს.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ბენთოსის აღნიშნული სამი ჯგუფის ტექსტო ველთა ლარვების რაოდენობა ზღვის ამ ზედა ზონაში (50 მ-მდე) შესტატნები 46 ბილიონ ეგზემბლარის.

თუ მივიღებთ მიახლოებით, რომ პლანქტონური პერიოდი ამ ლარვებისა გრძელდება ერთ თვემდე და აგრეთვე მივიღებთ, რომ 25% ლარვებისა დინებათა მეშვეობით სანაბირო ზონას აღწევს, მაშინ აუცილებლად ყოველთვიურად იღუპება ლარვების 2 ბილიონ 875 მილიარდი ეგზემბლარი, ხოლო ყოველწლიურად—34 ბილიონ 500 მილიარდი ეგზემბლარი.

საშუალო წონა Lamellibranchiata-ს ლარვასი, რომელიც ძირითად მასას წარმოადგენს, უდრის 0,002 მილიგრამს. აქედან გამომდინარე, შავ ზღვაში ყოველთვიურად იღუპება ლარვების ბიომასა—100 ტონა, ხოლო ყოველწლიურად—1200 ტონა.

ამგვარად, ჩვენს მიერ მიახლოებით მიღებული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ შავ ზღვაში მისი ჰიდროლოგიური პირობების თავისებურებებთან დაკავშირებით ყოველწლიურად იღუპება ბენთოსის ლარვული ფორმების უზარმაზარი რაოდენობა, რომლებიც იმყოფებიან ზღვის სანაბიროდან მოშორებულ პლანქტონში.

ამ დახოცილი ლარვული ფორმების მთელი მასა ზღვის სილრმისეული და ზედაპირული ფენების გერტიკალური არევის არარსებობის გამო გამოდის ორგანულ ნივთიერებათა ციკლიდან, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს შავი ზღვის ბიოლოგიური პროდუქტიულობის პრობლემის შესწავლისას.

უხერხემლოთა ზოოლოგიის

კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 10.1.1961).

В. АНДГУЛАДЗЕ

ВЛИЯНИЕ ГИДРОЛОГИЧЕСКОГО РЕЖИМА ЧЕРНОГО МОРЯ НА БЕНТОСНЫХ ЛИЧИНОК ПЛАНКОTONA

Резюме

В статье дан краткий обзор гидрологического режима Черного моря. Автор установил количественный и весовой состав бентосных личинок в планктоне Черного моря.

ლ 0 ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Никитин В. Н., Влияние кислорода, концентрации водородных ионов и углекислоты на вертикальное распределение зоопланктона в Черном море. Тр. Севастопольской биол. стан., т. III. 1932.
2. Никитин В. Н., Нижняя граница донной фауны и ее распределение в Черном море. ДАН АН СССР, т. XXXI. 1938.
3. Hensen V., Über die Bestimmung des Planktons U. S. W. Bericht d. Kommission zur wissenschaftlichen Untersuchung der Deutschen Meere in Kiel. 1887.

8. ტექნიკური მუზეუმი

ჯანდარის ტბის ფიტოპლანქტონის ცისტების გენერაცია
შედგენილობის გენერაცია

ჯანდარის ტბის ფიტოპლანქტონის სისტემატიკური შედგენილობის გა-
მოქვლება წარმოადგენს იმ შრომის ნაწილს, რომელიც მიზნად ისახავს საერ-
თოდ ამ ტბის პლანქტონური ორგანიზმების შესწავლას.

ფიტოპლანქტონის ერთ-ერთი მნიშვნელობა აქვს წყალსატევის ცოცხალი
ორგანიზმების სასიცოცხლო პირობების შესწავლის საჭმეში. ცნობილია, რომ,
როგორც ამას ბროდსკი (8) აღნიშნავს, წყალსატევის ცოცხალი ორგანიზმების
კვებითი ჯაჭვი იწყება ბიოგენური ელემენტებით, როგორც უპირველეს
ყოვლისა, ითვისებს ფიტოპლანქტონური ორგანიზმები, რომლებიც, თავის
მხრივ, ზოოპლანქტონური ორგანიზმების (განსაკუთრებით მეზოპლანქტონის)
ძირითად საკვებ ბაზას წარმოადგენენ. ზოოპლანქტონით იკვებება თითქმის
ყველა თევზის ლიფსიტი და აგრეთვე ზრდასრული პლანქტონით მკვებავი
ზოგიერთი თევზი.

ამდენად, თევზმეურნეობის განვითარებისა და განსაკუთრებით ხელოვნურ
წყალსატევებში მნიშვნელოვანი სარეწაო თევზების მოშენება-გამრავლებისა-
თვის საჭიროა წყალსატევის ყოველმხრივ გამოკვლევა, ჰიდროლოგიური რეზი-
მის დადგენა, საკვები ბაზის შესწავლა და მისი ბიომასის გამოთვლა.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა ჯანდარის ტბის ფიტოპლანქტონუ-
რი ორგანიზმების სისტემატიკური შედგენილობა და მოგვეცა სურათი მათი
განაწილების შესახებ ტბაში წლის სხვადასხვა დროს.

აღსანიშნავია, რომ ჯანდარის ტბა ამ მიმართებით ნაკლებადაა შესწავ-
ლილი და საერთოდ საქართველოს მტენარი წყლების ფიტოპლანქტონის გა-
მოქვლების შესახებ ლიტერატურაში ზოგადი ცნობები მოიპოვება.

მასალები საქართველოს ზოგი წყალსატევის ალგოფლორის შესწავლის
შესახებ მოიპოვება თ. იმერლიშვილის (1,2), ქ. ყანჩაველის (3), თ. ჯიბლა-
ძის (4) შრომებში, რომლებშიც შედარებით სრულყოფილადა გამოკვლეულ
ესა თუ ის წყალსატევი.

ჯანდარის ტბის ფიტოპლანქტონის სისტემატიკური შედგენილობის შე-
სწავლის მიზნით ჩვენს მიერ მასალა აღებულია ტბის ყველა უბნიდან 1956—
58 წლების განმავლობაში; დამატებით მასალა შევაგროვეთ 1960 წლის გაზა-
ფხულ-ზაფხულზე, სისტემატიკური კატეგორიების დადგენის გახდენდით მ. მ. გო-
ლერბაძის (9), ლ. ი. კურსანოვის (12), ი. ა. კისელიშვილის (11), ტ. გ. პოპო-
ვას (13) და მ. ზ. ზაბელინას (10) სარკვევების მიხედვით.

მასალის დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჯანდარის ტბაში ფიტო-
პლანქტონი წარმოადგენილია 34 სახეობით.

ტიპი—Flagellatae
კლასი—Eugleninae
ოჯახი—Euglenaceae

1. *Phacus longicauda* (Eh.) Duj.

უჯრედი ფართო და ოვალურია, რომელსაც ერთ ბოლოზე სწორი ელიფ-
სური გამონაზარდი აქვს. უჯრედის ცენტრში ერთი ღიდი პარამილია, რომ-
ლის უკან მოთავსებულია ბირთვი.

ოლიგოსაპროფილური, ოლიგოგალინური ფორმაა, რომელიც გაფრცელე-
ბულია ტბის სანაპირო ზოლში. უპირატესობას აძლევს ნეიტრალურ წყალსა-
ტევებს. ზამთარს ატარებს წყალსატევის ფსეურზე.

ვეგეტატიური უჯრედის სიგრძეა 92,8μ, სისქე — 36,8μ, ხოლო გამო-
ნაზარდის სიგრძე 28,8μ-ს უდრის.

ჯანდარის ტბაში ჩვენს მიერ ნაბოვნია ივნისსა და სექტემბერში მცირე
რაოდენობით.

ტიპი—Chlorophyaceae
კლასი—Euchlorophyceae
რიგი—Protococcales
ოჯახი—Protococcaceae

2. *Chlorococcum botrioides* Rab.

გვხვდება ცალკეული უჯრედების სახით, რომლებიც მრგვალი ფორმისაა
და გახვეულია თხელ გარსში. უჯრედის დიამეტრი კურსანვის (12) მიხედვით
4—12μ-დე ცვალებადობს; ძლიერ იშვიათად 40μ-ს აღწევს. ჩვენს მიერ ეს
სახე მოპოვებულია სექტემბერში მცირე რაოდენობით. უჯრედის დიამეტრი
4μ-ს უდრის.

ოჯახი—Hydrodictyaceae

3. *Pediastrum clathratum* Lemm.

P. clathratum-ის ცენობიუმი თავისუფლად მცურავია და იგი ჩვენს მიერ
16 უჯრედიანია მოპოვებული, უჯრედის ფორმა სფეროსებრია, მრავლდება
ზოოსპორებით.

ჯანდარის ტბაში ეს სახე გვხვდება ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით. სექ-
ტემბერში ფიტოპლანქტონში გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს.

4. *Pediastrum Sturmii* Reinsch.

ნაპირა უჯრედების გარეთა ნაპირზე ერთი გამონაზარდი მოეპოვება.
უჯრედები მსხლისებური ფორმისაა. ცენობიუმი 8 უჯრედიანია და უჯრედებს
შორის ხერხლი არ არის.

ეს სახე აგრეთვე ჩვენს მიერ მოპოვებულია ჯანდარის ტბაში ივნისიდან
სექტემბრის ჩათვლით და ყოველთვის ერთეულების სახითაა წარმოადგენილი.

5. *Pediastrum duplex* Meyen.

ახასიათებს ნაპირა უჯრედების ორი გამონაზარდი. ცენობიუმის უჯრე-
დებს შორის ხერხლი ყოველთვის მოიპოვება. ცენობიუმი შეიძლება იყოს 8—32

უჯრედიანი. შუა უჯრედები ხასიათდება ფართო ამონაჭდევით. საერთო უჯრედიანი თო გავრცელების ფორმაა, რომელიც მრავალი ნაირსახეობით ხასიათდება.

ჯანდარის ტბაში ჩვენს მიერ მოპოვებულია 16 უჯრედიანი ცენობიუმი. იგი ტბაში გვხვდება ივნისიდან სექტემბრის ჩათვლით შედარებით მცირე რაოდენობით.

ოჯახი—Oocystaceae

6. *Oocystis apiculata* W. West.

უჯრედები ელისფური ან ლიმონის ფორმისაა, რომლებიც ჩვეულებრივ სქელ და გლუვ გარსშია გახვეული. უჯრედები წარმოქმნიან კოლონიებს, რომლებიც 2—4 უჯრედიანი შეიძლება იყოს.

ჩვენს მიერ ეს სახე მოპოვებულია ჯანდარის ტბაში შემოდგომის პერიოდში, რომლის კოლონია 4 უჯრედიანია, უჯრედები ელიფსური ფორმისაა. ჩვენი განაზომების მიხედვით ვეგეტატიური უჯრედის სიგრძე—16 μ, სიგანე 9,6 μ-ია. კოლონის სიგრძე—38,4 μ, სიგანე 24 μ-ია.

7. *Chlorella vulgaris* Beyer.

უჯრედები სფეროსებრი ან ელიფსური ფორმისაა, რომლებიც თხელ გარსშია გახვეული. ჩვენს მიერ ჯანდარის ტბაში მოპოვებულია სფეროს ფორმის უჯრედები, რომლის დიამეტრი 8 μ-ია. ო. ჯიბლაძის (5) მონაცემების მიხედვით გავრცელებულია ლისის ტბაში.

ოჯახი—Coelastraceae

8. *Scenedesmus bijugatus* Kütz.

კურსანოვის (12) მონაცემების მიხედვით უჯრედები ძლიერ იშვიათად გვხვდება ორ რიგად, პარალელურად განლაგებული, მაგრამ ჯანდარის ტბაში ჩვენს მიერ სწორედ ისეთი ფორმა მოპოვებული, რომელთა უჯრედების ფორმა მომრგვალებულია და ეკლები არა აქვთ განვითარებული. საერთოდ ცენობიუმი გვხვდება 4, 8, 16 უჯრედიანი. ჩვენს მიერ მოპოვებულია 8 უჯრედიანი ცენობიუმი, რომლის ვეგეტატიური უჯრედის სიგრძე 8 μ-ს, მხოლოდ სიგანე 3,2 μ-ს უდრის და 4 უჯრედიანი ცენობიუმი, რომლის უჯრედის სიგრძე 14,4 μ, მხოლოდ სიგანე 5, 6 μ-ია. ჯანდარის ტბაში გვხვდება ზაფხულის მიწურულსა და შემოდგომის დასაწყისში.

9. *Scenedesmus acuminatus* Chodat.

უჯრედები ელიფსური და წამახვილებულია. ცენობიუმი ხშირად 4 უჯრედიანი გვხვდება და ერთ-რიგადაა განლაგებული. ჩვენს მიერ მოპოვებულია 8 უჯრედიანი გვერდისაგან შემდგარი ცენობიუმი, რომლის ვეგეტატიური უჯრედის სიგრძე —25,6 μ, ხოლო სიგანე 4,8 μ-ია. გვხვდება ერთეულების სახით.

10. *Scenedesmus quadricauda* Bréb.

ცენობიუმის ნაბირა უჯრედები, რომლებიც ცილინდრული ფორმისაა, ატარებს ორ გრძელ ეკალს. თვით ცენობიუმი შეიძლება 2—8 უჯრედიანი იყოს. ჩვენს მიერ მოპოვებული ცენობიუმი 4 უჯრედიანია. ვეგეტატიური უჯრედის სიგრძე 19,2 μ, სიგანე 8 μ-ს უდრის. ო. ჯიბლაძის (5) მონაცემებით მითითებულია ლისის ტბაში, ხოლო ო. იმერლიშვილის (1) მიერ—მდ. იორსა და შუხროვანის მლაშე ტბებში. იმავე სახის ცენობიუმი, აგრეთვე 4 უჯრედიანი,



რომელიც ჩვენს მიერ მოპოვებულია, ხასიათდება შედარებით პატარა უჯრედის დებით (ვეგეტატიური უჯრედის სიგრძეა 8 მ, სიგანე—2,5 მ) და უჯრედის სიგრძისვე მორჩებით.

ჯანდარის ტბაში გვხვდება ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში.

11. *Crucigenia tetrapedia* W. et G. S. West.

საერთოდ გვხვდება მრგვალი ან ოვალური ფორმის უჯრედები, რომლებიც ქმნან 4 უჯრედისაგან შემდგარ ცენობიუმს. უჯრედები ჯვარედინადაა განლაგებული. უჯრედების სიგანე 4,8 მ 9,5 მ-დე ცვალებადობს. მოპოვებულია სექტემბერში მცირე რაოდენობით. თ. იმერლიშვილს (2) აღნიშნული იქვე აბულ-გელის ტბა.

კლასი—Conjugatae

რიგი—Desmidiales

ოჯახი—Desmidiaceae

12. *Closterium lineatum* Ehrenb.

უჯრედი გრძელი, ვიწრო და სწორია, რომელიც ბოლოებში წვრილდება და ბლაგვი ბოლოთი მთავრდება. უჯრედის სიგრძე სიგანეს სჭარბობს 13—26-ჯერ. მისი ცენტრალური ნაწილის ნაპირები პარალელურია. უჯრედის გარსში შეიცავს 20-დე გასწვრივ ხაზს.

კურსანოვის (12) მიხედვით უჯრედის სიგრძე 270—690 მ-ს აღწევს, ხოლო სიგანე 14—27 მ-ია. ჩვენი განაზომების მიხედვით უჯრედის სიგრძე 665,5 მ-ია, ხოლო სიგანე 28,8 მ-ს უდრის.

ჩვენს მიერ ეს სახე მოპოვებულია ჯანდარის ტბაში შემოდგომის პერიოდში მცირე რაოდენობით.

13. *Cosmarium Hammeri* Reinsch.

უჯრედი ექსეუთხიანი ფორმისაა. ნახევარუჯრედს კი ბლაგვი პირამიდის ფორმა აქვს, რომლის ბაზალური კუთხეები მომრგვალებულია და გლუვ გარსშია გახვეული.

კურსანოვის (12) მიხედვით ვეგეტატიური უჯრედის სიგრძე 40—50 მ-ია, სიგანე—27—35 მ, ხოლო საწელურის სიგანე 11—13 მ-ს უდრის. ჩვენი განაზომების მიხედვით შესაბამისად გვაქვს 35,2 მ, 25,6 მ და 8,6 მ.

14. *Cosmarium venustum* (Bréb.) Arch.

უჯრედი საშუალო ზომისაა, ნახევარუჯრედი პირამიდული ფორმისაა და ბლაგვი წვერი ახასიათებს, ნაპირები ტალღისებურია.

ვეგეტატიური უჯრედის სიგრძე—28,8 მ, სისქე—27,2 მ, საწელურის სიგრძე 8 მ-ს უდრის.

თ. იმერლიშვილის (2) მიერ მოპოვებულია აბულ-გელის ტბაში.

15. *Staurastrum aculeatum* (Ehrenb.) Meyen

უჯრედები საშუალო ზომისაა. ნახევარუჯრედი ელიფსური ან თითისტარი-სებურია. ზურგის და მუცლის მხარე ამობურცულია, გერლითი გამონაზარ-დები სუსტადაა განვითარებული, რომელიც ატარებს 3—4 ეკალს და ხშირად რო რიგად განლაგებულ კბილანებს. გარდა ამისა, ნახევარუჯრედს აქვს ეკლე-

ბის გეერდითი რიგი, რომელიც ერთი ბოლოდან მეორე ბოლომდებულის უჯრედის ფორმა ზემოდან ოთხუთხოვანია.

კურსანოვის (2) მიხედვით უჯრედის სიგრძე 33—50 μ , სიგანე 48—50 μ და საწელურის სიგანე 12—16 μ -ია. ჩვენი გაზომვის შედეგად შესაბამისად გვაქვს 38,4 μ , 44,8 μ , 11,2 μ .

16. *Staurastrum echinatum* Bréb.

ნახევარუჯრედი ელიფსური ფორმისაა, რომლის კუთხეები მომრგვალებულია. უჯრედის გარსი დაფარულია მოკლე ექლებით, რომლებიც განლაგებულია პორიზონტალურ და ვერტიკალურ მწერივებად. კურსანოვის (12) მიხედვით უჯრედის სიგრძე—33 μ , სიგანე—28 μ , ხოლო საწელურის სიგანე 12,5- μ -ს უდრის. ჩვენი გაზომვების მიხედვით შესაბამისად გვაქვს 38,4 μ , 24 μ , 8 μ .

ტიპი—*Heterocontae*

რიგი—*Heterothrichales*

17. *Tribonema vulgare* Pasch.

ეს სახე პირველ ხანებში თავისი დაუტოტავი ძაფებით მიმაგრებულია სუბსტრატზე, ხოლო შემდეგ თავისუფალ ცხოვრებას ეწევა. უჯრედები ყოველოვის ერთბირთვიანი და ერთგვაროვანია, რომელიც როზულ გარსშია გახვეული. უჯრედის სიგრძე 22,4 μ -ია, ხოლო სიგანე 7,2 μ -ს უდრის.

ჯანდარის ტბაში მოპოვებულია გაზაფხულზე, ზაფხულზე და შემოდგომის პერიოდში საკმაო რაოდენობით.

ტიპი—*Cyanphyaceae*

რიგი—*Chroococcales*

ოჯახი—*Chroococcaceae*

18. *Microcystis aeruginosa* (Kütz.) Elenk.

მიკროსკოპული კოლონიური ფორმაა, რომელიც ლორწოვანია. თავდაპირველად კოლონია მთლიანია, მხოლოდ შემდეგ დაცხრილურ სახეს ღებულობს. უჯრედები სფეროსებრია (შეიცავს გაზოვან ვაკუოლებს), რომელთა დიამეტრი 4 μ -ს უდრის. გავრცელებულია დამდგარ და ნელა მიმდინარე წყალსატევების პლანქტონში. ადგილსამყოფელის მიხედვით კოლონიური ფორმა ძლიერ ცვალებადია.

19. *Compsosphaeria lacustris* Chod.

კოლონიური ფორმაა, რომელიც სფეროსებრია ან ელიფსურია. უჯრედები ელიფსური ან ქვერცხისებური ფორმისაა, რომლის სიგრძე გოლერბახის (9) მიხედვით 2—4 μ -ია, სიგანე 1,5—2,5 μ -ს უდრის. იგივე ავტორის მონაცემებით გავრცელებულია დამდგარ წყლების პლანქტონში. ჯანდარის ტბაში გვხვდება მცირე რაოდენობით.

ტიპი—*Bacillariophyta*

კლასი—*Centricae*

რიგი—*Discoidales*

ოჯახი—*Coscinodiscaceae*



20. *Melosira granulata* (Ehr.) Ralfs. ჩვეულებრივი

დამახასიათებელია ცილინდრული ჯავშანი და თხელი დისკო, რომელიც ნაპირებზე ამობურცულია და მოვენილია უწესრიგოდ განლაგებული წერტილებით. დისკოს ნაპირებზე აქვს კარგად გამოხატული ელიფსური წარმოქმნები. ანგითარებს კოლონიებს, რომლებიც ჩვეულებრივ სამი ტიპისა გვხვდება.

ჩვენს მიერ ჯანდარის ტბაში მოპოვებულია კოლონიური ფორმა, რომელთა ნაპირი უჯრედებს შედარებით გრძელი ექლები გააჩნია და უხეში გარსი აქვს.

ჯანდარის ტბაში კაუკოვანი წყალმცენარებიდან გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს და შედარებით დიდი რაოდენობით გვხვდება სექტემბერში.

21. *Melosira granulata* (Ehr.) Ralfs var. *anquastissima* (O. Müll.) Hust.

მოიპოვება ვიწრო და გრძელი ცილინდრული ჯავშანი და გვხვდება სამი სახის კოლონიური ფორმა. ჯანდარის ტბაში მოიპოვება შედარებით მცირე რაოდენობით.

22. *Cyclotella Kuetzingiana* Thw.

ერთუჯრედიანი ორგანიზმია, კოლონიებს არ წარმოშობს. ჯავშანი ცილინდრული ფორმისაა, სუსტად განვითარებული ტალღისებური საგდულებით. უჯრედის ცენტრალური ნაწილი ან უსტრუქტუროა, ან რამდენიმე გაფანტულ წერტილს შეიცავს.

ქ. ყანჩაველის (3) მიერ ნაპოვნია მდ. ლიახვისა და მტკერის უბეულში.

ჩვენს მიერ ჯანდარის ტბაში მოპოვებულია ფორმები, რომელთა უჯრედის ცენტრალური ნაწილი უწესრიგოდ გაფანტულ წერტილებს შეიცავს. ტბაში გვხვდება მცირე რაოდენობით.

23. *Cyclotella Kuetzingiana* Thw. Var. *radiosa* Friske.

უჯრედის ცენტრალური ნაწილი შეიცავს რადიალურად განლაგებულ პუნქტირებულ შტრიხებს. ჯანდარის ტბაში გვხვდება მცირე რაოდენობით.

24. *Stephanodiscum astraea* (Ehr.) Grun.

გვხვდება ჩვეულებრივ ერთეული უჯრედების სახით, რომლის ჯავშანი დისკოსებრია. საგდულები მრგვალია და კონცენტრიული ტალღისებური იღნავიბისაა, რომელთაც კარგად გამოხატული ნაპირი ეკლები აქვთ და რადიალურად განწყობილი პუნქტირებული შტრიხებისაგან შედგებიან. დისკოს ცენტრში უწესრიგოდ განლაგებული წერტილები მოეპოვება. ჯანდარის ტბაში გვხვდება მცირე რაოდენობით.

კლასი—*Pennatae*

რიგი—*Araphinales*

ოჯახი—*Fragilariaceae*

25. *Diatoma vulgare* Bory.

კოლონიური ფორმაა, რომელსაც ზიგზაგისებური ჯაჭვის სახე აქვს. ჯავშანი ოთხჭუთხოვანია, რომელსაც კუთხეები მომრგვალებული აქვს. საგდუ-

ლები ელიფსურ-ლანცეტისებური ფორმისაა, რომელთა სიგრძე—48 μ, სიგანე—10 μ-ს უღრის. განივი შტრიხები პუნქტირებულია, რომელთა რიცხვი 10 μ-ში 16 აღწევს, წარმოადგენს ბენთო-პლანქტონურ ფორმას.

თ. იმერლიშვილის (1) მიერ ნაბოვნია წყაროში სოფ. სართიჭალასთან, ჯანდარის ტბაში გვხვდება მცირე რაოდენობით.

26. *Synedra Vaucheriae Kütz.*

საგდულები ლანცეტისებური აქვს, რომელთა სიგრძე 34 μ, სიგანე—3,2 μ. შტრიხების რაოდენობა 10 μ-ში 14-ია, ცენტრალურ ნაწილში მოეპოვება ნათელი ლაქა. ჯანდარის ტბაში გვხვდება ოებერვლიდან სექტემბრის ჩათვლით მცირე რაოდენობით.

27. *Sinedra acus Kütz.*

წიწვისებური ფორმის ორგანიზმია. საგდულები ძლიერ ვიწრო და ლანცეტისებურია, რომელთა ბოლოები თანდათანობით ვიწროვდება. ვეგეტატიური უჯრედის სიგრძე 160 μ, სიგანე, 5 μ-ია, შტრიხების რაოდენობა 10 μ-ში—12.

თ. ჯიბლაძის (4) მიხედვით მითითებულია ლისის ტბაში. ჯანდარის ტბაში ჩენენს მიერ მოპოვებულია ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში მცირე რაოდენობით.

რიგი—*Raphinales*
ოჯახი—*Naviculaceae*

28. *Navicula cryptocephala Kütz. var intermedia Grun.*

საგდულები ლანცეტისებურია და სუსტად გაჭიმული და მომრგვალებული ბოლოებით მთავრდება. შუა შტრიხები უფრო მეჩხერია, ვიღრე დანარჩენი. მოკლე და გრძელი შტრიხები მორიგეობითა განლაგებული. ჯანდარის ტბაში გვხვდება მცირე რაოდენობით.

ქ. ყანჩაველის (3) მიერ მოპოვებულია მდ. ლიახვის უბეულში.

29. *Navicula radiososa Kütz.*

საგდულები ვიწრო ლანცეტისებურია, რომლებიც თანდათანობით ვიწროვდება და მთავრდება მომრგვალებული ბოლოებით, ვეგეტატიური უჯრედის სიგრძე 130 μ-ია, სიგანე—14 μ. ახასიათებს რადიალურად განლაგებული შტრიხები, რომელთა რაოდენობა 10 μ-ში 10-ია.

თ. ჯიბლაძის (4) მიერ მითითებულია ლისის ტბაში.

ქ. ყანჩაველის (3) მიერ მოპოვებულია მდ. ლიახვის უბეულში.

თ. იმერლიშვილის (1) მიერ წყაროში სოფ. სართიჭალასთან. ჯანდარის ტბაში გვხვდება მცირე რაოდენობით.

30. *Gyrosigma strigile (W. Sm.) Cl.*

საგდულები წაგრძელებული და ლანცეტისებურია, რომლებიც თანდათანობით ვიწროვდება და მომრგვალებული ბოლოებით მთავრდება. სიგრძე—280, სიგანე 28 μ-ია. განივი შტრიხები—12, გასწვრივი 14-ია 10 μ-ში.

ჯანდარის ტბაში გვხვდება წლის ყველა პერიოდში მცირე რაოდენობით.

31. *Cymbella prostrata* (Berk.) Cl.

საგდულები ნახევრად ელიფსური ფორმისა აქვს, რომელთა ზურგის მხარე ძლიერ ამობურცულია, მუცლისა კი თითქმის სწორია, ხოლო შუა ნაწილში მცირე ამობურცულობა ემნება. ვეგიტატიური უჯრედის სიგრძე—70 μ, ხოლო სიგანე 22 μ-ია. საგდულების ბოლოები მცირედ გაჭიმულია, მომრგვალებულია და მოხრილია მუცლის არეში.

ბენთოსური, ფართო გავრცელების ფორმაა. ჯანდარის ტბაში გვხვდება მარტიდან ოქტომბრამდე მცირე რაოდენობით.

32. *Cymbella ventricosa* Kütz.

საგდულები ნახევრად ელიფსური ფორმისაა და ძლიერ ემსგავსება. *C. prostrata*-ს საგდულებს. ზურგის მხარე ძლიერაა ამობურცული, მუცლის არე სწორია. სიგრძე—32 μ, სიგანე 8 μ-ია.

თ. იმერლიშვილი (1) მიუთითებს წყაროს სოფ. სართიჭალასთან, ხოლო ქ. ყანჩაველი (3)—ლიახვის უბეულს.

ჯანდარის ტბაში გვხვდება ერთეულების სახით.

33. *Cymbella afinis* Kütz.

საგდულები ნახევრად ლანცეტისებური ან ნახევრად ელიფსური ფორმისაა, რომელთა ზურგის მხარე უფრო ძლიერადაა ამობურცული, ვიდრე წინათ განხილული ორი სახისა; მუცლის არე თითქმის სწორია. სიგრძე—45, სიგანე 12 μ-ია, საგდულების ბოლოები გაჭიმულია, რომლებიც მომრგვალებული და ბლაგვია. შტრიხები შეუმჩნეველად რადიალურია. საგდულების მუცლის მხარეზე შუამდებარე შტრიხების ბოლოში ერთი იზოლირებული წერტილია.

მტკნარი წყლის ფორმაა. ფართოდაა გავრცელებული როგორც გამდინარე, ისე დამდგარ წყალსატევებში. თ. ჯიბლაძის (4) მიხედვით მოიპოვება ლისის ტბაში. თ. იმერლიშვილის (1) მიერ მითითებულია მდ. იორი, ხოლო ქ. ყანჩაველის (3) აღნიშნავს მტკვარსა და ლიახვის უბეულს.

ჯანდარის ტბაში გვხვდება მცირე რაოდენობით.

34. *Cymbella cistula* (Hemp.) Grun.

ასიმეტრიული ფორმაა. ახასიათებს ნახევარმთვარისებური საგდულები. ზურგის მხარე ძლიერ ამობურცულია, მუცლისა—ჩაღრმავებული, სიგრძე—120 μ, სიგანე 28 μ-ია. შტრიხები პუნქტირებულია და რადიალურადაა განწყობილი.

თ. იმერლიშვილის (1) მიერ მოპოვებულია წყაროში სოფ. სართიჭალასთან, ხოლო ქ. ყანჩაველის (3) მიერ—ლიახვის უბეულში.

დ ა ს პ 8 6 9 8 0

ჯანდარის ტბა ფლორისტულად შეუსწავლელია, ამდენად ამ ტბის ფიტოპლანქტონის შესახებ ლიტერატურაში ცნობებს ვერ ვხვდებით. ამ ტბის ფიტოპლანქტონის შესწავლის მიზნით ჩვენს მიერ ჩატარებულია გამოკვლევები 1956, 1958 და 1960 წლებში.

მასალის კამერალური დამუშავების შედეგად აღმოჩნდა, რომ ტბაში მოსახლეობს ფიტოპლანქტონის 5 ტიპი: Flagellatae, Chlorophyceae, Hete-

rocontae, Cyanophyceae, Bacillariophyta, რომელიც აერთიანებს 5 კლასს ან ეს კლასს—Eugleninae, Euchlorophyceae, Conjugatae, Centricae, Pennatae; 7 რიგს—Protococcales, Desmidiales, Heterothrichales, Chroococcales, Discoidales, Araphinales, Paphinales, და 10 ოჯახს—Euglenaceae, Protococcaceae, Hydrodictyaceae, Oocystacea, Coelastraceae, Desmidiaceae, Chroococcoceaceae, Coscinodiscaceae, Fragiliaceae, Naviculaceae. აღნიშნული სისტემატიკური კატეგორიები მოიცავს 34 სახეობას.

წლის სხვადასხვა პერიოდში ფიტოპლანქტონის ესა თუ ის სახე გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, მაგრამ შემოდგომაზე (განსაკუთრებით სექტემბერში) ფიტოპლანქტონის ყველა სახე მაქსიმალურ განვითარებას აღწევს; აქედან გამოირჩევა *Pediastrum*-ის ორი სახე—*Pediastrum clatratum* და *P. Sturmii*, რომლებიც რაოდენობის მიხედვით ყველა სხვა სახის ფიტოპლანქტონს ჭარბობენ.

კაფოგანი წყალმცენარეები წარმოდგენილია 15 სახით, მათ შორის (სამი ვარიაცია) ზაფხულ-შემოდგომის პერიოდში გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს *Melosira granulata*, ხოლო *Gyrosigma strigile*, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ წლის ყველა დროს გვხვდება.

ხერხემლიანთა ზოოლოგიის

გათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 24. 1. 1961)

В. ТКЕШЕЛАШВИЛИ

К ИЗУЧЕНИЮ СИСТЕМАТИЧЕСКОГО СОСТАВА ФИТОПЛАНКТОНА ОЗЕРА ДЖАНДАР

Резюме

Систематический состав фитопланктона оз. Джандар до сих пор не изучен и в связи с этим соответствующая литература по означеному вопросу отсутствует.

Изучение систематического состава фитопланктона оз. Джандар проводилось нами в 1956, 1958, 1960 годах.

При камеральной обработке выяснилось, что в озере водятся 34 вида фитопланктона.

Из фитопланктона в озере встречаются пять типов:

Flagellatae Chlorophyaceae, Heterocontae Cyanophyaceae Bacillariophyta—которые включают пять классов—Eugleninae, Euchlorophyceae, Conjugatae, Centricae, Pennatae; семь отрядов—Protococcales Desmidiales Heterothrichales Chroococcales, Discoidales, Araphinales, Paphinales, объединяющих десять семейств—Euglenaceae Protococcaceae, Hydrodictyaceae, Oocystacea, Coelastraceae Desmidiaceae, Chroococcoceae coscinodiscaceae Fragiliaceae a Naviculaceae.


В разных сезонах года те или другие виды фитопланктона представлены разнообразным количеством, но осенью (особенно в сентябре) максимально. В особенности в это время преобладают два вида *Pediastrum clatratum*, *P. Sturmii*.



Кремневые водоросли представлены 15 видами (из них ~~птичий~~ три рода). В летне-осенний период господствующей формой является *Melosira granulata*, а *Girosigma strigile* встречается в малом количестве, но попадается почти во всякое время года.

ლ ი ტ ი რ ა ტ უ რ ა

1. იმერლიშვილი თ. ი. და ყანჩაველი ქ., მასალები მდინარე ივრის აუზის წყალსა-ტევების მიქროფლორისათვის. თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. XV, 1953.
2. იმერლიშვილი თ. ი., მასალები საქართველოს მაღალი მთის ტბების აღგოფლორისა-თვის. *Natulae Systematicaæ ac Geographicae Institut Botanici Tbilisiensis. Fasc 13*, 1947.
3. ყანჩაველი ქ. გ., მასალები აღმოსავლეთ საქართველოს დატომეათა ფლორის შესწავ-ლისათვის, თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტი, ნაკვ. 20, 1958.
4. ჯიბლაძე თ. ე., მასალები ლისის ტბის კაურვენ წყალმცენარეთა შესწავლისათვის. თბი-ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 70, 1959.
5. ჯიბლაძე თ. ე. მასალები ლისის ტბის აღგოფლორისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXIII, 1949.
6. Имерлишвили Т. И., К фауне водорослей Колхидской низменности, Труды Тбилисского ботанического института, т. 12, 1948.
7. Имерлишвили Т. И., К фауне мезотениевых и десмидиевых водорослей Кол-хидской низменности, Тбилисский ботанический институт, вып. 16, 1951.
8. Бродский К. А., Свободноживущие веслоногие раки (Сорерода) Японского мора, Известия Тихоокеанского науч. исслед. института рыбного хозяйства и океанографии, том XXVI, 1848.
9. Голербах М. М., Косинская Е. К., Полянский В. И., Определитель пресноводных водорослей СССР, вып. 2., Москва, 1953.
10. Забелина М. М., Киселев; И. А., Прошкина-Лавренко А. И., Ше-шушкирова В. С., Определитель пресноводных водорослей СССР, вып. 4, Москва, 1951.
11. Киселев И. А., Зинова А. Д., Курсанов Л. И., Определитель низших рас-тений, т. 2, Москва, 1953.
12. Курсанов Л. И., Забелина М. М., Мейер К. И., Ролля Я. В., Цешин-ская Н. И., Определитель низших растений, т. 1, Москва, 1953.
13. Попова Г. П., Определитель пресноводных водорослей СССР, вып. 6. Москва, 1953.



ლ. კუტურიძე

კავკასიონის სამხარათ ფინდონის ზოგიერთი ტბის ზოოპლანინგის
ორგანიზაციის თვისებათის უდინებობის ზოგიერთი ტბის

საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი ტბა მოიპოვება. მათი უმეტესობა ჯერ კიდევ შეუსწავლელია პლანქტონური ორგანიზმების შედგენილობის თვალსაზრისით. მეტნაკლებად გამოყვლეულია მხოლოდ ზოგიერთი ტბის პლანქტონური ორგანიზმები, მათინ როდესაც თითქმის უცნობია შედარებით ძნელად მისაღვიმი მაღალმოის დამდგარი წყალსატევების ზოოპლანქტონის თვისებრივი შედგენილობა. კერძოდ, აქმდე სრულიად შეუსწავლელი იყო სამხრეთ ისეთის, რაჭა-ლეჩხუმის და სამხრეთ მთიანეთის კიდევ ზოგიერთი ადგილების დამდგარი წყალსატევების ცხოველური პლანქტონი. 1959 წლამდე, ხოლო 1959 წლის ზაფხულში უფრო ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ჩვენს მიერ მოწყობების დიდიციციები ზემოთ აღნიშნული მხარის წყალსატევების ზოოპლანქტონის შესწავლის მიზნით. შეგროვებულ იქნა პლანქტონის მდიდარი მასალა, რომელიც უკვე დამუშავდა და ამჟამად შესაძლებელია მიღებული შედეგების გამოქვეყნება*.

1959 წლის 23 ივნისს ექსპედიციამ პირველად სამხრეთ ისეთის ერთო ყველაზე დიდი ტბა — ერწო მოინახულა, საიდანც აღებული იქნა პლანქტონის სინჯები და ჩატარდა სხვა სახის დაკვირვებანი. ერწოს ტბა ტექტონური წარმოშობისაა, მოთავსებულია რაჭის ქედის წითელ მეწყერის მთის აღმოსავლეთით და ერწოს მთის სამხრეთით მოქცეულ ამოქვაბულის შუაღულში. ეს ამოქვაბული აკად. ა. ჯავახიშვილის (3) მიხედვით ზღვის დონიდან დაახლოებით 1734 მეტრის სიმაღლეზე ვრცელდება. თ. ნუცუბიძე (2) მიუთითებს, რომ ერწოს ტბა ზღვის დონიდან 879 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ამ ავტორის მიხედვით, ტბის მაქსიმალური სივრცე — 2,09, ხოლო მაქსიმალური სიგანე 1,16 კილომეტრს შეადგენს. ტბის მაქსიმალური სიღრმე — 7,0 მ., ხოლო საშუალო სიღრმე 3,74 მეტრია. ჩვენს მიერ ჩატარებულმა განაზომებმა გვიჩვენა, რომ ტბის მაქსიმალური სიღრმე მის ცენტრალურ ნაწილში შეადგენს 19,5 მეტრს, ხოლო სანაპირო ზოლში საშუალოდ 4,5 მეტრს არ აღემატება. წყლის სარეს საერთო ფართობი შეადგენს 1,24 კმ², ხოლო წყალშემკრები აუზის ფართობი — 16,5 კვადრატულ კილომეტრს. როგორც ცნობილია, ერწოს ტბიდან დასაწყისს ღებულობს, ფარულად, მდინარე ყვირილას ერთი ტოტი. ტბა

* 1959 წლის მოწყობილ ექსპედიციაში, რომელიც მუშაობას ატარებდა სამხრეთ ისეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და სამეგრელოს მთანი რაიონების წყალსატევების პლანქტონის შესაგროვებლად, მონაცილეობას ღებულობდა ბიოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი რევაზ ჯანაშვილი, რომლის ენტროგიულმა მუშაობამ დიდად შეუწყრ ხელი ექსპედიციის წარმატებით დამთავრებას.

იგებება ატმოსფერული ნალექებითა და მცირე ზომის წყაროებით და უკანასკნელი ტბაში საქმაოდ ლრმად არიან შეჭრილნი და თითქმის მის ცენტრალურ უბნებამდეც კი აღწევენ. როგორც გამოირკვა, ტბაში ამეამად თევზი არ მოიპოვება. დაკვირვების მომენტში წყლის ზედა ფენების ტემპერატურა 22°C შეადგენდა. ტემპერატურის ვერტიკალური განშრევება მნიშვნელოვანია. ფსკერთან ახლო წყლის ფენების ტემპერატურა $7-8^{\circ}\text{C}$ დაბალია წყლის ზედა-ფენის ტემპერატურასთან შედარებით.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით (2) ზამთრობით ტბა იყინება. ყინულის სისქე $1-1,5$ მეტრს აღწევს. წყალი საქმაოდ გამჭვირვალეა ($6-7$ მეტრი). წყლის აქტიური რეაქცია ნეიტრალურია. ჩვენს მიერ შეკრებილი სინჯების დამუშავებით გამოირკვა, რომ ტბა ბლანქტონური ფორმებით მეტად ღარიბია. სახელდობრ, მასში აღმოჩნდა ქვემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ 7 სახე, რომელთაგან $2-3$ ცუნარეული, ხოლო 5 ცხოველური ფორმაა. ესენია: *Ceratium hirundinella* L., *Pediastrum duplex* Meyen, *Keratella cochlearis cochlearis* Gosse, *Asplanchna brightwelli* De Guerne, *Daphnia longispina* O. F. Müller, *Ceriodaphnia reticulata* (Jurine) და *Mesocyclops* (Th) dybowskyii (Lande).

აღნიშვნული ფორმებიდან ბლანქტონში გაბატონებულია *Daphnia longispina*, მცირე რაოდენობით მოიპოვებიან *Asplanchna brightwelli* და *M. (Th) dybowskyii*, ხოლო დანარჩენი სახეები ერთეული ევზემპლარებით არიან წარმოდგენილნი. ზაფხულის ბლანქტონის ბიომასა, რომელსაც ძირითადად *Daphnia longispina* განსაზღვრავს, საშუალოდ შეადგენს 2865 მგ-ს 1 კბმ წყალში. ერწოს ტბის სეზონური პილროლოგიური რეეიმის შესწავლა აუცილებელია მისი სათვეზმურნეოდ გამოყენების შესაძლებლობის გასარკვევად. იმ შემთხვევაში, თუ ხელსაყრელი აღმოჩნდა ტბის ზამთრის ფანგბადის რეეიმი, მაშინ, ერწოს ტბა შეიძლება გამოყენებულ იქნას სარეწაო თევზთა მოსაშენებლად.

რაჭის წყალსატევები

უშოლთა-შემერი—ხარისთვალას ტბები

რაჭის ქედის ხიხო მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ამოქვაბულში ვხვდებით მცირე ზომის, მაგრამ მეტად საინტერესო უშოლთა-შემერი—ხარისთვალას ტბებს. პირველ რიგში აღსანიშნავია ტბა ხარისთვალი. იგი სოფელ ხარის-თვალის მახლობლად, მის სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით 1 კილო-მეტრის მანძილზე და ზღვის დონიდან 2300 მეტრზე მდებარეობს. ადგილობრივი მოსახლეობა მას ხარისთვალს ტბას ეძხის და უძიროდ მიიჩნევს.

ტბის ფართობი მცირეა, დაახლოებით 80 კვ. მეტრი. მისი მაქსიმალური სილრე 2,5 მეტრს შეადგენს. 1959 წლის 25 ივლისს წყლის ტემპერატურა ზე-დაფენაში 7°C შეადგენდა. ტაფობში წყალი ფარულად შედის ტბის სამხრეთით ამართული კლდის ძირიდან. ტბა ხარისთვალა ფაქტიურად მდ. ხარის ერთ-ერთი ძირითადი ტოტის სათავეს წარმოადგენს. ტბაში და მდინარეზე ბინადრობს კალმახი. ტბა ზამთრობით არ იყინება. არ იყინება $1-2$ კილომეტრის მანძილზე თვით მდინარეც, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ხარისთვალადან იწყება. ტბიდან გამოსული წყალი ზამთარში თავის ტემპერატურას კიდევ დიდ მანძილზე ინარჩუნებს. ამიტომ არის, რომ ადგილობრივ

მოსახლეობას ტბის მახლობლად აქვს აგებული წისქვილები, რომლებიც წარმოადგენ რობითაც მუშაობები.

ხარისხთვალას ტბიდან ჩვენს მიერ აღებული წყლის სინჯის ქიმიური ანალიზი შემდეგ სურათს იძლევა: CO_2 —158,4*, Cl —2,8; SO_3 —6,87; MgO —19,1; CaO —68,0; წყლის საერთო სიხისტის მაჩვენებელია 3,6003 (10,03); კარბ. სიხისტე—3,009 (10,09); მშრალი ნაშთი—194.

ანთონები:

Cl'	—2,8	0,0790	2,05
HCO_3'	—219,67	3,6009	93,52
SO_4''	—8,20	0,1707	4,43

3,8506 100.0

კატონები:

Na^+	+ K'	—13,3	0,5747	12,33
Ca^{++}		—48,7	2,4301	63,11
Mg^{++}		—11,5	0,9458	24,56

3,8506, 100.0

ამგვარად, მშრალი ნაშთის მიხედვით ხარისხთვალას ტბის წყალი მტკნარია ($0,19\%$), რომელშიც, როგორც ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, ყველაზე დიდი რაოდენობით გახსნილია კალციუმის ჰიდროკარბონატები, შემდეგ კი რაოდენობის მხრივ მოდის მაგნიუმის სულფატები. აღსანიშნავია, რომ ხარისხთვალას ტბის წყალი ყველაზე დიდი პროცენტით შეიცავს კალციუმსა და მაგნიუმს და ეს არც არის გასაკირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ წყალი, რომელიც ამ პატარა ტბაში შემოდის, კირქვის ქანებში მიედინება და მასში შეაქვს ჩამონარეცხი მასალა. ყველაზე მცირე რაოდენობით ტბის წყალში გახსნილია ნატრიუმისა და კალიუმის ქლორიდები.

ამ ტბის პლანქტონის სინჯების გამოკვლევისას აღმოჩნდა, რომ ცხოველურ პლანქტონს იგი საეგბით მოკლებულია, რაც თერმული რეემის თავისებურებით უნდა იყოს გაძირობებული. მცენარეული პლანქტონიდან სინჯებში დიდი რაოდენობით მხოლოდ სპიროვირას გვარის წარმომადგენლები აღმოჩნდენ.

სოფ. ხარისხთვალასა და შემცრის დასავლეთით, ხოლო სოფ. მრავალძალისა (იგივე მთისკალთისა) და სოფ. ზემო ბარის სამხრეთით 3—4 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან დაახლოებით 2000 მეტრის სიმაღლეზე, განლაგებულია კიდევ ორი მცირე ზომის ტბა, რომელთაგან აღებულ იქნა აგრეთვე პლანქტონის სინჯები. პირველი მათგანი ჭაობის ტიპის წყალსატევს წარმოადგენს. იგი სოფ. მრავალძალთან უფრო ახლოა და ამიტომ ჩვენ მას პირობით მრავალძალის ტბას ვუწოდებთ. ეს წყალსატევი ბუჩქნარ ტყეშია მოთავსებული. მისი ფართობი დაახლოებით 200—300 კვადრატულ მეტრს აღწევს, სიღრმე კი ძლიერ უმნიშვნელოა (10—25 სმ), წყალი გამჭვირვალეა, იყვენება ატმოსფერული ნალექებით, ნაწილობრივ მიწისქვეშა შენაკადებით, მაგრამ წყლის მასის ბალანსი ისეთია, რომ ეს მცირე ზომის ტბა იშვიათად თუ ამოშრება, როგორც ამას აღვილობრივი მცხოვრებნიც მიუთითებენ. პლანქტონის სინჯების შესწავლით გამოიჩინა: *Daphnia longispina* O. F. Müller, *Daphnia hyalina* Leydig და *Moina rectirostris* (Leydig). ეს უკანასკნელი მასობრივად არის წარმოდგენილი, ხოლო პირველი ორი—ერთეული ეგზემპლარებით.

* ეს მაჩვენებელი მიუთითებს მილიგრამების რაოდენობაზე ერთ ლიტრ წყალში.

მეორე ტბა, რომელიც ჭიქის ტბის სახელშოდებითაა ცნობილი, გვაცელებული ბით დიდია. მისი ფართობი ერთ ჰექტარზე მეტია. მაქსიმალური სისიმუშაო 2,5—3 მეტრს შეადგენს, საშუალო სიღრმე კი 2,5 მეტრს არ აღემატება. ჭიქის ტბა მთლიანად ფოთლოვან ტყეშია მოქცეული. ტყის შემადგენელი ელემენტები ტბის მახლობელ ნაპირებამდე აღწევენ. ტბის სანაპიროს ვიწრო ზოლი მსხვილი ქვებით არის მოფენილი. ტბა მაკროფიტებს სანაპირო ზოლშიც კი მოკლებულია. წყალი გამჭირვალეა. ტბას არ შეერთვის მიწის ზედა შენაკადები და თვით გაუმდინარეა. ადგილობრივ მცხოვრებთა გაღმოცემით, ზამთრობით ტბა იყინება. ქიმიური ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ ჭიქის ტბის წყალში გასხილია: Cl⁻—4,65; SO₄²⁻—4,81; MgO—12,6; CaO—58,8; CO₂—123,2; წყლის საერთო სიხისტე შეადგენს 2,8011 მგ/ლ (7,85°), ასეთივე ოდენობას აღწევს წყლის კარბონატული სიხის ტეც.

ანომნები:

კატეგორია:

Cl'—4,65	0,1325	4,34	Na'—K'	—7,35	0,3204	10,49
HCO'3	—170,86	2,8011	Ca''	—42,1	2,1008	68,78
SO"4	—5,76	0,1208	Mg''	—7,70	0,6332	20,49
	3,0544	100,00		3,0544	100,00	

წყალის გშრალი ნაშთი შეადგენს 153 მგ/ლ., რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჭიქის ტბის წყალი მტკნარია ($0,15\%$), მასში ყველაზე დიდი რაოდენობით კალციუმის ჰიდროკარბონატებია გახსნილი. შემდეგ რაოდენობის მხრივ მაგნიუმის სულფატები მოდის. როგორც ჩანს, აქაც ტბაში ატმოსფერული ნალექების მოქმედებით კირქვები ირეცხება და ტბის წყალში ისხნება. ჭიქის ტბის წყალი შედარებით მცირე რაოდენობით შეიცავს ნატრიუმსა და კალიუმის სულფატებს.

პლანქტონის სინჯების ღამუშავებით გამოირკვა, რომ ჭიქის ტბაში ბინადრობს ცხოველური პლანქტონის ქვემოთ ჩამოთვლილი 5 სახე:


Daphnia longispina cavifrons Sars, *Moina rectirostris* (Leydig), *Macrocyclops* *daday* Behning, *Chydorus sphaericus* O. F. Müller, *Eucyclops serrulatus* (Fisch).

აღნიშნული ტბის პლანქტონის თვისებრივი შედგენილობის შესახებ-
აქამდე არავითარი ცნობები არ მოიპოვება. ზაფხულის სინჯების მიხედვით
ზოოპლანქტონის გაბატონებულ ფორმას *Daphnia longispina cavifrons* Sars-
შეადგენს. ეს სახე მასობრივად არის წარმოდგენილი ტბის პელაგიალში, მეო-
რე ადგილს რაოდენობის მხრივ იყავებს *Macrothrix daday* Behning და
Chydorus sphaericus O. F. Müller, ხოლო სხვა ზემოთ დასახელებული ფორ-
მები ერთობლივ განიმედლარებით წარმოდგინებან.

ჭიქის ტბის ჰიდროლოგიური რეზიმის გამოკვლევის შემდეგ შესაძლებელი იქნება დაისვას საკითხი ამ ტბის ათვისების შესახებ სათევზმეურნეო თვალსაზრისით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტბა უშოლთა-შქმერი—ხარისხვალას ტბებს შორის სამეურნეო თვალსაზრისით შეიძლება ყველაზე პერსპექტიული იყოს. იგი სოფელთან ახლოსაა, შედარებით აღვილი მისადგომია და საკსებით შესაძლებელია, იმ შემთხვევაში, თუ მისი ჰიდროლოგიური რეზიმი ამის შესაძლებლობას მოგცემს, მასში თევზის ესა თუ ის სახე მოშენდეს, რაც აღვილობრივი კოლმეურნეობის შემოსავლის დამატებითი წყარო გახდება.

ქ. ონის ჩრდილოეთით, პირდაპირი ხაზით ღაახლოებით 10—12 კმ-ით მდებარეობს საკაოს ანუ გრძელი ტბა. ექსპედიციამ ეს ტბა მოინახულა და მისგან პლანქტონის სინჯები შეკრიბა 1959 წლის 28 ივნისს. სოფ. მაჟიეთიდან მხოლოდ საცალფეხო ბილიკებითა და ცხენებით გახდა შესაძლებელი მიგველწია საკაოს ტბამდე. იგი მდებარეობს აღმურ ზონაში მწვერვალ შოდას მისაღვომებზე დაახლოებით 2800 მეტრის სიმაღლეზე ზღვის ღონისძიება. მისი ფართობი შეადგენს ღაახლოებით ერთ ჰექტარს, სიღრმე—2—3 მეტრს. მისი წყალი გამჭვირვალეა, ტბის ზიგნით მაკროფიტები არ არის. ამასთან ტბა შენაკადებს მოკლებულია და გაუმდინარეა. საკაოს ტბა მყინვარული წარმოშობისაა. იკვებება მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით. ზამთარში მოსული თოვლი ტბის მახლობელი ტერიტორიიდან გაღნობის შემდეგ დიდი ხნის მანძილზე ავსებს წყლის მარაგს.

ქიმიური ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკაოს ტბის წყლის მშრალი ნაშთი შეაღვენს 53 მგ/ლ., წყალში გახსნილია:



ანალიზი:

$\text{Cl}'=3,7$	$-0,1043$	$-11,38$
$\text{HCO}_3'=18,3$	$-0,02999$	$-32,73$
$\text{SO}_4''=24,6$	$-0,5122$	$-55,89$
0,9164		—100,00

კატიონები:

Na^+	K^+	$-0,5$	$-0,0226$	$-2,46$
Ca^{++}		$-10,0$	4990	$-54,46$
Mg^{++}		$-4,2$	$-0,3948$	$-43,08$

0,9164—100,00

საკაოს ტბის ცოცხალი მოსახლეობისა და, სახელდობრ, პლანქტონის შესახებ ლიტერატურული ცნობები, ისე როგორც ზემოთ აღნიშნული ტბებისა, არ მოიპოვება. პლანქტონის სინჯების ღამუშავებისას აღმოჩნდა, რომ საკაოს ტბაში ბინადრობს *Brachionus urceolaris* O. F. Müller, *Daphnia pulex* obtusa Kurz., *Alona affinis* Leydig. და *Arctodiaptomus acutilobatus* Sars, ეს უკანასკნელი ტბაში მასობრივად გვხვდება, მაშინ როდესაც, დანარჩენი აქ ჩამოთვლილი ფორმები ერთეული ეგზემპლარებითაა წარმოდგენილი.

აღნიშნული ტბის სამხრეთ-დასავლეთი მიმართულებით, დაახლოებით 2—3 კილომეტრის დაშორებით, შედარებით უფრო დაბლა მდებარეობს მცირე ზომის ტბა, რომელსაც მრგვალ ტბას უწოდებენ. ასეთი სახელწოდება გამართლებულია იმით, რომ მას თითქმის წრის ფორმა აქვს. ტბის მახლობელ ტერიტორიაზე შემორჩენილია ტყის ელემენტები, ხე მცენარეებისა და ცალკეული ბუჩქების სახით. როგორც ირკვევა, ახლო წარსულში აღნიშნული ტბა ტყის ზონაში ყოფილი მოქცეული. იგი გაუმდინარება და შენაკადებს მოკლებული. მისი სიღრმე 2—3 მეტრს აღწევს. იკვებება ატმოსფერული ნალექებით, ტბის წყლის სარეის თითქმის მთელი ზედაპირი დაფარულია ტბაში განვითარებული მაკროფიტების ფოთლებით.

ქიმიური ანალიზის შედეგად გამოირკვა, რომ მრგვალი ტბის წყლის მშრალი ნაშთი შეაღვენს 97 მგ/ლ, საერთო სიხისტე—3,360, კარბონატული სიხისტე—3,360; $\text{CO}_2=35,2$ მგ/ლ, $\text{SO}_4=4,1$; $\text{SO}_3=3,4$; $\text{Ca}=10,0$; $\text{CaO}=14,0$; $\text{MgO}=3,6$; $\text{Mg}=2,10$.



ანიონები:

კატიონები:

Cl' —12,0	0,3384	20,84
HCO_3' —73,2	1,2000	73,91
SO_4'' —4,1	0,0854	5,25
	1,6238	100,00

Na^+	K^+ —21,9,09521	58,63
Ca^{++}	—10,0 0,4990	30,74
Mg^{++}	—2,1 0,1727	10,63

1,6238 100,00

პლანქტონის სინჯების დამუშავებით გამოირკვა, რომ მრგვალ ტბაში ბინაღობს ზონალუნქტონის 10 სახე: Keratella quadrata quadrata Ehrbg., Lecane luna Müll., Polyarthra platyptera Ehrbg., Triarthra terminalis Plate, Daphnia pulex (De Geer), Simocephalus vetulus (O. F. Müller), Alona costata Sars, Alona affinis (Leydig), Acanthocyclops bicuspidatus (Claus), Arctodiaptomus acutilobatus Sars.

მათგან რაოდენობრივად ჭარბობს Lecane luna, მომდევნო ადგილს რაოდენობის მხრივ იყავებს Daphnia pulex და Arctodiaptomus acutilobatus. მცირე რაოდენობით გვხვდებიან Simocephalus vetulus, Alona costata და Acanthocyclops bicuspidatus, ხოლო დანარჩენები (Keratella quadrata quadrata, Polyarthra platyptera, Triarthra terminalis და Alona affinis) ერთეული ეგზემდლარებით არიან წარმოდგენილი.

ქვემო რაჭაში ჩვენს მიერ პლანქტონის სინჯები შეგროვებულ იქნა შაორის წყალსაცავიდან და ჭელიაღელის ტბიდან.

შაორი მდებარეობს ნაქერალას ქედის ჩრდილო ფერდობზე 1100 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მას დაახლოებით 28 კვ. კილომეტრი ფართობი უკავია. ეს წყალსაცავი წარმოადგენს ჰიდროტექნიკურ ნაგებობას, რომელიც წარმოშობილია მდინარე შაორის შეგუბებით. მდინარე შაორი საწყისს ღებულობს ნაქერალას ჩრდილოეთ ფერდობზე. წყალსაცავის წარმოშობამდე ეს მდინარე სოფ. ნიკორწმინდის სამხრეთით იკარგებოდა მიწის ქვედა კარსტულ სასვლელებში. შაორის წყალსაცავის სილრმე ერთნაირი არ არის, არის უბნები, სადაც იგი თხელწყლიანია, მაგრამ ვხვდებით ისეთ ადგილებსაც, სადაც სილრმე 10—12 მეტრს აღწევს.

შაორის ქვაბულის ტერიტორიაზე წყალსაცავის გაჩენამდე ორი მცირე ზომის კარსტული წარმოშობის წყალსაცავი იყო, რომელთაგან ერთს—ხარის-თვალას, ხოლო მეორეს ძროხის თვალს ეძახდნენ. ხარისთვალიდან შეერებილი პლანქტონის სინჯების დამუშავებით გამოირკვა, რომ ტბაში გაერცელებულია პლანქტონური ორგანიზმების შემდეგი ფორმები: 1. Volvox sp. 2. Keratella quadrata (Müller) 3. Keratella cochlearis Gosse. 3. Lecane luna Müll.. Asplanchna sp. 4. Daphnia longispina tenuitesta Sars 5. Simocephalus vetulus (O. F. Müller). 6. Ceriodaphnia reticulata Jurine, 7. Chydorus sphaericus O. F. Müller. 8. Alona affinis (Leydig) 9. Eucyclops serrulatus v. proximus Lill. 10. Mesocyclops (s. str.) leuckarti (Claus), Diaptomus sp.

შაორის წყალსაცავიდან ჩვენს მიერ 1937 და 1959 წლებში შექრებილ პლანქტონის სინჯებში აღმოჩნდა შემდეგი ფორმები: Volvox sp., Ceratium hirundinella (O. F. Müller), Straurostrum sp., Pediastrum duplex Meyen, Brachionus quadridentatus quadridentatus, Keratella quadrata quadrata, Keratella cochlearis Gosse, Lecane luna Müll., Asplanchna herricki de Guerne, Asplanchna priodonta Gosse, Asplanchna brightwelli Gosse, Polyarthra vul-

garis, *Diaphanosoma brachyurum* (Lievin), *Daphnia longispina tenuitesta* Sars, *Ceriodaphnia reticulata* (Jurine), *Ceriodaphnia reticulata kurzii* Stingelin, *Scapholeberis mucronata fronte laevi* (O. F. Müller), *Simocephalus vetulus* (O. F. Müller), *Euricerus lamellatus* (O. F. Müller), *Alona rectangula richardi* (Stingelin), *Alona affinis* (Leydig), *Chydorus sphaericus* O. F. Müller, *Eucyclops serrulatus v. proximus* Lill, *Cyclops strenuus* Fisch, *Mesocyclops* (s. str.) leuckarti (Claus), *Diaptomus incongruens* Poppe, *Hydracarina* sp. სულ 27 პლანქტონური ფორმა. ყველაზე მასობრივიდ მათ შორის პლანქტონის სინჯებში მოიპოვება *Daphnia longispina tenuitesta* Sars, მეორე ადგილი რაოდენობის მხრივ უკავია *Diaphanosoma brachyurum*-ს, საქმაო რაოდენობით მოიპოვებიან *Volvox* sp., *Ceratium hirundinella*, *Straurastrum* sp., *Keratella quadrata*, *Ceriodaphnia reticulata*. დანარჩენი ფორმები მცირე ან ერთეული ეგზემპლარებით არიან წარმოდგენილნი.

ჭელიალელის ტბა, რომელიც სოფ. ნიკორწმინდის ჩრდილოეთით, სოფ. ჭელიალელის ტერიტორიაზე მდებარეობს, წარმოადგენს არც თუ ისე მცირე ზომის წყალსატევს. მისი ფართობი დაახლოებით 4 ჰექტარს შეადგენს. მისი მაქსიმალური სიღრმე 8 მეტრია, საშუალო სიღრმე—4—5 მეტრი. აღნიშნული ტბიდან პლანქტონის სინჯები აღებულ იქნა 1959 წლის ზაფხულში, რომელშიაც აღმოჩნდა შემდეგი ფორმები: *Ceratium hirundinella* (O. F. Müller), *Keratella quadrata quadrata* Ehrbg, *Daphnia longispina tenuitesta* Sars, *Daphnia longispina cavifrons* Sars, *Ceriodaphnia reticulata* (Jurine), *Alona costata* Sars, *Alona affinis* (Leydig), *Diaptomus incongruens* Poppe, *Hydracarina* sp.

ჭელიალელის ტბის პლანქტონის შემადგენლობაში გაბატონებული ადგილი უჭირავს *Daphnia longispina tenuitesta*-ს, რაოდენობის მხრივ მეორე ადგილს იკავებს *Daphnia longispina cavifrons*, საქმაო რაოდენობით მოიპოვება *Keratella quadrata quadrata*, ხოლო დანარჩენი ფორმები მცირე ან ერთეული ეგზემპლარის სახით გვხვდება.

ამრიგად, სამხრეთ ოსეთის წყალსატევებიდან ერწოს ტბის, ხოლო რაჭის წყალსატევიდან—ხარისთვალის, მრავალძალის, ჭიქის, საკაო-მაჟიეთის გრძელი, მრგვალი და ჭელიალელის ტბების პლანქტონის თვისებრივი შედგენილობის შესახებ ცნობები იქამდე არ მოიპოვებოდა.

პლანქტონის სინჯების დამუშავებით გამოირკვა, რომ აღნიშნულ წყალსატევებში გავრცელებულია პლანქტონური ორგანიზმების 41 ფორმა, რომელთაგან უმეტეს მათგანისათვის ჩეკულებრივია *Ceratium hirundinella*, *Pediastrum duplex*, *Keratella quadrata quadrata*, *Lecane luna*, *Asplanchna hericki*, *Diaphanosoma brachyurum*, *Daphnia longispina*, *Daphnia longispina tenuitesta*, *Daphnia longispina cavifrons*, *Ceriodaphnia reticulata*, *Simocephalus vetulus*, *Alona costata*, *Alona affinis*, *Chydorus sphaericus*, *Eucyclops serrulatus*, *Arctodiaptomus acutilobatus* და *Diaptomus incongruens*.

რაოდენობის მხრივ მასობრივად გვხვდება *Daphnia longispina tenuitesta*, *Diaphanosoma brachyurum brachyurum*, *Ceratium hirundinella*, *Daphnia longispina cavifrons*, *Ceriodaphnia reticulata* და სხვ. დანარჩენი ფორმები გვხვდება საქმაოდ მცირე ან ერთეული ეგზემპლარების სახით.



სახეთა ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩევიან დატოტვალულვა-
შიანი კიბოები, შემდეგ მოღის მოტრიალე ჭიები და ნიჩაბფეხიანი კიბოები.

აღნიშნული წყალსატევებიდან პლანქტონურ ფორმათა შედარებითი სიმ-
რავლით გამოირჩევა შორის წყალსაცავი, შემდეგ ადგილს იკავებენ მრგვალი
და ჭელიალელის ტბები, დანარჩენები კი პლანქტონური ფორმებით ლარიბია
და მათში მობინადრე ფორმათა რიცხვი 10-ს არ აღემატება.

ხერხემლიანთა ზოოლოგიის

კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 20. 7. 1964)

ლ. კუტუბიძე

К ИЗУЧЕНИЮ КАЧЕСТВЕННОГО СОСТАВА ЗООПЛАНКТОННЫХ ОРГАНИЗМОВ НЕКОТОРЫХ ОЗЕР ЮЖНЫХ СКЛОНОВ КАВКАСИОНИ

Резюме

Качественный состав планктона некоторых озер южного склона Кавказа до сих пор не был изучен.

Автор до 1959 года и более продолжительное время после 1959 года проводил экспедиции в Южной Осетии, Верхней и Нижней Раче для исследования зоопланктона озер горных районов. На основании полевых наблюдений и камеральной обработки собранного материала исследованы морфологические и гидрологические особенности озер Эрцо, Хариствала, Мравалдзали, Чики, Челиателе и Сакао и даны соответствующие списки состава зоопланктона.

ლ 0 ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ე ლ ა ნ ი ძ ე რ ., ნ ა ქ ე რ ა ლ ა ს ტ ე ბ ე ბ ი , „ დ რ ო შ ა “, 1958.
2. ხ უ ც უ ბ ი ძ ე რ ., ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ტ ე ბ ი , ს ა ქ . ს რ მ ე ც ნ . ა კ ა დ ე მ ი ა , გ ე ო გ რ ა ფ ი ი ს ი ნ ს ტ ი -
ტ უ ტ ი ს შ რ ა მ ე ბ ი , ტ . III, 1948.
3. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ა ლ ., ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს გ ე ო გ რ ა ფ ი ა . ტ . I (გ ე ო მ მ ა რ ფ უ ლ ი გ ი), თ ბ ი ლ ი -
ს ი , 1962.

ლ. კუთუმბიძე

საქართველოს თეატრის ზოოპლანაციონის სისტემატიკური უკანასნელობა და გავრცელება

წინასწარი ცნობების სახით აქ წარმოდგენილია პლანქტონის სინჯებში აღმოჩენილი ზოოპლანქტონური ორგანიზმების სისტემატიკური შედგენილობა და იმ წყალსატევების დასახელება, საიდანაც პლანქტონური მასალა იყო შეკრებილი უკანასნელი 18 წლის მანძილზე.

შრომაში მოხსენიებული 62 წყალსატევის ზოოპლანქტონის თვისებრივი შედგენილობის შესახებ ცნობები პირველად ქვეყნდება, კერძოდ, აქამდე არავითარი ცნობები არ მოიპოვებოდა ამტკიცილის ტბის (555 მ.), ავაღხარის ტბორის (1642 მ.) — აფხაზეთიდან; მულახის ტბის (1500 მ.), ულვირის პატარა და დიდი ტბის (1900 მ.), ქორულთის ტბების (2500 მ.), ლამაჯას ტბის (2500 მ.) — ზემო სვანეთიდან; ღობურის დიდი და პატარა ტბის (2500 მ.), საშაშის დიდი და პატარა ტბის (2300 მ.) — ქვემო სვანეთიდან; მრგვალი ტბის (2750 მ.), გრძელი ტბის (2800 მ.), ხარისთვალის (1646 მ.), ჭიქის ტბის (1950 მ.), მრავალძალის ტბის (2000 მ.) — ზემო რაჭიდან; ჭელიალელის ტბის (1071 მ.) — ქვემო რაჭიდან; შავი ტბის (1500 მ.), შვანე ტბის (2000 მ.), ყარაგოლის ტბის (2200 მ.) — აჭარის მთიანი რაიონიდან (ხულო); ზრესის ტბის (1717 მ.), სამშარის ტბის (2000 მ.), ბულდაშენის ტბის (2048 მ.), აბულის ტბის ს. აბულთან (2182 მ.), ავჭალის ტბის (2054 მ.), ლევანის ტბის (2580 მ.), არბაზას ტბის (2600 მ.), აბულის ტბის მშვერვალ აბულთან (2700 მ.) — ჯავახეთიდან; თრიალის ტბის (2000 მ.), კოთას ტბის (2000 მ.), ყარაგოლის ტბის (2000 მ.) — მესხეთიდან; კახისის ტბის (1743 მ.), დაბაძეველის ტბის (1750 მ.), მანდიაშვილის ტბის (1800 მ.), წეროს ტბის (1800 მ.), გლდანის პატარა და დიდი ტბის (505 მ.), ლოჭინის ხევის ტბორის (650 მ.), კუკიის ტბის (650 მ.), ავლაბრის ტბის (650 მ.), ილგუნიანის ტბის (650 მ.), დმანისის ტბის (1200 მ.) — ქართლიდან; შავი მთის ტბის (2500 მ.), უძირო ტბის (960 მ.), წმინდა ტბის (200 მ.), მუხრავანის მლაშე ტბების (200 მ.), სახარე ტბის (750 მ.), ქაჩალი ტბის (500 მ.) — კახეთიდან; ვერცხლის ტბის (2304 მ.), ლარჩვალის ტბორის (500 მ.), ტაბაკონას ტბის (1500 მ.), გეგუთის ტბორის (120 მ.), იმნათის ტბის (50 მ.), ფიჩორის ტბორების (25 მ.), ოქვარეს ტბორების (30 მ.), ვარციხის ტბორის, ქვენობნის ტბორის (1450 მ.) — დასავლეთ საქართველოდან, ზოოპლანქტონური ორგანიზმების სისტემატიკური შედგენილობის შესახებ.

შრომაში მოხსენიებულია კიდევ რამდენიმე წყალსატევი (ახალი ათონის ტბორები, ნურიის ტბა, ბალიასტომის ტბა, ინჯიტის ტბა, ბებესირის ტბა, ჯაპანის ტბორები, ჯანდარის ტბა, რიჭის ტბა, ლიისის ტბა, კუს ტბა, თბილისის ზღვა, ტყიბულის წყალსაცავი, წითელწყაროს მლაშე ტბა, ბაზალეთის



ტბა, ახალდაბის ტბა, შაორის წყალსაცავი, წუნდის ტბა, საკოჭაოს ტბები, ჩინჭა
პინის ტბა, ხანჩალის ტბა, ტაბაწყურის ტბა, საღამოს ტბა, ფარაგნის ტბა, მაღა-
ტაპის ტბა, ცხრაწყაროს გაღასავლის ტბორები, ყელის ტბა და სხვა). ამ წყალსა-
ტევების პლანქტონური მოსახლეობის შესახებ არსებობს სხვა ავტორთა მეტ-
ნაკლები ხარისხის მონაცემები, მაგრამ, ამავე დროს, ეს წყალსატევები ჩვენს
მიერაც არის შესწავლილი და ცალკეული პლანქტონური ორგანიზმების მათში
არსებობის შესახებ წარმოდგენილი ცნობები მხოლოდ ჩვენს მონაცემებს
ეფუძნება.

ავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზემოთ ჩამოთვლილ წყალსატევებში
ჯერჯერობით ჩვენს მიერ რეგისტრირებულია ზოოპლანქტონური ორგანიზმე-
ბის 102 სახე. ამეამად მუშაობა მიმდინარეობს ზოგიერთ სახეთა სისტემატიკური
ნიშნების დაზუსტებაზე, ზოგიერთ საეჭვო ფორმებისა და მითითებების გარკვე-
ვაზე, მაგრამ არა გვვინია, რომ საქართველოს აქ ჩამოთვლილი ტებების ზოო-
პლანქტონური ორგანიზმების წარმოდგენილი სია დიდად შეიცვალოს.

I. Rotatoria

1. *Brachionus angularis* Gosse var. *bident* (Plate)

გავრცელება: ნურის ტბა, გეგუთის გუბე, კუს ტბა, ტბა ბოგდანოვკას-
თან, ტაბაწყური, ფოშტლის ტბა, ფიჩორი.

2. *Brachionus pala* Ehrbg forma *amphiceros* (Ehrbg)

გავრცელება: ნურის ტბა, ლისის ტბა, კუს ტბა, ავადხარას გუბე.

3. *Brachionus pala* Ehrbg var. *dorcas* Gosse

გავრცელება: ბებესირი, ჯაპანა, ჯანდარი, ოქვარეს ტბორები, ყვარელის
წყალსაცავი, ყარა-გოლი.

4. *Brachionus urceolaris* O. F. Müller

გავრცელება: პალასტომი, ქენობანის გუბე, ილგუნიანი, ლისი, ლოჭი-
ნის ხევის გუბე, მუხროვანის, წითელწყაროსა და ტაბაკონას ტებები, ტბა
(ბორჯომის რაიონი), ავადხარას გუბე, იაგორას ველის გუბეები, დაბაძველას
ტბა, კოთას ტბა, ორლოვება, ორთამთის ტბა, მაჭერის ტბა, საშაშის პატარა
და დიდი ტებები, ლამაჯას ტბა, ფოშტლის ტბა, ქორულთისა და გრძელი
ტბა. ორთამთის ტბა, საღამოს ტბა, კოთას ტბა.

5. *Brachionus müller* (*plicatilis*) Ehrbg

გავრცელება: ნადარბაზევის ტბა, ყოფილი ილგუნიანი, ყოფილი ავლაბ-
რის ტბა, ყოფილი ქუქის, გლდანის მლაშე ტებები, მუხროვანის მლაშე ტებები,
სახარე ტბა, სამგორის მცირე ზომის წყალსატევები, ლისის ტბა, წითელწყა-
როს მლაშე ტბა, ჯვრის მონასტრის მახლობელი გუბე. მრავლად გვხვდება
კონტინენტალურ, მეზოაკალინურ და ულტრაჰალინურ წყალსატევებში.

6. *Brachionus baceri* (*quadridentatus*) O. F. Müller

გავრცელება: გეგუთის გუბე, ტაბაკონას ტბა, შაორის წყალსაცავი, დმა-
ნისის ტბა, ხარისთვალა, მაღატაპა.

7. *Brachionus falcatus* Zach

გავრცელება: ინკიტი, ბებესირი, იმნათი.

8. *Brachionus urceolaris* O. F. Müller var. *rubens*
(Ehrbg)

გავრცელება: მდინარე ფიჩორის მახლობელი ტბორები.

9. *Platyias (Noteus) polyacanthus* Ehrbg

გავრცელება: იაგორას ველის გუბეები, საკოჭაოს მცირე და დიდი ტბები.

10. *Platyias (Noteus) quadricornis* Ehrbg

გავრცელება: ხარისთვალი, მანდიაშვილის ტბა, ხანჩალის ტბა, ტბა სოფელ აბულთან.

11. *Schisocerca diversicornis* Dada y

გავრცელება: ნურიის ტბა.

12. *Keratella cochlearis* Gosse

გავრცელება: ახალი ათონის გუბე, ინკიტი, ბებესირი, გეგუთის გუბე, ჯანდარი, რიწა, ლისის ტბა, კუს ტბა, თბილისის ზღვა, შაორი, ღმანისის ტბა, შავი ტბა, კახისის ტბა, მანდიაშვილის ტბა, წეროს ტბა, ტბა სოფელ ბოგდანოვკასთან, ტაბაწყური, სალამო, ორლოვკა, შავი მთის ტბა, ფარაგანი, მაღატაბა, ნურია, ფიჩორი.

13. *Keratella quadrata* (Müll)

გავრცელება: ნურიის ტბა, ინკიტი, ბებესირი, ჯაბანა, ლისის ტბა, კუს ტბა, ჭელიალელის ტბა, შაორი, ტბა (ბორჯომის რაიონში), ხარისთვალა, დაბაძელას ტბა, ულვიირის პატარა ტბა, ტბა ბოგდანოვკასთან, ორლოვკის ტბა, მაღატაბა, საშაშის პატარა და დიდი ტბა, მრგვალი ტბა, სამგორის მცირე ზომის წყალსატევები, თბილისის ზღვა, ყვარელის წყალსაცავი.

14. *Keratella quadrata* (Müll) (forma testudo)

გავრცელება: უძირო ტბა, დაბაძელას ტბა.

15. *Euchlanis dilatata* Ehrbg

გავრცელება: ახალი ათონის გუბე, იმნათი, კუს ტბა, უძირო ტბა, ბაკურიანის ბოტანიკური ბაღის ტბორი, კახისი, დაბაძელა, მანდიაშვილი, საკოჭაოს დიდი და პატარა ტბა, წეროს ტბა, ორლოვკა, ავჭალის ტბა, მაღატაბა, ჯვრის გადასავლის გუბეები.

16. *Lecane luna* (O. F. Müller)

გავრცელება: ახალი ათონის გუბე, ბებესირი, იმნათი, ლარჩვალის წყალი, ბაზალეთი, ლისის ტბა, ახალდაბა, შაორი, მულახი; იაგორას ველი, კახისი, დაბაძელა, მანდიაშვილი, საკოჭაოს პატარა და დიდი ტბა, ხოზაფინი, წეროს



ტბა, უღვირის პატარა ტბა, ხანჩალი, ღობურის დიდი და პატარა ტბა, მრგვალი ტბა.

17. *Monostyla (Lecane) Lunaris* Ehrbg

გავრცელება: ლისის ტბა, იაგორას ველის გუბეები, საკოჭაოს დიდი და პატარა ტბა, კუს ტბა.

18. *Monostyla (Lecane) bulla* Gosse

გავრცელება: პალიასტომი, ბებესირი, იმნათი, ახალდაბის ტბა.

19. *Asplanchna brightwelli* Gosse

გავრცელება: შაორის წყალსაცავი.

20. *Asplanchna herricki* Gosse

გავრცელება: პალიასტომი, ბებესირი, გეგუთის გუბე, კუს ტბა, ბაზალეთი, ტაბაკონა, შაორი, ზრესი, ტბა ბოგდანოვკასთან, კოთას ტბა, ტყიბულის წყალსაცავი, მუხროვანის ტბა, ყარა-გოლი.

21. *Asplanchna priodonta de Guerne*

გავრცელება: ბებესირი, ჯაბანა, ჯანდარი, შაორი.

22. *Synchaeta pectinata* Ehrbg

გავრცელება: ბებესირი, ჯაბანა, რიწი, ლისის ტბა, კუს ტბა, თბილისის ზღვა, შავი ტბა.

23. *Polyarthra platyptera* Ehrbg

გავრცელება: ინკიტი, ბებესირი, იმნათი, ტყიბულის წყალსაცავი, ბაზალეთის ტბა, უძირო ტბა, ტაბაკონა, ყვარელის წყალსაცავი, დმანისის ტბა, იაგორას ველის გუბე, კახისის ტბა, მანდიაშვილის ტბა, დაბაძველის ტბა, საკოჭაოს დიდი ტბა, წეროს ტბა, ტაბაწყური, მადატაბა, მრგვალი ტბა, ჯაბანა.

24. *Polyarthra vulgaris* Corlin

გავრცელება: შაორის წყალსაცავი.

25. *Polyarthra longiremis* Corlin

გავრცელება: ავალხარას გუბე.

26. *Diurella brachyura* Gosse.

გავრცელება: ახალი ათონის გუბე.

27. *Diurella stylata* Eyf

გავრცელება: რიწის ტბა.

28. *Trichocerca (Rattulus) longyseta* (Schrank)

გავრცელება: ჯაბანა, იაგორას ველის გუბეები, მანდიაშვილის ტბა, მაღატაბა.

29. *Trichocerca (Rattulus) bicristatus* (Gosse) ერთოვანი
გავრცელება: საკოჭაოს დიდი ტბა.

30. *Trichocerca Rattulus helminthodes* (Gosse) ერთოვანი
გავრცელება: იაგორას ველის გუბეები.

31. *Conochilus unicornis* Rouss

გავრცელება: იაგორას ველის გუბეები, კახისის ტბა, მანდიაშვილის ტბა, საკოჭაოს დიდი და პატარა ტბა.

32. *Pompholix complanata* Gosse

გავრცელება: ბებესირი, რიწა.

33. *Hexarthra (Pedalia) mira* (Hudson)

გავრცელება: ბებესირი, ჯაპანა, იმნათი, ბაზალეთი, უძირო ტბა, ტაბაკონა, კახისის ტბა, წეროს ტბა, დაბაძველის ტბა.

34. *Triarthra longiseta* Ehrbg

გავრცელება: კუს ტბა, ავადხარას გუბე.

35. *Triarthra terminalis* Plate

გავრცელება: ახალი ათონის გუბე, ნურიის ტბა, ინკიტი, კუს ტბა, ტაბაკონა, დმანისის ტბა, იაგორას ველის გუბეები, წეროს ტბა, ტბა ბოგდანოვკას-თან, ტაბაწყური, სალამო, ფარავანი, ლამაჯის ტბა, ფოშტლის ტბა, ქორულთი, მრგვალი ტბა, ყვარელის წყალსაცავი.

II. Cladocera

1. *Diaphanosoma brachium* (Lievin)

გავრცელება: ჭელიაღელე, ტყიბულის წყალსაცავი, ახალდაბის ტბა, საკოჭაოს პატარა და დიდი ტბა, ტბა ბოგდანოვკის მახლობლად, იაგორას ველის გუბეები, მაღატაბა, დმანისი, ხანჩალი, იმნათი, ზორი, ბაზალეთი, აჭყალა, ბებესირი, ინკიტი, პალიასტომი, ჯანდარი, ჯაპანა.

2. *Daphnia magna* Straus

გავრცელება: თბილისის ზღვა, ნადარბაზევი, არბაზის ტბა, ჯანდარი, სამგორის მცირე ზომის წყალსატევები.

3. *Daphnia carinata* King

გავრცელება: თბილისის ზღვა, ფარავანი.

4. *Daphnia lumholtzi* Sars

გავრცელება: ჯანდარის ტბა.

5. *Daphnia pulex* (De Geer)

გავრცელება: a) *D. p. obtusa* Kurz: ჯაპანა, თბილისის ზღვა, მრგვალი.

ტბა, გრძელი ტბა, მაზერის ტბა, საშაშის მთის დიდი ტბა, ღობურების ტბა, იავორას ველის გუბეები, ტბაჟონა, აგადხარას გუბე;

ბ) D. p. pulicaria Forbes: შავი მთის ტბა, ტბა ბოგდანოვკის მახლობლად, ხოზაფინი;

გ) D. p. aestivalis Lillieb: საშაშის მთის პატარა ტბა.

6. *Daphnia longispina* O. F. Müller

გავრცელება: ა) D. l. leydigi Hellich: წმინდა ტბა, ღმანისი, ტაბაწყური, მრავალძალი, ტყიბულის წყალსაცავი, ღობურის დიდი ტბა, ვერცხლის ტბა, ლარჩევალის ჭალა, ორთამთა, კახისი, მანდიაშვილი, საკოჭაოს ტბები, იავორას ველი, მადატაბა, თრიალი, ახალი ათონის გუბეები, ნადარბაზევი, ბაკურიანის ბოტანიკური ბალის გუბეები, ბაზალეთი, აბულის ტბები, ლევანის ტბა, მრუდე ტბა, სამსარი, ავჭალა, ორლოვკა, ბუღდაშენი, ჯანდარი, ყარაგოლი (მესხეთი), კოთას ტბა;

ბ) D. l. caucasica Sars: უძირო ტბა, მწვანე ტბა, წეროს ტბა, ღაბაძევლა, ორლოვკა;

გ) D. l. litoralis Sars: შავი ტბა, ინკიტი, იმნათი;

დ) D. l. tenuitestata Sars: უღვირის დიდი ტბა, ფოშტლის ტბა, ორთმთა, შაორი;

ე) D. l. cavifrons Sars: ჭიქის ტბა, ჭელიალელე.

7. *Daphnia hyalina* Leydig

გავრცელება: თბილისის ზღვა, ბებესირი, მრავალძალის ტბა, რიწა, ტბა ბოგდანოვკის მახლობლად, ორლოვკა, ტყიბულის წყალსატევი.

8. *Daphnia cucullata* Sars

გავრცელება: ტყიბულის წყალსატევი.

9. *Ceriodaphnia reticulata* Jurine

გავრცელება: ა) C. r. typica: ჭელიალელე, ლამაჯას ტბა, იავორას ველის გუბეები, ხანჩალი, ზრესი, ჯაპანა, ლისის ტბა;

ბ) C. r. kurzii stingelin: მაზერი, უღვირის დიდი ტბა, წეროს ტბა, მანდიაშვილის ტბა, ღაბაძევლას ტბა, საკოჭაოს დიდი და პატარა ტბა, მადატაბა, ორლოვკა, ხარისთვალი, შაორი, ბაზალეთი, ავჭალა;

გ) C. r. serrata Sars: წმინდა ტბა, სოფ. აბულის ტბა.-

10. *Ceriodaphnia quadrangula* (O. F. Müller)

გავრცელება: ჯანდარის ტბა, ტბა ბოგდანოვკასთან.

11. *Ceriodaphnia pulchella* Sars

გავრცელება: უძირო ტბა, ღმანისის ტბა, ნურიის ტბა.

12. *Ceriodaphnia laticaudata* P. E. Müller

გავრცელება: ტყიბულის წყალსაცავი, ახალდაბის ტბა.

13. *Moina rectirostris* (Leydig)

გავრცელება: მრავალძალის ტბა, ჭიქის ტბა, ლოჭინის ხევის გუბე, ტბა, ილგუნიანი, ზრესი, ჯაპანა, ოკვარეს ტბორები, ფიჩორის ტბორები.

14. *Moina dubia* Guerne et Richard მართვული
გავრცელება: ბებესირის ტბა, ნურიის ტბა, გევუთის გუბე, ჯანდარი.

15. *Moina microphthalma* Sars მიმდინარე
გავრცელება: კუკიის ტბა, სამგორის მცირე ზომის წყალსატევები.

16. *Scapholeberis mucronata* (O. F. Müller)

გავრცელება: კახისის ტბა, წეროს ტბა, მანდიაშვილის ტბა, საკოჭაოს დიდი ტბა, სოფ. აბულის ტბა, შაორი, კუს ტბა, ჯაბანა.

17. *Simocephalus vetulus* (O. F. Müller)

გავრცელება: ბებესირი, წმინდა ტბა, უძირო ტბა, მრგვალი ტბა, უღვირის პატარა ტბა, ღობურის დიდი და პატარა ტბა, მულახის ტბა, ახალდაბის ტბა, მანდიაშვილი, დაბაძველა, საკოჭაოს დიდი ტბა, ხანჩალი, შაორი, სოფ. აბულის ტბა, ზრესი, ბუღდაშენი, ინკიტი, ჯაბანა.

18. *Simocephalus expinosus* (Koch)

გავრცელება: საშაშის მთის დიდი ტბა, ყვარელის წყალსაცავი.

19. *Bosmina longirostris* (O. F. Müller)

გავრცელება: ა) *B. l. typica*: ნურის ტბა, პალიასტომი. ნადარბაზევი, გლდანის ტბა, ვადცხე, ჯანდარი, კუს ტბა;
 ბ) *B. l. similis* (Lill.) Sars: ბებესირი, ტყიბული, იმნათი, დმანისი;
 გ) *B. l. pellucida* Stingelin: ტაბაწყური;
 დ) *B. l. cornuta* (Jurine): ტაბაწყური, შავი მთის ტბა.

20. *Ilyocryptus agilis* Kurz

გავრცელება: ტყიბულის წყალსაცავი, ჯაბანა.

21. *Macrothrix spinosa* King

გავრცელება: ობილისის ზღვა, ოკამის ხელოვნური წყალსაცავი.

22. *Macrothrix dadayi* Behning

გავრცელება: ჭიქის ტბა.

23. *Drepanomacrothrix stschelkanowzewi*
Werestschagin

გავრცელება: ვერცხლის ტბა, ორთამთის ტბა, მადატაპა, კუს ტბა.

24. *Streblocerus serricaudatus* (Fischer)

გავრცელება: კახისის ტბა, წეროს ტბა, საკოჭაოს პატარა და დიდი ტბა, იაგორას ველის გუბეები.

25. *Eury cercus lamellatus* (O. F. Müller)

გავრცელება: შაორი, ხანჩალი, მადატაპა, ბუღდაშენი, ავჭალა, სოფ. აბულის ტბა.



26. *Acroperus harpae* (Baird)

გავრცელება: შავი მთის ტბა, საკოჭაოს დიდი ტბა, იაგორაშ წელის გუბექი, სოფ. აბულის ტბა, ავჭალა, მაღატაპა, ხარისთვალი.

27. *Alonopsis elongata* Sars

გავრცელება: უძირო ტბა.

28. *Graptoleberis testudinaria* (Fischer.)

გავრცელება: კახისის ტბა, მანდიაშვილი, საკოჭაოს დიდი ტბა, იაგორას ველის გუბექი.

29. *Peracantha truncata* (O. F. Müller)

გავრცელება: ბებესირი.

30. *Dunhevedia crassa* King

გავრცელება: ახალდაბის ტბა.

31. *Rhynchotalona rostrata* (Koch.)

გავრცელება: ჯანდარი, ოკამის წყალსაცავი.

32. *Plenroxus trigonellus* (O. F. Müller)

გავრცელება: სოფელ აბულის ტბა.

33. *Pleuroxus aduncus* (Jurine)

გავრცელება: ახალდაბის ტბა, ჯაპანა.

34. *Leydigia leydigii* (Schödler)

გავრცელება: დმანისის ტბა, მაღატაპის ტბა, ოკამის წყალსაცავი.

35. *Alona guttata* Sars

გავრცელება: ბებესირი, უძირო ტბა, უღვირის პატარა ტბა, კახისის ტბა, წეროს ტბა, მანდიაშვილი, საკოჭაოს დიდი ტბა.

36. *Alona costata* Sars

გავრცელება: წმინდა ტბა, მრგვალი ტბა, შავი მთის ტბა, მაღატაპა, ახალი ათონის გუბექ, საკოჭაოს პატარა ტბა, შაორი, ხარისთვალი, ვარციხე, სოფ. აბულის ტბა, უღვირის პატარა ტბა, ოკამის წყალსაცავი, ყვარელის წყალსაცავი.

37. *Alona rectangula* Sars

გავრცელება: ა) *A. r. rectangula* Sars: თბილისის ზღვა, უძირო ტბა, ტყიბულის ხელოვნური წყალსაცავი, ახალდაბა, წერო, საკოჭაოს პატარა და დიდი ტბა, ტბა ბოგდანოვების მახლობლად, ბალიასტომი, ორლოვება, ტაბაკონა, ღროვებითი წყალსაცავი ლოჭინის ხევის შესასვლელთან, ტბა (ბორჯომის ჩ-ნი), კუსტბა, ინკიტი, ლისის ტბა, ოკამის წყალსაცავი, ყვარელის წყალსაცავი;

ბ) *A. r. pulchra* (Hellich): ხარისთვალი;

- გ) *A. r. caucasica* Schikleyew: ღმანისი, ორთამთა;
დ) *A. r. richardi* (Stingelin) შაორი.

მართვული
გამოყოფილი

38. *Alona affinis* (Leydig)

გავრცელება: მრგვალი ტბა, გრძელი ტბა, ჭელიალელე, ულვირის პატარა და დიდი ტბა, საშაშის მთის დიდი ტბა, ღობურის დიდი ტბა, მულახის ტბა, ვერცხლის ტბა, კახისი, მანდიაშვილი, საკოჭაოს დიდი ტბა, ბაზალეთი, სოფ. აბულის ტბა, არბაზის ტბა.

39. *Alonella exisa* (Fischer)

გავრცელება: დაბაძველას ტბა, საკოჭაოს დიდი და პატარა ტბა.

40. *Alonella exigua* (Lillieborg)

გავრცელება: ულვირის პატარა და დიდი ტბა.

41. *Chydorus sphaericus* (O. F. Müller)

გავრცელება: ლისი, თბილისის ზღვა, ბებესირი, საშაშის მთის დიდი ტბა, ნურიის ტბა, შავი მთის ტბა, მრგვალი ტბა, კიქის ტბა, შაორი, ულვირის პატარა და დიდი ტბა, ტყიბულის წყალსაცავი, საშაშის მთის პატარა ტბა, ფოშტლის ტბა, ღობურის დიდი და პატარა ტბა, მულახის ტბა, ღარჩევალის ჭალა, ორთამთა, საღამო, ამტყელი, წმინდა ტბა, ახალდაბა, კახისი, წერო, მანდიაშვილი, დაბაძველა, საკოჭაოს დიდი და პატარა ტბა, მადატაბა, ახალი ათონის გუბე, ხარისთვალი, ტაბაკონა, ბაზალეთი, ტბა (ბორჯომის რ-ნი), სოფ. აბულის ტბა, მწვერვალ აბულის ტბა, ლევანის ტბა, მრუდე ტბა, არბაზის ტბა, ავჭალის ტბა, ორლოვკა, ბუღდაშენი, ჯანდარი, ჯაბანა, კუს ტბა, ყარა-გოლი (მესხეთი), კოთას ტბა, ყვარელის წყალსაცავი.

42. *Monospilus dispar* Sars

გავრცელება: ფარავანი, საღამო.

43. *Polyphemus pediculus* (Linne)

გავრცელება: ხანჩალი, ლევანის ტბა, არბაზის ტბა, ავჭალის ტბა.

44. *Leptodora kindtii* (Focke)

გავრცელება: ტბაწყური, ტყიბულის წყალსაცავი, ფარავანი, საღამო.

III. Copepoda

1. *Macrocylops fuscus* (Jur)

გავრცელება: ყარა-გოლი (მესხეთი).

2. *Macrocylops albidus* (Jurine)

გავრცელება: წმინდა ტბა, უძირო ტბა, ტაბაწყური, კახისი, წეროს ტბა, მანდიაშვილის ტბა, საკოჭაოს ტბები, ორიალი, ბაზალეთი, ლევანის ტბა, ორლოვკა, ყარა-გოლის (მესხეთი), ყვარელის წყალსაცავი.



3. Eucyclops (s. str.) serrulatus (Fisch) გავრცელება: თბილისის ზღვა, მრავალბალი, ჭიქის ტბა, ჭელიალელე, მაჩერის ტბა, ლამაჯა, მულახი, ლარჩევალის ჭალა, შავი ტბა, ახალდაბა, უძორო ტბა, კახისი, წერო, მანდიაშვილი, დაბაძველა, საკოჭაოს დიდი ტბა, მადატაბა, ხარისთვალი, ტაბაკონა, ავალხარა, აბულის ტბა (სოფ. აბულთან), ბუღდაშენი, ჯანდარი, კუს ტბა, ყარა-გოლი (მესხეთი), კოთას ტბა.

ა) *E. (s. str.) serrulatus (Fisch) var. proximus Lill*

გავრცელება: ლისის ტბა, შაორი, ჯაპანა.

4. Eucyclops (s. str.) macruroides (Lill).

გავრცელება: ავჭალის ტბა, ჯანდარი.

**5. Paracyclops fimbriatus (Fisch) var
imminutus Kief.**

გავრცელება: ლისი, ტაბაწყური, ჯანდარი.

6. Cyclops strenuus Fisch

გავრცელება: თბილისის ზღვა, შაორი, ტყიბულის წყალსაცავი, მწვანე ტბა, შავი ტბა, ახალდაბა, დაბაძველა, იაგორას ველი, ხარისთვალი, ნურია-ველი, ტბა (ბორჯომის რ-ნი), რიწა, ჯანდარი, კოთას ტბა, ოქვარეს ტბორები.

7. Cyclops vicinus Uljan

გავრცელება: ლისი, ღმანისი, ნურიის ტბა, ტაბაწყური, იაგორას ველის გუბეები, კოთას ტბა, ჯანდარი, ფიჩორის ტბორები.

8. Acanthocyclops viridis (Jur)

გავრცელება: ტაბაწყური, ფარავნი, სალამო, ახალდაბა, კახისი, დაბაძველა, ტბა ხანჩალის მახლობლად, მაღატაბა, ორლოვეკა, ხანჩალი, ბაზალეთი, ხოზაფინი, აბულის ტბა, არბაზის ტბა, ზრესი, ბუღდაშენი.

9. Acanthocyclops vernalis (Fisch)

გავრცელება: ორთამთის ტბა, გეგუთის გუბე, ქვენობანის გუბე, ჯანდარი, ოკამის წყალსაცავი.

10. Acanthocyclops bicuspis (Claus)

გავრცელება: მრგვალი ტბა, სამგორის მცირე ზომის წყალსატევები.

11. Acanthocyclops languidoides Lill

გავრცელება: მრუდე ტბა, ჯანდარი, ინკიტი, ყვარელის წყალსაცავი.

12. Acanthocyclops bisetosus (Rehb.)

გავრცელება: ლისის ტბა.

13. Mesocyclops (s. str.) leuckarti Claus

გავრცელება: ბებესირი, ტყიბულის წყალსაცავი, შაორი, ჯანდარი, კუს ტბა, ინკიტი.

14. *Mesocyclops (Thermocyclops) crassus* (Fischer) ცაცული მომცვევები

გავრცელება: ლისის ტბა, ბებესირი, ვარციხე, ჯანდარი, კუს ტბა, ფიჩირის ტბორები.

15. *Arctodiaptomus salinus* Dad

გავრცელება: ობილისის ზღვა, წითელწყაროს მლაშე ტბა, ნადარბაზევი, მუხროვანის ხელოვნური ტბა, ხოზაფინი, ჯანდარი, სამგორის მცირე ზომის წყალსატევები.

16. *Arctodiaptomus bacillifer* Koelber

გავრცელება: კახისის ტბა, წეროს ტბა, ვერცხლის ტბა.

17. *Arctodiaptomus acutilobatus* C. O. Sars

გავრცელება: ტაბაწყური, შავი მთის ტბა, მრგვალი ტბა, გრძელი ტბა, მაჭერის ტბა, უღვირის ტბები; საშაშის ტბები, ორთამთის ტბა, მწვანე ტბა, ყარაგოლი, ფარავანი, სალამი, წმინდა ტბა, წეროს ტბა, მანდიაშვილი, დაბაძველა, მაღატაბა, ორლოვეა, ხანჩალი, აბულის ტბა (სოფ. აბულთან), მრუდე ტბა, ლევანის ტბა, ზერესი, სამსრის ტბა, ავჭალა, მრგვალი ტბა, კახისის ტბა, ტბა ბოგდანოვკასთან, გუბეები ცხრაწყაროს უღელტეხილზე, ყარა-გოლი (მესხეთი).

18. *Arctodiaptomus acutulus* A. Brian

გავრცელება: წმინდა ტბა, უძირო ტბა, ღმიანისი, ახალდაბა, ბაზალეთი, ყვარელის წყალსაცავი.

19. *Arctodiaptomus fischeri* W. Rylov

გავრცელება: შავი ტბა (აჭარა).

20. *Neutrodiaptomus incongruens* S. Poppe

გავრცელება: ჭელიალელე, შაორი.

21. *Arctodiaptomus lobulifer* W. Rylov

გავრცელება: ინკიტი.

22. *Hemidiaptomus tarnogradskii* W. Rylov

გავრცელება: ყელის ტბა.

23. *Hemidiaptomus behningi* Smirnov

გავრცელება: ცხრაწყაროს უღელტეხილის გუბეები.

ხერხემლიანთა ზოოლოგიის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 20. 7. 1964)

Л. КУТУБИДЗЕ

СИСТЕМАТИЧЕСКИЙ СОСТАВ И РАСПРОСТРАНЕНИЕ ЗООПЛАНКТОНА ОЗЕР ГРУЗИИ

Резюме

В представленной статье автором, на основании личных исследований, проведенных в течение последних 18 лет, дан список зоопланктональных организмов для 61 водоема Грузии.

Впервые для вышеуказанных 61 водоема зарегистрировано 102 вида зоопланктональных организмов. Из них

Rotatoria—35 видов,

Cladocera—44 вида,

Copepoda—23 вида.

თ. პავლიაშვილი

გასაღები გადინარე ჯუმის იხთიოზაურის შესრულებისათვის

შესაფალი

ჩვენი რესპუბლიკის რიგი წყალსატევები ფაუნისტური თვალსაზრისით ჯერჯერობით სრულყოფილად არაა შესწავლილი, ამასთან დაკავშირებით მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა მდინარე ჯუმის იხთიოზაურის სისტემატიკური შემადგენლობა და ცალკეული სახეობების განაწილება მდინარეში.

მდ. ჯუმში გაგრცელებული თევზების შესახებ დღემდე ლიტერატურაში ცნობებს ვერ ვპოულობთ.

წარმოდგენილი შრომისათვის საჭირო საკვლევი მასალა ავიღეთ მდ. ჯუმის ქვედა დინებაში 1960 წ. 24 ივლისიდან 24 აგვისტომდე. მასალას ვიღებდა მდინარის ტოტის დაწყვეტით, ანკესით, სასროლი და მოსასმელი ბადით. აღებულ მასალას ადგილზე ვაფიქსირებდით ფორმალინში, ხოლო მის დეტალურ შესწავლას ვახდენდით ხერხემლიანთა ზოოლოგიის კათედრის ლაბორატორიაში.

ჩვენს მიერ მდ. ჯუმში მოპოვებულ იქნა 13 სახეობის თევზი (სულ 350 ეგზემბლარი).

მდ. ჯუმის იხთიოზაუნაზე გავლენას ახდენს ამ მდინარის თავისებურება: წყალშემკრები აუზის სიმცირე, შენაკადების ნაკლებობა და მდინარის წყლის რეზიდის ერთფეროვნება. როგორც ცნობილია, ყველა მდინარე ხასიათდება ქვემო წელში ნელი დინებით, ასევე ითქმის მდ. ჯუმშე, რომელიც მდ. ენგურის შესართავთან დაახლოებისას ძლიერ ნელი მიედინება და, ერთი შეხედვით, დინებას თითქმის სრულებით არა აქვს ადგილი. ამიტომ მდ. ჯუმის ამ ნაწილში ხშირადაა ლოქო და კობრი. მათთვის მდ. ჯუმის ეს ნაწილი საუკეთესო ადგილსამყოფელს წარმოადგენს ზამთრის პერიოდში, როდესაც ზემოთ აღნიშნული სახეობანი ე. წ. ზამთრის ძილს ეძლევიან.

მდ. ჯუმი სათავეს იღებს წალენჯიხის რაიონის სოფ. ენწერთან 310 მ. ზ. დ. და ერთვის მდინარე ენგურს სოფ. დარჩელთან 2,9 მ. ზ. დ. მისი მიმართულება სათავიდან ცაიშამდე მერიდიანალურია, ცაიშიდან კი ხდება სამხრეთ-დასავლეთური. მდინარის სიგრძე 61 კმ-ს უდრის. აუზის ფართობი 364 კვ კმ-ია, სოფ. დარჩელთან მას ჩხოუში ერთვის, გორაკ-ბორცვიან ზონაში, მისი კალაპოტის ნაპირები 2—3 მეტრია, ხოლო დაბლობებში გასვლისას ნაპირები თანდათან დაბლდება, საიდანაც წყალდიდობის დროს წყალი ახლო ჭაობებში გადადის.

მდინარის ფსკერი დაფარულია უმთავრესად ქვიშითა და ლამით, სოფ. დარჩელთან მდ. ჯუმი ჭაობის მდინარის ტიპს მიეკუთვნება: ახასიათებს ყვი-

თელი ფერი, ჭაობის სუნი, მცირე სიჩქარე ($0,2-0,3$ მ წამში), წყლის ტემპერატურა ზაფხულში თითქმის ჰაერის ტემპერატურის ტოლია. მდინარე ჭური მდ. ენგურის მარცხენა შენაკადია.

მიღებული ჯეღვები

1. ქაშაპი — *Leuciscus cephalus orientalis* Nordm.

ქაშაპი დასავლეთ საქართველოს მდინარეებში ფართოდაა გავრცელებული. იქი იყვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით. ჩენების მიერ განკვეთილ და დამუშავებულ იქნა 55 ეგზემპლარის კუჭ-ნაწლავი, რის შედეგადაც აღმოჩნდა: კურკიანას ნაყოფი, შეიძლება იყოს მცენარის კურკიანა ნაყოფი, სპიროვირათა გვარის წარმომადგენლები, ხავსების ნარჩენები, უხერხემლო ცხოველის ნარჩენები. 1 ქაშაპის კუჭ-ნაწლავში ნახულ იქნა 30 *Physa acuta* და ოვალების ნარჩენები. ქაშაპის ნაწლავში აღმოჩნდა ლენტურა ჭიბი.

ჩენების მიერ ქაშაპი მოპოვებულია მდ. ჯუმის ქვემო დინებაში სოფ. დარჩელთან, სოფ. ჯუმთან, სოფ. კიროვთან. მდინარე ჯუმში ეს თევზი საკმაო რაოდენობით გვხვდება. მისი სარეწაო მნიშვნელობა აღგილობრივი ხასიათისაა.

2. კოლხური ტობი — *Chondrostoma colchicum* (Kess.) Der jug.

ბერგის (2) მიხედვით კოლხური ტობი გავრცელებულია კავკასიაში ტუაფსედნ კოროხეამდე. ამასვე იმეორებს ბარაჩიც (1).

ჩენების მიერ კოლხური ტობი მოპოვებულია მდინარე ჯუმში დარჩელთან, კიროვთან, ცაიშთან, ჯუმთან.

3. კოლხური ციმორი — *Gobio gobio lepidolaemus* n. caucasicus Kam.

ელანიძის (5) ცნობით კოლხური ციმორი მრავლდება: მტკვარსა და ხრამში მაის-ივნისში, სუფსაში—მაისში, რიონში, ქვემო დინებაში—გაზაფხულის დასასრულს, ხოლო ზემო დინებაში—უფრო გვიან—ზაფხულის დასაწყისში. ელანიძე (6) ამას აღნიშნავს ენგურის ქვემო დინებაში გაზაფხულზე, ხოლო შუა დინებაში—უფრო გვიან.

ჩენების მიერ მასალა აღებული იყო ივლისში და აგვისტოს პირველ რიცხვებში. მასში აღმოჩნდა ქვირითი განვითარების უკანასკნელ სტადიაზე.

ბარაჩის (1) მიხედვით კოლხური ციმორი გავრცელებულია მთელ აფხაზეთში.

ჩენების მიერ კოლხური ციმორი მოპოვებულია მდინარე ჯუმში დარჩელთან, ცაიშთან. ირჩევს თხელწყლიან, ქვა-ქვიშიან აღგილებს.

4. კოლხური წვერა — *Barbus tauricus escherichi* (Steind.)

კოლხური წვერა დასავლეთ საქართველოში გვხვდება თითქმის ყველა მდინარეში. ბერგის (2) ცნობით ეს თევზი გავრცელებულია დასავლეთ ამიერ-კავკასიაში ჩრდილოეთი სოჭამდე, ჭოროხის აუზში შავი ზღვის შენაკად მდინარეებში, მცირე აზიის დასავლეთით მდ. საკარიის აუზამდე.

ბარაჩის (1) მონაცემებით კოლხური წვერა გვხვდება დასავლეთ საქართველოს მრავალ მდინარეში.

ჩვენს მიერ მოპოვებულია მდ. ჯუმში ცაიშთან, ჯუმთან, დარჩელთან, კიროვთან. კოლხური წვერა მდ. ჯუმის ქვემო დინებაში ნაკლები რაოდენობით გვხვდება.

საცხოვრებლად ირჩევს მდინარის შუა და ზემო დინებას, სადაც ყველაზე მეტადაა გავრცელებული. სწრაფი თევზია, უყვარს სწრაფად მიმდინარე სუფთა წყალი.

კოლხური წვერა იკვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით. მის კუჭ-ნაწლავში ჩვენს მიერ ნახულია ზრდასრული მწერები და მათი ნარჩენები. კოლხური წვერა ადგილობრივი მნიშვნელობის სარეწაო თევზია.

5. ნაფოტა—*Alburnus alburnus* (Linné)

ნაფოტა ჩვენს მიერ მდ. ჯუმში მოპოვებულია 40 ეგზემპლარი. მის კუჭ-ნაწლავში ნახულ იქნა ცხოველური და მცენარეული საკვები.

ბერგის (2) მიხედვით გამრავლება იწყება მაისში და გრძელდება ივლისის პირველ რიცხვებამდე, ხოლო ელნიძის (5) ცნობით მაისში, ივნისსა და ივლისში.

ჩვენს მიერ ივლისსა და აგვისტოში აღებულ მასალაში აღმოჩნდა ქვირითი.

სხეულის გვერდებზე, ქვედა ყბის წინა ნაწილში, პერიტონიუმზე და საკვერცხებზე გაბნეულია წვრილი ბიგმენტური მარცვლები.

ბერგი (2) მიუთითებს, რომ შავი ზღვის აუზში გავრცელებულია ჩრდილო-დასავლეთით მდ. დუნაიდან მდ. დონამდე.

ელანიძის (5) მიხედვით იგი მოიპოვება რიონის შესართავში, ფოთის ნარიონალში, სამტრედიის ბოლოზე ბაქან და ფნასონ, ნატეხურალში, ბებესირის ტბაში. ელანიძე (6) მას აღნიშნავს ენგურის შესართავში, თიქორში და ჭურიაში.

ჩვენს მიერ ნახულ იქნა მდ. ჯუმში ცაიშთან, დარჩელთან, კიროვთან, აგრეთვე გუბურებსა და ტბორებში. ირჩევს ნელი დინების თხელწყლიან ადგილებს.

6. სამხრეთული მარდულა—*Alburnoides bipunctatus fasciatus* (Nordm.).

სამხრეთული მარდულა ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს წყლებში. ჩვენს მიერ მდ. ჯუმში ნაპოვნია ცაიშთან, ჯუმთან.

7. კობრი—*Cyprinus carpio* L.

კობრი ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა მდ. ჯუმში ს. კიროვთან, დარჩელთან, ცაიშთან.

წყლდიდობის დროს, მდინარის მახლობლად წარმოშობილ დროებით ტბორებში დიდი რაოდენობით გვხვდება ახალგაზრდა ინდივიდები.

8. ტაფელა—*Rhodeus sericeus* (Bloch)

ბარაჩის (1) მიხედვით ტაფელა გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს მდინარეებში.

ბურჯანაძის (3) ცნობით ტაფელა მოიპოვება რიონში, ნატანებში, პალიასტომის ტბაში, ხოლოქში.



ელანიძე (6) აღნიშნავს, რომ ტაფელა გავრცელებულია მდინარეებზე მდუმარებელი რეაცია რუხში, გოფოში, ჯუმში, თიქორში, ჭურიაში.

ჩვენს მიერ ტაფელა ნახულ იქნა მდინარე ჯუმში ჯუმთან, ცაიშთან, დარჩელთან, კიროვთან.

ტაფელა გვხვდება ნელი დინების ტოტებში, გუბურებში, მცირე წყალ-სატევებში.

9. გველანი—*Cobitis taenia* L.

ელანიძის (6) ცნობით გველანა მოიპოვება ენგურის შუა და ქვემო დინებაში.

ბარაჩის (1) მიხედვით ეს სახე გვხვდება სოხუმის ახლოს ჭაობებში.

ჩვენს მიერ ნახულ იქნა მდ. ჯუმსა და მის მიერ წყალდიდობის დროს ჭარმოშობილ გუბურებში, დარჩელისა და კიროვის გახლობლად ჭაობებში.

სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

10. გოჭალა—*Nemachilus angorae* Steind.

გოჭალა ბარაჩის (1) მონაცემებით ფართოდაა გავრცელებული შავი ზღვის შენაკად მდინარეებში.

ჩვენს მიერ მოპოვებულ იქნა მდ. ჯუმში ცაიშთან, ჯუმთან და მის შენაკადებში—ჩხოუსა და უჩალალაში. ორჩევს ქვა-ქვიშიან ბიოტოპს, თხელწყლიან ადგილებს. ბინადრობს ქვების ქვეშ—შლამში, ქვიშაში.

სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

11. ლოჭო—*Silurus glanis* L.

ლოჭო გავრცელებულია შავი ჭლვის საქართველოს სანაპიროების თითქმის ყველა წყალში ჭოროხიდან დაწყებული კოდიროამდე.

მდ. ჯუმის ქვედა დინება, განსაკუთრებით მდ. ენგურის შესართავის გახლობლად, მისთვის საუკეთესო ბიოტიპს წარმოადგენს, საღაც საქმაო რაოდენობით გვხვდება. ნახულია საქმაოდ დიდი ზომის ეგზემპლარები.

ლოჭო ძვირფასი სარეწაო თევზების ჯგუფს ეკუთვნის.

12. გამბუზი—*Gambusia affinis* (Gir.)

მდ. ჯუმში გამბუზია გვხვდება ჯუმთან, ცაიშთან, დარჩელთან, კიროვთან. მის საუკეთესო გარემოს შეადგენს მდგარი მცირე წყალსატევები, ტბორები, ჭაობები, მდორე ტოტები, რომლებიც მდიდარია მცენარეულობით, ბენთო-სითა და პლანქტონით.

13. მეშლამია ღორჯო—*Gobius fluviatilis* Pall.

ბარაჩის (1) ცნობით მეშლამია ღორჯო გავრცელებულია ტუაფსედან ჭოროხამდე. ელანიძის (5) მიერ იგი ნახულია რიონის ქვემო დინებაში, ტეხურის შესართავში, ნატეხურალში, სუფსის ქვედა დინებაში.

ელანიძის (6) მიხედვით მეშლამია ღორჯო გავრცელებულია მდ. ენგურის ქვეშ დინებაში, უფრო მეტად—შესართავთან, მდ. ჯუმში, მდ. თიქორში.

მეშლამია ღორჯო მოპოვებულია მდ. ჯუმში ცაიშთან, დარჩელთან, კიროვთან. ორჩევს მდინარის მდორე დინებას და შლამიან ფსკერს.

დ ა ს პ 8 6 6 0

იმპრესუატი
გიგანტის მიერ

ჩვენი გამოკვლევის შედეგად მდ. ჯუმში აღრიცხულია 13 სახეობის თევზი, რომელიც ერთიანდებიან 13 გვარსა და 5 ოჯახში.

აღნიშნული სახეობიდან ყველაზე დიდი რაოდენობით გვხვდება: კობრი, ლოქო, კოლხური ქაშაბი და ნაცოტა.

ზემოთ დასახელებული თევზების უმრავლესობა სარეწაო მნიშვნელობისაა, მაგრამ მდინარე ჯუმში ამისათვის ნაკლები შესაძლებლობა არსებობს. ამას ზედ ერთვის თევზის არარაციონალური ჭერა.

ზერხემლიანთა ზოოლოგიის

გათვალისწინებული თევზების უმრავლესობა სარეწაო მნიშვნელობისაა,

(შემოვიდა რედაქციაში 12. 1. 1961)

Т. ПАВЛИASHVILI

МАТЕРИАЛЫ К ИЗУЧЕНИЮ ИХТИОФАУНЫ РЕКИ ДЖУМИ

Резюме

На основании личных исследований и анализа литературных данных, автор установил распространение в р. Джуми 13 видов рыб, которые относятся к 13 родам и 5 семействам:

1. *Leuciscus cephalus orientalis* (Nordm.)
2. *Chondrostoma kolchicum* (Kessl.) Derjug.
3. *Gobio gobio lepidolaemus natio caucasicus* Kam.
4. *Barbus tauricus escherichi* Steind.
5. *Alburnus alburnus* (Linné)
6. *Alburnoides bipunctatus fasciatus* (Nordm.)
7. *Cyprinus carpio* L.
8. *Rhodeus sericeus* (Bloch)
9. *Cobitis taenia* L.
10. *Nemachilus angorae* Steind.
11. *Silurus glanis* L.
12. *Cambusia affinis* (Gir.)
13. *Gobius fluviatilis* Pall.

Из перечисленных видов больше всех водится карп, сом, лещ и др.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. Барач Г.Н., Фауна Грузии, т. I, Рыбы пресных вод, Тбилиси, 1941.
2. Берг Л. С., Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран, ч. II, Москва, 1949.
3. ბურჯანაძე მ., საქართველოს მცხარი შეღების თევზთა სარკვევი, თბილისი, 1940.
4. ელანიძე რ., მასალები მდინარე სუფსის იხთოვაუნის შესწავლისათვის, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტ. შრომები. ტ. XIII. 1954.
5. ელანიძე რ., მასალები მდ. რიონის იხთოვაუნის შესწავლისათვის, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტ. შრომები. ტ. XV. 1956.
6. ელანიძე რ., მდინარე ენგურის იხთოვაუნა, საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის ზოოლოგიის ინსტ. შრომები, ტ. XVII, 1960.
7. კიკილაშვილი თ., საქართველოს მდინარეთა ჰიდროგრაფია. საქ. სსრ. მეცნ. აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები. ტ. III, 1948.

პ. ხელაძე

გლიცერი რინულას იხთიოფაზის გესავადისათვის

შესავალი

ცნობილია, რომ წყალსატევების იხთიოფაუნის გამოკვლევას დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პირობებში. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი მდინარეები და ტბები ამ მხრივ ნაკლებად არის შესწავლილი და მით უმეტეს მცირე ზომის წყალსატევების იხთიოფაუნის შესახებ ლიტერატურაში თითქმის არაფერი მოიპოვება, ასეთი წყალსატევების შესწავლა კი ინტერესმოქლებული არაა, ვინაიდან მასში ზოგჯერ მოსახლეობს ისეთი თევზები, რომელთა გამოყენებას ადგილობრივი სარეწაო მნიშვნელობა აქვს.

დასავლეთ საქართველოს მთის მდინარეების იხთიოფაუნის შესახებ ზოგიერთ მონაცემებს ვპოულობთ ბარაჩის (1) ნაშრომში, თუმცა ამ შრომაში მდინარულის იხთიოფაუნის შესახებ არაფერია ნათქვამი. მდ. ძირულაში მობინადრე თევზების სახეობრივი შედგენილობისა და ზოგიერთი მნიშვნელოვანი სახეობის ბიოლოგიურ თავისებურებათა დაზუსტებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

ჩვენ შევეცადეთ შეგვესტავლა მდინარე ძირულას იხთიოფაუნა, დაგვედგინა სისტემატური შემადგენლობა, ცალკეული სახეობის განაწილება მდინარის სხვადასხვა უბანში და ნაწილობრივ გავიშუქრებინა ამ მდინარეში მობინადრე თევზების ბიოლოგია.

მდინარე ძირულა, როგორც მცირე ზომის წყალსატევი, მტკნარი წყლის თევზების ზოგიერთი სახეობისათვის არსებობის ხელსაყრელ პირობებს ქმნის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მდინარე იქნება დაცული და ამასთან, მასში მობინადრე თევზების ბუნებრივი მარაგი რაციონალურად იქნება გამოყენებული, მაშინ მათი ადგილობრივი მოხმარების მნიშვნელობა კიდევ მეტად გაიზრდება.

გასალის შეგროვებას ვაწარმოებდით 1956 წლის ზაფხულის და ნაწილობრივ, შემოდგომის განმავლობაში. ჩვენ მიერ ჩატარებული იყო საველე მუშაობა მდინარე ძირულას მთლიან აუზში. ექსპედიციის ღრმა შეგროვილო-თევზების მასალების გარკვევა ჩავატარეთ ხერხემლისნთა ზოოლოგიის ლაბორატორიაში.

თევზების მოძოვებას ვაწარმოებდით: მდინარის ტოტის დაშრობით, სასროლი ბადით, ფაცერით, ხელბადითა და ანკესით. ადგილზე ვაწარმოებდით თევზების აწინვასა და გაზომვას, რის შემდეგ მასალას ვაფიქსრებდით $4^{\circ}/\text{o}$ -იან ფორმალინში. შევისწავლეთ ზოგიერთი სახეობის საკვების შედგენილობა, ამისათვის ვაწარმოებდით კუჭ-ნაწლავის გაკვეთას და საკვების ხარისხებრივ შემადგენლობას ვარკვევდით ბინოულიარული ლუბის საშუალებით. მიღებული შედეგები ტექსტის სათანადო ადგილას არის მოცემული.

მდ. ძირულაში მობინადრე თევზებზე უარყოფით გავლენას, ახალი მობინადრე გორც ბუნებრივი პირობები, ისე ადამიანიც მთეთქავი და მომწმლელი ნივთიერების მოქმედებით. ეს უკანასკნელი ძალზე ამცირებს მათ რიცხობრივ და ნაწილობრივ სახეობრივ შემადგენლობას.

მდინარე ძირულას მოკლე ფიზკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა

მდ. ძირულა სათავეს იღებს ქართლ-იმერეთის ქედის მთა ბერანგას სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე 1408 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. მიემართება სამხრეთ-დასავლეთისაკენ და მდინარე ყვირილას ერთვის დაბა შორაპანთან 171 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. მისი წყალშემკრები აუზის ფართობი კიკილაშვილის (6) მონაცემებით უდრის 1270 კ. მ², ხოლო სიგრძე კი — 103 კმ.

მდ. ძირულას შემდინარეებია: მარჯვენა მხრიდან მდ. დუმალა, რომელიც სათავეს იღებს სოფ. კორბოულის მახლობლად 939 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. და მდ. ძირულას ერთვის სოფ. ამაშუკეთთან მარჯვენა მხარეზე 280 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ.

მდ. ძირულას მარცხენა მხრის შემდინარეებიდან აღსანიშნავია მდ. ჩხერიმელა, რომელიც სათავეს იღებს ქართლ-იმერეთის ქედის ბოლოზე რიკოთისა და სურამის ვადასასელელებს ზორის მთა საბუეთის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე 1050 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. და მდ. ძირულას ერთვის სადგურ ძირულასთან 196 მეტრის სიმაღლეზე ზ. დ. მდინარე ძირულას სიგრძე უფრის 32 კმ.

მდ. ძირულა საზრდოობს გრუნტის წყლებით, თოვლისა და წვიმის წყლებით. მაგრამ მიმაღლური წყლიანობა ახასიათებს გაზაფხულზე და შემოღომაზე, ხოლო მინიმაღლური კი — ზამთარსა და ზაფხულში. წყალმოვარდნა ახასიათებს წლის ყველა დროში, ისე როგორც შავი ზღვის სანაპირო ტიბის მდინარეებს. უფრო მეტი გამჭვირვალობა ახასიათებს ზამთარში და ზაფხულში, ვიდრე შემოდგომასა და გაზაფხულზე.

თევზების ხისტეატიკური შემადგენლობა

ქვემოთ მოცემულია ჩვენს მიერ მდინარე ძირულაში მოპოვებული თევზების სია.

1. მდინარის კალმახი *Salmo fario* L.

კალმახი ძირულაში ჩვენს მიერ მოპოვებულია ზემო წელში შესამჩნევი რომელიც, ხოლო შუა წელში გვხვდება მცირე რაოდენობით, იშვიათად — ქვემო წელში. ეს თევზი ბინაღრობს მდ. ძირულას შენაკად მდინარეებსა და ლელებში. მდინარეებიდან აღსანიშნავია მდ. დუმალა და მდ. ჩხერიმელა, რომელშიაც კალმახი თითქმის ყველგან მოიპოვება.

მდ. ძირულაში კალმახის მოპოვება ადგილობრივ ხასიათს ატარებს, ამიტომ მისი სარეწაო ღირებულება უმნიშვნელოა.

2. ქაშაბი *Leuciscus cephalus orientalis* Nordm.

ბარახის (1) მონაცემებით ქაშაბი დასავლეთ საქართველოს მდინარეებში გვხვდება, გარდა დაჭაბობებული ადგილებისა.

ბერგის (2) გამოკვლევით ქაშაბი გვხვდება ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილის ქვედა მდინარეებში, ნაკადულებსა და სამხრეთით თითქმის მდ. ჭორხაშიდე.

ბურჯანაძის (5) მონაცემებით ქაშაპი გავრცელებულია დასავლეთ-ცენტრულ კულტურულ ტერიტორიაზე.

ჩვენს მიერ მდ. ძირულაში ქაშაპი მოპოვებულია ქვემო და შუა წელში, აგრეთვე მის მთავარ შემდინარეებში. ამ თევზებს ვპოულობდით მორევში, ღრმა წყლებში. ვიჟერდით ბადით მდინარის ნაპირებთან და ნაპირებიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით.

ქაშაპი იკვებება მცენარეული და ცხოველური საკვებით. ჩვენს მიერ გაკვეთილი იყო 20 ეგზებულარი. უმეტეს მათგანს კუჭ-ნაწლავში აღმოაჩნდა ცხოველებისა და მცენარეების ნარჩენები. ქაშაპი იკვებება ბენთოსით.

3. კოლხური ტობი *Chondrostoma colchicum* (Kessler) Deriugin

ბარაჩის (1) მონაცემებით კოლხური ტობი დასავლეთ საქართველოს შემდეგ მდინარეებში ბინადრობს: ჭოროხში, ჩაქვში, ნატანებში, რიონშა და ყვირილაში.

ბურჯანაძის (5) მონაცემებით კოლხური ტობი აფხაზეთის მდინარეებში ფართოდ არის გავრცელებული. აფხაზეთის სამხრეთით ბინადრობს რიონში (ქუთაისთან), ყვირილაში, ნატანებში, ჩაქვის წყალში და ჭოროხში.

ჩვენს მიერ კოლხური ტობი მოპოვებულია მდ. ძირულაში სოფ. შროშასთან. ბინადრობს ქვემო, შუა და ზემო წელში. ეს თევზი გვხვდება აგრეთვე მის შემდინარეებში, როგორიცაა ღუმალი და ჩხერიმელა.

კოლხური ტობი ეტანება სუფთა წყალს, გვხვდება მდინარის ნაპირებში, ნაპირის დაშორებით, მდორე დინებაში, ჩანჩქერში და მორევში. იკვებება ძირითადად წყალმცენარეებით, მრავლდება გაზაფხულზე. მოსახლეობა ეტანება საკედად. მისი სარეწაო მნიშვნელობა ადგილობრივ ხასიათს ატარებს.

4. კოლხური ციმორი *Gobio gobio lepidolaemus* n. *caucasicus* kam

ბარაჩის (1) მონაცემებით კოლხური ციმორი გვხვდება ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში, მდ. ტუაფსედან რიონის აუზამდე. იგივე აზრს გამოსთვამს ბერგი (2).

მდ. ძირულაში კოლხური ციმორი ჩვენ მიერ მოპოვებულია მდინარის ქვემო წელში. ადგილობრივი მოსახლეობა საკვებად იყენებს. კოლხური ციმორი იკვებება ბენთოსით. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

5. კოლხური ხრამული *Varicorhinus silboldi* (Steind)

ბარაჩის (1) მონაცემებით კოლხური ხრამულს დასავლეთ საქართველოში უწოდებენ „ბოლოწითელს“, ბინადრობს მდ. რიონში (ქუთაისთან), მის შემდინარეებში; ცხენისწყალში და ყვირილაში, სუფსაში და ქობულეთში.

ბურჯანაძე (5) აღნიშნავს, რომ კოლხური ხრამული დასავლეთ საქართველოს შემდეგ მდინარეებში გვხვდება: რიონი, ცხენისწყალი, ყვირილი, სუფსა და ჭოროხი.

ტყეშელაშვილის (7) გამორკევით კოლხური ხრამული მოიძოვება მდ. სულორში, მდ. კორისწყალსა და კვინისწყალში.



ჩვენს მიერ კოლხური ხრამული მოპოვებულია მდ. ძირულას ქვეშელმცველული წელში. ადგილობრივი მეთევზების თქმით იგი ბინადრობს ზემო წელშიც. გარდა აღნიშნულისა, ეს თევზი მოიძოება მდ. ჩხერიმელას და მდ. ძირულას სხვა შემდინარე მდინარეებსა და ლელეებში.

ნიკოლსკის (4) მონაცემებით ეს თევზები იკვებება უდაბლესი წყალმცენარეებით, კუჭ-ნაწლავის შიგთავსის ანალიზის შედეგად ჩვენს მიერ საკვების შემადგენლობაში ნახულია ნახევრად მოუნელებელი წყალმცენარეების ნარჩენები, რომლის სისტემატიკური შემადგენლობის გარკვევა შეუძლებელი შეიქმნა დაზიანების გამო.

კოლხური ხრამულს ადგილობრივი მოსახლეობა აქაც „ბოლოწითელა“ უწოდებს და იყენებს საკვებად. თევზის გამოყენებას ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს.

6. კოლხური წვერი *Barbus tauricus escherichi* Steind

კოლხური წვერა მდ. ძირულაში გვხვდება მთელ აუზში. უმეტესად ვპოულობდით ჩანჩქრებში. გვხვდება ჯგუფურად და ზოგჯერ ერთეულებიც. ჯგუფებში ერთანაბლებიან როგორც დიდი ზომის, ისე მცირე ზომის ეგზემპლარები. იკვებება მცირე ზომის ცხოველებით, კიბოსნაირებით, სხვადასხვა სახეობის მწერებით, მათი მატლებით და ჭიებით. ვიჰერდით ბადით და ხელით ქვების ქვეშ.

კოლხური წვერის სარეწაო მნიშვნელობა ადგილობრივ ხასიათს ატარებს.

7. სამხეთის მარდულა *Alburnoides bipunctatus* fasciatus Nordm

ნიკოლსკი (4) სამხრეთის მარდულას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც სხვადასხვა სახეობის მწერთა მატლების გამნადგურებელს.

ბერგის (3) მონაცემებით სამხრეთის მარდულა მოიძოვება შავი ზღვის აუზში გელენჯიკიდან ბათუმამდე.

ჩვენს მიერ მარდულა მოპოვებულია მდ. ძირულას ქვემო წელში 4 ეგზემპლარის რაოდენობით. ეს თევზები იკვებება მწერებით, მათი მატლებით, თევზების ქვირითით და ლიფსიტებით.

8. ტაფელა *Rodeus sericeus* Pall

ტყეშელაშვილის (7) გამოკვლევით ტაფელა ბინადრობს კვინისწყალსა და კორისწყალში რიონის შესართავთან.

ბურჯანაძის (5) მონაცემებით ტაფელა გვხვდება რიონში, ნატანებში, პალიასტომის ტბაში და მდ. ჩოლოქში.

ჩვენს მიერ მოპოვებულია მდ. ძირულას ქვემო წელში ორი ეგზემპლარის რაოდენობით. გვხვდებოდა მდორე და დამდგარ წყლებში. იკვებება წყალმცენარეებით. როგორც ცნობილია, ამ თევზებისათვის დამახასიათებელია ის, რომ დედალი ქვირითს Unio-s ლაყუჩის ღრუში დებს. ქვირითის ყრა ხდება მარტსა და აგვისტოს თვეებში.

9. კობრი *Cyprinus carpio L.*მდინარეთის
გიგანტული

კობრი ფართოდაა გავრცელებული დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მდინარეში და მას მთელ რიგ ადგილებში სარეწაო მნიშვნელობა აქვს. გვხვდება მდინარე ძირულას ქვემ და ზუა წელში. ადგილობრივი მეოვეზების გაღმოცემით კობრის მასიური დაჭრა წარმოებს აპრილში და მაისის თვეში, ხოლო ერთეულების სახით სხვა თვეებშიც მოიპოვება. ეს თვეზები ბინადრობენ ძირულას შემდინარეებშიაც, როგორიცაა მდ. ჩხერიმელა, დუმალა და სხვა. ჭერას აწარმოებენ ფაცერით, ბადით და ანკესით.

კობრის სარეწაო მნიშვნელობა ადგილობრივ ხასიათს ატარებს.

10. გოჭალა *Nemachilus angorae Steind.*

გოჭალა ჩვენს მიერ მოპოვებულია მდ. ძირულას მთლიან დინებაში, აგრეთვე გვხვდებოდა შემდინარეებშიაც: მდ. ჩხერიმელა, დუმალა და მათ ლელეებში. ამ თვეზს ვიჭერდით ქვების ქვეშ, პატარა ტბორებსა და გუბეებში. ადგილობრივი მოსახლეობა საკვებად იყენებს. ეს სახეობა სარეწაო მნიშვნელობას მოქლებულია.

11. გველანა *Cobitis taenia L.*

ჩვენს მიერ გველანა მოპოვებულია 20 ეგზემპლარის რაოდენობით. ადგილობრივი მოსახლეობა ამ თვეზს უწოდებს „ვენახას“. მოიპოვება მდ. ძირულას მთლიან დინებაში, ყველა მათ შემდინარესა და პატარა ლელეში. უმეტესად გვხვდება ქვების ქვეშ, მდგარ წყლებში და პატარა ტბორებში. იყენებენ საკვებად. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

12. ლოქო *Silurus glanis L.*

ნიკოლსკის (4) მონაცემებით ლოქო დიდი რაოდენობით ანადგურებს ბაყაყებს, თევზებს და არის შემთხვევები, როცა ისინი თავს ესხმიან ბავშვებსაც. ლოქო ზამთრობით არ იკვებება. გაზაფხულზე, ზაფხულზე და ნაწილობრივ შემოდგომაზე იგი ინტენსიურად აწარმოებს კვებას. ნოემბრის თვის ბოლო რიცხვებში ლოქო მდინარეში პოულობს ორმის და იზამთრებს.

ლოქო ჩვენ მიერ მოპოვებულია მდ. ძირულას ქვემ წელში სოფ. შროშასთან და აგრეთვე მდ. ჩხერიმელაში. ვიჭერდით ბადით და ანკესით 30 სანტიმეტრის სიგრძისას. დიდი რაოდენობით ანადგურებს მცირე და დიდი ზომის თევზებს, როგორიცაა: ქაშაპი, კოლხური ტობი, კოლხური წვერა, კობრი, გოჭალა, გველანა და სხვა. ჩვენს მიერ მათ კუჭ-ნაწლავის შიგთავსის ანალიზისას ნახული იყო კოლხური წვერა 2 სანტიმეტრის სიგრძისა და სხვა თევზები, რომელთა გარკვევა არ მოხერხდა დაზიანების გამო.

როგორც ცნობილია, ლოქოს დიდი ზიანი მოაქვს თევზმეურნეობისათვის. ლოქოს სარეწაო მნიშვნელობა ადგილობრივ ხასიათს ატარებს.

13. კავკასიური მდინარის ღორჯო *Gobius cephala-*
larges constructor Nordm.

ბარაჩის (1) მონაცემებით კავკასიის მდინარის ღორჯო დასავლეთ საქართველოს შემდეგ მდინარეებში გვხვდება: ფირცხა, რიონი და ყვირილა.

ტყეშელაშვილის (7) გამოკვლევით კავკასიის მდინარის ღორჯო მობილური უსაფრთხოების შეზღუდვის სულორში, კვინისწყალსა და კორისწყალში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ღორჯოს გვარის წარმომადგენლების სისტემატიკა და ბიოლოგია ნაკლებად არის ცნობილი, ეს თევზი საქართველოს თითქმის ყველა მდინარესა და მათ შემდინარეში ბინადრობს, განსაკუთრებით მოიპოვება მდინარეთა კალაპოტების ქვიან ნაწილში.

მდ. ძირულაში კავკასიის მდინარის ღორჯო მობოვებულია ზემო, შუა და ქვემო დინებაში. გარდა აღნიშნულისა, ის ბინადრობს ძირულის შემდინარებებში—დუმალაში, ჩხერიმელაში და ყველა ღელეში. ამ თევზის მობოვების ვაწარმოებდით ტოტის დამრობით, ფაცერითა და ანკესით. ხელით ვიჰერდით ქვების ქვეშ და ხვრელებში. იგი იკვებება სხვადასხვა სახეობის მწერებითა და ლიფსიტებით. ბინადრობს მდინარის ნაპირებში და ნაპირიდან დაშორებით. სარეწა მნიშვნელობა ადგილობრივ ხასიათს ატარებს.

დ ა ს დ გ ნ ი ბ ი

პირად გამოკვლევათა შედეგად ვადგეთ, რომ მდინარე ძირულაში ბინადრობს შემდეგი სახეობების თევზები:

1. მდინარის კალმახი *Salmo fario* L.
 2. ქაშაბი *Leuciscus cephalus orientalis* Nordm.
 3. კოლხური ტობი *Chondrostoma colchicum* (Kessler) Deriugin.
 4. კოლხური ციმორი *Gobio, gobio lepidolaemus n. caucasicus* Kam.
 5. კოლხური ხრამული *Varicorhinus sieboldi* (Steind.).
 6. კოლხური წვერა *Barbus tauricus escherichi* Steind.
 7. სამხრეთის მარდულა *Alburnoides bipunctatus fasciatus* Nardm.
 8. ტაფელა *Rutilus sericeus* Pall.
 9. კობრი *Cyprinus carpio* L.
 10. გოჭალა *Nemachilus angorae* Steind.
 11. გველანა *Cobitis taenia* L.
 12. ლოქმა *Silurus Glanis* L.
 13. კავკასიური მდინარის ღორჯო *Gobius cephalarges constructor* Nordm.
- მდინარე ძირულაში მობინადრე თევზების სახეობათა უმრავლესობა ადგილობრივი თევზსამეურეო მნიშვნელობისაა.

ხერხემლიანთა ზოოლოგიის

კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 10.10.1961)

П. ХЕЛАДЗЕ

К ИЗУЧЕНИЮ ИХТИОФАУНЫ Р. ДЗИРУЛА

Резюме

В представленной статье автором установлено, что видовой состав рыб р. Дзирула очень ограничен.

Автором использованы результаты личных экспедиционных исследований и литература, касающаяся затронутого вопроса.

Для р. Дзирула автором установлено 13 видов рыб, именно: 1) Рыболовная форель. *Salmo fario* L. 2) Голавль. *Leuciscus cephalus orientalis* Nordm. 3) Колхидский подуст. *Chondrostoma colchicum* (Kessler) Deriugin. 4) Колхидский или западноказакский пескарь. *Gobio gobio lepidolaeus n. caucasicus* Kam. 5) Колхидская храмуля. *Varicorhinus sieboldi* (Steind.). 6) Колхидский усач. *Barbus tauricus escherichi* Steind. 7) Южная быстриянка. *Alburnoides bipunctatus fasciatus* Nordm. 8) Горчак. *Rodens sericeus* Pall. 9) Сазан. *Cyprinus carpio* L. 10) Ангорский голец. *Nemachilus angoreae* Steind. 11) Щиповка. *Cobitis taenia* L. 12) Сом. *Silurus glanis* L. 13) Кавказский речной бычок. *Gobius cephalarges constructor* Nordm.

Из перечисленных видов большинство имеет местное рыбохозяйственное значение.

Л И Т Е Р А Т У Р А

1. Барач Г. П., Фауна Грузии, т. I, Рыбы пресных вод, Тбилиси, 1941.
2. Берг А. С., Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран, ч. I, 1948.
3. Берг А. С., Рыбы пресных вод СССР и сопредельных стран, ч. II, 1949.
4. Никольский Г. В., Частная ихтиология, Москва, 1950.
5. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ე მ., საქართველოს მტკნარი წყლების თევზთა სარკვევი, თბილისი, 1940.
6. გ ი კ ი ლ ა შ ვ ი ლ ი თ., საქართველოს მდინარეთა ჰიდროგრაფია, განუშტის სახელმბის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, თბილისი, 1948.
7. ტ ყ ე შ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ვ., მდინარე რიონის მარცხენა შენაკადების იხტიოფაუნის ზესწავლი, სათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 54, 1954.

არჩ. ჯანაშვილი

საქართველოს ძუძუმწოვანთა ფაუნის ზოგადი დანაირობება

საქართველოს ფარგლებში ცნობილია 105 სახეობის ძუძუმწოვარი ცხოველი, რომლებიც ეკუთვნიან 8 რიგს.

საქართველოში გავრცელებული ძუძუმწოვრების სახეობათა საერთო რაოდენობა რიგების მიხედვით დაჯამშულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში.

№ № რიგ.	რიგების დასახელება	სახეობათა რაოდენობა
1	მწერიჭამიები — Insectivora	14
2	ხელფრთიანები — Chiroptera	22
3	კურდღლისაირნი — Lagomorpha	1
4	ბლრლელები — Glires	32
5	მტაცებლები — Fissipedia	19
6	ფარფლფეხანები — Pinnipedia	1
7	ვეშაპსანაირნი — Cetacea	4
8	წყვილჩლიქოსნები — Artiodactyla	11
ს უ ლ		105

მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ საქართველოში გავრცელებულ ძუძუმწოვართა შორის ყველაზე მეტი რაოდენობის სახეობებით (32) წარმოდგენილია მღრღნელები, ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობის (თითო) სახეობებით — კურდღლისნაირნი და ფარფლფეხიანები.

საქართველოში გავრცელებულია მწერიჭამიების 14 სახეობა, რომლებიც მიეუთვნებიან 3 ოჯახს — ზღარბისებრნი (Erinaceidae), თხუნელასებრნი (Talpidae) და ბიგასებრნი (Soricidae).

ზღარბისებრთა ოჯახიდან საქართველოში მოიპოვება 2 სახეობა — სამხრეთული ზღარბი (Erinaceus rumanicus Bar. - Ham.), რომელიც წარმოდგენილია ერთი ქვესახეობით — ამიერკავკასიური ზღარბი (E. r. transcaucasicus Sat.). და პინტური ზღარბი (E. concolor Martin).

თხუნელასებრთა ოჯახიდან საქართველოში გავრცელებულია 3 სახეობა — კავკასიური თხუნელა (Talpa caucasica Sat.), კოლხური თხუნელა (T. orientalis Ogn.) და ოგნევისეული თხუნელა (T. ognevi Str.).

ბიგასებრთა ოჯახიდან საქართველოში გავრცელებულია 9 სახეობა — ჩვეულებრივი ბიგა (Sorex araneus L), რომლიდან მოიპოვება ერთი ქვესახეობა — კავკასიური ბიგა (S. a. caucasicus Sat.), რადესეული ბიგა (S. raddei



S a t.), მცირე ბიგა (*S. minutus* L.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში ფაუნაშია კავკასიური მცირე ბიგა (*S. m. volnuchini* O g n.), წყლის ბიგა (*Neomys fodiens* Schreb.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში გვხვდება გრძელთითა წყლის ბიგა (*N. f. leptodactylus* S a t.), გრძელკუდა კბილთეთრა *Crocidura russula* H e r m.), რომლიდან საქართველოში მოიპოვება ქვესახეობა— კავკასიური კბილთეთრა (*C. r. guldenstetti* Pall.), თეთრმუცელა კბილთეთრა (*C. leucodon* H e r m.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოს ფაუნაშია სპარსული კბილთეთრა (*C. l. persica* Th o m.), დიდი კბილთეთრა (*C. lasia* Th o m.), მცირე კბილთეთრა (*C. dinniki* O g n.) და ჩა კბილთეთრა (*Pachyura etrusca* S a v i).

მწერიჭამიები ბინადრობენ ნაირგვარ პირობებში. ტყეებსა და ბუჩქნარებში ცხოვრობს 16 სახეობა, ბალებსა და ვენახებში რეგისტრირებულია 11 სახეობა, ბოსტნებში ბინადრობს 6 სახეობა, წყალსატევების მიღამოებში გვხვდება 5 სახეობა, ველებზე აღნიშნულია 4 სახეობა, ამდენივე სახეობა ცნობილია ეზოებშიც, ზეგნებსა და ნახევრადუდაბნებში ცხოვრობს 2–2 სახეობა.

მწერიჭამიების უმრავლესობა სასარგებლოა: ისინი დიდი რაოდენობით ანადგურებენ მაგნე მწერებს. ამასთან ზოგიერთი ბიგა სპობს მცირე ზომის თავისებრ მღრღნელებსაც. ამის გამო საჭიროა ამ ცხოველთა ყოველმხრივი დაცვა.

ზოგჯერ ზღარბი შეიძარება ხოლმე ფრინველთა საბუღრებში და ჭამს კვერცხებს, ზოგ ადგილას დაბლარ ვენახებში სვლებას ყურძენს. ყოველივე ამით სოფლის მეურნეობას იგი ერთგვარ ზიანს აყენებს, რაც სრულიად უმნიშვნელოა იმ სარგებლობასთან შედარებით, რომელიც მას ამავე მეურნეობისათვის მოაქვს.

რიგ ადგილებში თხუნელამ შესაძლებელია სახალხო მეურნეობას ერთგვარი ზიანი მიაყენოს კულტურულ მცენარეთა ფესვების გადაჭრით, ჭამაყლების მოსპობით, მაგრამ ამ ცხოველების მიერ იმავე მეურნეობისათვის მაგნე მწერების მოსპობით მოტანილი სარგებლობა გაცილებით ჭარბობს ზიანს, ამასთან, თხუნელას ბეწვი გამოიყენება ბეწვეულ მეურნეობაში, თუმცა ამ მხრივ საქართველოში მას მნიშვნელობა არა აქვს საერთო რაოდენობის სიმცირისა და ბეწვის დაბალი ხარისხის გამო.

წყლის ბიგას თევზმეურნეობათა რაიონებში შესამჩნევი ზიანი მოაქვს თევზების ლიფსიტების მასობრივად განადგურებით. ამ ცხოველის მიერ მიყენებული ზარალი უფრო შესამჩნევია ხოლმე ისეთ ადგილებში, სადაც ხელოვნურ წყალსაცავებში ამრავლებენ თევზებს.

ზოგ ადგილას საკვები პროდუქტების განადგურებით ადამიანს უმნიშვნელო ზიანი შეიძლება მოუტანოს გრძელკუდა კბილთეთრამ, რომელიც ზოგჯერ საცხოვრებლად სახლებში (იატაკის ქვეშ) ბინავდება ხოლმე. მაგრამ ეს ზიანი მეტად უმნიშვნელოა იმ სარგებლობასთან შედარებით, რაც მას სახალხო მეურნეობისათვის მოაქვს.

საქართველოს ფარგლებში გაერცელებულია ხელფრთიანების 22 სახეობა, რომლებიც გაერთიანებული არიან ორ ოჯახში — ცხვირნალასებრნი (*Rhinolophidae*) და ლამურასებრნი (*Vespertilionidae*).

ცხვირნალასებრთა ოჯახიდან საქართველოში გვხვდება 4 სახეობა— დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrum-equinum* Schreb.), მცირე ცხვირნალა (*Rh. hipposideros* Bechst.), სამხრეთული ცხვირნალა (*Rh. euryale* Blas.).

რომლიდან საქართველოს ფაუნაშია ერთი ქვესახეობა — ნორდმანის ცხვირნალა (*Rh. l. nordmanni* Sat.), და მეტელისეული ცხვირნალა (*Rh. mehetyi* Mats.).

ღამურასებრთა ოჯახიდან საქართველოში მოიპოვება 18 სახეობა — ყურგრძელი მღამიობი (*Myotis bechsteini* Kühl.), ყურწვეტა მღამიობი (*M. oxygnathus* Mont.), ნატერერისეული მღამიობი (*M. nattereri* Kühl.), სამფეროვანი მღამიობი (*M. emarginatus* Geoffr.), ულვაშა მღამიობი (*M. mystacinus* Kühl.), ფრთაგრძელი მღამიობი (*Miniopterus schreibersi* Kühl.), ყურდიდა ღამურა (*Plecotus auritus* L.), მაჩქათელა (*Barbastella barbastellus* Schreb.), მცირე მეღამურა (*Nyctalus leisleri* Kühl.), გიგანტური მეღამურა (*N. siculus* Palumbo), ქარცი მეღამურა (*N. noctula* Schreb.), ჩია ღამურა (*Vespertilio pipistrellus* Schreb.), რომლიდან საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია ქვესახეობა ჩვეულებრივი ჩია ღამურა (*V. p. pipistrellus* Schreb.), ნათუზიუსისეული ღამურა (*V. nathusii* Blas.), ხმელთაშუაზღვისეული ღამურა (*V. kuhli* Kühl.), მეგვიანე ღამურა (*V. serotinus* Schreb.), სავისეული ღამურა (*V. savii* Bonap.), რომლიდან საქართველოს ფაუნაში გვხვდება ქვესახეობა კავკასიური ღამურა (*V. s. caucasicus* Sat.), ღამურა (*V. murinus* L.) და ჩრდილოური ღამურა (*V. nilsoni* Keyser. et Blas.). შესაძლებელია აღმოსავლეთ საქართველოს რიგ ადგილებში აღმოჩენილ იქნას ოგნევისეული ღამურა (*V. ognevi* Bobr.), რომელიც მოიპოვება აზერბაიჯანსა და სომხეთში საქართველოს საზღვრებთან ახლოს.

საქართველოში გავრცელებული ხელფრთიანების 18 სახეობა ბინაღრობს ადამიანის საცხოვრებლის მიღამოში (სახლებში, სარდაფებში, საბძლებში და სხვ.), სადაც ისინი თავს აფარებენ სხვენში, კარებისა და ფანჯრების თაბასებს უკან, სახლის კედლების ნაპრალებსა და მსგავს ადგილებში, 12 სახეობა გვხვდება ძველ შენობათა ნაგრევებში, ეკლესიებისა და სამრეკლოების გუმბათებს ქვეშ, 10 სახეობა ცხოვრობს ხის ქერქის ქვეშ, ხოლო 4 სახეობა აღნიშნულია კლდეთა ნაპრალებში.

საქართველოში მცხოვრები ხელფრთიანები დიდი რაოდენობით ანაღურებენ მავნე მწერებს, რითაც სახლებ მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვთ. საჭიროა ამ ცხოველთა დაცვა ყველგან.

საქართველოში გვხვდება კურდლისნაირთა ერთი ოჯახი — კურდლისებრნი (Leporidae).

კურდლელი კურდლისებრთა ოჯახიდან საქართველოს ფაუნაში გვხვდება 1 სახეობა — (*Lepus europaeus* Pall.), რომელიც წარმოდგენილია ორი ქვესახეობით — ამიერკავკასიური კურდლელი (*L. e. cyrensis* Sat.) და კავკასიური კურდლელი (*L. e. caucasicus* Ogn.).

ჩვენი ფაუნის მნიშვნელოვან სანადიორო-სარეწაო ობიექტს წარმოადგენს კურდლელი. რიგ ადგილებში მას კულტურულ მცენარეთა დაზიანებით უმნიშვნელო ზარალი მოაქვს სოფლის მეურნეობისათვის.

საქართველოში მოიპოვება მღრღნელების 32 სახეობა, რომელიც გაერთიანებული არიან 7 ოჯახი — ციყვისებრნი (Sciuridae), ნუტრიასებრნი (Capromyidae), ძილგუდასებრნი (Myoxidae), მიწის კურდლისებრნი (Dipodidae), ბრუკასებრნი (Spalacidae), თაგვისებრნი (Muridae) და ზაზუნისებრნი (Cricetidae).

ციყვისებრთა ოჯახიდან საქართველოს ფაუნაში გვხვდება 3 ხელობაზე ჩვეულებრივი ციყვი (*Sciurus vulgaris* L.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში აკლიმატიზებულია ორი — ალტაური ციყვი (*S. v. altaicus* Serebr.) და ტელეუტური ციყვი (*S. v. exalbidus* Pall.), სპარსული ციყვი (*Sciurus persicus* Erx.), რომლიდან საქართველოს ფაუნაშია ქვესახეობა კავკასიური ციყვი (*S. p. anomalus* Gm.), და მცირე თრია (*Citellus pygmaeus* Pall.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოშია კავკასიური თრია (*C. p. musicus* Ménét.).

ნუტრიასებრთა ოჯახიდან საქართველოში აკლიმატიზებულია ერთი სახეობა — ნუტრია (*Myocastor coypus* Mol.).

ძილგუდასებრთა ოჯახიდან საქართველოში გავრცელებულია 2 სახეობა — ძილგუდა (*Glis glis* L.), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოში ბინადრობს 2 ქვესახეობა — ჩვეულებრივი ძილგუდა (*G. g. glis* L.) და კავკასიური ძილგუდა (*G. g. tschetschenicus* Sat.), და ღნავი (*Dyromys nitedula* Pall.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია ორი — კავკასიური ღნავი (*D. n. caucasicus* Ogn. et Tur.) და ტიხომიროვისეული ღნავი (*D. n. tichomirovi* Sat.).

მიწის კურდლლისებრთა ოჯახიდან საქართველოში მოიპოვება 3 სახეობა — კავკასიური თაგვანა (*Sicista caucasica* Vino.), მცირეაზიური მთიური მიწის კურდლელი (*Allactaga williamsi* Thom.), მცირე მიწის კურდლელი (*A. elater* Licht.), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოშია კავკასიური მცირე მიწის კურდლელი (*A. e. caucasicus* Nehr.).

ბრუცასებრთა ოჯახიდან საქართველოში გვხვდება 1 სახეობა — მთიური ბრუცა (*Spalax leucodon* Nordm), რომლიდან საქართველოში ბინადრობს ქვესახეობა — კავკასიური მთიური ბრუცა (*S. l. nehringi* Sat.).

თაგვისებრთა ოჯახიდან საქართველოში გავრცელებულია 8 სახეობა — რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus* Berk.), შვივი ვირთაგვა (*R. rattus* L.), სახლის თაგვი (*Mus. musculus* L), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში მოიპოვება ველის თაგვი (*M. m. tataricus* Sat.), მინდვრის თაგვი (*Apodemus agrarius* Pall.), ტყის თაგვი (*A. sylvaticus* L), მთიური ტყის თაგვი (*A. mystacinus* Danf. et Alst.), ყვითელყველა ტყის თაგვი (*A. flavigollis* Melch.), ჩია თაგვი (*Micromys minutus* Pall.).

ზაზუნასებრთა ოჯახიდან საქართველოში გვხვდება 14 სახეობა — დაღისტენური ომანა (*Cricetus raddei* Nehr.), ამიერკავკასიური ომანა (*C. auratus* Water.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში ბინადრობს ბრანდტისეული ომანა (*C. a. brandti* Nehr.), რუხი ზაზუნა (*Cricetulus migratorius* Pall.), წითელყვდა მექვიშია (*Meriones erythrourus* Gray), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოში მოიპოვება კავკასიური წითელყვდა მექვიშია (*M. e. caucasicus* Hept. et Brandt), მცირეაზიური მექვიშია (*M. tristrami* Thom.), რომელიც საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია ერთი ქვესახეობით — ბოგდანოვისეული მექვიშია (*M. t. bogdanovi* Heptn.), ქარცი მემინდვრია (*Clethrionomys glareolus* Schreb.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში ბინადრობს პონტური ქარცი მემინდვრია (*C. g. ponticus* Thom.), წყლის მემინდვრია (*Arvicola terrestris* L), რომელიც საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია 3 ქვესახეობით — ყარაჩაული წყლის მემინდვრია (*A. t. rufescens* Sat.), ოსური წყლის მემინდვრია (*A. t. ognevi* Tur.) და

სპარსული წყლის მემინდვრია (*A. t. persicus* de Fili.), ჩვეულებრუები შემონაბეჭდი ღვრია (*Microtus arvalis* Pall.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში მოიპოვება ორი — გუდაურული მემინდრია (*M. a. gudauricus* Ogn.) და ამიერკავკასიური მემინდვრია (*M. a. transcaucasicus* Ogn.), საზოგადოებრივი მემინდვრია (*M. socialis* Pall), რომლიდან საქართველოში გვხვდება ორი ქვესახეობა — ამიერკავკასიური საზოგადოებრივი მემინდვრია (*M. s. binomianus* Eler.) და შიდლოვსკის ული მემინდვრია (*M. s. schidlovskii* Arg.), ბუქენარის მემინდვრია (*M. majori* Thom.), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოს ფაუნაშია სამი — მცირეაზიური ბუქენარის მემინდვრია (*M. m. majori* Thom.), სურამული ბუქენარის მემინდვრია (*M. m. suramensis* Hept.) და დალისტრული ბუქენარის მემინდვრია (*M. m. dagestanicus* Schidl.), გუდური მემინდვრია (*M. gud* Sat.), რომლიდან საქართველოში გვხვდება ორი ქვესახეობა — ჩვეულებრივი გუდური მემინდვრია (*M. g. gud* Sat.) და ნენჯუკვის ული მემინდვრია (*M. g. nenjucovi* Form.), თოვლა მემინდვრია (*M. nivalis* Mart.), რომლიდან საქართველოს ფაუნაში ცნობილია ერთი ქვესახეობა — ამიერკავკასიური თოვლა მემინდვრია (*M. n. thrialeticus* Schidl.), მცირეაზიური მთიური მემინდვრია (*M. roberti* Thom.), პრომეტეული მემინდვრია (*Promtheomys schaposhnikovi* Sat.).

მღრღნელები ბინაღრობენ ნაირგვარ პირობებში. ტყეებში გვხვდება 16 სახეობა, ბალებსა და ვენახებში მოსახლეობს 14 სახეობა, ველებზე ცხოვრობს 13 სახეობა, ამდენივე აღრიცხულია ბუქენარებში, აღამიანის საცხოვრებლის მიდამოებთან დაკავშირებულია 10 სახეობა, ყანებში ცხოვრობს 8 სახეობა, სახლებში, სარდაფებში, საწყობებში ბინაღრობს 7 სახეობა. ზეგნებზე, ნახევრადუდაბნებში გვხვდება 6 სახეობა, ამდენივე რეგისტრირებულია ბოსტნებში, ალბურ ველებსა და ყამირ აღგილებში მოიპოვება 5—5 სახეობა, ამდენივე სახეობა დაკავშირებულია წყლის გარემოსთან.

ჩვეულებრივი ციყვი იძლევა ძვირფას ბეწვეულს, თუმცა იგი მეტად მცირე რაოდენობით მზადდება სარეწაო მიზნით. სპარსული ციყვი სარეწაო ლირებულებას მოკლებულია იაფფასიანი ბეწვის გამო.

რიგ აღგილებში ციყვებმა ჩვენს მეურნეობას შესაძლებელია ერთგვარი ზიანი მოუტანონ ხილის ბალების მწიფე ნაყოფების დაზიანებით. ასევე ითქმის თხილის ბალების მიმართაც.

მცირე თრია მავნებელია, მაგრამ მის მიერ სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა ამ ცხოველის საერთო რაოდენობის სიმცირის გამო.

ნუტრია იძლევა ძვირფას ბეწვეულს, რომელიც სარეწაო მიზნით მზადდება უმნიშვნელო რაოდენობით, მისი სიმცირის გამო. იგი დაცულია ყველაზე.

იაფფასიან ბეწვეულს იძლევა ძილგუდა, რომელიც სარეწაო მიზნით თითქმის არც კი მზადდება. ეს ცხოველი წარმოადგენს ძვირფას ბეწვეულის მომცემი კვერნის ძირითად საკვებს.

ღანგს შესამჩნევი ზიანი მოაქვს სახალხო მეურნეობისათვის, განსაკუთრებით კი მეხილეობისათვის.

მიწის კურდლები კულტურულ მცენარეთა განადგურებით სახალხო მეურნეობას შესამჩნევ ზიანს აყენებენ, მაგრამ ამ ცხოველთა საერთო რაოდენობის სიმცირის გამო მავნებლობის ეფექტი უმნიშვნელოა. ისინი გადამტანი არიან რიგი ინფექციებისა.



მთიური ბრუცა, რომელიც მხოლოდ სამხრეთ საქართველოში მოიპოვება, ზიანს იძლევა სოფლის მეურნეობის კულტურათა განადგურებით. ბეწვეულის მეურნეობაში ამ ცხოველს უმნიშვნელო ღიგილი უკავია. ბეწვეულის ბაზარზე გააქვთ შემთხვევით მოპოვებული ეგზემპლარები.

სახალხო მეურნეობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებენ ვირთაგვები, საკვები პროდუქტების, შინაურ ფრინველთა, კულტურულ მცენარეთა განადგურებით და სხვ. გადააქვთ ინფექცია, ჰელმინთები.

სახალხო მეურნეობისათვის დიდი ზიანი მოაქვს სახლის თაგვს, მინდვრის თაგვს, ტყის თაგვს, მთიურ ტყის თაგვს, ყვითელყელა თაგვს საკვები პროდუქტების, მცენარეთა ნორჩი ყლორტების მასობრივი განადგურებით.

ომანები, ზაზუნები და მეგვითიები დიდი რაოდენობით ანადგურებენ კულტურულ ნაოესებს, განსაკუთრებით მარცვლოვანებს, ზოგიერთი მათგანი აზიანებს საწყობებს, ბეღლებს, მეურნეობას, საოჯახო ნივთებს. რიგ ფორმებს გადააქვთ ინფექცია, ჰელმინთები.

განსაკუთრებით შესამჩნევია მემინდვრიების მიერ სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზიანი, მით უმეტეს მასობრივიად გამრავლების წლებში. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ჩევულებრივი მემინდვრია და საზოგადოებრივი მემინდვრია, რომლებიც წლის განმავლობაში რამდენჯერმე მრავლდებიან და, ამასთან, სქესობრივადაც ადრე მწიფდებიან. ეს მღრღნელები ანადგურებენ ჯეჯილს, საწყობებში, სარდაფებსა და ბეღლებში დაცულ საკვებ პროდუქტებს, ღრღნიან მცენარეთა ფესვებს, კორტინან ნორჩი ყლორტებს, კვრტებს.

სახალხო მეურნეობისათვის მცირეოდენი ზიანი მოაქვს ქარც მემინდვრიას, ბუჩქნარის მემინდვრიას, გუდურ მემინდვრიას, თოვლა მემინდვრიას, რაც მათი მცირე რაოდენობითა და განსაზღვრული არეალით აისხნება. ისინი ანადგურებენ მარცვლოვანთა კულტურებს, ბოსტნეულს, ზოგჯერ საწყობებსა და ბეღლებში დაცულ მარცვლეულს.

ალბურ საძოვრებზე მცენარეულობის გადაკორტინით უმნიშვნელო ზიანი მოაქვს პრომეთესეულ მემინდვრიას.

სახალხო მეურნეობისათვის შესამჩნევი ზარალი მოაქვს წყლის მემინდვრიას, რომელიც ანადგურებს მარცვლოვან კულტურებს, კარტოფილს, ღრღნის ხეხილის ფესვებსა და ქერქს. მას გადააქვს ინფექცია, მეტწილად ტულარემია. ამ მღრღნელის იაფფასიანი ბეწვი უმნიშვნელო რაოდენობით გამოიყენება ბეწვეულის მეურნეობაში.

ამგარად, როგორც დავინახეთ, მღრღნელების უმრავლესობა მავნებელია, მხოლოდ ზოგიერთი ფორმაა სასარგებლო: გამოიყენება მათი ბეწვეული.

საქართველოს ფარგლებში აღრიცხულია 19 სახეობის მტაცებელი ძუძუმწოვარი, რომლებიც გაერთიანებული არიან 5 ოჯახში — კვერნისებრნი (Mustelidae), დათვისებრნი (Ursidae), ძაღლისებრნი (Canidae), აფთრისებრნი (Hyaenidae) და კატისებრნი (Felidae).

კვერნისებრთა ოჯახი საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია 8 სახეობით — მაჩი (Meles meles L.), რომლიდან საქართველოში მოიპოვება ქვესახეობა ამიერკავკასიური მაჩი (M. m. minor Sat.), წავი (Lutra lutra L.)-ტყის კვერნა (Martes martes L.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში, ბინაღრობს კავკასიური ტყის კვერნა (M. m. lorenzii Osgn.), თეორყელა კვერნა (M. foina Erx.), რომლიც საქართველოში წარმოდგენილია ერთი ქვესახეობით — კავკასიური თეორყელა კვერნა (M. f. nehringi Sat.), ევრო-

წაული წაულა (*Lutreola lutreola* L), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში მოიპოვება კავკასიური წაულა (*L. l. turovi* Kuth. et Novik.), ამერიკული წაულა (*L. wisoni* Schreb.), დედოფალა (*Mustela nivalis* L), რომელიც საქართველოში წარმოდგენილია 1 ქვესახეობით — აღმოსავლეთკავკასიური დედოფალა (*M. n. dinniki* Sat.), ჭრელტყავა (*Vormela peregrusna* Guld.), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოში მოიპოვება დასავლური ჭრელტყავა (*V. p. peregrusna* Guld.).

დათვისებრობა ოჯახიდან საქართველოში გვხვდება ერთი სახეობა — მურა დათვი (*Ursus arctos* L), რომელიც წარმოდგენილია ორი ქვესახეობით — კავკასიური მურა დათვი (*U. a. caucasicus* Sm) და ჭანური დათვი (*U. a. lasistanicus* Sat.).

ძაღლისებრობა ოჯახიდან საქართველოს ფაუნაში გვხვდება 4 სახეობა — მგელი (*Canis lupus* L), რომლის ქვესახეობათაგან მოიპოვება კავკასიური მგელი (*C. l. cubanensis* Ogn.), ტურა (*C. aureus* L), მელა (*Vulpes vulpes* L), რომელიც წარმოდგენილია 3 ქვესახეობით — ამიერკავკასიური მთის მელა (*V. v. alticola* Ogn.), ამიერკავკასიური ველის მელა (*V. v. alpherakyi* Sat.), ჩრდილოკავკასიური მელა (*V. v. caucasica* Dinn.), ენოტისებრი ძაღლი (*Nyctereutes procyonoides* Gray), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში აკლიმატიზებულია უსურიული ენოტისებრი ძაღლი (*N. p. ussuriensis* Mats.).

აფრონისებრობა ოჯახი საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია 1 სახეობით — ზოლებიანი აფთარი (*Hyaena hyaena* L).

კატისებრობა ოჯახიდან საქართველოში აღრიცხულია 5 სახეობა — ჯიქი (*Pardus pardus* L), რომლის ქვესახეობებიდან მოიპოვება ამიერკავკასიური ჯიქი (*P. p. tullianus* Valen.), ტყის კატა (*Felis silvestris* L), რომელიც წარმოდგენილია ერთი ქვესახეობით — კაგვასიური გარეული (ტყის) კატა (*F. s. caucasicus* Sat.), ლელიანის კატა (*Chaus chaus* Guld.), ფოცხვერი (*Lynx lynx* L), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოში ბინაღობს ორი — ჩვეულებრივი ფოცხვერი (*L. l. lynx* L) და კაგვასიური ფოცხვერი (*L. l. orientalis* Sat.), ველები (*Tigris tigris* L), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში აღნიშნულია თურანული ველები (*T. t. virgata* Mats.).

მტაცებლები ბინაღობენ ნაირგვარ ბირობებში. ტყეებში ცხოვრობს 15 სახეობა, ბუჩქნარებში აღრიცხულია 11 სახეობა, ბაღებსა და ვენახებში გვხვდება 9 სახეობა, ველებსა და მინდვრებში რეგისტრირებულია 8 სახეობა, წყალსატევების სანაპიროებში მოიპოვება 7 სახეობა, ამდენივე სახეობა აღრიცხულია ველებზე, ადამიანის სამოსახლოს მიდამოებში მოიპოვება 6 სახეობა, ზეგნების ბინაღარია 5 სახეობა, ამდენივე სახეობა ცხოვრობს ბოსტნებში.

საქართველოში გავრცელებულ კვერნისებრობა შორის ყველაზე დიდი ზომისაა მაჩი, რომლის ბეწვეული იაფფასიანია და საჩერტო ლირებულება არა აქვს. მისი ფაცახისაგან ამზადებენ კარგი ხარისხის საბაზს ჯავრისებს, ტყავისაგან კერავენ თოფის ხალთებს. რიგ ადგილებში მაჩის ხორცის გამოიყენებენ საკვებად, ხოლო ქონს — როგორც საკვებად, ისე საპნისა და ტექნიკურ საცხებთა დასამზადებლად.

კვერნისებრობა ოჯახიდან განსაკუთრებით ყურადსალებია ყვითელყელა კვერნა და თეთრყელა კვერნა, რომლებიც ძვირფას ბეწვეულს იძლევიან. საჩერტო მიზნით ყოველწლიურად ამ ცხოველის რამდენიმე ათას ეგზემპლარს აშენდებენ.

არანაკლებ მნიშვნელოვან სარეწაო ობიექტს წარმოადგენს წაული ფაფში ლის რამდენიმე ასეული ეგზემპლარი მზადდება ყოველწლიურად ხმელეთზე მიზნით. საქართველოს ფარგლებში წავის რესურსები მეტად შემცირებულია. იგი დაცულია ყველგან.

ძეირფას ბეჭვეულ ობიექტს წარმოადგენს ევროპული წაულა და ამერიკული წაულა. ბირველი მათგანი მოიპოვება აფხაზეთის მხოლოდ განსაზღვრულ უბნებში, ხოლო მეორე აკლიმატიზებულია ყვარლის რაიონში. საერთო რაოდენობის სიმცირის გამო წაულებს სარეწაო მნიშვნელობა არა აქვთ.

ყურადღებას იპყრობენ დედოფალა და ჭრელტყავა. პირველი მათგანი საქართველოში მოიპოვება თითქმის ყველგან, ხოლო ჭრელტყავა ბინადრობს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. დედოფალა და ჭრელტყავა მასობრივად ანადგურებენ მავნე მღრღნელებს, რითაც სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვთ. ზოგ ადგილას დედოფალა აზიანებს შინაურ ფრინველებს.

საქართველოში გავრცელებულ მტაცებელთაგან ყველაზე დიდი ზომისაა მურა დათვი, რომელსაც რიგ ადგილებში სახალხო მეურნეობისათვის შესამჩნევი ზიანი მოაქვს კულტურულ მცენარეთა (მარცვლოვანების, სიმინდის) განადგურებით. იგი ზოგან თავს ესხმის შინაურსა და სანადირო-სარეწაო ცხოველებს და მნიშვნელოვანი ზიანი მოაქვს. დათვის ხორცი საკვებად ვარგისია, ცხიმი გამოიყენება საკვებად, ზოგჯერ ხალხურ მედიცინაში.

საქართველოს ფარგლებში მგელი მოიპოვება თითქმის ყველგან. გამონაკლისს წარმოადგენს შავი ზღვის სანაპიროები, სადაც იგი არ ბინადრობს. შეგლის მრეწ სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზიანი აურაცხელია. ამის გამოა, რომ მას სპონსორ ყველგან.

ტურა ფართოდაა გავრცელებული საქართველოს ფარგლებში. იგი მრავლად ანადგურებს სანადირო-სარეწაოსა და შინაურ ფრინველებს, რითაც სახალხო მეურნეობისათვის საგრძნობი ზიანი მოაქვს. ამის გამო მიმდინარეობს ამ მტაცებლის რიცხობრიობის რეგულირება,

საქართველოს ფარგლებში საქმაოდ ფართოდაა გავრცელებული მელა, რომლის სამეურნეო მნიშვნელობა მეტად ნაირგვარია და ლამიქიდებულია მისი გავრცელების ადგილმდებარეობასა და ხასიათზე. იგი დიდი რაოდენობით სპონსორი მავნე მღრღნელებს, რითაც სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი სარგებლობა მოაქვს. რიგ ადგილებში მელა აზიანებს სასარგებლო, ლოვანი სარგებლობა მოაქვს. რიგ ადგილებში მელა აზიანებს სანადირო-სარეწაოსა და შინაურ ფრინველებს და ამით ერთგვარ ზიანს იძლევა.

მელა იძლევა ძეირფას ბეჭვეულს. ამ მიზნით საქართველოში ყოველწლიურად მზადდება მელას რამდენიმე ათასი ტყავი.

ენოტისებრი ძალლი საქართველოში აკლიმატიზებულია როგორც ძეირფასი ბეჭვეულის მომცემი ცხოველი. იგი საქმაოდ მრავლადაა და ფართოდაც განსახლებული მისი აკლიმატიზაციის რაიონებში. ენოტისებრი ძალლი დიდი რაოდენობით ანადგურებს სანადირო-სარეწაოსა და შინაურ ფრინველებს, რითაც სახალხო მეურნეობას მნიშვნელოვან ზარალს აძლევს. ამჟამად წარმოებს ამ ცხოველის მოსპობა.

ზოლებიანი აფთარი გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ზოგიერთ რაიონში, ისიც მეტად მცირე რაოდენობით. ამ მტაცებლის მიერ სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზიანი უმნიშვნელოა, რაც მისი საერთო რაოდენობის სიმცირით აიხსნება.

საქართველოს ფარგლებში ტყის კატა მოიპოვება თითქმის ყველაზე მიმდინარეობით. იგი მნიშვნელოვან ზიანს იძლევა სასარგებლო, სანაღირო-სარეწაო და შინაურ ფრინველთა დიდი რაოდენობით. განადგურებით. ამის გამო მიმდინარეობს ამ მტაცებლის რაოდენობის რეგულირება, ზოგან სპობენ კიდეც. ტყის კატა იძლევა იაფფასიან ბეჭვეულს, რასაც სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს.

აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ზოგიერთ რაიონში გვხვდება ლელიანის კატა, რომელიც რიგ ადგილებში სახალხო მეურნეობას შესამჩნევ ზიანს აყენებს სასარგებლო და სანაღირო-სარეწაო ცხოველთა განადგურებით. ამჟამად მიმდინარეობს ამ მტაცებლის რიცხვის რეგულირება, ზოგან სპობენ კიდეც. ლელიანის კატა იძლევა იაფფასიან ბეჭვეულს, რასაც სამეურნეო მნიშვნელობა არა აქვს.

ფოცხვერი საქართველოს ფარგლებში ფართოდაა გავრცელებული. იგი საქმაოდ დიდი რაოდენობით ანადგურებს სასარგებლო, სანაღირო-სარეწაოსა და შინაურ ცხოველებს, რითაც სახალხო მეურნეობისათვის საგრძნობი ზიანი მოაქვს. ამჟამად მიმდინარეობს ფოცხვერის რაოდენობის რეგულირება.

ჯიქი საქართველოს ფარგლებში გვხვდება მეტად უმნიშვნელო რაოდენობით. სასურველია მისი დაცვა, როგორც ზოოლოგიური იშვიათი ობიექტისა.

ვეფხვი საქართველოს ფაუნაში შემთხვევითი ელემენტია. იგი ცნობილია მხოლოდ ორი ეგზემპლარის სახით. ერთი მათგანი მოპოვებულია XVIII საუკუნის კახეთში, ხოლო მეორე მოკლულია თბილისის მახლობლიდ 1922 წელს.

ფეხვარფლიანებიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებში აღრიცხულია ერთი სახეობა, რომელიც ეკუთვნის სელაპისებრთა (*Phocidae*) ოჯახს.

საქართველოს შავი ზღვის სანაპიროებთან იშვიათად გვხვდება თეთრმუცელა სელაპი (*Monachus monachus* H e r m.). სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს.

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებთან აღრიცხულია ვეშაპისნაირთა 4 სახეობა, რომლებიც ეკუთვნიან 2 ოჯახს — დელფინისებრნი (*Dolphinidae*) და ზოლებიანი ვეშაპისებრნი (*Balaenopteridae*).

დელფინისებრთა ოჯახი საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია 3 სახეობით — ზღვის ღორი (*Phocaena phocaena* L), თუალინი (*Tursiops tursio* F a b r.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოს სანაპიროებთან ბინადრობს შავი ზღვის აფალინა (*T. t. ponticus* Bar a b.), და ჩვეულებრივი დელფინი (*Delphinus delphis* L), რომელიც საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია ქვესახეობით — შავი ზღვის დელფინი (*D. d. ponticus* Bar a b.).

დელფინისებრნი სარეწაო ობიექტებს წარმოდგენენ. მათ საკმაოდ მრავალრიცხოვნად ამზადებენ საქართველოს სარეწებში. გამოიყენება ცხიმი, ხორცი, ძვალი, ტყავი.

მცირეზოლებიან ვეშაპისებრთა ოჯახიდან შავი ზღვის სანაპიროებთან მოპოვებულია ერთი სახეობა — მცირეზოლებიანი ვეშაპი (*Balaenoptera acutirostris* L a c è p.).

საქართველოს ფარგლებში აღრიცხულია 11 სახეობის წყვილჩლიქოსანნი, რომელიც გაერთიანებული არიან 3 ოჯახში — ღორისებრნი (*Suidae*), ირმისებრნი (*Cervidae*) და ძროხისებრნი (*Bovidae*).

ღორისებრთა ოჯახიდან საქართველოში მოიპოვება ერთი სახეობა — გარეული ღორი (*Sus scrofa* L), რომელიც საქართველოში ცნობილია ერთი ქვესახეობის სახით — სამხრეთაღმოსავლური გარეული ღორი (*S. s. atilla* Th o m.).



ირმისებრთა ოჯახიდან საქართველოს ფაუნაში 4 სახეობაა უკავშირდება ქველი (Capreolus capreolus L.), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოში მოიპოვება ორი — ევროპული შველი (C. c. capreolus L.) და კავკასიური შველი (C. c. pygargus Pall.), კეთილშობილი ირემი (Cervus elaphus L.) საქართველოს ფაუნაში წარმოდგენილია ქვესახეობით — კავკასიური ირემი (C. e. maral Ogilby), ხალებიანი ირემი (C. nippion Temm.), რომლის ქვესახეობათაგან საქართველოში აკლიმატიზებულია უსურიული ხალებიანი ირემი (C. n. ussuriensis Swin.), და ირემლალი (C. dama L.).

ძროხისებრთა ოჯახიდან საქართველოს ფარგლებში აღრიცხულია 6 სახეობა — ქურციკი (Gazella subgutturosa Guld.), არჩვი (Rupicapra rupicapra L.), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოში ბინადრობს კავკასიური არჩვი (R. r. caucasica Dinn.), ნიამორი (Capra aegagrus Erx.), აღმოსავლეთკავკასიური ჯიხვი (C. cylindricornis Blyth), დასავლეთკავკასიური ჯიხვი (C. severtzovi Menzb.) და დომბა (Bison bonasus L.), რომლის ქვესახეობებიდან საქართველოში მოიპოვებოდა კავკასიური დომბა (B. b. caucasicus Sat.).

წყვილჩლიქოსნები ბინადრობენ ნაირგვარ პირობებში. ტყეებში აღრიცხულია 9 სახეობა, ჭალებსა და ბუჩქნარებში ცხოვრობს 4 სახეობა, ამდენივე გვხვდება ალპურ ველებზე, ზეგნებსა და ველებზე მოიპოვება 2 სახეობა, ჩალიანი და ლერწმიანი ადგილები წარმოდგენილია 1 სახეობით.

გარეული ლორი საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, თუმცა მრავალ ადგილას იგი ამომწყდარია. სანადირო-სარეწაო ობიექტია. ნადირობა აკრძალულია.

შველი საქამაოდ მრავლადაა გავრცელებული საქართველოს ტყეთა ზონაში. ძვირფასი სანადირო-სარეწაო ობიექტია. ნადირობა აკრძალულია.

ირემი საქართველოს ფარგლებში გვხვდება მრავალ ადგილას. იგი ჩვენი ფაუნის ძვირფასი წარმომადგენელია. დაცულია ყველგან.

ხალებიანი ირემი საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილია ქლუხორის რაიონიდან. მოიპოვება მცირე რაოდენობით. დაცულია.

ირემლალი აკლიმატიზებულია საქართველოს ზოგიერთ (ბორჯომის) რაიონში. გვხვდება მცირე რაოდენობით.

საქართველოს ფარგლებში ქურციკი გავრცელებულია მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობით შირაქის ველის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში. ძვირფასი სანადირო-სარეწაო ობიექტია. დაცულია.

არჩვი საქამაოდ ფართოდაა გავრცელებული კავკასიონზე. მოიპოვება აგრეთვე აქა იქ მცირე კავკასიონზეც. არჩვი ჩვენი ფაუნის ძვირფასი წარმომადგენელია. იგი დაცულია ყველგან.

საქართველოს ფარგლებში უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ნიამორი. იგი მოიპოვება კავკასიონზე და აქა იქ მცირე კავკასიონზე. ნიამორი ჩვენი ფაუნის ძვირფასი ობიექტია. იგი დაცულია ყველგან.

საქართველოს ფარგლებში მოიპოვება ორი სახეობის ჯიხვი — აღმოსავლეთკავკასიური და დასავლეთკავკასიური, — რომლებიც ბინადრობენ კავკასიონზე. ჯიხვები ჩვენი ფაუნის ძვირფასი წარმომადგენლებია. ამჟამად მათი რაოდენობა თანდათანობით იზრდება. მათზე ნადირობა აკრძალულია.

დასასრულს უნდა აღინიშვნოს, რომ მიმდინარე საუკუნის პირველ მეოთხედში მოისპოვებოდა კავკასიური დომბა.

საქართველოში გავრცელებული ძუძუმწოვრები ძირითადად ხელუეთისა
ფორმებს წარმოადგენენ. მათ შორის გვხვდება მეორეული წყლის ფორმებიც
და ზღვის ტიპობრივი ბინადარნიც.

მგვარად, როგორც დაგინახეთ, საქართველოს ფარგლებში გავრცელებული ძუძუმწოვრები ბინადრობენ ნაირგვარ პირობებში. მათ შორის ტყეებში ცხოვრობს 56 სახეობა, ჭალებსა და ბუჩქნარებში მოიპოვება 44 სახეობა, ველებზე გვხვდება 30 სახეობა, ზეგნებზე აღრიცხულია 15 სახეობა, აღპურ ველებზე ცხოვრობს 17 სახეობა, ნახევრადუდაბნოებში მოსახლეობს 8 სახეობა, ყამირ ადგილებში აღნიშულია 5 სახეობა, წყალსატევების მიდამოებთან დაკავშირებულია 18 სახეობა, ადამიანის სამოსახლოს მიდამოებში ბინადრობს 38 სახეობა, ბაღებსა და ვენახებში გვხვდება 34 სახეობა, ბოსტნებში აღრიცხულია 17 სახეობა, ყანებში ბინადრობს 8 სახეობა, გამოქვაბულთა ბინადრია 7 სახეობა, ზღვაში ცხოვრობს 5 სახეობა.

საქართველოში გავრცელებული ძუძუმწოვრების ძირითადი მასა მოსახლეობს მთებზე, მცირე რაოდენობით ველებზე. ეს მოვლენა სავსებით გასაგები იქნება და ბუნებრივი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველო ძირითადად მთავრობიანი ქვეყნაა და მისი ტერიტორიის 75%₀ მთებსა და გორაკებს უკავია.

საქართველოში გავრცელებული ძუძუმწოვრებიდან სასარგებლოა 47 სახეობა, მაგნებელია 33 სახეობა, სანადირო-სარეწაო ობიექტს წარმოადგენს 26 სახეობა.

საქართველოში გავრცელებული ძუძუმწოვრებიდან თანამედროვე ადგილობრივი ფაუნის ძირითად ბირთვს შეადგენს 95 სახეობა, აკლიმატიზებულია 6 სახეობა, ამომწყდარია 2 სახეობა, შემთხვევითი ელემენტია 2 სახეობა.

ხერხემლიანთა ზოლოგიის

კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 15. 1. 1961)

ა. ჯანაშვილი

ОБЩИЙ ОБЗОР ФАУНЫ МЛЕКОПИТАЮЩИХ ГРУЗИИ

Р е з у м е

В статье приводится список млекопитающих, водящихся в Грузинской ССР, и дается их общая оценка с точки зрения народнохозяйственного значения, кратко затрагиваются вопросы об охране полезных и охотничьи-промышленных форм и борьбы с вредителями.

ლ. ნათაძე

მხედველობითი ანალიზათოლის ცენტრალური და პერიფერიული
ცაფილის თანამიმართება ზოგიერთი ჩვენარჩავლის
ეპიდომული განვითარების პროცესი

ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებაში უმნიშვნელოვანების ადგილი უჭირავს იმ მრავალრიცხვანი გაღიზიანების ანალიზს, რომელნიც ტვინს აღწევენ გარეგანი გარემოდანაც და ოვით ორგანიზმის შინაგანი ორგანოებიდანაც. ნერვულ აბარატებს, რომლებიც ამ ანალიზს ახორციელებენ, პავლოვმა ანალიზატორები უწოდა. ყოველი ანალიზატორი ერთიანი სისტემაა, რომელსაც შეადგენს მისი პერიფერიული ნაწილი (რეცეპტორი), გამტარი გზა (ნერვი და ტვინშიგა ტრაქტი) და ცენტრალური ნაწილი (შესაბამისი ნერვული ცენტრები).

ანალიზატორებს შორის მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის მხედველობით ანალიზატორს. ზავარზინის (1941) შეხედულებით ოპტიკური ფუნქციის ევოლუცია ამ არა მარტო განაპირობა თვალისა და შუა ტვინის პროგრესული განვითარება, არამედ უმნიშვნელოვანების როლი შეასრულა ნახევარსფეროების ქერქისა და, აგრეთვე, ნათხემის ევოლუციაშიც. ოპტიკური ანალიზატორის რეცეპტორული ნაწილი რეტინაა, მისი ცენტრალური ნაწილი კი შუა ტვინის სახურავია, ანუ ტექტური, ძუძუმწოვრების ტვინში კი — ნახევარსფეროების ქერქის შესაბამისი უბნები.

საერთოდ ანალიზატორების პერიფერიულ და ცენტრალურ ნაწილებს შორის თანამიმართება და, კერძოდ, თვალსა და ოპტიკურ ცენტრებს შორის დამოკიდებულება მორფოგეოლოგიური კოორდინაციის (სევერცოვი, 1939; შმალჰაუზენი, 1939) უთვალსაჩინოები მაგალითია და ანალიზატორის ამ ორი ნაწილის შესწავლა ერთდროულადაა აუცილებელი. ამავე დროს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ცხოველის ეკოლოგიური თავისებურებები.

ლიტერატურაში გროვდება ფაქტები, რომლებიც მოწმობენ, თუ ამტიკური ფუნქციის როლის განსხვავება ორგანიზმის ბიოლოგიაში რაოდენ დიდ გავლენას ახდენს შუა ტვინის (მხედველობითი წილების) განვითარების ხარისხზე (კურებინა და პავლოვსკი, 1946; ბრაგინსკაია, 1948; მატვეევი, 1951).

ამტიკური ფუნქციისაგან ტვინის შესაბამისი განყოფილებების განვითარების დამოკიდებულების საკითხის განხილვისას მხოლოდ ცხოველის ეკოლოგიაში ამ ფუნქციის მნიშვნელობაზე ლაპარაკობენ ხოლმე. თვალისა და ოპტიკური ცენტრების პარალელური შესწავლა კი თითქმის არავის მოუღენია. მათი ცალკე შესწავლისას კი ხდება ხელოვნური გათოშვა ერთიანი ანალიზატორისა მის პერიფერიულ და ცენტრალურ ნაწილად.

კრავეოვში (1950) მიაქცია ყურადღება იმას, რომ თევზებისა და ჭაყაფულებისა თვალები უფრო დიდი ზომისაა, ვიღე ამ ცხველებისავე მთეტებულ ტემპით თვალისა და ოპტიკური ანალიზატორის ზომის თანამიმართების საკითხს სხეულიალურად მიეძღვნა ზორივინისა და შეოლნიკ-იაროსის სტატია (1953). ამ ავტორებმა დაადგინეს, რომ არაძუძუმწოვარ ხერხემლიანებში რეცეპტორის პერიფერიული ნაწილი ყოველთვის საგრძნობლად სჭარბობს ცენტრალურს. სახელდობრ, ტექტურის ზედაპირის ფართი რეტინის ზედაპირის ფართის მიმართ შეადგენს: თევზში—8%, ბაყაყში—9%, ვარანში—11%, ქათამში—19%. ძუძუმწოვრებში წინა ორგორაჟის სახურავის. (ტექტურის) ზედაპირი კვლავ ბევრად უფრო მცირეა თვალის ზედაპირზე, რიცხვითი სიდიდეები ასეთია: ბოცვერი—11,1%, ძალი—10,1%, ცხვირფართო მაიმუნი—14,9%, მაკაკი—7%, ადამიანი—17,1%. მაგრამ ეს პროცენტები, ცხადია, ანალიზატორის პერიფერიული და ცენტრალური ნაწილის თანამიმართებას არ გამოხატავს: ძუძუმწოვრების ტექტური უმაღლესი ანტიკური ინსტანცია აღარა. ძუძუმწოვრების ანალიზატორის ცენტრალური ნაწილი წარმოდგენილია ჰემისფეროს ქერქის ანტიკური ზონით (მე-17 ველი) და მთელ ქერქში მეტად (უმდაბლესი ძუძუმწოვრები) ან ნაკლებად (უმაღლესი ძუძუმწოვრები) გაფანტული ანტიკური ნევრონებით. ბოცვერში ანალიზატორის ცენტრალური ნაწილი ზომით ისევ ნაკლებია პერიფერიულზე: თვალის მიმართ მე-17 ველის ზედაპირი შეადგენს 15,6%, მთელი ჰემისფეროსი კი—47%. უმაღლეს ძუძუმწოვრებში უკვე საპირისპირო სურათს ვხედავთ. უკვე ძალში მე-17 ველის ზედაპირი თვალის ზედაპირის 119% შეადგენს, მთელი ქერქისა კი—830%. განსაკუთრებით დიდია ეს განსხვავება პრიმატებში: პრიმიტიული ცხვირფართო მაიმუნის მთელი ქერქის ზედაპირი თვალის ზედაპირის 544% შეადგენს, მაკაკისა—1008%, ადამიანისა—11203%. ზოორიექინი და შეოლნიკ-იაროსი ასკვნიან, რომ ანტიკური ანალიზატორის პროგრესული ევოლუცია გამოიხატება მისი ცენტრალური ნაწილის უპირატესი განვითარებით პერიფერიულ ნაწილთან შედარებით. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგანაც მთელი ანალიზატორის ფუნქციის სრულყოფა სწორედ მისი მაანალიზებელი და მასინთეზებელი ნაწილის პროგრესით შეიძლება იყოს გაპირობებული.

ანალიზატორების ევოლუციის კანონზომიერებათა დადგენისათვის აუცილებელია ადაპტიური რადიაციის გათვალისწინება ხერხემლიანთა კლასების ფარგლებს შიგნით. მეორე მხრით, უთუოდ შესწავლილი უნდა იქნეს ანალიზატორის ნაწილთა კორელირებული შეცვლა ონტოგნეზში. რამდენადც ამ მხრივ ჯერჯერობით არაფერია გამოკვლეული, ყოველი ფაქტი, რომელიც აღნიშნულ საკითხებს ეხება, გარკვეულად საინტერესო უნდა იყოს.

ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი ცნობა მხედველობითი ანალიზატორის პერიფერიული და ცენტრალური ნაწილის თანამიმართების შესახებ ხვლიკის (*Lacerta* sp.) ემბრიონალური განვითარების პროცესში.

უადრეს სტადიებში (1,22 მმ)* ტვინის მთელი წინა ნაწილი ვენტრალურ მხარეზეა მოდრექილი და სხეულის ღერძთან მახვილ კუთხეს ქმნის. ჰემისფეროები მცირე ზომის ლატერალურ გამობერილობებს წარმოადგენენ. შუა ტვინი დიდი არაა, იგი ქმნის თხემის ბორცვს. მოგრძო ტვინი ძალიან გრძელია, ნევრომერია მას კარგად ემჩნევა. კეფის ნადრეკი ფრიად სუსტია-

* ყველგან აღნიშნულია მანძილი დინგის წევროდან თხემის ბორცვის მწვერვალამდე.

თვალები შედარებით მცირე ზომისაა, ერთიმეორეს ძლიერ დაშულებულის თვალის კავალი დაახლოებით შუა ტვინის ზომისაა.

უფრო გვიან სტადიებში (2 მმ) ემბრიონის თავი აღჭურვილია დიდი, ფართო თხემის ბორცვით. თავი განსაკუთრებით ფართოა წინა ნაწილში. საყნოსავი მიდამო სუსტადაა განვითარებული. წინა ტვინი მცირე ზომისაა შუა ტვინთან შედარებით. ჰემისფეროები ძალიან პატარაა, ოვალური, თითქმის მთლიანად თვალებს შორის მდებარე. შორისული ტვინის დორსალური მხარე სრულიად არა ზემოდან დაფარული წინა ტვინით და ამოზნექილია. შორისული ტვინი მცირე ზომისაა და ვიწრო. შუა ტვინი მხედველობით წილებად გაყოფილი არა, ფართოა და მაღალი. ტვინის კედლები საერთოდ მცირდაა დიფერენცირებული, სიღრუები ვრცელია. თვალები ძალიან დიდია, სფერული, მაგრამ ინტერიორითალური სივრცე ისევ საკმაოდ ფართოა. შუა ტვინი ცოტაოდენ აღემატება ზომით ერთ თვალის კაკალს.

შემდგომ სტადიაზი (3,34 მმ) თავის ფორმა ძლიერაა შეცვლილი: იგი გაგრძელებულია საყნოსავი მიდამოს გადიდებისა და ჰემისფეროების წინისევნ ზრდის გამო. ჰემისფეროები ძლიერაა აწეული ქალის ფუძიდან, ფართოა და შედარებით მოკლე. ჰემისფეროების დიდი ნაწილი შორისული ტვინის წინაა და მხოლოდ მისი უკანა ბოლო უკვე ეფარება შორისულ ტვინს ზემოდან. შუა ტვინი ძალიან ფართოა და საგებით სფერული. ხიდისა და კეფის ნადრევი ძლიერ მკვეთრია. თვალები უაღრესად დიდია, მაგრამ ინტერიორითალური სივრცე მაინც საკმაოდ ფართოა. თითოეული თვალი დაახლოებით მთელი შუა ტვინის ოდენობისაა.

უფრო გვიან (4,25 მმ) თავი ძლიერ ბრტყელდება და ორბიტალურ მიდამოში ძლიერ ფართოვდება. საყნოსავი მიდამო ჯერ ისევ პატარაა და დინგი ძალიან ბლაგვია. ჰემისფეროები ძალიან დიდია, მსხლისებრი ფორმისაა, საკმაოდ გრძელი, მაგრამ არც თუ ძალიან ვიწრო საყნოსავი განყოფილებით. ჰემისფეროების უმეტესი წინ იმყოფება. შუა ტვინი უაღრესად დიდია, მაგრამ ისე ძლიერ ამოზნექილ თხემის ბორცვს აღარ ქმნის: იგი გაფართოებულია და ამავე დროს უკვე აშკარად გაყოფილია შუაზე გასწვრივი ღარით. მოგრძო ტვინი მოდრეკილია და მისი დორსალური კედელი ძლიერაა დანაოჭებული. თვალები უაღრესად დიდია, საგებით სფერული. ინტერიორითალური სივრცე ძლიერ შევიწროებულია და წინა ტვინის აწევის ხარისხი ბევრად უფრო მეტია. თითოეული თვალი ცალკეულ მხედველობით წილზე შეუდარებლად მეტია.

გამოჩეკვის წინ (5,5 მმ) თვალები და თხემის ნაწილი აღარაა გამოზნექილი თავის საერთო კონტურიდან. ყნოსვის მიდამო ძლიერაა გაზრდილი. ტვინის ნაწილების განწყობა უახლოვდება დეფინიტიურს. წინა ტვინი გამოძევებულია ინტერიორითალური სივრციდან, სადაც მხოლოდ ვიწრო საყნოსავი ტრაქტებია დარჩენილი. საყნოსავი წილები თვალების წინაა, თვით ჰემისფეროები კი მათ უკან, შორისული ტვინის ზემოთ. ჰემისფერო სამკუთხოვანია და, დეფინიტიურისაგან განსხვავდებით, უკან ერთობ ფართო. შორისული ტვინი ზემოდან აღარ ჩანს. შუა ტვინი თვალსაჩინოდაა გამოყოფილი გასწვრივი ღარით, კვლავ სხვა ნაწილებზე დიდია, თუმცა მისი ფარდობითი ზომა გაცილებით ნაკლებია წინანდელზე. თვალები ძალიან დიდია, ერთმანეთს დაახლოებული. მათი ფორმა ერთობ შეცვლილია: თვალის კაკალი თითქმის ნახევარსფერულია. თითოეული თვალი ბევრად უფრო დიდია ორივე მხედველობით წილზე ერთად.





სრულასაკოვან ცხოველში წინა ტვინი მნიშვნელოვნადა გადადებულად ჰქონის ფარმატეტების შემისუეროები ახლა ტვინის ყველაზე დიდ განყოფილებას წარმოადგენს და სამჯერ უფრო დიდი ზომის მაინცაა შუა ტვინზე. შეცვლილია თითოეული ჰქონის ფორმაცია: სიგრძე ორგზის სჭარბობს სიგანეს, უკანა ბოლო გაფართოებული აღარაა და ზემოდან ფარავს არა მარტო მთელ შორისულ ტვინს, არამედ შუა ტვინის საკმაო ნაწილსაც. ყნოსვითი ტრაქტები ძლიერ გაგრძელებულია და ყნოსვის წილები თვალების წინა კიდის ბევრად უფრო წინ იმყოფებიან. შორისული ტვინი ზემოდან სულ აღარ ჩანს. შუა ტვინი ორ, რამდენადმე ლატერალურად მდებარე შეცველობით წილს წარმოადგენს, რომელთა შორის ღრმა ღარია. შუა ტვინის ფარდობითი ზომა თვალსაჩინოდაა შემცირებული ყველა აღრინდელ სტადიებთან შედარებით. აშეარად გამოხატულია მომცრო ზომის ნათხემი. მოგრძო ტვინში გვერდითი კედლები ძლიერაა გამსხვილებული. თვალები ტვინის ყველა ნაწილზე დიდია, მედიალურად ძლიერ გამოზნექილი, ხოლო ლატერალურად საკმაოდ გაბრტყელებული, ე. ი. თითქმის ნახევარსფერული. თვალის გარეთა (ლინზიანი) ზედაპირი რამდენადმე წინისეკნაა მიქცეული და მედიორატერალური ღერძი საგიტალური სიბრტყის პერპენდიკულარული კი აღარაა, არამედ მახვილ ქუთხეს ქმნის. თვალების ფარდობითი ზომა მხედველობის წილების მიმართ უაღრესად დიდია.

როგორც აღწერიდან ჩანს, შუა ტვინი თავდაპირველად ზომით მაინც დამაიც დიდი არაა. იგი ინტენსიურად ემბრიონალური განვითარების შუა სტადიებში იზრდება და ტვინის ყველა ნაწილებზე დიდი ხდება. ასეთი შდგომარეობა გრძელდება თითქმის ემბრიონალური პერიოდის ბოლომდე. ამასთან, იგი იცვლის ფორმას: თავდაპირველად იგი საკმაოდ წვეტიან, შედარებით ვიწრო ბორცვს ქმნის, შემდეგ კი თანდათანობით ფართოვდება და რამდენადმე ბრტყელდება, რასაც საბოლოოდ მისი გასწევრივი ღარით გაყოფა მოყვება მხედველობის წილებად. გამოჩეკვის წინ შუა ტვინის ფარდობითი ზომა თანდათან იკლებს და დეფინიტურ მდგრადირეობაში იგი გაცილებით უფრო მცირეა წინა ტვინზე. რახან ამ ბოლო სტადიებში შუა ტვინში დიფერენცირდება არაპრიკური ცენტრების შემცველი უკანა ბორცვები, მხედველობის ანალიზატორის ცენტრალური ნაწილის ფარდობითი ზომის კლება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება.

თვალები განვითარების უადრეს სტადიებში აგრეთვე შედარებით მცირე ზომისაა. შემდეგ იწყება მათი უაღრესად ინტენსიური ზრდა, რის შედეგადაც თვალების საერთო ზომა მთელ ტვინზე საგრძნობლად მეტი ხდება. ეს განსაკუთრებით ემბრიონალური პერიოდის მეორე ნახევრის დასაწყისშია შესამჩნევი. ამასთან, თვალის ფორმაცი ერთობ იცვლება: თავდაპირველად ოდნავ ლატერალურად გაბრტყელებული სხეულიდან იგი ამ პერიოდში საესტით სფერულ სხეულად იქცევა. ემბრიონალური პერიოდის ბოლოს და სრულასაკოვან ცხოველში თვალის ფარდობითი ზომა იკლებს შუა სტადიებთან შედარებით, მაგრამ მაინც ძალიან დიდი რჩება. შესამჩნევად იცვლება თვალის ფორმაცია: იგი თითქმის ნახევარსფერული ხდება, ამოზნექილი რეტინალური ნაწილით.

თუ ამ მასალას განვიხილავთ თვალისა და შუა ტვინის, როგორც ოპტიკური ანალიზატორის რეცეპტორული და ცენტრალური განყოფილებების კური ანალიზატორის რეცეპტორული და ცენტრალური განყოფილებების კური განვითარების თვალსაზრისით, აშეარად დავინახავთ, რომ რეპტილიების, ისევე, როგორც ამფიბიებისა და თევზების, დამახასიათებელი კანონზომიერება, აღნიშნული ზოორიენისა და შეოლნიქ-იაროსის შეირ (1953),

ზოგადად ვლინდება ონტოგენეზშიაც, ე. ი. რეცეპტორული ნაწილები მარტივია
სჭარბობს ცენტრალურს. მაგრამ განვითარების ცალქეულ ეტაპზე ანალიზა-
ტორის ამ ორი ნაწილის ურთიერთმიმართება საგრძნობლად განსხვავებულია.



ნახ. 1. ხელიკის ტვინისა და ოვალების კონტური განვითარება სხვადასხვა სტადიაში

I, II და III—ებბრიონები (რცსტრო-პარიეტალური მანძილი: 2 მმ;
4,25 მმ; 5,5 მმ), IV—სრულასკოფანი ცხოველი. 1—წინა ტვინის ნახევარ-
სფეროები, 2—შორისული ტვინი, 3—შუა ტვინი, 4—ოვალები, 5—ყნოს-
ვითი წილები, 6—მოფრძო ტვინი, 7—ნათხემი.

სახელდობრ, უადრეს საფეხურზე შუა ტვინი დაახლოებით ტოლია ერთი თვა-
ლისა (ე. ი. ცენტრალური ნაწილი თითქმის ორგზის ნაკლებია რეცეპტორულზე),
შემდეგ იგი ერთხანს სჭარბობს ერთ თვალს, მაგრამ შემდგომ სტადიებში შუა

ტვინის ფარდობითი ზომა თვალების მიმართ განუხრელად მცირდება შედეგია, რომ შუა ტვინის ფარდობითი ზომის კლება მთელი ტვინის მიმართ გაცილებით უფრო მეტი ინტენსიურობით ხდება, ვიდრე თვალისა. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ინდივიდუალური განვითარების პროცესში ამტიკური ანალიზატორის პერიოდული და ცენტრალური ნაწილის ურთიერთობის შეცვლა იმ სახით არ ხდება, როგორც ფილოგნეზში: თვალების ზომა განსაკუთრებით დიდი სწორედ გვაჩ ემბრიონიალურ პერიოდსა და იმავანალურ სტადიაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა ქვეწარმავლების თვალებისა და ცენტრალური ამტიკური ინსტრუმების მიმართებები ზეორეკინისა და შეკოლნიკიაროსის (1953) მიერ სწორადაა აღნიშნული, მაინც არ შეიძლება მივაკუთნოთ ისინი იმავე კატეგორიას, რომელსაც თევზებისა და ამტიკური ანალიზატორის პერიოდული და ცენტრალური ნაწილების ურთიერთდამოკიდებულება ეკუთვნის. კერძოდ, თუმცა რეპტილიების თვალები მართლაც ბევრად უფრო დიდია მხედველობით წილებზე, მაგრამ მთელი ტვინი აქ თვალებზე საგრძნობლად მეტია ზომით, უმნიონებში კი თვალების ზომა მთელი ტვინისას სჭარბობს. თუ ამას დავუმატებთ, რომ ქვეწარმავლებს ამტიკური ცენტრები უკვე ნახევარსფეროების ქერქშიაც გააჩნიათ, ეს განსხვავება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გახდება.

ხერხემლიანთა ზოოლოგის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 12.1. 1961)

ა. НАТАДЗЕ

О СООТНОШЕНИИ ЦЕНТРАЛЬНОЙ И ПЕРИФЕРИЧЕСКОЙ ЧАСТЕЙ ЗРИТЕЛЬНОГО АНАЛИЗАТОРА В ПРОЦЕССЕ ЭМБРИОНАЛЬНОГО РАЗВИТИЯ НЕКОТОРЫХ ПРЕСМЫКАЮЩИХСЯ

Резюме

Прогрессивное развитие каждого анализатора необходимо изучать в единстве его центральной и периферической частей. По вопросу о соотносительных изменениях частей анализаторов в процессе эволюции имеются лишь малочисленные сведения, касающиеся зрительного анализатора. Кравковым (1950) было отмечено, что у низших позвоночных глаза пре-восходят по размерам весь головной мозг. Зворыкин и Школьник-Ярос (1955), исследовав представителей различных групп позвоночных, пришли к выводу, что эволюция зрительного анализатора выражается главным образом в прогрессивном развитии его центральной части.

Для выяснения закономерностей эволюционного развития анализаторных систем вообще и зрительного анализатора в частности, весьма существенное значение имеет изучение соотносительных изменений периферической и центральной частей анализатора в онтогенезе. Вопрос этот совершенно не затронут в литературе.

В настоящей статье приводятся некоторые сведения о соотношении центральной и периферической частей зрительного анализатора в процессе эмбрионального развития некоторых позвоночных, в частности ящериц.

Изучение мозга и глаз у эмбрионов различного возраста показало, что у исследованного объекта на всех стадиях онтогенеза периферическая часть зрительного анализатора (сетчатка) превышает по размерам центральную (крышу зрительных долей среднего мозга). Однако это соотношение в значительной мере меняется в различные периоды индивидуального развития. В частности, относительно к центральной части анализатора, глаза особенно велики на самых поздних стадиях эмбриональной жизни и во взрослом состоянии. Следовательно, изменение соотношения между центральной и периферической частями зрительного анализатора в онтогенезе пресмыкающихся по сравнению с филогенетическим развитием происходит в обратной последовательности.

Л 0 6 9 6 0 9 6

1. Брагинская Р. Я., Строение мозга различных рыб в связи с их способом питания, ДАН СССР, 59, № 6, 1948.
2. Заварзин А. А., Очерки по эволюционной гистологии нервной системы, Москва, 1941.
3. Зворыкин В. П. и Школьник-Ярресс Е. Г., Цифровые данные о соотношении периферической части зрительного анализатора и мозговых концов анализаторов в ряду позвоночных, Архив анатомии, гистологии и эмбриологии, 30, № 5, 1953.
4. Кравков С. В., Глаз и его работа, Москва—Ленинград, 1950.
5. Курепина М. М. и Павловский Е. Н., Строение мозга рыб в связи с условиями их обитания, Известия АН СССР, Серия биологическая, № I, 1946.
6. Матвеев Б. С., Биоморфология головного мозга позвоночных, Тр. 5-го всесоюзного съезда анатомов, гистологов, эмбриологов, 1951.
7. Северцов А. Н., Морфологические закономерности эволюции, Москва—Ленинград, 1939.
8. Шмальгаузен И. И., Значение корреляций в эволюции животных, В сборнике «Памяти А. Н. Северцова», том I, 1939.

გ. პაპალაშვილი

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემის გამდება
ზოგიერთი კულტურული გვერდის გრძელების განვითარების

შესავალი

დღეს, ატომის ეპოქაში, ძლიერ ინტენსიურად ვითარდება ახალი მეცნიერება— რადიობიოლოგია. რადიობიოლოგია ეხება თანამედროვე ბიოლოგიის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას—ორგანიზმისა და გარემოს ურთიერთმოქმედების პრობლემას, რადგან ის სწავლობს „სხივური ენერგიის“ ზემოქმედებას ცოცხალ ბუნებაზე. „სხივური ენერგიის“ ცნება გულისხმობს ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას, რომელსაც სხვადასხვა სიგრძის ტალღები ახასიათებს— რადიოტალღები, ინფრაჭითოელი სხივები, ხილვადი სინათლე, ულტრაიისფერი სხივები, ინფრაჭითოელი სხივები, რენტგენის სხივები და გამა გამოსხივება. აგრეთვე კორპუსეულური გამოსხივება—ალფა და ბეტა ნაწილაკები, ნეიტრონები და სხვა ბირთვული ნაწილაკები.

თანამედროვე გამოკვლევები მიუთითებს ხილვადი სინათლის, ინფრაჭითოელი სხივების, ულტრაიისფერი სხივების დიდ ბიოლოგიურ მნიშვნელობაზე. როგორც ირკვევა, მცენარეთა სხვადასხვა სახე განსხვავებულ მოთხოვნილებას იჩენს სინათლის სხივის სპექტრის შედეგენილობის მიმართ.

მეტად ნაირგვარსა და თავისებურ ბიოლოგიურ აქტიურობას იჩენს ულტრაიისფერი სხივები.

ყურადღებას იპყრობს ულტრამოკლე ელექტრომაგნიტური ტალღების ფიზიოლოგიური ეფექტი.

მაგრამ, ამჟამად, აღნიშნულ გამოსხივებათა ყველა სახეობიდან რადიობიოლოგთა უფრო მეტ ინტერესს იწვევს ისეთი გამოსხივება, რომლის ენერგიის შთანთქმისას იონები აღმოცენდებიან (მაინნიშებელი გამოსხივება).

მეცნიერებისათვის აუცილებელი გახდა ამ ფაქტორის ცოცხალ ორგანიზმების შესწავლა რენტგენის სხივებისა და რადიუმის აღმოჩენის დღიდან, ე. ი. XIX საუკუნის ბოლოდან. მაგრამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში რადიობიოლოგიის განვითარება ძირითადად მედიცინის მოთხოვნებით განისაზღვრებოდა.

მაგრამ ახლა, როცა ბირთვულ ფიზიკაში მოხდა დიდმნიშვნელოვანი აღმნენა—განხორციელდა ატომგულის დაშლა, ატომური ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნისათვის ხდება აღამიანის ცხოვრების მეტად ნაირგვარ დარგებში.

ამჟამად მათონიზებელ გამოსხივებას ფართოდ სწავლობენ მეცნიერებულებების მრავალ სფეროში—ბიოლოგიაში, მედიცინაში, აგრიკონომიასა და ნიადაგმცოდნეობაში.

შაიონიზებელი გამოსხივება, მისი ბიოლოგიური ზემოქმედების თავისებურების გამო, მოხერხებული საშუალება აღმოჩნდა უჯრედის გარკვეული ფუნქციის გამოცალევებისა და გამოვლინებისათვის ან უჯრედის ცალქეულ სტრუქტურაზე ეფექტური ზემოქმედებისათვის, რაც საშუალებას გვაძლევს უფრო ღრმად გაფანალიზოთ ის ორალური ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც ასებობს უჯრედის ორგანიზაციულ სტრუქტურასა და მასში მიმდინარე ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიურ პროცესებს შორის.

მათონიზებელი გამოსხივება წარმოადგენს ბუნებაში არსებულ მატერიალურ ფაქტორს, რომელიც ზემოქმედებს ცოცხალ ორგანიზმზე, როგორც გარემოს რომელიმე სხვა ფაქტორები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მათონიზებელი გამოსხივება, როგორც გარემოს ფაქტორი, ხასიათდება პრინციპული თავისებურებით, რაც გაპირობებულია მისი ფიზიკური ბუნებით.

რადიაციის ზემოქმედების ყველაზე უფრო დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს მეტად ძლიერი ბიოლოგიური ეფექტი შედარებით მცირე საწყისი ცვლილებებისას, რომელსაც აღილი იქვს დასხივებულ ობიექტებში. მაგალითად, უმაღლესი ცხოველებისა და ადამიანისათვის მომაკვლინებელი ღოზა მთელი სხეულის გასხივებისას უდრის 600—800 რენტგენს. თუ ეს მთელი შთანთქმული ენერგია ასეთი ღოზისას ორგანიზმში სითბოდ იქცეოდა, ეს გამოიწვევდა სხეულის ტემპერატურის გაზრდას დაახლოებით ერთი მეორიათასედი გრადუსით. ტემპერატურის ასეთ გადიდებას, ცხიდია, არ შეიძლება გავლენა მოეხდინა სიცოცხლის პროცესების მსვლელობაზე.

გაგრამ საქმე ისაა, რომ მათონიზებელი გამოსხივების ასეთი თითქოს უმნიშვნელო ენერგიის შთანთქმისას, ორგანიზმში აღმოცენდება რიგი თანმიმდევრობითი ქიმიური პროცესები, რასაც სათანადო ღოზისას ორგანიზმის სიკვდილამდე მივყავართ.

მრავალი გამოკვლევით ნაჩვენებია, რომ მათონიზებელი რადიაციის შეჭრა დიდ გავლენას ახდენს ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაზე, ფერმენტულ სისტემაზე, ჰორმონებზე, ცილებისა და ნუკლეინის მჟავათა სინთეზზე, უჯრედის სტრუქტურასა და ფუნქციაზე.

ცნობილია, რომ მჩურინმა შეიმუშავა მცენარეების ნათესაობით დაშორებულ (სახეობათა, გვართა და სხვ.) შეჯვარების სიძნელეების დაძლევის ეფექტური ორიგინალური მეთოდები.

ეს მეთოდები ეყრდნობოდა მიჩურინის თვალსაზრისს ფიზიოლოგიურად განსხვავებულ სასქესო უჯრედების დაახლოების შესახებ. შეუჯვარებულობის განსაკუთრებულ შემთხვევებში ის ამ მიზნით მიმართავდა შესაჯვარებლად გამიზნულ ნათესაობით დაშორებულ მცენარეთა გამრავლების ორგანოებზე სხვადასხვაგარ ზემოქმედებას, რათა ერთგვარად დაერღოვია მათი ფიზიოლოგიური განსხვავებულობა და შესაძლებელი გაეხადა მტვრის მარცვლის ჩაზრდა მისთვის უცხო სახეობის მცენარის ყვავილის მდედრობით ორგანოში.

ის, უწინარეს ყოვლისა, ზემოქმედებდა ბიოლოგიური მეთოდებით, როგორიცაა მყნობა (შესჯვარებელ სახეობათა ვეგეტაციური დაახლოებისათვის); დასამტვერად გამიზნულ ყვავილზე მოცემული შეჯვარებისათვის უცხო მტვრით ზემოქმედება და სხვ.

ამავე მიზნით მიჩურინი იყენებდა ფიზიკური და ქიმიური ფაქტორების უზრუნველყოფას. მაგალითად, ის სწავლობდა ელექტრობის ზემოქმედებას მტვრის მარცვალზე. „90-იან წლებში,—წერს მიჩურინი,—მე გამოვიყენე მტვრის მარცვალზე სტატიური ელექტრობის მუხტების ზეგავლენა... მტვრის მარცვალი დაექვემდებარა სუსტი ინდუქციურ ელექტროდენების ზეგავლენასაც. დაბოლოს მტვრის მარცვალს მოკლე ხნის განმავლობაში ვათავსებდი ძლიერი მაგნიტების პოლუსთა შორის სივრცეში. ამ ცდების შედეგებს და მათგან გაეკეთებულ დასკვნებს მე აქ არ მოვიტან მათი დაუმთავრებლობის გამო. ასეთი ცდები საკითხის სრული დამუშავებისათვის მოითხოვენ, რომ კაცმა მარტო მასზე იმუშაოს. ეს ის პირობაა, რომლის შესრულება მე ვერ შევძელი. ისინი მოკლედ მოვიხსენი მხოლოდ იმ მიზნით, რომ მიყუთითო ჩემს მიმღევრებს მათი გამოყენების შესაძლებლობა ჰიბრიდიზაციის საქმეში“ (ი. მიჩურინი, თხ., ტ. I, რუს. გამ., გვ. 347).

რადიაციის გაფლენის პრობლემა ცოცხალ ორგანიზმები ამჟამად ბიოქიმიკოსების, გენეტიკოსების, ფიზიოლოგების, ციტოლოგებისა და სხვ. დიდ ყურადღებას იპყრობს.

მაიონიზებელი გამოსხივების ცოცხალ ორგანიზმები გაფლენის მაჩვენებელია დიფერენცირებული მგრძნობელობა ქსოვილებისა, უჯრედის სხვადასხვა ნაწილებისა და უჯრედის შემაღენების ნივთიერებისა. რადიაციის მიმართ ყველაზე უფრო მეტი მგრძნობელობას იჩენს ის ქსოვილები, რომელთა უჯრედების დაყოფა ყველაზე უფრო ინტენსიურად ხდება. ე. ი. არსებობს გარევეული კორელაცია მიტოზის სისწრაფესა და უჯრედის მგრძნობელობას შორის. ძუძუმწოვართა შესწავლა ვაჩვენებს, რომ ყველაზე მეტი რადიომგრძნობელობით ხასიათდება ლიმფური ქსოვილი, ძვლის ტვინი, საკვერცხე და ეპითელი, ხოლო ყველაზე ნაკლებ რადიომგრძნობელობას გვიჩვენებს კუნთოვანი და ნერვული ქსოვილები. ცნობილია, რომ ქსოვილთა ეს ორი ჯგუფი მკვეთრად გამოირჩევა თავიანთი მიტოზური აქტიურობით. პირველი ჯგუფი მეორისაგან განსხვავებით უჯრედების გაძლიერებული დაყოფით ხასიათდება.

გამოირკვა, რომ გარკვეული დოზით რადიაციის ზემოქმედებისას უჯრედის გაყოფის უნარი ქვეითდება. ამასთან, ეს მოვლენა დაკავშირებულია პირველ რიგში ბირთვის დაზიანებასთან.

პიროვისა და ციტოპლაზმის ლოკალური გასხივებისას აღმოჩნდა, რომ ბირთვის გასხივებისას უჯრედის რადიომგრძნობელობა ათჯერ და ასჯერ უფრო მეტია, ვიდრე იგივე უჯრედის რადიომგრძნობელობა ციტოპლაზმის გასხივებისას (თუ რადიომგრძნობელობის კრიტერიუმად უჯრედის გაყოფის უნარის დაჭვებით მივიჩნიეთ).

მცენარეზე ელექტრომაგნიტური ტალღების გავლენის შესწავლის აუცილებლობას განსაზღვრავს შემდეგი გარემოებანი.

ირკვევა, რომ ორგანიზმში რადიოაქტიური ელემენტების მცირე ოდენობა აუცილებელია მისი არსებობისათვის. რადიაქტიური ელემენტები დადებითად ზემოქმედებს მცენარის ზრდა-განვითარებაზე. იგი ხელს უწყობს მის აყვავილებისა და მომწიფების ვადების დაჩქარებას. ამასთან ერთად, დადგნილია, რომ რადიაქტიური ელემენტების სიმცირისას ადგილი აქვს მიკროორგანიზმების განვითარების შეფერხებას. მკვეთრად ეცემა აზოტონიაქტერიის ცხოველმყოფელობა.

მაგრამ ნიადაგში რადიაქტიური ელემენტები ყველგან ოპტიმალურ ღდენობით არაა წარმოდგენილი.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშვნოს, რომ ყოველი მცენარე შეგუებულია რადიაქტიური რადიაციის ბუნებრივი ფონისადმი. მაგრამ ეს ბუნებრივი ფონი სხვადასხვა მიზეზების გამო მკვეთრად იცვლება. საკმარისია ითვას, რომ ატომური ენერგიის გამოყენების განვითარებასთან დაკავშირებით სულ უფრო მეტად იზრდება რადიაციის ინტენსიურობა. ყოველივე ეს გამოიწვევს მცენარის ზრდა-განვითარებასა და მეტყვიდრულობის შეცვლას.

წინამდებარე ნაშრომში, რომელიც 1960 წლის მანძილზე იქნა შესრულებული, მოტანილია სხვადასხვა სახის ელექტრომაგნიტური ტალღების (გამოსწივების) გავლენის შესწავლის შედეგები ზოგიერთი მცენარის ზრდაზე.

ამ სამუშაოს შესრულებისას ჩვენ მიზნად ვისახავდით:

ა) სხვადასხვა სახის ელექტრომაგნიტური ტალღების შედარებითი ეფექტის დალგენას მცენარის ზრდაზე;

ბ) ცოცხალ ორგანიზმზე მაიონიზებელი და არამაიონიზებელი რადიაციის ზემოქმედების მექანიზმის საკითხზე ზოგიერთი ექსპერიმენტული მონაცემის მოპოვებას;

გ) რენტგენის სხივების დიდი დოზების გავლენის შესწავლას ლობიოს ზრდა-განვითარებაზე, მასში მეტყვიდრული ცვლილებების გამოწვევის პრობლემასთან დაკავშირებით.

სამუშაო ობიექტი და კვლევის მეთოდიკა

როგორც ცნობილია, ელექტრომაგნიტური ტალღების ჯგუფში შედის გრძელი რადიოტალღები, მოკლე და ულტრამოკლე ტალღები, აგრეთვე ბევრად უფრო მოკლე სინათლის, რენტგენისა და გამა სხივების ტალღები.

ამგარად, ელექტრომაგნიტური გამოსხივების აღნიშნულ სახეობათა შორის სხვაობა მხოლოდ მათი ტალღის სიგრძითა გაპირობებული.

ჩვენს ცდებში ვაწარმოებდით სიმინდისა და ლობიოს მარცვლების დასხივებას ულტრამოკლე ტალღების, რენტგენის სხივებისა და ულტრაიოსფერი სხივების სხვადასხვა დოზებით.

ულტრამოკლე ტალღების წყაროდ გამოყენებულ იქნა კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის რეაბილიტაციური ინსტიტუტის ულტრამაღალი სიხშირის აპარატი (ტალღის სიგრძე 6 მ.).

დოზირებას ვაწარმოებდით ექსპანზიციის ხანგრძლიობის შეცვლით.

სიმინდის თესლს ვათავსებდით ელექტროდებს ზორის; მათ ზორის მანძილი შეადგენდა 8,5 სმ. დასხივება ვაწარმოეთ როგორც ერთჯერადი, ისე ფრაქციული. ერთჯერადი დასხივება მოვახდინეთ შემდეგი ხანგრძლიობით: 5 წუთი, 10 წუთი, 20 წუთი, ხოლო ფრაქციული: 5 წუთი + 5 წუთი (წყვეტილი 5 წუთი), 10 წუთი + 10 წუთი (წყვეტილი 10 წუთი), 20 წუთი + 20 წუთი (წყვეტილი 15 წუთი).

ჩვენ შევისწავლეთ ძალიან მაღალი სიხშირის ულტრამოკლე ტალღების ($\lambda = 2,8$ მ) გავლენა სიმინდის კოლებტოლისა და ფესვის ზრდაზე. ამ მიზნით გამოვიყენეთ პატარა აპარატი—„რადმა“, რომლის კონსტრუქცია ეკუთვნის ინჟინერ ნიკოლაევს.

სიმინდი დაექვემდებარა გამოსხივების ზემოქმედებას სხვადასხვა უნდა მოიცავა ლიობით: 2 წ., 5 წ., 9 წ., 12 წ., 45 წ., 60 წ., 90 წ.

მარცვლების დასხივება ხდებოდა პეტრის ჯამებში. თითოეულში მოთავსებული იყო 25 მარცვლი.

ფესვისა და კოლეოპტილის გაზომვა ვაწარმოეთ მათი გამოჩენიდან მოყოლებული მომდევნო დღეებში.

ულტრაიისფერი სხივებით დასხივებას ვაწარმოებდით პისტოლოგია-გენეტიკის კათედრაზე. ულტრაიისფერი სხივების წყაროდ გამოვიყენეთ პორტატული სამედიცინო ნათურა (ტალღის სიგრძე — 275—320 მმ), რომლითაც ვასხივებდით მარცვლებს. მანძილი ობიექტსა და გამოსხივების წყაროს შორის შეადგენდა 6 სმ.

ღიზები განვისაზღვრეთ დასხივების იგივე ხანგრძლიობით და იმავე წესით, როგორც ულტრამოკლე ტალღების შემთხვევაში.

ულტრაიისფერი სხივებით დავასხივეთ სიმინდი და ლობით.

რენტგენის სხივებით დავასხივეთ სიმინდი. გამოყენებულ იქნა მცირე ღოზები: 300 რ, 500 რ, 700 რ, 900 რ, 1000 რ.

რაღაც გენეტიკასა და სელექციის პრობლემასთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ რენტგენის სხივების დიდი ღოზების გაცლენა ლობიოს ზრდა-განვითარებაზე.

ცდებისათვის შევარჩით ლობიოს ცანავას ჯიში. თესლი ჩამოვიტანეთ ნატახტარის სასელექციო საღურიდან.

რენტგენის სხივებით დასხივება მოვახდინეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული ფიზიკის კათედრის ამაჩქარებელი ძალების ლაბორატორიაში. დასხივება აწარმოა ვ. ნაბიჭვრიშვილმა.

რაღაც გენეტიკაში სხვა მცენარეებზე ჩატარებული ცდების შედეგების გაოვალისწინებით დასხივება ჩავატარეთ შემდეგი ღოზებით: 6000 რ, 8000 რ, 10000 რ, 12000 რ და 15000 რ.

ლაბორატორიულ პირობებში სხვადასხვა სახის გამოსხივების შესწავლისას, დასხივებულ სიმინდისა და ლობიოს მარცვლებს 25—50 ცალის რაოდენობით ვათავსებდით პეტრის ფინჯნებში, რომლებშიაც წინასწარ ჩაფენილი ფილტრის ქალალდი. დასხივების შემდეგ ყოველ ფინჯანში ვასხამდით წყალს 5 სმ რაოდენობით. წყლის იმავე რაოდენობის მარცვლებს ვასხამდით მომდევნო დღეებშიც.

დასხივებიდან მესამე, მეოთხე, მეხუთე დღეს ვსაზღვრავდით გაღივებული მარცვლების რაოდენობას საცდელ და საკონტროლო (დაუსხივებელ) ფინჯნებში ცალ-ცალქე.

გარდა ამისა, ვაწარმოებდით კოლეოპტილის ზრდის დინამიკის განსაზღვრას.

ულტრაიისფერი სხივებით დასხივებული თესლი დავთესეთ აგრეთვე მიწით სავსე ყუთებში (ზომა 50 × 34). ყუთებს ვდგავდით ამ მიზნით ჩვენს მიერ საგანგებოდ გაკეთებულ კარადაში. კარადის ტემპერატურის რეგულაცია ხდებოდა ელნათურებით. ტემპერატურა მერყეობდა 20—25° ფარგლებში.

რენტგენის სხივების მცირე ღოზებით დასხივებული თესლი საკონტროლოსთან ერთად დავთესეთ იმავე ყუთებში, ხოლო დიდი ღოზებით დასხივებული თესლი დავთესეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საცდელ ნაკვეთზე დიღომში.

თითოეული დოზით დასხივებული თესლი ექვს ნაკვეთურზე ჭაღალდება და გთხეს, მეშვიდეზე დაითესა ჩვეულებრივი, დაუსხივებელი თესლი—სსკრინტ როლოდ.

როგორც საცდელი, ისე საკონტროლო ლობიოს მარცვლები ცალ-ცალკე და გთხეს, დათესილ მარცვალთა შორის მანძილი შეადგენდა 80 სმ. და რიგ-თაშორის—80 სმ.

დათესვამდე და დათესვის შემდეგ ნიადაგის დამუშავება: გათოხნა, მორწყვა და სხვ. საცდელ და საკონტროლო ნაკვეთურებისათვის ერთნაირად ჩატარდა.

შესწავლით იქნა საცდელი და საკონტროლო მცენარეების აღმოცენების უნარი, აყვავილებისა და პარკების გაკეთების ვადები, ზრდასრული მცენარის სიმაღლე, ამასთან ერთად განხსაზღვრეთ თითოეული მცენარის დატოტვა, პარკების რაოდენობა, თითოეული პარკის ზომა და მასში არსებული მარცვლების რაოდენობა, თითოეული მცენარის მარცვლების წონა.

ულტრამოკლე ტალღები

ულტრამოკლე ტალღების გავლენა მცენარის ზრდაზე პირველად აღნიშნეს იტალიელმა მქვლევარებმა—მეცადროლმა და ვარეტონუმ 1929—1930 წწ. (ლიტ. ციტ. პროფ. ფრენკელის მიხედვით).

მათი დაკვირვებით ულტრამაღლი სიხშირის ელექტრომაგნიტური ტალღების ($\lambda=2,8$) ზემოქმედება იწვევს ქრის, ლობიოს, მუხუდოსა და სიმინდის აღმოცენების სტამულაციას. შემდგომში ულტრამოკლე ტალღების დადებითი გავლენა აღნიშნულ იქნა მცენარეებსა და ცხოველებზე სხვა ავტორების შეირთვა.

მაგრამ რიგი სხვა ავტორების მონაცემებით თითქოს ულტრამოკლე ტალღები სტამულაციის ნაცვლად იწვევს ზრდის შეფერხებას (ნადსონი, შეიბა, ფლომა და სხვ.).

ამ მიმართულებით ჩვენი გამოკვლევა მიზნად ისახავდა ულტრამოკლე ტალღების ბიოლოგიური ეფექტის შესწავლას. სხვა სახეობის ელექტრომაგნიტურ ტალღებთან შედარებით.

1-ლ ცხრილში მოტანილია ულტრამოკლე ტალღების (ტალღის სიგრძე—6 სმ) გავლენის შედეგები სიმინდის აღმოცენებაზე (თითოეული დოზით დავასხივეთ ას-ასი მარცვალი). ნაჩვენებია გალივებული მარცვლების რაოდენობა.

ცხრილი 1

ულტრამოკლე ტალღების გავლენა სიმინდის აღმოცენებაზე

გალივების დოზები	დასხივების დოზა წუთთა ბით						საკლასტროლო
	5	5+5 (10)	10	10+10 (20)	20	20+20 (40)	
1 დღე	60	59	71	70	65	67	39
2 "	22	21	15	17	17	18	6
3 "	4	5	5	2	6	3	7
4 "	5	4	1	3	3	1	12
5 "	1	2	1	3	3	6	3
სულ . .	92	91	93	95	94	95	67

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, აღნიშნული სიხშირფებზე რამოკლე ტალღები იწვევენ სიმინდის აღმოცენების აშკარა სტიმულაციას.

ამასთან ჩვენ მიერ შერჩეული დოზები თითქმის თანაბრად ეფექტური აღმოჩნდა.

მათ დააჩქარეს აღმოცენება, ამასთან ერთად გაზარდეს აღმოცენების საბოლოო პროცენტი. ულტრამოკლე ტალღების შემთხვევაში აღმოცენების პროცენტი მერყეობს 91—95 ფარგლებში, ხოლო დაუსხივებელი თესლის აღმოცენების პროცენტი კი სულ 67-ს შეადგენს.

მე-2 ცხრილში მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს კოლეოპტილის ზრდის დინამიკას.

ცხრილი 2

ულტრამოკლე ტალღების გავლენა კოლეოპტილის ზრდის დინამიკაზე

დოზა წუთობით	პირველი გაზომვა	მეორე გაზომვა	მესამე გაზომვა
	$M \pm m$ (სმ)	$M \pm m$ (სმ)	$M \pm m$ (სმ)
5	11,56 ± 1,46	19,25 ± 2,32	31,08 ± 3,06
5+5	14,34 ± 1,81	21,35 ± 2,72	30,15 ± 3,64
10	12,78 ± 1,03	21,86 ± 1,45	27,37 ± 2,13
10+10	9,90 ± 0,97	17,57 ± 1,28	21,49 ± 1,77
20	10,89 ± 1,27	22,65 ± 1,64	25,26 ± 2,09
20+20	16,34 ± 2,23	26,12 ± 3,35	34,73 ± 4,14
საკონტროლო	10,87 ± 2,5	17,26 ± 3,49	20, 8 ± 3,77

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ პირველი და მომდევნო გაზომვისას კოლეოპტილი ყველაზე უფრო მეტი აღმოჩნდა ცდაში გამოყენებული უმაღლესი დოზისას: დასხივება 20 წუთის განმავლობაში, დასვენება 15 წუთს და კიდევ ხელახლი დასხივება 20 წუთის განმავლობაში. მომდევნო გაზომვისას კოლეოპტილმა ინტენსიური ზრდა გამოიჩინა პირველი ორი დოზის შემთხვევაშიც.

ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ულტრამოკლე ტალღები ჩვენს ცდებში იწვევენ სიმინდის გაღივებისა და ზრდის სტიმულაციას.

ამასთან, ყველაზე უფრო ეფექტური დოზა 40 წუთი—ფრაქციული დოზა აღმოჩნდა:

ძალიან მაღალი სიშირის ($\lambda=2,8$) ულტრამოკლე ტალღების გამოყენებისას აღმოჩნდა, რომ სიმინდის ზრდის მასტიმულირებელ მოქმედებას ადგილი აქვს ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით უფრო გაზრდილი დოზების შემთხვევაშიც.

ულტრაიისფერი სხივები

საღლეისოდ დამტკიცებულია, რომ ულტრაიისფერი სხივები გავლენას ახდენს ცხოველი ორგანიზმის ნივთიერებათა ცვლაზე, აღიდებს ცხოველის მდგრადობასა და გამძლეობას სხვადასხვა დაავადების მიმართ, ხელს უწყობს მოზარდის ზრდა-განვითარებასა და პროდუქტიულობას.

ასე, მაგალითად, ა. ნოვიკოვამ (1955) გვიჩვენა, რომ ულტრაიისფერი სხივებით გაშუქება დაღებით, გავლენას ახდენს გოჭების ზრდაზე, მათი წონის გატებაზე და აგრეთვე ქათმის კვერცხმდებლობაზე.



ვ. სუვორცევმა (1953) დაადგინა, რომ კვერცხის გაშუქება უფრო მაღალი ფერი სხივებით ინკუბატორში ჩაწყობამდე ხელს უწყობს გამოჩეკვასა და დადებითად მოქმედებს წიწილების ხარისხზე.

ვ. კოდინეცმა (1954) დაადასტურა სუვორცევის მიერ მიღებული ეს შედეგები.

ამ ფაქტების გათვალისწინებით და აგრეთვე იქიდან გამომდინარე, რომ ულტრაიისფერი სხივები წარმოადგენს გარემოს ერთ-ერთ მეტად ძეტიურ აგენტს, ჩვენ გადავწყვიტეთ მისი გავლენის შესწავლა მცენარის ზრდაზე. ეს საკითხი საინტერესოდ მიგავჩნდა როგორც ელექტრომაგნიტური ტალღების ბიოლოგიური ეფექტის საშეურნეო მნიშვნელობის თვალსაზრისით, ისე მათი ცოცხალ სისტემაზე ზემოქმედების მექანიზმის პრობლემის შესწავლასთან დაკავშირებით.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ შევისწავლეთ ულტრაიისფერი სხივების ზეგავლენა სიმინდის აღმოცენებაზე, ცდები რამდენიმე სერიად ჩავატარეთ, და მსგავსი შედეგები მიგიღეთ. ერთ-ერთი სერიის შედეგები წარმოდგენილია მე-3 ცხრილში. თითოეულ ვარიანტში დავასხივეთ 25 მარცვალი.

ცხრილი 3

ულტრაიისფერი სხივების გავლენა სიმინდის გალივებაზე

გალივების დღეები	დ ღ ზ ა წ უ თ ღ ბ ი თ								საკონტ- როლო			
	6		5+5		10		10+10		20		20+20	
	n	%	n	%	n	%	n	%	n	%	n	%
პირველი დღე	12	48	8	32	10	40	7	28	12	48	9	36
მეორე დღე	1	4	3	12	5	20	8	32	2	8	3	12
მესამე დღე	3	12	7	28	1	4	1	4	2	8	2	8
მეოთხე დღე	6	24	4	16	2	8	5	20	4	16	6	24
											6	24

წარმოდგენილი მონაცემები აშეარად მეტყველებს, რომ ულტრაიისფერი სხივები გავლენას ახდენს სიმინდის გალივებაზე, იგი ერთგვარად ხელს უწყობს გას, თუმცა ამ მონაცემების საფუძველზე ძნელია იმის თქმა, თუ გამოყენებულიდან რომელი დოზა უფრო მეტ მასტიმულირებელ გავლენას ახდენს ამ პროცესზე.

ჩვენ 15 წუთის განმავლობაში დასხივებული სიმინდის მარტივები დაგთეს მიწით საესე ხის ყუთის ერთ ნახევარში, მეორეში კი შესაბამისი საკონტროლო. თითოეულ ნახევარში დავთესეთ 50 ცალი მარცვალი.

განვსაზღვრეთ საცდელ და საკონტროლო მცენარეთა თანდათანობითი აღმოცენების პროცენტი—შედეგები წარმოდგენილია მე-4 ცხრილში.

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ულტრაიისფერი სხივების აღნიშნულმა დოზამ დააჩქარა სიმინდის აღმოცენება.

ამგვარად, მეორე ცდამ დაადასტურა პირველი ცდის შედეგები.

სიმინდის აღმონაცენების ზრდის შემდგომი შესწავლა ნათელჲყოფს ულტრაიისფერი სხივების მასტიმულირებელ მოქმედებას (იხ. ცხრილი 5).

ულტრაიისფერი სხივების გავლენა მცენარეთა აღმოცენებაზე

გაღივების დღები	ს ა ც დ ე ვ ლ ი		ს ა კ ა ნ ტ რ ი ლ ი	
	ალტრაიის განვითარების წლის ნოტი	ალტრაიის განვითარების წლის ნოტი	ალტრაიის განვითარების წლის ნოტი	ალტრაიის განვითარების წლის ნოტი
პირველი დღე	6	12	2	4
მეორე დღე	22	44	5	10
მესამე დღე	15	30	19	38
მეოთხე დღე	1	2	18	39

ცხრილი 5

ულტრაიისფერი სხივების გავლენა სიმინდის აღმოცენების ზრდაზე

გაზომვის თარიღები	აღმონაცენის სიმაღლე სმ-ბით	
	ც დ ა	საკონტროლო
	M+m	M-m
4/XII	2,56±0,17	1,87±0,23
5/XII	5,49±0,3	3,13±0,38
7/XII	11,66±0,34	8,57±0,39

როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემები ნათელყოფს, ულტრაიისფერი სხივების მასტიმულირებელი მოქმდება მარტო გაღივებით არ იფარგლება, არამედ იგი გრძელდება მცენარის აღმონაცენის ზრდაზეც.

სიმინდის ზრდაზე ულტრაიისფერი სხივების დადგებითი გავლენა, როგორც ჩანს, თავის გამოხატულებას პოულობს სათანადო ფერმენტების გააქტივებასა და ასიმილაციის პროცესის ინტენსიურობის გაძლიერებაში.

ამაზე მეტყველებს სიმინდის 12-დღიანი აღმონაცენების წონის შესწავლა პეტრის ჯამებში (პირველი სერია) და მიწით საკე ყუთებში (მეორე სერია) (იხ. ცხრილი 6).

ცხრილი 6

ულტრაიისფერი სხივების გავლენა სიმინდის 12-დღიან აღმონაცენების წონაზე

სერია	დოზები წუ- თობით	აღმონაცენის წონა მილაგრამობით	
		M±m	
1	5	303,76±36,48	
	20	504,92±36,09	
	10+10	409,10±24,55	
	20+20	471,50±29,17	
	საკონტროლო	253,50±24,93	
2	15	859,59±25,65	
	საკონტროლო	678,99±32,51	

მოტანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს ულტრაიისფერი სხიფების შემცირების მიულირებელი მოქმედება სიმინდის ზრდაზე როგორც პირველ, ისე შეორე სერიაში.

საინტერესო სურათს იძლევა ულტრაიისფერი სხიფების გაფლენის გამოკვლევის შედეგები ლობიოს გაღივებაზე.

დასხივებულ იქნა იმავე დოზებით ლობიო თითოეულ ვარიანტში 50 ც. რაოდენობით.

მაგრამ აქ უფრო ნათელი სურათი იქნა მიღებული, ვიდრე სიმინდის შემთხვევაში.

დოზები ხუთწუთიანიდან მოყოლებული ოცწუთიანამდე ჩათვლით როგორც ერთჯერადი, ისე ფრაქციული დასხივებისას აჩქარებს, ხოლო ორმოცწუთიანი აფერხებს ლობიოს გაღივებას. ამას ნათელპყოფს მე-7 ცხრილში მოტანილი მონაცემები.

ცხრილი 7

ულტრაიისფერი სხიფების გაფლენა ლობიოს გაღივებაზე

დ ღ ე ბ ი	დ ღ ე ბ ი													
	დ		ღ		ზ		ე		ბ		ი			
	n	%	n	%	n	%	n	%	n	%	n	%		
პირველ დღე	14	28	16	32	23	46	8	16	18	36	10	20	11	22
მეორე დღე	7	14	12	24	13	26	15	30	8	16	3	6	9	18
მესამე დღე	10	20	8	16	5	10	12	24	4	8	3	6	7	14
ს უ ლ . .	31	62	36	72	41	82	35	70	30	60	16	32	27	54

ამ შედეგებიდან ნათლად ჩანს, რომ 5-წუთიანიდან მოყოლებული 20-წუთიანამდე ჩათვლით დოზებისას სამი დღის მანძილზე გაღივებული თესლის რაოდენობა მეტყეობს 60—82 პროცენტამდე, ხოლო საკონტროლოში გაღივებული მარცვლების რაოდენობა სულ 54 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა, 40-წუთიანი დოზისას მიღებულ იქნა სულ 32 პროცენტი.

რენტგენის სხივები

სადღეისოდ რიგი ავტორების მიერ აღნიშნულია, რომ მაიონიზებელი რაღიაცია მცირე დოზების ფარგლებში დადებით გავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებაზე.

მაგალითად, ი. ათაბეგოვის ცდებში (1937) ნაჩვენები იქნა, რომ რენტგენის სხივების მცირე დოზების ზემოქმედება დადებით გავლენას ახდენს მუხდოს აღმონაცენებზე და იწვევს მისი მოსავლიანობის გადიდებას.

ბრესლავეცის (1954, 1955) ცდებში ბოლოკის თესლი დაეჭვემდებარა რენტგენის სხივების მცირე დოზების ზემოქმედებას. ამის შედეგად გაიზარდა საცდელ მცენარეთა ფესვის ოდენობა. იმავე დოზების დადებითი გავლენა აღნიშნულ იქნა აგრეთვე კომბოსტოს, მუხუდოსა და კვავის მოსავლიანობაზეც.

ვლასიუკის ცდებში (1955) შაქრის პარხლის თესლისა და სიმინდებულებული ცვლების ფოსფორის რადიაქტიური იზოტოპით წინასწარი ღამუშავების შედეგად საგრძნობლად გადიდდა აღნიშნულ მცენარეთა მოსავლიანობა.

უეშელის (1955) გამოკვლევით ნაჩვენები იქნა, რომ ნიადაგში რადიუმისა და ურანის მარილების შეტანით მნიშვნელოვნად იზრდება რიგ მცენარეთა მოსავლიანობა.

როგორც აღნიშნული იყო, ჩვენ შევისწავლეთ რენტგენის სხივების მცირე დოზების გავლენა სიმინდის გალივებაზე.

მიღებული მონაცემებიდან გამოირკვა, რომ რენტგენის სხივების მცირე დოზები ხელს უწყობს გალივებას. ამგვარად, ჩვენი მონაცემები იდასტურებს სხვა ავტორების ცდების შედეგებს რენტგენის სხივების მცირე დოზების მცნარეთა ზრდაზე შასტიმულირებელი ზემოქმედების შესახებ.

ჩვენ შევისწავლეთ რენტგენის სხივების დიდი დოზების ზემოქმედება ლობიოს ზრდა-განვითარებასა და მოსავლიანობაზე.

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ განვსაზღვრეთ საცდელ და საკონტროლო ნაკვეთურებზე აღმოცენებულ მცენარეთა ოდენობა. აღმოცენებულ მცენარეთა პროცენტი 6000 r-ის დროს უდრიდა 44,6; 8000—63,0; 10000—64,3; 12.000—57,0; 15000—52,6; ხოლო საკონტროლოში—68,0.

ამგვარად, საცდელ ნათესში რენტგენის სხივების ზეგავლენით მნიშვნელოვნად შემცირდა მცენარეთა აღმოცენების პროცენტი, თუმცა ეს შემცირება დოზის გადიდებასთან პირდაპირ დამოკიდებულებას არ იჩენს.

ცდის ეს შედეგი იმაზე მეტყველებს, რომ იგი საქმაო მდგრადობას გვიჩვენებს მაინონიზებელი რადიაციის გაზრდილი დოზების მიმართ.

ამას ადასტურებს მისი ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის შესწავლის შედეგებიც, რაც მოტანილია მე-8 ცხრილში.

ცხრილი 8

ლობიოს ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის მაჩვენებლები რენტგენის
სხივების დიდი დოზების გამოყენებისას

დოზის მდგრადი ნაზრის სტატისტიკური მნიშვნელობები	მცენარის სიმაღლე სმ-ობით	პარკის რაოდენობა	პარკის ზომა სმ-ობით	მარცვლის წონა გრამობით
	M ± m	M ± m	M ± m	M ± m
6000	19,70 ± 0,60	8,10 ± 0,61	6,14 ± 0,12	9,83 ± 0,89
8000	21,20 ± 0,51	11,58 ± 0,61	6,62 ± 0,10	15,32 ± 0,93
10000	21,64 ± 0,55	12,28 ± 0,72	6,04 ± 0,13	14,95 ± 1,17
12000	19,89 ± 0,49	10,16 ± 0,56	6,25 ± 0,02	11,50 ± 0,83
15000	20,22 ± 0,47	10,27 ± 0,57	6,21 ± 0,10	13,90 ± 0,77
საკონტროლო	20,94 ± 0,60	12,47 ± 0,61	6,68 ± 0,11	15,98 ± 0,90

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ დასხივება არაერთნაირ გავლენას ახდენს მცენარის სხვადასხვა ნიშანზე. მაგ., დასხივების შედეგად სრულიად არ შეიცვალა მცენარის სიმაღლე, ნაკლებ შეიცვალა პარკის ზომა, ხოლო უფრო მნიშვნელოვნად შეიცვალა პარკის რაოდენობა და მარცვლის წონა.

მიღებული მონაცემებიდან შეიძლება დაგისკვნათ, რომ ლობიოს მემკვიდრულობის შესაცვლელად შეიძლება კიდევ უფრო მაღალი დოზა იქნეს გამოყე-



ნებული, ვიდრე 15.000 r. ეს კი გაზრდის მემკვიდრული ცვლილებების ჩატარების ვევის შესაძლებლობას. ამ მიმართულებით მუშაობა წარმოებს გენერიკის კათედრაზე.

გამა გამოსხივება

გამა გამოსხივების მცირე დოზების (300 r, 500 r, 700 r, 900 r, 1000 r, 1200 r) ზემოქმედებას დავუჩვემდებარეთ სიმინდი მშრალ მდგომარეობაში. თითოეული დოზით დავასხივეთ ას-ასი შარცვალი. შემდეგ დავთესეთ პეტრის ჯამებში და დავაკვირდით გაღივების მსვლელობას საკონტროლოსა და ცდაში—გალივებიდან მესამე დღემდე ჩათვლით. ცდის შედეგად შემდეგი სურათი იქნა მიღებული. მე-9 ცხრილში მოტანილია გაღივებული მარცვლების რაოდენობა დღეების მიხედვით.

ცხრილი 9

გამა გამოსხივების მცირე დოზების გავლენა სიმინდის გაღივებაზე

გაღივების დღეები	დოზები რენტგენის ერთეულში						საკონტროლო
	300	500	700	900	1000	1200	
პირველი	10	21	—	23	22	3	5
მეორე	7	13	37	4	11	10	17
მესამე	21	10	16	18	24	17	19
სულ . . .	38	44	53	45	57	30	41

როგორც ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები მოწმობს, გამა გამოსხივების მცირე დოზები აჩქარებენ სიმინდის გაღივების პროცესს 500 r-დან 1000 r ჩათვლით, რადგანაც პირველი ორი დღის მანძილზე ამ ფაქტორის გამოყენებით გაღივდა: 34% (500 r), 37% (700 r), 27% (900 r) და 33% (1000 r). საკონტროლოში გაღივდა მარცვლების 22%.

300 r ის გავლენა არ აღინიშნება, ხოლო 1200 r, როგორც ჩანს, უარყოფითად მოქმედებს გაღივების პროცესზე.

ამგვარად, გამა გამოსხივების ბიოლოგიური ეფექტი რენტგენის სხივების ბიოლოგიური ეფექტის ანალოგიურია.

სხვადასხვა ხასის ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზემოქმედების მექანიზმის შესახებ მცენარის ზრდაზე

თანამედროვე წარმოდგენების მიხედვით ცოცხალი ორგანიზმის მაიონიზებელი დასხივების შედეგად, უწინარეს ყოვლისა, წარმოიშვება ხოლმე აქტიური რეაქციის უნარის მქონე რადიკალები. ეს უკანასკნელი შედის ცოცხალი უჯრედის მაღალმოლევულურ ნივთიერებასთან ურთიერთმოქმედებაში, რაც იწვევს მათ დეპოლიმერიზაციას, ხოლო მას მოსდევს სორბციული პროცესების შეცვლა. ამას საბოლოო ჯამში მიღყავართ ფერმენტების, სიცოცხლის პროცესების გააქტიურებამდე, ზრდის, ვეგეტაციის მსვლელობის გააქტივებამდე.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს ა. კუჩინი, ბირთვული გამოსხივების გავლენის ზემოქმედების თეორიის შექმნისათვის და როული პროცესების გავლისათვის, რომელიც მიმდინარეობს დასხივებულ ორგანიზმში, დასხივების შემდეგ ხანგრძლივი დროის მანძილზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ბირველი და საწყისი პროცესების გაშიფრას, რომლებსაც ადგილი აქვს ცოცხალ ორგანიზმში დასხივების მომენტში და დასხივების შემდგომ უახლოეს დროში.

ბირველად პროცესებს წარმოადგენს ის ძირითადი ფიზიკური პროცესები, რომელთაც ადგილი აქვთ დასხივების მომენტში და გამოიხატება სხივური ენერგიის შთანთქმაში, მის ტრანსფორმაციაში ნივთიერებაზე ზემოქმედების მომენტში, და ნივთიერების ის ცვლილებები, რომლებიც წარმოადგენს სხივური ენერგიის ზემოქმედების უშუალო შედეგს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით დიდ ოეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს შემდეგი საკითხი: ბიოლოგიურ ნივთიერებებში, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან ნაერთში, როგორიცაა ცილა, ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებები აღმოცენდება უშუალოდ ამ ნივთიერების მოლეკულათა იონიზაციის შედეგად, თუ იონიზაცია და მომდევნო ფიზიკურ-ქიმიური ცვლილებები ხდება გარემოში, მაგალითად, წყალში, რომელშიაც იმყოფება ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი ნივთიერება და შემდეგ წყლის დაშლის პროცესები მოქმედებს მასზე.

ბოლო დრომდე რადიობიოლოგთა უმრავლესობა ცნობდა გამოსხივების უშუალო ზემოქმედებას მნიშვნელოვან ბიოლოგიურ ნივთიერებებზე.

მაგრამ თანამედროვე გამოკვლევების საფუძველზე ვარაუდობენ, რომ ცოცხალი პლაზმის წყლის ფაზაში აღმოცენდებიან მაღალი რეაქტიულობის რადიკალები H და OH; უანგბალის მონაწილეობით წარმოიქმნება ჰიდროპეროქსიდი (HO₂) და განხორციელდება ხოლმე მეორადი რეაქციები ამ რადიკალების მაღალპოლიმერულ ორგანულ მოლეკულებთან.

უნდა ვივარიაულოთ, რომ ეს მექანიზმი არსებით როლს ასრულებს რადიაციულ ზემოქმედებაზი.

ეს ვარაუდი ემყარება იმას, რომ თავისუფალი წყალი ცოცხალ პლაზმაში 50% შეადგენს, ხოლო მცენარეთა და ცხოველთა ქსოვილების ზომიერი დოზებით დასხივებისას მაინონიზირებელი ნაწილაკების მოხვედრის აღბათობა წყლის მოლეკულაში 10.000-ჯერ უფრო მეტა, ვიდრე, მაგალითად, ცილის მოლეკულაში.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს შემდეგი ფაქტი: მცენარის თესლი დასხივებულ იქნა რენტგენის სხივების ერთი და იგივე დოზით ძალიან დაბალი ტემპერატურისას—170° და თოახის ტემპერატურის ბირობებში და განსხვავებული შედეგი იქნა მიღებული.

ცდის ეს შედეგი იმით ახსნეს, რომ წყლის დაშლის პროცესები დაბალი ტემპერატურისას ნაკლები მოძრაობით ხასიათდებოდნენ და ამიტომ მათ უფრო ნაკლები ურთიერთმოქმედება გამოიჩინეს ბიოლოგიურ სუბსტრატებთან (ნაკლებად დააზიანეს ისინი), ვიდრე თოახის ტემპერატურის ბირობებში.

ამგვარად, თანამედროვე რადიობიოლოგიაში უმრავლესობის თვალსაზრისით ბიოლოგიური ობიექტების დასხივებისას წყლის დაშლის შედეგად წარმოქმნილი თავისუფალი რადიკალები შედიან ბიოლოგიურად მნიშვნელოვან ნივთიერებებთან ურთიერთმოქმედებაში და იწვევენ მათ ცვლილებებს. ეს



ცვლილებები, როგორც ვარაუდობენ, უმთავრესად დაქანგვითი ხასიათის უძლესი და იყოს. მაგრამ უნდა ითქვას, რომ დასხივების შედეგად წყლის თავისუფალი რაღიკალების აღმოცენების უშუალო მტკიცება არ არსებობს, იგი მხოლოდ რიგ არაპირდაბარ მტკიცებებს ეყრდნობა.

ბიოლოგიურად მნიშვნელოვან ნივთიერებებზე მაინჯებელი რაღიაცის არაპირდაბარი ზემოქმედების შესახებ შეხედულების საკმაო დასაბუთობულობის მიუხედავად, არ შეიძლება არ ვცნოთ, რომ ორგანიზმში შეიძლება არსებობდეს დასხივების მიმართ მეტად თუ ნაკლებად მგრძნობიერი სტრუქტურები და სისტემები, რომლებიც შეიძლება შეიცვალონ დასხივების უშუალოდ ზემოქმედების საშუალებითაც.

ცხადია, ჩვენ მხარს არ ვჰქერთ ე. ჭ. სამიზნო ფორმალურ თეორიას, რომელიც გვერდს უვლის პირველად აღმოცენებული პროცესების მექანიზმის საკითხს და დოზისა და ბიოლოგიური ობიექტების გადარჩენის უბრალო დამკიდებულების ოდენობრივი კანონზომიერებით იფარგლება.

ჩვენი ვარაუდით არამაიონიზებელი ელექტრომაგნიტური გამოსხივებების, ულტრამოკლე ტალღებისა და ულტრაინისფერი სხივების მასტიმულირებელი მოქმედება მცენარის ზრდაზე უნდა ხორციელდებოდეს ცალკეული ფერმენტის აქტიურობის შეცვლით.

დ ა ს პ ვ ნ ა

1. რენტგენის სხივებისა და გამა გამოსხივების მცირე დოზები (300 r, 500 r, 700 r, 900 r, 1000 r) მასტიმულირებელ გავლენას ახდენს სიმინდის აღმოცენებაზე.

2. იმავე სხივების დიდი დოზები (6000 r, 8000 r, 10000 r, 12000 r, 15000 r) ძლიერ უარყოფით გავლენას არ ახდენს ლობიოს ზრდაზე, განვითარებასა და მოსავლიანობაზე.

ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ ლობიოში მემკვიდრული ცვლილებების გამოწვევის მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ რენტგენის სხივების დოზა 15000 r-ზე მეტი.

2. ულტრამოკლე ტალღები (ტალღის სიგრძე 6 მ, 2,8 მ.) მასტიმულირებელ გავლენას ახდენს სიმინდის გალივებასა და ზრდაზე.

ულტრაინისფერი სხივები (ტალღის სიგრძე 275—320 მმ) დადებით გავლენას ახდენს სიმინდისა და ლობიოს ზრდაზე.

4. ამგვარად, მცენარის ზრდაზე მასტიმულირებელ გავლენას ახდენს არა მარტო მაიონიზებელი, არამედ აგრეთვე არამაიონიზებელი გამოსხივება. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ მაიონიზებელ გამოსხივებასა და ცოცხალორგანიზმების ულტრაინისფერი სხივების ზემოქმედებათა შორის არსებით განსხვავებასთან ერთად ღრმა ერთიანობაც არსებობს, რაც ზრდის პროცესების დაჩქარებაში ვლინდება.

ამასთან ერთად, ულტრაინისფერი სხივების კულტურულ მცენარეთა ზრდაზე მასტიმულირებელი ზეგავლენა სამეურნეო თვალსაზრისითაც იწვევს ინტერესს.

გენეტიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 12. 11. 1960)

Г. ПАПАЛАШВИЛИ

ВЛИЯНИЕ РАЗНЫХ ВИДОВ ЭЛЕКТРОМАГНИТНЫХ ИЗЛУЧЕНИЙ НА РОСТ НЕКОТОРЫХ КУЛЬТУРНЫХ РАСТЕНИЙ

Р е з ю м е

В результате экспериментальных исследований (в 1960 г.) влияния электромагнитных излучений разных видов на рост некоторых культурных растений устанавливается, что:

1. Малые дозы рентгеновых лучей и гаммы излучений (300 r , 500 r , 700 r , 900 r , 1000 r) оказывают стимулирующее влияние на прорастание и рост стеблей кукурузы.

2. Большие дозы рентгеновых лучей (6000 r , 8000 r , 10000 r , 12000 r , 15000 r) не оказывают сильного отрицательного влияния на рост, развитие и урожайность фасоли.

Этот факт указывает на возможность использования для целей вызывания наследственных изменений доз рентгеновых лучей более 15000 r .

3. Ультракороткие волны (с длиной волн 6 м , $2,8\text{ м}$) стимулируют рост кукурузы.

4. Устанавливается, что ультрафиолетовые лучи (275 — $320\text{ m}\mu$) ускоряют прорастание и рост стебелей кукурузы и фасоли.

5. Следовательно, на рост растений стимулирующее влияние оказываются не только ионизирующая, но и неионизирующая радиации. Этот факт указывает на то, что, наряду с существенными различиями в действии на живой организм ионизирующих излучений и ультрафиолетовых лучей, они обладают и глубоким единством, что проявляется в ускорении процесса роста.

Вместе с тем факт стимулирующего действия ультрафиолетовых лучей на рост растений вызывает интерес и с хозяйственной точки зрения.

Л и т е р а т у р а

1. Атабекова А. И., О влиянии лучей рентгена на рост и развитие гороха, Биологический журнал, т. VI, I, 1937.
2. Бреславец П. А., Милешко З. Ф. и Языкова В. А., Изучение действия малых доз рентгена и радиоизотопа кобальта на вегетацию растений. Труды научной сессии, посвященной достижениям и задачам советской биофизики в сельском хозяйстве, 1955.
3. Васильев И. М., Действие ионизирующих излучений на растения. Сб. статей «Радиobiология», АН СССР.
4. Власюк П. А., Влияние малых доз ионизирующих излучений на сельскохозяйственные растения. Труды научн. сессии, посвященной достижениям и задачам советской биофизики в сельском хозяйстве, 1955.
5. Граевский Э. Я., Шапиро Н. И., Современные вопросы радиobiологии АН СССР, 1957.
6. Гродзенский Д. Э., Проблемы радиobiологии, 1958.



7. Дубинин Н. П., Механизм действия ионизирующих излучений на наследственность. Итоги науки. Биологическая наука. Ионизирующие излучения и наследственность, 1960.
8. Дубинин Н. П., Хвостова В. В., Делонос Н. Л., Ионизирующие излучения и селекция растений. Итоги науки. Биологическая наука, 3. Ионизирующие излучения и наследственность, 1960.
9. Кузин А. М., Задачи биологической физики в сельском хозяйстве. Труды научной сессии, посвященной достижениям и задачам советской биофизики в сельском хозяйстве, 1955.
10. Кузин А. М., Современные проблемы радиобиологии. Изв. АН СССР, серия биол., 3, 1960.
11. Лимарев Р. С., Влияние ультразвуковых колебаний на рост растений. Вестник с.-х. науки 9, 1960.
12. Мичурин, Соч., т. IV, 1948.
13. Столетов В. Н., Об использовании ионизирующих излучений в селекции. Селекция и семеноводство, 3, 1957.
14. Френкель Г. Л., Электрическое поле ультравысокой частоты (ультракороткие волны) в биологии и экспериментальной медицине. Выпуск II, 1939.

0. ახალიაბ

გაიოციაზელი რადიაციის გავლენა აგრძელების პინ
სამუშაოთა გენერაციულ მიზანის მიზანის მიზანის

შესავალი

ცოცხალ ორგანიზმზე მაიონიზებელი რადიაციის ზემოქმედების კანონზომიერებათ შესწავლას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება.

რადიობიოლოგიური გამოკვლევები მჭიდროდაა დაკავშირებული ატომური ენერგიის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სულ უფრო ფართოდ გამოყენებასთან. შეიქმნა გამოსხივების იმ სახეების ბიოლოგიური მოქმედების კულტურული მხარის ღრმამეცნიერიული შესწავლის აუცილებლობა, რომლებიც წარმოიქმნებიან ატომგულის დაშლის პროცესში.

ამჟამად ძლიერ სწრაფად ვითარდება და მნიშვნელოვანი წარმატებები გააჩნია რადიაციულ გენეტიკას. ამ უკანასკნელის მიზანია არა მარტო იმის დადგენა. თუ არა ზემოქმედებას ახდენს ესა თუ ის მაიონიზებელი ფაქტორი ცოცხალი ორგანიზმის ცხოველმოქმედების აროცესებზე მის ონტოგენეზში, არამედ იმის გამორკვევაც, თუ არამდენად მეტყვიდრულია (ე. ი. გადაეცემა შთამომავლობას) მაიონიზებელი რადიაციის ზემოქმედებით გამოწვეული ბიოლოგიური ეფექტი (დადებითი ან უარყოფითი).

მაიონიზებელი რადიაციისა და აგრეთვე ცოცხალ ორგანიზმზე შძლავრად ზემოქმედი ყველა სხვა ფაქტორის (სხივური ენერგია, ქიმიური ფაქტორები და ა. შ.) ბიოლოგიური მოქმედების მეცნიერული შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ ცოცხალი ორგანიზმისა და მისი სიცოცხლის პირობების განუყრელი ერთიანობის პრინციპის გაფალისწინებით. ამ ფაქტორების ბიოლოგიური მოქმედების ძირითადი თავისებურება იმაშია, რომ ისინი საქმაოდ მცირე დოზებში ღრმა გავლენას ახდენენ ორგანიზმში მიმღინარე ნივთიერებათა ცვლის პროცესებზე, ცვლიან უჯრედის მეტაბოლიზმს მთლიანად და ა. შ.

სავსებით გასაგებია, რომ ამ გარდაქმნების უნატიფესი ფიზიკურ-ქიმიური მხარეებისა და იმ ძირეული სტრუქტურული ელემენტების გამორკვევა, რომლებიც განიცდიან უშუალოდ მაიონიზებელი ფაქტორების ზეგავლენას, მეტად საინტერესო და აუცილებელია. მაგრამ ჩვენი აზრით, არა ნაკლებ საინტერესოა იმის შესწავლაც, თუ არა ცვლილებებს აქვს ადგილი მაიონიზებელი რადიაციით ზემოქმედებისას ორგანიზმის ბიოლოგიურსა და განსაკუთრებით სამეურნეო მნიშვნელობის ნიშნებში. ამსათან, დიდ თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესს იწვევს იმის გამორკვევაც, გადაეცემიან თუ არა ეს ცვლილებები მეტყვიდრეობით შთამომავლობას.

წინამდებარე შრომის მიზანია იმის გამორკვევა, თუ რა გავლენას ახდენს
მაიონიზებელი რაღიაცის (გამა გამოსხივების) სხვადასხვა ღოზებით უძრავია
რადი ზემოქმედება აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიურსა და სამეურნეო ნიშნებზე
როგორც გრენის, ისე მურის დასხივებისას და გადაცემიან თუ არა მემკვიდ-
რეობით ეს ცვლილებები შთამომავლობას.

ცუშაობის მახალა და მეთოდიკა

ცდის ობიექტად აღებულ იქნა აბრეშუმის ჭიის თეთრპარკოვანი № 1
ჯიში, რომელიც მაღალი სამეურნეო თვისებებით ხასიათდება.

ცდისა და საკონტროლო ვარიანტებში გრენა განაწილებულ იქნა ნიმუ-
შებად. გრენის რაოდენობა ნიმუშებში განისაზღვრებოდა 300 კვერცხის წონი-
თი მაჩვენებლების მიხედვით.

აბრეშუმის ჭიის ჩანასახზე ზემოქმედებისათვის გამოყენებულ იქნა გამა
გამოსხივების შემდეგი ღოზები: 500 r, 1000 r, 1500 r, 2000 r და 2500 r.

დასხივებული და საკონტროლო გრენის ინკუბაცია ჩატარდა ჩვეულებრივ
პირობებში (ინკუბაციის ტემპერატურა 21—22° C, ჰაერის შეფარდებითი ტე-
ნიანობა—65—75%).

აბრეშუმის ჭიის სამეურნეო და ბიოლოგიურ ნიშნებზე მაიონიზებელი
ფაქტორის ზემოქმედების კანონზომიერებათა შესწავლის მიზნით ცდისა და
საკონტროლო ვარიანტების ჭიების გამოკვება ჩატარდა შედარებით ერთნაირ
პირობებში, დამზადებულ იქნა იგრეოვე გრენა ნაღებებად, რათა გამოგვერკვა
პეპლების ნაყოფიერების ცვალებადობის თვისებურებანი.

გამა გამოსხივების იგივე ღოზებით ვიმოქმედეთ მურზე განვითარების
მეორე ასაკში. ცდის თითოეულ ვარიანტში აღებული იყო ორას-ორასი
მური.

აბრეშუმის ჭიის პარკის ტექნოლოგიური მაჩვენებლებიდან განვსაზღვრეთ
ძაფის გამოსავლიანობა, რისთვისაც ყოველი ვარიანტიდან ინდივიდუალურად
იქნა ამოხვეული 25 ცალი პარკი.

თემის შესრულებასთან დაკავშირებული ექსპერიმენტული და პრაქტიკუ-
ლი სამუშაოს შინაგანი ნაწილი (გრენის დასხივება, ინკუბაცია) ჩატარდა
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნივთიერებათა აღნაგობისა და გენე-
ტიკის კათედრების ლაბორატორიებში, ხოლო დანარჩენი ნაწილი—საქართვე-
ლოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცნიერებულების ფაკულტეტის ექსპე-
რიმენტულ ბაზაზე.

მოპოვებული ექსპერიმენტული მასალა დამუშავდა ვარიაციული სტატის-
ტიკის მეთოდით.

მიღებული შედეგები და მათი ანალიზი

როგორც მეთოდიკის ნაწილშია აღნიშნული, მაიონიზებელი ფაქტორის
ზემოქმედებას დაექვემდებარა როგორც აბრეშუმის ჭიის გრენა, ისე მური
მატლობის ფაზის მეორე ასაკში.

მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ გამა გამოსხივების სხვადასხვა ღო-
ზების ზემოქმედების თავისებურებებს აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიურ ნიშნებზე
(ჭიების ცხოველმყოფელობა, პეპლების ნაყოფიერება და გრენიდან მურის
გამოსცვლისუნარიანობა) წარმოდგენილია № 1 ცხრილში.

მიღებული მონაცემებიდან ნათლად იჩვევა, რომ გამა გამოსხიული შედარებით მაღალი დოზები (1000, 1500, 2000, 2500 r) უარყოფით გავლენას ახდენენ აბრეშუმის ჭიის ისეთ მნიშვნელოვან ბიოლოგიურ ნიშნებზე, როგორიცაა ჭიების ცხოველმყოფელობა, პეპლების ნაყოფიერება და ჩანასახის სტადიაზე დასხივებული პეპლების მიერ დადებული გრენიდან მურის გამოსვლის უნარიანობა. ცხრილში წარმოდგენილი მასალიდან ნათლად ჩანს, რომ ონიშნული ნიშნების მაჩვენებლები საფეხბით კანონზომიერად ეცემა დასხივების დოზის მატებასთან ერთად. ასე, მაგალითად, თუ აბრეშუმის ჭიის ჩანასახზე 500 r გამა გამოსხივებით ზემოქმედების ვარიანტში ჭიების ცხოველმყოფელობა დაახლოებით საკონტროლო ვარიანტის ჭიების ცხოველმყოფელობის ტოლია (82,4% 500 r დასხივებისას, 83,6% საკონტროლოში საშუალოდ). 1000, 1500, 2000 და 2500 r-ით დასხივებულ ვარიანტებში იგი თანდათანობით ეცემა. ყველაზე დაბალია (52,6%) ცდის იმ ვარიანტებში, სადაც გრენის დასასხივებლად გამოყენებულ იქნა 2500 r.

საინტერესოა, რომ პეპლების ნაყოფიერება და ჩანასახის სტადიაზე დასხივებული პეპლების მიერ დადებულ გრენიდან მურის გამოსვლის უნარიანობაც ცვალებადობის ანალოგიურ სურათს გვიჩვენებს.

გამა გამოსხივების შედარებით მაღალი დოზებით (1000, 1500, 2000, 2500 r) გრენის დასხივების ვარიანტებში ონიშნული ნიშნების მაჩვენებლებიც საფეხბით კანონზომიერად ეცემა.

ცხრილი № 1

აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიურ ნიშნებზე (ჭიების ცხოველმყოფელობა, პეპლების ნაყოფიერება, გრენიდან მურის გამოსხილის უნარიანობა) მაიონიზებელი რადიაციის ზემოქმედების მაჩვენებლები

დასხივების დოზები r-ში	ნიმუშების № №	ჭიების ცხოველმყოფელობა %-ში	პეპლების ნაყოფიერება M ± m	გრენიდან მურის გამოსხილის %
500	1	82,4	612 ± 8	93,2
	2	81,7	630 ± 11	88,8
	3	83,2	618 ± 10	94,3
	საშ.	82,4	620 ± 9	92,1
1000	1	79,3	550 ± 7	80,3
	2	80,2	563 ± 9	82,2
	3	77,7	545 ± 12	76,7
	საშ.	79,1	552 ± 12	79,8
1500	1	70,2	523 ± 12	79,2
	2	74,5	540 ± 10	75,4
	3	72,7	535 ± 8	74,0
	საშ.	72,5	532 ± 10	76,2
2000	1	64,1	472 ± 9	70,2
	2	63,5	478 ± 8	72,8
	3	60,7	452 ± 12	73,0
	საშ.	62,7	487 ± 9	72,0

დასხივების დოზები r-ში	ნიმუშების № №	ჭიების ცხო- ველმყოფე- ლობა %	პეპლების ნაყოფიერება M±m	გრენიდან მურის გა- მოსვლის %
2500	1	52,3	412±17	68,7
	2	50,2	408±13	71,4
	3	55,3	378±8	69,6
	საშ.	52,6	399±14	69,9
კონტროლი	1	83,5	650±6	95,0
	2	82,3	612±7	92,7
	3	85,1	617±12	91,3
	საშ.	83,6	626±8	93,0

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ გრენაზე გამა გამოსხივების შედარებით მაღალი დოზებით (1000, 1500, 2000, 2500 r) ზემოქმედება იწვევს ჭიების ცხოველმყოფელობის, პეპლების ნაყოფიერებისა და ჩანასახის სტადიაზე დასხივებული პეპლების მიერ დადებული გრენიდან მურის გამოსვლისუნარიანობის საგრძნობლად დაცემას.

საინტერესო იყო იმის გამორკვევაც, თუ რა ცვლილებებს ექნებოდა ადგილი აბრეშუმის ჭიის სამეურნეო ნიშნებში მაიონიზებელი ფაქტორით ზემოქმედებისას ჩანასახის სტადიაზე.

სტატისტიკურ დამუშავებას დაექვემდებარა აბრეშუმის ჭიის ისეთი მნიშვნელოვნი სამეურნეო ნიშნების ციფრობრივი მაჩვენებლები, როგორცაა ნედლი პარკის წონა, გარსის წონა, გარსის % და პარკიდან ძაფის გამოსავლიანობა. ამ მიმართულებით მოპოვებული მონაცემები საშუალო სიღილეების სახით წარმოდგენილია № 2 ცხრილში. თვალსაჩინოების მიზნით ცდისა და საკონტროლო გარიანტებისათვის გამოვიანგარიშეთ აგრეთვე საერთო საშუალო მაჩვენებლებიც.

ცხრილი № 2

აბრეშუმის ჭიის სამეურნეო ნიშნებზე (ნედლი პარკის წონა, გარსის წონა, გარსის %, ძაფის გამოსავლიანობა) მაიონიზებელი რადიციის ზემოქმედების მაჩვენებლები

დასხივების დოზები r-ში	ნიმუშების № №	ნედლი პარ- კის წონა მ. გრ-ში M±m	გარსის წონა მ. გრ-ში M±m	გარსის % გარსის M±m	პარკიდან აბრე- შუმის ძაფის გა- მოსავლიანობა % -ში
500	1	1620,5±33,2	325,4±3,7	20,1	15,2
	2	1575,7±30,0	322,5±4,2	20,5	15,5
	3	1550,8±28,9	318,7±3,5	20,5	15,4
	საშ.	1582,3±30,7	322,2±3,8	20,4	15,4
1000	1	1320,5±23,2	265,4±3,7	20,1	14,8
	2	1573,7±25,6	272,4±3,8	19,7	14,5
	3	1352,5±27,8	264,8±4,0	19,7	14,3
	საშ.	1347,2±25,5	267,5±3,8	19,8	14,5

დასხივების დოზი r-ში	ნიმუშის № №	ნედლი პარ- კის წონა მ.გრ-ში M±m	გარსის წონა მ.გრ-ში M±m	გარსის % %	პარკიდან აბრე- შუმის ძაფის გა- მოსავლიანობა % -ში
1500	1	1235,7±28,2	270,8±4,2	21,9	13,2
	2	1240,9±29,0	255,5±3,7	19,0	13,3
	3	1233,0±30,7	244,7±2,8	19,8	13,8
	საშ.	1236,5±29,3	256,8±3,6	20,2	13,4
2000	1	1178,5±35,2	235,8±3,4	20,0	10,7
	2	1209,7±34,5	241,7±2,8	20,0	10,8
	3	1198,8±32,7	232,8±3,7	19,4	11,8
	საშ.	1195,7±34,1	236,8±3,3	19,8	10,9
2500	1	950,7±32,1	178,9±5,7	18,8	8,6
	2	1050,2±35,2	172,7±4,8	16,6	8,4
	3	1000,4±34,3	164,5±3,1	16,4	9,1
	საშ.	1000,4±33,9	172,0±4,5	17,3	8,7
კონტროლი	1	1680,2±32,3	327,5±4,5	19,5	15,2
	2	1642,3±3,,2	340,8±4,3	20,7	15,7
	3	1618,7±29,8	338,5±3,8	20,9	15,3
	საშ.	1647,1±30,8	335,6±4,2	20,4	15,4

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ აბრეშუმის ჭიის სამეურნეო ნიშნების მაჩვენებლები დასხივების დოზის მატების შესაბამისად საგებით კანონზომიერად ეცემა და აღწევს მინიმუმს ცდის იმ ვარიანტში, სადაც გრენა დასხივებულ იქნა გამა გამოსხივების ყველაზე მაღალი დოზით (2500 r). ოუ ცდის პირველ ვარიანტში (დასხივების დოზა 500 r) სამეურნეო მაჩვენებლები დაახლოებით საკონტროლო ვარიანტის შესაბამისი მაჩვენებლების ტოლია, ცდის მეხუთე ვარიანტში (დასხივების დოზა 2500r) ნედლი პარკის წონა საშუალოდ 1000 მგ-ს ცოტათი აღემატება, ასევე ძლიერ დაბალია გარსის წონა და პარკიდან ძაფის გამოსავლიანობა. ცდის ამ ვარიანტში ძაფის გამოსავლიანობა 8,7%-ს უდრის, ხოლო საკონტროლო ვარიანტში იგი 15%-ს აღემატება.

როგორც ჩანს, მათინიშებელი ფაქტორი ჩანასახზე ზემოქმედებისას იწვევს მძლავრ უარყოფით ბიოლოგიურ ეფექტს, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს აბრეშუმის ჭიის ზრდა-განვითარებას პოსტემბრიონულ პერიოდშიც. ამიტომაა, რომ გამა გამოსხივების შედარებით მაღალი დოზებით (1500, 2000, 2500 r) დასხივებული გრენიდან გამოსული ჭიების ჩვეულებრივ პირობებში გამოვების მიუხედავად მათი სამეურნეო მაჩვენებლები ძლიერ დაბალია საკონტროლოსთან შედარებით.

რადიობიოლოგიურ ლიტერატურაში ვხვდებით მონაცემებს, რომლებიც ორგანიზმის განსხვავებულ რადიომგრძნობელობას მოწმობენ ონტოგენეზის მანძილზე. ჩვენს მიერ დადგენილ იქნა აბრეშუმის ჭიის განსხვავებული რადიომგრძნობელობა ემბრიოგენეზის სხვადასხვა სტადიაზე და გამოითქვა მოსაზრება წინასწარი მონაცემების საფუძველზე მატლობის ფაზაში აბრეშუმის ჭიის მაღალი რადიორეზისტენტობის შესახებ ჩანასახთან შედარებით. ამ საკითხის

დაწვრილებით შესწავლის მიზნით აბრეშუმის ჭიათე მატლობის ფაზე მეორე ასაკში გიმოქმედეთ გამა გამოსხივების იმავე დოზებით, რა დოზებიც გრძელებული იყო გრენის დასხივებისას.

მატლობის ფაზაზე დასხივებული ჭიების გამოკვების შედეგად მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები წარმოდგენილია № 3 და № 4 ცხრილებში.

ცხრილი № 3

აბრეშუმის ჭიის სამეურნეო ნიშნებზე (ნედლი პარკის წონა, გარსის წონა, გარსის %, ძაფის გამოსავლიანობა) მათონიზებელი რადიაციის ზემოქმედების მაჩვენებლები

დასხივების დოზები $r\text{-ში}$	გამეორე- ბის №№	ნედლი პარ- კის წონა მ. გრ-ში $M \pm m$	გარსის წონა მ. გრ-ში $M \pm m$	გარსის %	პარკიდან აბრე- შუმის ძაფის გა- მოსავლიანობა % -ში
500	1	$1509 \pm 24,2$	$281,9 \pm 6,2$	18,7	15,7
	2	$1549,7 \pm 27,3$	$282,7 \pm 4,5$	18,2	15,2
	3	$1518,2 \pm 22,8$	$277,9 \pm 5,1$	18,3	15,5
	საშ.	$1525,6 \pm 24,8$	$280,8 \pm 5,3$	18,4	15,5
1000	1	$1578,5 \pm 24,0$	$237,5 \pm 5,0$	18,2	15,1
	2	$1600,2 \pm 23,1$	$289,3 \pm 4,8$	18,1	15,5
	3	$1550,3 \pm 25,2$	$255,7 \pm 4,8$	18,4	15,8
	საშ.	$1576,3 \pm 24,1$	$2879,5 \pm 4,9$	18,2	15,5
1500	1	$1527,5 \pm 20,9$	$275,5 \pm 4,0$	18,0	14,9
	2	$1572,3 \pm 23,2$	$281,7 \pm 3,2$	17,9	15,8
	3	$1603,2 \pm 24,0$	$280,8 \pm 4,5$	17,5	16,0
	საშ.	$1567,7 \pm 22,7$	$279,3 \pm 3,9$	17,8	15,6
2000	1	$1572,5 \pm 22,0$	$288,5 \pm 4,0$	18,3	15,7
	2	$1498,7 \pm 21,3$	$267,8 \pm 5,0$	17,9	15,5
	3	$1560,8 \pm 22,1$	$280,1 \pm 3,5$	17,9	15,2
	საშ.	$1544 \pm 21,8$	$278,8 \pm 4,2$	18,0	15,5
2500	1	$1560,5 \pm 20,0$	$236,5 \pm 6,0$	18,3	15,1
	2	$1615,7 \pm 21,2$	$284,1 \pm 4,3$	17,6	15,7
	3	$1478,8 \pm 23,7$	$280,3 \pm 5,0$	18,9	16,0
	საშ.	$1551,7 \pm 21,6$	$283,6 \pm 5,1$	18,3	15,6
კონტროლი	1	$1555,5 \pm 23,1$	$283,1 \pm 4,4$	18,2	16,1
	2	$1609,7 \pm 22,5$	$278,2 \pm 5,3$	17,3	15,7
	3	$1575,9 \pm 25,1$	$286,5 \pm 4,3$	18,2	15,5
	საშ.	$1580,4 \pm 23,6$	$282,6 \pm 4,7$	17,9	15,8

№ 3 ცხრილში წარმოდგენილი ციფრობრივი მასალა შეეხება ცდისა და საკონტროლო გარიანტებში აბრეშუმის ჭიის სამეურნეო ნიშნების (ნედლი პარკის წონა, გარსის წონა, გარსის % და ძაფის გამოსავლიანობა) ცვალება-დობის თავისებურებებს. ამ მასალიდან ნათლად ჩანს, რომ მათონიზებელი ფაქტორი (გამა გამოსხივება) ჩვენს მიერ გამოყენებულ დოზებში რაიმე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ იწვევს აბრეშუმის ჭიის სამეურნეო ნიშნებში მატლობის სტადიაზე ზემოქმედებისას.

მიღებული მონაცემებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვდათ რომ აბრეშუმის ჭია მატლობის ფაზაში გაცილებით უფრო მაღალ რადიორეზის-სტენტობას ამჟღავნებს ჩანასახთან შედარებით. ჩანასახის დასხივების ვარიანტებში, როგორც ზემოთ ვნახეთ, სამეურნეო მაჩვენებლები (განსაკუთრებით მაღალი დოზებით დასხივებისას) მნიშვნელოვნად ეცემა (ი. ცხრილი № 2), მაშინ როდესაც აბრეშუმის ჭიის დასხივებისას მატლობის ფაზაში ასეთ სურაოს აღვილი არა აქვთ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ის მონაცემები, რომლებიც შეეხებიან გამა გამოსხივების ზემოქმედებას ჭიების ცხოველმყოფელობასა და პეპლების ნაყოფიერებაზე. ეს მონაცემები № 4 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი № 4

აბრეშუმის ჭიის ბიოლოგიურ ნიშნებზე (ჭიების ცხოველმყოფელობა და პეპლების ნაყოფიერება) მაიონიზებული რადიაციის ზემოქმედების მაჩვენებლები

დასხივების დოზები r-ში	გამეორე- ბის №№	ჭიების ცხო- ველმყოფე- ლობა % -ში	პეპლების ნა- ყოფიერება M±m
500	1	80,7	627±14
	2	85,2	608±9
	3	83,3	632±10
	საშ.	83,0	622±11
1000	1	80,1	573±12
	2	78,2	601±7
	3	77,9	565±8
	საშ.	78,7	548±9
1500	1	70,9	560±12
	2	80,1	540±7
	3	72,7	552±9
	საშ.	74,6	550±9
2000	1	72,0	520±11
	2	70,1	507±5
	3	75,5	550±10
	საშ.	72,5	525±8
2500	1	65,7	460±11
	2	71,3	450±7
	3	70,2	432±9
	საშ.	69,1	480±9
კონტროლი	1	81,1	578±7
	2	84,3	510±12
	3	85,2	603±10
	საშ.	88,3	597±10

როგორც ვხედავთ, გამა გამოსხივება შედარებით მაღალ დოზებში (1000, 1500, 2000, 2500 r) უარყოფითად მოქმედებს აბრეშუმის ჭიის ცხოველმყოფე-

ლობასა და პეპლების ნაყოფიერებაზე მატლობის ფაზაზე ზემოქმედებული დროსაც.

ასე, მაგალითად, ცდის პირველ ვარიანტში (დასხივების დოზა 500 კგ/ჰეტის ცხოველმყოფელობა და პეპლების ნაყოფიერებაც დაახლოებით საკონტროლო ვარიანტის შესაბამისი მაჩვენებლების ტოლია, მომდევნო ვარიანტებშიც ეს მაჩვენებლები თანდათანობით ეცემა და ოწევს მინიმუმს (ჭიების ცხოველმყოფელობა—69,1 %, პეპლების ნაყოფიერება—480 საშუალოდ) ცდის იმ ვარიანტებში, სადაც ჭიები მატლობის ფაზის მეორე ასაკში დასხივებული იქნენ 2500 r გამა გამოსხივებით.

ლიტერატურული წყაროებიდან (ასტაუროვი, 1958; ასტაუროვი და ოსტრიაკოვა-ვარშავერი, 1957 და სხვა) ცნობილია, რომ მაიონიზებელი ფაქტორი სპეციფიკურ ზემოქმედებას ახდენს უჯრედის სხვადასხვა სტრუქტურულ ელემენტებზე. საკუთარი მონაცემებით ორკვევა, რომ მაიონიზებელი რაღაც იმ ზემოქმედების სპეციფიკურობა ორგანიზმის სხვადასხვა ნიშნების შიმართაც შეიძლება გამოვლინდეს, ე. ი. ორგანიზმზე მაიონიზებელი ფაქტორის უარყოფითმა მოქმედებამ შეიძლება თავი იჩინოს გარკვეულ ნიშნებში, მაშინ როდესაც სხვა ნიშნების მიმართ ასეთ მოქმედებას აღვილი არა აქვს. ამ დებულების სასარგებლოდ მეტყველებს ის მასალა, რომელიც № 3 და № 4 ცხრილებშია წარმოდგენილი.

ამეამად რაღიობითოლოგიურ გამოკვლევებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რაღიაციის ბიოლოგიური ეფექტის შთამომავლობაზე მემკვიდრეობით გადაცემის საკითხს. უახლეს გენეტიკურ ლიტერატურაში (მალერი, 1954; ნ. ნუვდინი და სხვები, 1955, კლარკი, 1956) ვხვდებით მონაცემებს, რომლებიც ნათლად მოწმობენ მაიონიზებელი ფაქტორის ბიოლოგიური მოქმედების მემკვიდრეობით გადაცემას შთამომავლობაზე. აღნიშნული საკითხის დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის გამო წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ გამოვგერქვია გამა გამოსხივების ზოგიერთი ბიოლოგიური ეფექტის მემკვიდრეობის თავისებურება აბრეშუმის ჭიაში.

ჩვენს მიერ დადგენილ იქნა (ახალიაი, 1958), რომ გამა გამოსხივების შედარებით მაღალი დოზები (1000, 1500, 2000 და 2500 r) უარყოფითად მოქმედებენ გრენიდან მურის გამოსვლისუნარიანობაზე. იმ მიზნით, რომ გამოვერქვათ გადაცემა ოუ არა მემკვიდრეობით შთამომავლობას რაღაც იმ გამოწვეული ეს უარყოფითი ბიოლოგიური ეფექტი, გრენა დავამზადეთ ნადებებად ჩანასახის სტადიაზე დასხივებული პეპლებიდან. ამ ნადებებიდან მურის გამოსვლისუნარიანობის შესწავლამ, რომლის შედეგებიც № 5 ცხრილშია წარმოდგენილი, ნათლად დაგვანახვა, რომ რაღიაციის ბიოლოგიური მოქმედება მხოლოდ პირველი თაობით როდი განისაზღვრება, არამედ იგი მემკვიდრეობით გადაცემა შთამომავლობას.

როგორც ცხრილიდნ ჩანს, გრენიდან მურის გამოსვლისუნარიანობა თანდათანობით ეცემა მეორე დაუსხივებელ თაობაშიც და ყველაზე დაბალ მაჩვენებელს აღწევს იმ ვარიანტში (69,9%), სადაც გრენა თავდაბირველად დასხივებული იქნა 2500 r-ით. საკონტროლო ვარიანტში ნადებებად დამზადებული გრენიდან მურის გამოსვლისუნარიანობა, როგორც ვხედავთ, საკმაოდ მაღალია, იგი 93,0%-ს უდრის.

ცხრილი № ჟურნალის გვ. 100

მაიონიზებელი რადიაციის ბიოლოგიური ეფექტის მემკვიდრეობის
შაჩქრების გრენიდან მურის გამოსვლის უნარის მიხედვით

დასხივების დოზები კ-ში	გრენის საერ- თო რაო- დენობა	ჩანასახ გამო- სულ კვერცხ- თა რაოდე- ნობა	ჩანასახ ჩამქ- დარ კვერცხ- თა რაოდე- ნობა	გრენიდან მურის გა- მოსვლის %
500	2205	2032	171	92,1
1000	2260	1803	442	79,8
1500	1886	1438	444	76,2
2000	1499	1080	407	72,1
2500	2724	1902	818	69,9
კონტროლი	2041	1898	108	93,0

დასკვნა

1. აბრეშუმის ჭირის გრენაზე გამა გამოსხივების შედარებით მაღალი დოზებით (1000, 1500, 2000, 2500 კ) ზემოქმედება იწვევს ჭიების ცხოველმყოფე-ლობის, პეპლების ნაყოფიერების და ჩანასახის სტადიაზე დასხივებული პეპლების მიერ დადებული გრენიდან მურის გამოსვლისუნარიანობის საგრძნობლად დაცემას. აღნიშნული მაიონიზებელი ფაქტორი უარყოფითად მოქმედებს აგრეთვე აბრეშუმის ჭირის სამეცნიერო მნიშვნელობის ნიშნებზე (ნედლი პარკის წონა, გარსის წონა, გარსის % ძაფის გამოსავლიანობა). ირკვევა, რომ ჩანასახის განვითარებაში რადიაციით გამოწვეული უარყოფითი ბიოლოგიური ეფექტი ღრმა გავლენას ახდენს აბრეშუმის ჭირის ზრდა-განვითარების პროცესებზე პოსტრემბრიონულ პერიოდშიც.

2. მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები გვიჩვენებენ, რომ აბრეშუმის ჭირი მატლობის ფაზაში გაცილებით უფრო მაღალი რადიორეზისტრის ტობით ხასიათდება ჩანასახთან შედარებით. აღნიშნება აგრეთვე მაიონიზებელი რადიაციის სპეციფიკური მოქმედება ორგანიზმის სხვადასხვა ნიშნების მიმართ. აბრეშუმის ჭირი მატლობის ფაზის მეორე ასაკში ზემოქმედებისას გამა გამოსხივების გრენაზე უარყოფითად მოქმედებს ჭიების ცხოველმყოფელობასა და პეპლების ნაყოფიერებაზე, მაგრა როდესაც სამეცნიერო ნიშნების მაჩქრებლებში რაიმე არსებით ცვლილებებს აღვილი არა აქვს.

3. აბრეშუმის ჭირის ჩანასახზე გამა გამოსხივების შედარებით ძლიერი დოზების (1000, 1500, 2000, 2500 კ) ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი ბიოლოგიური ეფექტი (გრენიდან მურის გამოსვლისუნარიანობის დაბალი მაჩქრებლები) მემკვიდრეობით გადაეცემა შთამომავლობას.

გვ. 100

(ზემოვიდა რედაქციაში 23. 12. 1960)

Я. АХАЛАЯ

ВЛИЯНИЕ ИОНИЗИРУЮЩЕЙ РАДИАЦИИ НА ХОЗЯЙСТВЕННЫЕ ПРИЗНАКИ ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА

Резюме

Из экспериментального материала, приведенного в данной работе, можно заключить, что гамма-излучение в сравнительно высоких дозах (1000, 1500, 2000, 2500 г) оказывает отрицательное влияние на жизнеспособность гусениц тутового шелкопряда, на плодовитость бабочек и на выживаемость грены, отложенной бабочками, облученными на первоначальных стадиях эмбриогенеза. Гамма-излучение, в указанных выше дозах, отрицательно действует также на хозяйствственные признаки тутового шелкопряда при облучении грены перед инкубацией.

В настоящей работе установлено специфическое воздействие ионизирующей радиации на разные признаки тутового шелкопряда при облучении гусениц во втором возрасте постэмбрионального развития. При этом выясняется, что гусеницы обладают более высокой радиоустойчивостью по сравнению с зародышами тутового шелкопряда.

Отрицательный биологический эффект, вызванный действием гамма-излучения на ранние стадии зародышевого развития тутового шелкопряда, является устойчивым и передается по наследству следующему поколению.

ЛІТ. АННОВА

1. ახალა 202 ი., 1958, გამა გამოსხივების გავლენა აბრეშუმის ჭიის ემბრიონული განვითარების სხვადასხვა სტადიაზე, თეს ზრომები, ტ. 82, 1960.
2. Астауров Б. Л., Дифференциальный эффект радиационных повреждений ядра и цитоплазмы как следствие их функциональной специфики, Бюлл. Моск. общ. исп. прир., отд. биол., 63, 1958.
3. Астауров Б. Л. и Остряков-Варшавер В. П., Получение полного гетероспермного андрогенеза у межвидовых гибридов шелковичного черва (экспериментальный анализ соотносительной роли ядра и цитоплазмы в развитии наследственности). Изв. АН СССР, сер. биол., 2, 1957.
4. Граевский Э. Я. и Шапиро Н. И., Современные вопросы радиобиологии, Изд. АН СССР, 1957.
5. Коштоянц Х. С., Использование в биологии достижений физики и химии, Журнал общей биологии, 2, 1959.
6. Мейсель М. Н., О биологическом действии ионизирующих излучений на микроорганизмы, Сб. «Действие облучения на организм», изд. АН СССР, 1955.
7. Мейсель М. Н., Предисловие к русскому изданию сборника «Ионизирующие излучения и клеточный метаболизм», 1958.
8. Михайлов Е. Н., Шелководство, Сельхозгиз, Москва, 1950.
9. Михайлов Е. Н., Грана, Госиздат, Ташкент, 1955.
10. Нуждин Н. И., Шапиро Н. И., Петрова О. Н., Нечаев И. А., Стерилизующие действия ионизирующей радиации на млекопитающих. Сообщение III.

- Наследственный характер стерильности, вызванной действием рентгеновского облучения, Сборник работ по радиобиологии, Изд. АН СССР, 1955.
11. Нуждин Н. И., Современное состояние учения о материальных носителях наследственности. Наследственность и изменчивость растений, животных и микроорганизмов, т. I, 1959.
12. Струнников В. А., Относительный эффект первичных радиационных повреждений ядра и цитоплазмы половых клеток тутового шелкопряда, «Цитология», т. II, № 5, 1960.
13. Шапиро Н. И. и Нуждин Н. И., Влияние различных доз рентгеновского облучения на выживаемость мышей, Сборник работ по радиобиологии, Изд. АН СССР, 1955.
14. Clark, 1956, „Nature“, 177.
15. Muller, 1954, Radiation biology.

ქ. გოგიაშვილი

განსევავებული ასაკისა და ხარისხის თუთის ფოთლის
გაცლენა აგრძელების პირს ზოგიერთ თვისებაზე

შესავალი

ცნობილია, რომ ცილოვანი ნივთიერება, რომელიც აუცილებელ საშენ შასალას წარმოადგენს აბრეშუმის ჭიის ორგანიზმის ზრდა-განვითარებისათვის საერთოდ და აბრეშუმის გამოყოფი ჯირკვლის ჩამოყალიბებისათვის კერძოდ, გაცილებით მეტი რაოდენობით მოიპოვება თუთის ნორჩი ფოთოლში.

არსენიევის, ბრომლეის (4), დემიანოვსკის, გალცოვას, როსდესტვენსკაიას (5), პაპალაშვილის (3), ახალიას (1) და გიგაურის (2) ექსპერიმენტებით დადგენილია, რომ აბრეშუმის ჭიის ნორჩი ფოთლით გამოკვებისას მწიფე ფოთოლთან შედარებით მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლები მიიღება, რაც, ავტორთა აზრით, ნორჩი ფოთლის ცილოვანი ნივთიერების დიდი შემცველობითა და ფოთლის უკეთესი შეჭმადობით აისწნება.

ავტორთა მონაცემები შესაძლებლობას იძლევა ვიგარაულოთ, რომ აბრეშუმის ჭიის ზრდა-განვითარებასა და საკვები ფოთლის ასაქსა და ხარისხს შორის მცირეობის კავშირი უნდა არსებობდეს.

ამ კავშირის ხასიათის გამორკვევის მიზნით ჩვენ პროფესორ გ. მ. პაპალაშვილის ხელმძღვანელობით ჩავატარეთ რიგი ცდებისა აბრეშუმის ჭიაზე.

შეთოდიკა

თემის მიზანი იყო განსხვავებული ასაქისა და ხარისხის თუთის ფოთლის გავლენის შესწავლა აბრეშუმის ჭიის ნიშან-თვისებებზე. საჭირო იყო გამოგვერკვია კვების როგორი პირობები უფრო მეტ ძვრებს იწვევს აბრეშუმის ჭიის ორგანიზმი, რა კანონზომიერი ურთიერთობა მყარდება ჭიმიური შედგენილობის მხრივ განსხვავებული საკვებისა და აბრეშუმის ჭიის ცხოველმყოფელობასა, აბრეშუმიანობასა, ნაყოფიერებასა და ნიმფოზის ფაზის ხანგრძლიობას, შორის,

ანონშნული საკითხების შესწავლისათვის ავირჩიეთ კვების შემდეგი ვარიანტები:

1. ნორჩი ფოთლით კვება (მოკრეფა ხდებოდა მოზარდი ყლორტებიდან სამი-ოთხი ფოთლის რაოდენობით, კენჭრის ახლად გაშლილ და განუვითარებელ ერთი-ორი ფოთლის გამოტოვებით) — ცდა.

2. შემჭინარი ფოთლით კვება (წინადღით მოკრეფილი ფოთლებია) — ცდა.

3. შერეული ფოთლით კვება (ჩვეულებრივ იყენებენ პრაქტიკაში) — საკონტროლო.

მომდევნო თაობებში ნორჩი ფოთლით ნაკვებ ვარიანტებში ეცხოველი მყოფელობის თანდათანობითი გადიდების გამო შევისწავლეთ აბრეშუმის ჭირი ჰემოლიმფა, კერძოდ, სიცოცხლისუნარიანობასა და აბრეშუმის ჭირი ჰემოლიმფის მაკრონუკლეოციტების ოაოდენობას შორის კავშირი III თაობის ჭირბა და IV-ასაკიდან ნორჩი ფოთლით ნაკვებ ვარიანტის ჭირბში. სისხლი—ჰემოლიმფა — აბრეშუმის ჭირი იღებოდა V ასაკის მეორე-მესამე დღიდან (ჰემოლიმფის ანალიზის გაკეთებისას დიდად დაგვეხმარა თბილისის მებრეშუმეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნ. მუშავი მ. იობაშვილი) და ითვლებოდა მაკრონუკლეოციტები და თითისტარა უჯრედები.

კონკრეტულ ასაკში აბრეშუმის ჭირი სიცოცხლისუნარიანობაზე ნორჩი ფოთლის დამაკნინებელი ზეგავლენის გამოსარკვევედ, ნორჩი ფოთლის საკვებად მიცემა ხდებოდა აგრეთვე I, II, III, IV და V-ასაკებიდან, ისე, რომ, ყოველ წინა ასაკში, გარდა I ასაკისა, საცდელად აღებული აბრეშუმის ჭირებული ფოთლით იკვებებოდა.

აბრეშუმის ჭირი მრავალფეროვანი ჯიშებიდან საცდელ ობიექტად ავირჩიეთ ბივოლტინური ჯიში 110, რომელიც, როგორც ცნობილია, მაღალი ცხოველმყოფელობითა და არახელსაყრელი პირობებისადმი შედარებითი გამძლეობით ხასიათდება.

ცდა ტარდებოდა სამ ვარიანტად, თითოეულ ვარიანტში იყო სამი განმეორება, ხოლო ყოველ განმეორებაში — 250 ც. ჭირი.

მიღებული შედეგები და მისი განხილვა

აბრეშუმის ჭირი პარკის მოსავლიანობის საქმეში სხვა ნიშნებს შორის უდიდეს როლს ასრულებს ჭირი ცხოველმყოფელობაც.

დემიანოვსკისა და ღომანის (6), არსენიევისა და ბრომლეის (4) ექსპერიმენტული გამოკვლევებიდან ცნობილია, რომ ნორჩი ფოთლი აბრეშუმის ჭირის სასოფლო-სამეურნეო ნიშნების გადიდებასთან ერთად ჭირი სიცოცხლისუნარიანობის დაცემას იწვევს, როდესაც ჭირი ნორჩი ფოთლით თავიდანვე (პირველივე ასაკიდან) იკვებება. მეორე მხრივ გიგაურის (2) მონაცემებიდან ცნობილია, რომ ნორჩი ფოთლი აბრეშუმის ჭირის რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდასთან ერთად სიცოცხლისუნარიანობის გადიდებასაც იწვევს, როდესაც აბრეშუმის ჭირი ნორჩი ფოთლით მხოლოდ მეორე და მესუთე ასაკიდან, იკვებება.

ზემოთ დასახელებულ ავტორებს აბრეშუმის ჭირი სიცოცხლისუნარიანობაზე ნორჩი ფოთლის გავლენა მხოლოდ ერთი გამოკვების მანძილზე შეუსწავლიათ, ჩვენ კი მიზნად დავისახეთ აღნიშნული საკითხი შეგვესწავლა რიგითამბების განმავლობაში.

№ 1 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემები, ერთი მხრივ, ადასტურებს არსენიევისა და ბრომლეის (4), დემიანოვსკისა და ღომანის (6) მითითებას ნორჩი ფოთლით კვებისას დაბალი სიცოცხლისუნარიანობის შესახებ, როცა აბრეშუმის ჭირი ნორჩი ფოთლით პირველივე ასაკიდან იკვებება, რაც, მათი აზრით, ნორჩი ფოთლის მაღალი მეავიანობითა გამოწვეული. ხოლო, მეორე მხრივ, გიგაურის (2) მითითებას, ნორჩი ფოთლის გავლენით მაღალი სიცოცხლისუნარიანობის შესახებ, როდესაც აბრეშუმის ჭირი. ნორჩი ფოთლით IV და V ასაკიდან იკვებებოდა. ცხრილიდან აგრეთვე ნათლად ჩანს, რომ

აბრეშუმის ჭიის სიცოცხლისუნარიანობა ნორჩი ფოთლით კვების გარემონტებში ყოველ შემდგომ თაობაში იზრდება და მესამე და მეოთხე თაობაში საკონტროლოს სიცოცხლისუნარიანობასთან შედარებით 4,1%-დან 11,8-მდე გაიზარდა, ხოლო სხვადასხვა წლის ერთნაირი სეზონის თაობების სიცოცხლისუნარიანობის შედარებისას სიცოცხლისუნარიანობის თანდათანობითი მატება უფრო თვალსაჩინო ხდება (იხ. ცხრ. 1).

ცხრილი 1

განსხვავებული ასაკისა და ხარისხის თუთის ფოთლის გავლენა აბრეშუმის ჭიის სიცოცხლისუნარიანობაზე

გამოკვების წელი და სეზონი	თაობა	ჭიის სიცოცხლისუნარიანობა %-ით			სიცოცხლისუნარიანობის გავლენა აბრეშუმის შედეგი				
		ნორჩი ფოთლის ნორჩი ფოთლის ფასი	ნორჩი ფოთლის ნორჩი ფოთლის ფასი	შემონაბეჭდი შემონაბეჭდი შემონაბეჭდი შემონაბეჭდი	I	II	III	IV	V
1952 წელი გაზაფხული	საწყისი გამოკვება	50,6	37,5	87,0					
ზაფხული შემოდგომა	F ₁	68,3	24,2	79,6					
	F ₂	78,9	8,5	86,4					
1953 წელი									
გაზაფხული	F ₃	86,5		82,4					
ზაფხული	F ₄	92,3		80,5	52,0	54,9	61,2	89,5	90,4

აღნიშნული ფაქტი აბრეშუმის ჭიის სისხლის ანალიზური შესწავლის შედეგებითაც დადასტურდა (იხ. ცხრ. № 2), საიდანაც ჩანს, რომ ნორჩი ფოთლით ნაკვები ვარიანტის მესამე თაობის ჭიის სიცოცხლისუნარიანობის დონე ისევე ძლიერება საკონტროლოს სიცოცხლისუნარიანობას, როგორც მისივე ჰემოლიმფის მაკრონუკლეოლიტების რაოდენობა საკონტროლოს ჰემოლიმფის მაკრონუკლეოლიტების რაოდენობას. ასე, მაგ., ნორჩი ფოთლით ნაკვებ ვარიანტებში მაკრონუკლეოლიტების რაოდენობა $M \pm m = 52,7 \pm 1,9$ უდრიდა, თითისტარა უჯრედების რაოდენობა კი $M \pm m = 28,2 \pm 1,11$ -ს, საკონტროლოს მაკრონუკლეოლიტების რაოდენობა $M \pm m = 40,6 \pm 2,4$ -ის ტოლი იყო, თითისტარა უჯრედების რაოდენობა კი $M \pm m = 21,2 \pm 2,5$ უდრიდა (ცნობილია, რომ რაც უფრო ცხოველმყოფელია აბრეშუმის ჭია, მით უფრო მეტია მაკრონუკლეოლიტების რაოდენობა საერთოდ და თითისტარა უჯრედებისა კერძოდ).

აბრეშუმის ჭიის ჰემოლიმფის ანალიზმა დაადასტურა აგრეთვე IV ასაკიდან ნორჩი ფოთლით ნაკვებ ვარიანტებში სიცოცხლისუნარიანობის მაღალ დონეზე შენარჩუნება საკონტროლოსთან შედარებით.

თუ არსენიევის, ბრომლეის (4), დემიანოვსკისა და ლომანის (6) მიხედვით აბრეშუმის ჭიაში სიცოცხლისუნარიანობის დაცემის მიზეზი ნორჩი ფოთლის მაღალი მუავიანობაა, მაშინ ჩვენს შემთხვევაში თაობების მიხედვით სიცოცხლისუნარიანობის გადიდება ნორჩი ფოთლის მუავიანობისადმი აბრე-

აბრეშუმის ჭიის ჰემოლიმფის ანალიზური შესწავლა

გამოკვების წელი და სეზონი	თაობა	აბრეშუმის ჭიის ჰემოლიმფის ანალიზი მაკრონუკლეოლოგი- ტებსა, თითისტარა უჯრედებსა და ჭიის ცხოველმყოფელობის ურთიერთობის გამოსარკვევად			
		მაკრონუკ- ლეოლოტები $M \pm m$	თითისტარა უჯრედები $M \pm m$	სხვაობის რეალობა td	ცხოველმყო- ფელობის %-ტი
1953 წელი ნორჩი ფოთ- ლით ნაკვები გარიანტი	F_3	$52,7 \pm 1,9$	$28,2 \pm 1,1$	მაკრო- ნუკლეო- ტებისა	თითისტა- რა უჯრ.- ბისა
საკონტროლო		$40,6 \pm 2,4$	$21,2 \pm 2,5$		—
IV ასაკიდან ნორჩი ფოთლით ნაკვები გარიანტი	საწყისი გამოკვება	$65,7 \pm 2,0$	$28,9 \pm 1,8$	10,6	9,9
საკონტროლო		$32,7 \pm 2,4$	$9,1 \pm 0,9$		—

შუმის ჭიის ორგანიზმის თანდათანობითი შეგუებით უნდა აიხსნას (ნორჩი ფოთლის აქტიური მუკინობა უფრო მაღალია, ვიდრე მწიფე ფოთლისა). დემიანოვსკი, გალცოვა, როგორც სტევენსკაია (7).

როგორც № 1 ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, სიცოცხლისუნარიანობა განსაკუთრებით დაბალია შემჭერაზე ფოთლით ნაკვებ გარიანტებში, რაც გამოწვეული უნდა იყოს, ერთი მხრივ, საკვებად მიცემულ ფოთლში არსებული საკვები ნივთიერების სიმცირითა და, მეორე მხრივ, შემჭერაზე ფოთლით არსებული საკვები ნივთიერების შეთვისების გაძნელებით, მისი გახსნისათვის საჭირო წყლის (საკვებად მოცემულ ფოთლში) სიმცირის გამო. ცნობილია, რომ აბრეშუმის ჭიი წყლისადმი მოთხოვნილებას იქმაყოფილებს ფოთლში არსებული წყლით (ტაიროვი, 9), რაც ერთერთი ძირითადი მიზეზი უნდა იყოს შემჭერაზე ფოთლით ნაკვებ გარიანტებში აბრეშუმის ჭიის ავალმყოფობისა და სიცოცხლისუნარიანობის დაცემისა.

სიცოცხლისუნარიანობის დაცემა პირველი ასაკებიდან (I, II, III ასაკებიდან) ნორჩი ფოთლით ნაკვებ გარიანტებში (იხ. ცხრ. 1) დამოკიდებული უნდა იყოს ამ ასაკებში ჭიის ორგანიზმის ჰემოლიმფის pH-ის ხარისხზე. ცნობილია (გალცოვა, 5), რომ კვერცხიდან გამოსული აბრეშუმის ჭიის ჰემოლიმფის pH-ის მუკინობა რეაქცია მაღალია, ამის გამო ამ ასაკებში ორგანული მუკინობით მდიდარი ნორჩი ფოთლით გამოკვება საზიანოდ მოქმედებს აბრეშუმის ჭიის სიცოცხლისუნარიანობაზე, ხოლო IV და V ასაკიდან კი, როდესაც აბრეშუმის ჭიის ჰემოლიმფა შედარებით დაბალი მუკინობა რეაქციისა ხდება, ნორჩი ფოთლის მუკინობა ნეიტრალდება და ფოთლში არსებული ცილა ჭიის ზღდა-განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის სტიმულატორად გვიპლინება.

ნორჩი ფოთლით ნაკვებ ვარიანტებში, გარდა სხვა მაჩვენებლების უზრუნველყოფისა, იზრდება ნაყოფიერებაც (იხილეთ ცხრილი № 3), რაც ნორჩი ფოთლის ცილის დიდი შედგენლობითაა გამოწვეული, რომელიც ფიზიოლოგიურად სრულფასოვანია და ჭიის ორგანიზმის მიერ მთლიანად და ადვილად აითვისება. ასე, მაგ., ნორჩი ფოთლით ნაკვებ ვარიანტის IV თაობაში ნაყოფიერება საშუალოდ 679 ცალ კვერცხს უდრის ნადებში, საკონტროლოში კი—415 ცალს.

შემჭირნარი ფოთლით ნაკვებ ვარიანტებში კი სხვა მაჩვენებლების დაცემასთან ერთად ნაყოფიერებაც დაეცა საკვებად მიცემულ ფოთოლში არასრულფასოვანი საკვები ნივთიერების არსებობის გამო.

ამგვარად, ნაყოფიერების ღონები აბრეშუმის ჭიაში პირდაპირბროპორციულ დამოკიდებულებაშია საკვები ფოთლის კვებით ღირებულებასთან: როდესაც აბრეშუმის ჭია საკვები ნივთიერებითა და მათ შორის ცილით მდიდარი ფოთლით იკვებება, ნაყოფიერებაც დიდდება, ხოლო როდესაც აბრეშუმის ჭია საკვები ნივთიერებითა და წყლით ღარიბი ფოთლით იკვებება, ნაყოფიერებაც ეცემა.

ცხრილი 3

განსხვავებული ასაკისა და ხარისხის თუთის ფოთლის გავლენა
ნადებში კვერცხის რაოდენობაზე

გამოკვების წელი და სეზონი	თაობა	ჭიის ნორჩი ფოთლით კვება (ცალ)	ჭიის შემჭირნარი ფოთლით კვება (ცალ)	III თაობიდან შერეული ფოთლით კვება (წინა თაობებში ჭიის ექლიოდა ნორჩი ფოთლი)	ჭიის შერეული ფოთლით კვება საკონტროლო
1952 წელი გაზაფხული ზაფხული შემოდგომა	საწყისი გამოკვება I II	630 540 499	365 190 —	— — —	552 423 321
1953 წელი გაზაფხული ზაფხული	III IV	792 679	— —	595 572	570 415

შენიშვნა: შემჭირნარი ფოთლით ნაკვებ ვარიანტებში 60 ნადების დაფლის საშუალება არც ერთი გამოკვების სეზონში არ მოგვეცა, საერთოდ, ცხოველმყოფელობის დაცემისა და მასთან ერთად მდედრობითი სქესის ინდივიდების ძლიერი შემცირების გამო. ამიტომ დაოვლა ნადებებისა ხდებოდა მხოლოდ გადარჩენილი მასალიდან.

კვების განსხვავებული რეჟიმის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ საკვების კვებით ღირებულებას, შედარებით ნაკლებად ექვემდებარება გარსის % და ნიმფოზის ფაზა (იხ. ცხრილი № 4).

ცხრილში წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ნორჩი ფოთოლი ხელშემწყობ ზეგავლენას ახდენს ნიმფოზის ფაზასა და აბრეშუმინანობაზე, მაგრამ ნორჩი ფოთლის ხელშემწყობი გავლენა, რომელიც ყველა თაობაში შეიმჩნეოდა, კვების ჩვეულებრივ პირობებში გადაიყანის შემთხვევაში მისი შენარჩუნების ტენდენციას არ იჩენს, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ აღნიშნული ნიშნების კონსერვატიზმი ჯერ კიდევ ძლიერია და საჭიროა ზემოქმედი ფაქტორის ხანგრძლივი მოქმედება.

განხევავებული ახაკება და ხარისხის ფოთლის გავლენა აბრეშუმის ჭიათურაში ნიმუშის ხანგრძლივობა და გარსის %-%

გამოკვების წლი და სეზონი	თაობა	ნომეტობის ხანგრძლივობა დღეებში			გარსის პროცენტი		
		ნოტი ფერი ლით ნაცვენტი გარის ნაცვენტი	შემცველი ფერის ნაცვენტი გარის ნაცვენტი	საკანტ ჩოლი	ნოტი ფერი ლით ნაცვენტი M±m	შემცველი ფერის ნაცვენტი M±m	საკანტ ზოლი M±m
1952 წ. გაზაფხული	საწყისი გამოკვება	15	18	16	13.9 ± 0.2 14.1 ± 0.3 13.9 ± 0.3	12.7 ± 0.6 12.6 ± 0.4 12.4 ± 0.6	13.5 ± 0.2 13.2 ± 0.2 12.8 ± 0.3
ზაფხული	F ₁	13	17	14	15.5 ± 0.1 15.2 ± 0.2 14.5 ± 0.1	12.6 ± 0.8 12.2 ± 0.6 12.4 ± 0.1	14.5 ± 0.2 14.0 ± 0.2 13.8 ± 0.1
შემოდგომა	F ₂	16	19	17	14.5 ± 0.1 14.0 ± 0.1 14.7 ± 0.1	12.1 ± 0.2	12.6 ± 0.1 12.7 ± 0.1 13.0 ± 0.3
1953 წელი გაზაფხული	F ₃	14		15	14.5 ± 0.2 14.3 ± 0.2 14.4 ± 0.2		13.9 ± 0.1 13.0 ± 0.1 13.0 ± 0.1
ზაფხული	F ₄	13		14	14.6 ± 0.6 14.1 ± 0.1 13.8 ± 0.1		13.9 ± 0.2 13.7 ± 0.2 13.7 ± 0.1

ცხრილიდან აგრეთვე ჩანს, რომ ნომეტობის ფაზის ხანგრძლივობა ძლიერადა გადიდებული შემცენარი ფოთლით ნაკვებ ვარიაციებში, რაც საკვები ნივთიერებით ღარიბი ფოთლის გავლენით ჭიის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების შეფერხებით უნდა აიხსნას.

ჩვენი ცდების შემთხვევაში ნორჩი ფოთლით კვების ვარიაციებში შემჩნეული იყო საცდელად არჩეული ჯიშის (იაბ. ბივოლტონური ჯიში 110) ჭიისათვის დამახასიათებელი ზურგის ნახატის სიმუქრე საკონტროლო ჭიიბთან შედარებით. აღნიშნული, ჩვენის აზრით, გამოწვეული უნდა იყოს ნორჩი ფოთლის მაღალი მჟავიანობით.

ამგვარად, განსხვავებული კვებითი ღირებულების თუთის ფოთლით კვება ღრმა გავლენას ახდენს აბრეშუმის ჭიის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური პროცესების მსვლელობაზე.

ის ფაქტი, რომ ნორჩი ფოთლის, როგორც საკვების გამოყენებით თითქმის ყველა მაჩვენებელი იზრდება — უმჯობესდება, ხოლო შემცენარი ფოთლის გამოყენებით კი ყველა მაჩვენებელი კნინდება, ჩვენს შემთხვევაშიც ადასტურებს მიჩურინული ბიოლოგის დებულებას — აღზრდის გზით ორგანიზმის ბუნების სასარგებლო მიმართულებით შეცვლის შესაძლებლობის შესახებ.

1955 წლის გაზაფხულისა და ზაფხულის სეზონში დამატებითი ექსპერიმენტული გამოკვება (ჩვენი მონაცემების შემოწმების მიზნით) ჩავატარეთ წინა წლებში შემუშავებული მეთოდიების მიხედვით.

დამატებითმა გამოკვებამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო ჩვენს მიერ-შინებული წლებში მიღებული შედეგები და მის საფუძველზე გამოტანილი დასკვნები.

დამატებითი ექსპერიმენტული გამოკვების შედეგები № 5 ცხრილშია წარმოდგენილი.

ცხრილი 5

განსხვავებული ასაკის თუთის ფოთლის გავლენის შედეგები აბრეშუმის ჭიათუ ზრდა-განვითარებაზე

წელი, განვითარების და სუბстрატი	ცდის გარისხტი	პარკის წონა $M \pm m$	გარსის წონა $M \pm m$	გარსის % $M \pm m$	გატლის ფასის დანგრედირება სათობით	ტემპოზის ფასის დანგრედირება სათობით	ინტენსიურის დანგრედირება სათობით
1955 წელი, განვითარების და სუბстрატი	ნორჩი	1610,3 ± 21,3 1563,1 ± 19,5 1620,0 ± 16,1 1623,0 ± 20,3 1600,0 ± 17,5	227,4 ± 2,8 221,7 ± 2,3 230,7 ± 2,2 239,8 ± 2,9 234,6 ± 2,8	14,5 ± 0,14 14,5 ± 0,12 14,4 ± 0,13 14,9 ± 0,14 14,7 ± 0,14	736	260	288
	საკონტ-როლო	1407,2 ± 17,8 1469,8 ± 17,8 1442,6 ± 16,6 1428,3 ± 17,0 1490,6 ± 18,3	200,4 ± 2,3 200,4 ± 2,4 199,3 ± 1,9 200,3 ± 2,4 205,4 ± 2,7	14,3 ± 0,13 13,6 ± 0,13 14,1 ± 0,33 14,1 ± 0,95 13,9 ± 0,14	752	276	288
1955 წელი, ზაფხული	ნორჩი	1393,5 ± 12,4 1383,5 ± 18,3 1351,5 ± 17,5 1398,5 ± 19,7 1317,1 ± 16,9	213,8 ± 2,1 218,2 ± 2,3 197,1 ± 2,8 204,4 ± 2,5 200,8 ± 2,0	15,2 ± 0,13 15,0 ± 0,14 14,7 ± 0,14 14,7 ± 0,13 14,7 ± 0,13	680	216	200
	საკონტ-როლო	1150,7 ± 14,2 1157,2 ± 14,3 1151,1 ± 14,2 1181,2 ± 14,8 1191,5 ± 12,7	160,0 ± 1,5 151,7 ± 1,8 159,3 ± 1,6 156,9 ± 1,6 155,3 ± 1,7	14,1 ± 0,13 13,2 ± 0,17 13,9 ± 0,18 12,8 ± 0,15 13,3 ± 0,13	712	251	224

დ ა ს პ 8 6 ა

1. ქიმიური შედეგის და კვებითი ღირებულებით განსხვავებული ფოთლით გამოკვებამ დიდი ზეგავლენა მოახდინა ნაყოფიერებასა და ცხოველ-მყოფელობაზე, ხოლო შედარებით სუსტი გავლენა იქონია აბრეშუმიანობის პროცენტსა და ნიმფოზის ფაზაზე.

2. საკვები ფოთლის ასაკისა და ხარისხის მხრივ განსხვავებულ პირობებში აღზრდით გამოწვეული ცვლილებები (გადიდებული და შემცირებული ცხოველმყოფელობა, გაზრდილი და შემცირებული ნაყოფიერება) სათანადო ასაკისა და ხარისხის საკვები ფოთლის შესაბამისად წარმოშობილი იმავე პირობების დაცვისას პროგრესულად იზრდება შთამომავლობაში.

3. მეოთხე და მეხუთე ასაკიდან ნორჩი ფოთლით გამოკვებამ რაოდენობრივი მაჩვენებლებისა და სიცოცხლის უნარიანობის გადიდება გამოიწვია, ხოლო I, II და III ასაკიდან ნორჩი ფოთლით გამოკვებამ კი—რაოდენობრივი მაჩვენებლების გადიდება და სიცოცხლის უნარიანობის დაცემა.

მაშასადამე, მიღებული შედეგები, ჩვენი აზრით, იმაზე მიღვით მომდევნობს, რომ აბრეშუმის ჭიის სიცოცხლის სუნარიანობა ჭიის ასაკისა და საცველოს ქიმიურ შედეგნილობასთან პირდაბირ დამოკიდებულებაშია.

4. ამგვარად, ნორჩი ფოთლით კვების ვარიანტებში მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლების მიღება ნივთიერებათა ცვლის ინტენსიურობის გადიდების მაჩვენებელია, ხოლო შემჭინარი ფოთლით კვების ვარიანტებში აღნიშნული მაჩვენებლების დაკინება ნივთიერებათა ცვლის ინტენსიურობის დაჭვითების შედეგია.

გენეტიკის კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 17. 12. 1960)

ქ. ГОГИНАШВИЛИ

ВЛИЯНИЕ ЛИСТА ШЕЛКОВИЦЫ РАЗНОГО ВОЗРАСТА И РАЗНОГО КОРМОВОГО КАЧЕСТВА НА НЕКОТОРЫЕ СВОЙСТВА ТУТОВОГО ШЕЛКОПРЯДА

Р е з ю м е

В результате проведенной работы устанавливаются следующие закономерности влияния листа шелковицы разного возраста и разного кормового качества на продуктивность, плодовитость и жизнеспособность тутового шелкопряда.

Молодой лист значительно снижает жизнеспособность гусениц в первом поколении, в последующих поколениях она постепенно повышается и уже в четвертом поколении достигает 92%.

Молодой лист при использовании его в качестве корма в первых возрастах (кормление первого, второго и третьего возрастов) уменьшает жизнеспособность, а при использовании его в четвертом и пятом возрастах — повышает ее.

На основании этих фактов в работе дается вывод, что падение жизнеспособности у гусениц при кормлении молодыми листьями первых возрастов (кормление первого, второго и третьего возрастов) и повышение ее в условиях кормления молодыми листьями последующих возрастов (четвертого и пятого) вызывается специфичным изменением активной кислотности гемолимфы гусениц по возрастам.

Изменение жизнеспособности гусениц опытных вариантов нами проверялось также изучением состояния гемолимфы.

При кормлении подвяленным листом шелковицы особенно сильно снижается жизнеспособность гусениц.

Кормлением молодыми листьями намного повышается плодовитость, достигая в четвертом поколении в среднем до 679 яиц в кладке, при 415 яиц с кладка у бабочек с контрольных выкормок.

Сильно снижается плодовитость бабочек при кормлении подвяленными листьями.

На основании этих фактов в работе дается вывод, что листья шелковицы разного возраста и разного кормового качества в силу специфического химизма вызывают изменения в обмене веществ тутового шелкопряда.

ମୋହନାତ୍ମକ

1. Абдаллаев И. Г., Абрекшумовы Кисиев Альбертович. Зимородковые и др. виды гастрелловых беспозвоночных в южноказахстанской степи. Европа, 1952 г.
 2. Гончаров В. В., Абрекшумовы Кисиев Миржан Борисович и др. Биотопы южноказахстанских степей. Бюллетень, 1952 г.
 3. Абдаллаев А. Шигапов Г. М., Абрекшумовы Кисиевы Болкенбековы Жанисы Болкенбековы гастрелловые беспозвоночные в южноказахстанской степи. Европа, 1952 г. № 46.
 4. Арсеньев А. Ф. и Бромлей И. В., Значение минеральных компонентов корма в повышении жизнеспособности гусениц дубового и тутового шелкопряда. Дубовый шелкопряд. Труды пленумов секции шелководства, 1951.
 5. Гальцова Р. И., Оксидительно-восстановительный потенциал в грене тутового шелкопряда, Ученые записки факультета естествознания МГПИ им. Ленина, в. 3, 1938.
 6. Демьянинский С. Я., Гальцова Р. И., Рождественская В., Об активной кислотности гемолимфы Bombyx mori L. в зависимости от ее пищи, Ж. Экспериментальная биология, т. 7, в. 5—6, 1931.
 7. Демьянинский С. Я., Доман И. П., Изменение химического состава листьев шелковицы в зависимости от степени их зрелости, Ж. Биохимия, т. 9, Вып. 1944.
 8. Демьянинский С. Я., Гальцова Р. Н., Рождественская В., Активная кислотность сока листьев шелковицы. Советская ботаника, I, 1935.
 9. Таиров З., Поение шелковичных червей, в. 3—4, 1940.

ა. ბრეჩაძე

ესთი და იმავე პირობით გამღიზიანიშვილი
სხვადასხვაგვაროვან (კვებით და თავდაცვით)
რეარციათა გამოშუბავება

ცნობილია, რომ პირობითი რეფლექსის მოძლვრების შექმნელმა ო. პავლოვმა (1) დიდი ტვინის ფუნქციათა კვლევისათვის გამოიყენა ნერწყვის მეთოდი, რათა მოვლენათა ანალიზისათვის უფრო ხელსაყრელი მარტივი პირობა ჰქონიდა. მას შემდეგ, რაც ამ ნაყოფიერი გზით დიდი ტვინის ქერქის ფუნქციათა კვლევა გაღრმავდა და მისი მოქმედების ძირითადი კანონზომიერებანი იქნა მოპოვებული, წამოიჭრა საჭიროება ქერქის მოქმედებათა ყოველმხრივი შესწავლისათვის (ი. პავლოვის პირობითი რეფლექსის მეთოდის საფუძველზე) კვლევის მოძრაობითი მეთოდიკით გაფართოებისა. მოძრაობითი მეთოდით პირობითი რეფლექსების კვლევა დაიწყო რუსეთის გამოიჩენილმა ნეგროლოგმა მ. ბესტერევმა (2), ხოლო შემდეგ ამ მეთოდით პირობითი რეფლექსების კვლევა ჩატარა ო. ბერიტაშვილმა, რომელმაც დიდი ტვინის ქერქის თავდაცვითი მოქმედების საფუძველზე სათანადო კანონზომიერებანი დაადგინა (3). კვებითი და მოძრაობითი მეთოდების საფუძველზე მიღებული შედეგები აყენებს მოთხოვნილებას შესწავლილ იქნას კვებისა და თავდაცვითი პირობითი რეფლექსების ურთიერთობა. ამ მხრივ ო. პავლოვის ლაბორატორიაში მის მოწაფეთა მიერ ჩატარებულ იქნა მრავალი სახის კვლევაძიება.

ჯერ კიდევ ივანოვ-სმოლენსკის მიერ (4) იქნა შენიშვნული, რომ კვებითი რეაქციების მიმართ წონასწორი ტიპის ცხოველი ამ წონასწორობას კარგავდა თავდაცვითი რეაქციების შემთხვევაში. კონრადის (5), მაიოროვის (6), რიკმანის (7) და სხვათა მიერ ჩატარებული ცდებით დადასტურებულ იქნა შემაკავებელი მოქმედება თავდაცვითი რეაქციისა კვებითზე.

კვებითი და თავდაცვითი რეაქციების ურთიერთობის შესწავლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლობელ პირობით გამღიზიანებელთა დიფერენციაციის ცდები მათზე სხვადასხვაგაროვან (თავდაცვითი და კვებითი) პირობითი რეფლექსების გამომუშავებისას. ასეთი ცდები ჩაუტარებითა რიკმანს (7) სმენის ანალიზატორიდან აღებულ გამღიზიანებლებზე (ტონი 600 რს აულია კვებით სიგნალად და ტონი — 594 რს კი თავდაცვის რეაქციის გამომწვევ სიგნალად) და აბულაძეს (8), რომელსაც რიკმანის მსგავსი დიფერენციაცია მიუღია როგორც ახლობელ ბგერებზე (მეტრონომის 156 და 152 რხევა), ისე კანის ახლობელი პუნქტების შეხებით გაღიზიანებაზე, მაგრამ ჯერ არვის უცდია ერთ და იმავე პირობით გამღიზიანებელზე სხვადასხვაგვაროვანი რეაქციების მორიგეობით მიღება.

აღნიშნული საკითხის გარკვევისათვის ჩვენ ავიყვანეთ სამოქანდაკო უსულებელი „ბროლია“, „მურა“ და „წარბა“. პირობით გამღიზიანებლად ავიღეთ გენერატორის 600 რს ბგერა, რომელსაც მორიგეობით ვაულლებდით ხან საჭმელთან, ხან ელდენთან. დღეში ძირითადად ვაყენებდით ათ ცდას—ამათში ხუთი ცდა იყო საჭმელთან შეულლებით, ხოლო ხუთი ცდაში შეულლებას ვაწარმოებდით ელდენთან.

ც დ ი ს ჟ ე დ ე პ ე ბ ი

ძალი „ბროლია“. ეს ძალი წარსულ წელს გამოყენებული იყო ინდიფერენტულ ბგერათა თანადროულ კომპლექსზე დროებითი კავშირების გამოშუბვების შესაძლებლობის გამოსარკვევად როგორც კვებით, ისე მტკიცნეულ გალიზიანებასთან ერთ-ერთი ინდიფერენტული გამღიზიანებლის შეულლების შემთხვევაში.

საერთოდ ძალი მოუსვენარია, აგზნებადი. საჭმლისადმი ხარბი. საჭმლის ჭამის დროს ელდენის მიცემისას საჭმლის ჭამას არ წყვეტდა. ამავე დროს, ცალკე მიცემულ სუსტ დენზე მწარედ წერტუნებს, ცდილობს განთავისუფლებას. პირობითი ნერწყვა მცირე იქნა, საჭიროა პირობით გამღიზიანებლის ჩვეულებრივზე მეტი ხანგრძლიობით მიცემა, რათა პირობითი ნერწყვა გამოვლინდეს.

პირობით გამღიზიანებლად იღებული იყო 600 რს ბგერა გენერატორიდან. მასზე მორიგეობით შეულლებას საჭმლისას და ელდენისას თავიდანვე, ე. ი. ცალ-ცალკე მათზე პირობითი რეფლექსის გამომუშავებამდე, ვაწარმოებდით. პირობითი თავდაცვითი რეფლექსი ძალს გამოუმუშავდა პირობით გამღიზიანებლის მტკიცნეულთან მეხუთე შეულლებაზე და იგი მალე გამტკიცდა. თავდაცვით რეაქციებს ადგილი დაურჩა ორივე თანრიგში. რაც შეეხება პირობით ნერწყვას, ის გამოვლინდა მე-7 შეულლებიდან ძლიერ მერყევი სახით. პირველ დღეებში (2—4-დე) პირობითი ნერწყვა იყო თავდაცვით თანრიგშიაც. მეხუთე დღეს მოძრაობა თუმცა ყველა თანრიგში იყო, მაგრამ ნერწყვა ბოლო ცდებში დაიკარგა. შემდეგ დღეებში თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, რომ პირობით გამღიზიანებელზე ძალს კიდურის მოძრაობა არ მოეცა, ზოგჯერ მეორე, ელდენთან შეუუღლებელ კიდურსაც კი ამოძრავებდა. ნერწყვა კი ბირველ ხანებში ყველა თანრიგშია, შემდეგ სუსტდება — წყდება, როგორც კვებით, ისე თავდაცვით თანრიგში და ზოგჯერ ისევ თავს იჩენს ორივე თანრიგში. ბირველ ხანებში თავდაცვითი ცდის თანრიგში უფრო მეტად იძლეოდა ნერწყვას, ვიდრე კვებითში და ისიც უფრო მეტად მაშინ, როდესაც კვებითი თანრიგის შემდეგ ვაძლევდით 3'-იან და არა 6'-იან ხარვეზს. ეს ამბათ იმიტომ, რომ წინა კვების ფონი, ე. ი. კვების ცენტრის აგზნებადობა, გამოდიოდა ხელის შემწყვბად შემდეგ მიცემული პირობითი გამღიზიანებლისათვის. თავდაცვის რიგში მიცემულ პირობით გამღიზიანებელზე პირობითი ნერწყვა არ მცირდება მტკიცნეული გაღიზიანების დამატებისას. მე-10—18 დღეებში ცხოველი ხშირად კვებით თანრიგში მიწოდებულ საჭმელსაც არ ჭამს. ამავე პერიოდში პირობითი ნერწყვაც თითქმის სრულიად დაიკარგა ორივე თანრიგში და ძალი ძლიერ მოუსვენარი შეიქნა. მე-20 დღიდან ძალი შედარებით დაწყნარდა, ჯამიღან საჭმელს ყველა თანრიგში ღებულობდა და ნერწყვა და მოძრაობაც ყველა თანრიგში გააჩნდა. 23-ე დღეს დაყენებულ იქნა საკონტროლო ცდა, სადაც პირობითი გამღიზიანებელი ორიგი

თანრიგში ეძლეოდა შეუუღლებლად, ე. ი. არ უუღლდებოდა არც მტკივნეული გამლიზიანება და არც საკვები, ამასთანავე პირობითი ბეგრა ეძლეოდა 20° ხანგრძლივობით. ძალია ყველა თანრიგში იძლეოდა ძლიერ მოძრაობებს კიდურზე და წმიუტუნსაც, ნერწყვასაც, თუმცა შემცირებულს (2—4 წვეთი) ყველა თანრიგში. ძალის თავდაცვით თანრიგშიაც საორიენტაციო რეაქცია ყუთისაკენ ისეთივე ჰქონდა, როგორც კვებით თანრიგში. რათა კიდურზე მოძრაობები შემცირდებათ, მივმართე რამდენიმე დღის განმავლობაში პირობითი ბეგრის მხოლოდ საკვებთან შეუღლებას, მაგრამ ცვლილება თავდაცვით მოძრაობებში ვერ მივიღე. $\frac{1}{2}$ თვით შესვენების შემდეგ, ვინაიდან ძალი მოუსვენარი იყო, განვახლე პირობითი ბეგრის მხოლოდ საკვებთან შეუღლება, მაგრამ კიდურების მოძრაობა არ შესუსტებულა.

ამრიგად, „ბროლიაზე“ ერთ და იმავე პირობით გამლიზიანებელზე სხვადასხვაგვაროვანი (კვებითი და მტკივნეული) პირობითი რეაქციის აღზრდის ნაცვლად მივიღე შერეული რეაქცია—თავდაცვით-კვებითი. ამასთანავე ცლების მსვლელობაში გამოვლინდა, რომ ამ ძალზე თავდაცვითი რეაქცია კვებითს ჭარბობს, დრო და დრო კვებითი რეაქცია იჩრდილება და თავდაცვითი რეაქციის ფონზე ისპობა.

ძალი „მურა“. ამ ძალზე წინა წლებში ჩატარებული იყო ცდები უმთავრესად თავისუფალი მოძრაობის მეთოდით. ერთსა და იმავე პირობით გამლიზიანებელზე (ტ-ნი 600 რხ) მორიგეობით კვებითი და თავდაცვითი რეაქციის გამომუშავება ამ ძალზე „ბროლიას“-აგან განსხვავებით დავიწყე მას შემდეგ, რაც ამავე ტონზე გამოვიმუშავე ცალკე ძეგებითი და ცალკე თავდაცვითი რეაქციები. პირველად დაწყებულ იქნა კვებითი რეაქციის გამომუშავება. უკვე პირველ დღესვე მე-6 ცდიდან პირობითი რეფლექსი გამომუშავდა. სამი დღის განმავლობაში ამ რეფლექსის გამტკიცების შემდეგ შევუდექი ამავე ტონზე თავდაცვითი რეფლექსის გამომუშავებას, ე. ი. ამ ტონის ელექტროდენთან შეუღლებას. მე-4 ცდიდან მივიღეთ ზოგადი ხასიათის თავდაცვითი რეაქცია და, ამასთანავე, პირობით გამლიზიანებელზე მე-7 ცდიდან ნერწყვა შეწყდა. შემდეგ დღეს პირობითი თავდაცვითი რეაქცია ლოკალური გახდა და ძალი 1—2 წვეთ ნერწყვასაც იძლეოდა მტკივნეული გაღიზიანების მიცემის შემდეგ, მუშაობის მე-9 დღიდან დავიწყე პირობითი ტონის (600 რხ) მორიგეობით შეუღლება საკვებთან და ელდენთან. ყოველდღიურ ცდას ვიწყებდი პირობითი ბეგრის ხან საკვებთან და ხან ელდენთან შეუღლებით. მოძრაობითი რეაქციები ყველა თანრიგში იყო, მცირე ნერწყვაც გაჩნდა პირველი შეუღლების შემდეგ ყველა თანრიგში და თანდათან იმატა. როგორც „ბროლიაზე“, აქც მტკივნეულის თანრიგში და ისიც წინა კვებასთან შეუღლებიდან 3' ხარვეზის შემდეგ უფრო მეტი ნერწყვაც, ვიდრე კვებით თანრიგში. ასე გრძელდება 15—18 დღემდე. შემდეგში (მე-19 დღეს) აღმოჩნდა, რომ ძალი ნერწყვას კვებით თანრიგში უფრო მეტს იძლეოდა, ვიდრე თავდაცვით თანრიგში, თუმცა მოძრაობები კიდურისა რჩივე თანრიგში თანაბარი ჰქონდა. ამასთანავე დაიწყო მეორე კიდურის მოძრაობაც. ამის შემდეგ მას ზოგ დღეებში ჰქონდა მეორე კიდურის მოძრაობა, ზოგჯერ კი არა. შემდეგ დღეებში ნერწყვაც და თავდაცვითი რეაქციებიც ორივე თანრიგში იყო. ზოგ დღეებში მხოლოდ ნერწყვის შემცირებას ჰქონდა ადგილი, მოძრაობა კი მუდამ და ყველა თანრიგში ძლიერი იყო. ამიტომ, 23-ე დღიდან დავიწყე მტკივნეული (ელდენით) გაღიზიანების გარეშე პირობითი ბეგრის ხმარება, მაგრამ

მას თავის თანრიგში ვაულლებდი საკვებთან. ამასთანავე უკვე მოუმოგეთმა ყოველდღიურ ცდაში ვიწყებდი კვებითი შეულლებიდან; ამრიგად, უკვე დღე კერტი თანრიგი ცდებისა საკვებთან შეულლება იყო, ხოლო ლური კი— ელდენთან. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვით თანრიგში შეულლებას არ ვაძლევდი 4 დღის განმავლობაში, ამას ძალლის რეაქციებში თითქმის ცვლილება არ შეუტანია; თავდაცვითი რეაქციები და შემცირებული ნერწყვაც მას ყველა თანრიგში ჰქონდა. არც მუშაობის რამდენიმე (5) დღით შეწყვეტაში შეცვალა მდგომარეობა. 33-ე დღიდან ძალლს ხელახლად დაეტყო პირობითი ნერწყვის შემცირება თავდაცვის თანრიგში; ზოგჯერ ნერწყვა არ იყო არც ერთ თანრიგში. 41-ე დღიდან ისევ ვიწყე თავდაცვით თანრიგში ელდენთან შეულლებლობა, ე. ი. ვაწარმოებდი საჭმელთან პირობითი გამლიზიანებლის შეულლებას მარტო კვების თანრიგში. ასეთი სახით ცდების ჩატარების შედეგად მოიმატა მხოლოდ პირობითმა ნერწყვამ, რომელიც გამოიჩნდა თავდაცვით თანრიგშიაც. მაგრამ თავდაცვითი მოძრაობა კიდურისა არც ერთ თანრიგში არ შემცირებულა.

ამრიგად, „მურაზედაც“ ვერ იქნა მიღებული ერთი და იგივე პირობით გამლიზიანებელზე მორიგეობით კვებითი და თავდაცვითი რეაქციები, თუმცა მორიგეობით პირობითი გამლიზიანებელი შეულლებული იყო ორასამდე საკვებთან და ორასამდე ელდენთან. ამ რეაქციის გამომუშავების სურათი ძირითადად თანაბარი აღმოჩნდა „მურასა“ და „ბროლიაზე“, თუმცა „მურაზე“, განსხვავებით „ბროლიასი“, მორიგეობაში მუშაობის 33-ე დღიდან შევიტანე ცდათა შორის მტკიცე 3'-იანი ხარვეზი.

მესამე ძალლი „წარბა“ ლაბორატორიაში ახალი ძალლია. იგი მოყვანილ იქნა 1954 წლის მაისში. ფისტულის გაკეთების შემდეგ შეეჩვია ცდის პირობებს: დაზგაში დგომას, კაფსულის მიმაგრებას, ჯამიღან საჭმლის მიღებას და სხვა. ძალლი ძლიერ წყნარია. მასზე პირობით გამლიზიანებელს (გენერატორიდან 600 რბ ტონს) თავიდანვე მორიგეობით ვაულლებდი ერთ შემთხვევაში საკვებთან და მეორე შემთხვევაში—ელდენთან. დღეში სისტემატურად ათ ცდას ვაყენებდი, ე. ი. 5-ჯერ საკვებთან შეულლებით და 5-ჯერ—ელდენთან. ცდათა შორის ხარვეზები 3-დან 6'-მდე ცვალებადობდა.

ძალლი „წარბას“ ქცევა გარეთ, თავისუფალ მდგომარეობაში და ცდის დროს დაზგაზე დიამეტრულად განსხვავდებოდა. ცდის გარეშე ეს ძალლი ძლიერ ცოცხალი, მოუსვენარი და ყველასთან ლაქუცა იყო. მაგრამ დაზგაზე ასელისთანავე იგი მყის იცვლებოდა—წყნარდებოდა; კაფსულის მიკვრისა და ელექტროდების დადების შემდეგ იგი ერთ პოზის იღებდა და გაუნდრევლად. ჩემბოდა. გარდა ერთი პირისა, რომელიც მას აყენებდა დაზგაში, სხვას, თუ გინდ ბინაში მის მომელელს, კაბინაში შესულს ვერ ითმენდა—მაშინვე ცდილობდა მასზე ლრენითა და ყეფით მიგარდნას. თავისი ზოგადი ქცევით კაბინაში და კაბინს გარეთ ეს ძალლი ძლიერ ემსგავსება ი. პ. პავლოვის (9) მიერ აღწერილ ძალლის ტიპს.

პირველ დღეს ძალლს პირობით გამლიზიანებელზე არც კვებითი და არც მოძრაობითი რეაქცია არ გამოუმუშავდა. მეორე დღეს მეორე ცდაში, ე. ი. თავდაცვის თანრიგში მიღებულ იქნა ჯამისკენ თავის შემოტრიალება და ნერწყვა. შემდეგ დღესაც ყველა თანრიგში ნერწყვა და ჯამისკენ მიხედვა ბგერაზე მუდამა. მე-5 დღიდან კი ბგერის მიცემაზე თავს ჯამიღან განხე სწევს, აღარ დასცემის. მტკიცნეულის თანრიგში მტკიცნეული გალიზიანების შემდეგ

ნერწყვას აქვს ადგილი. არც ერთ თანრიგში პირობითი თავდაცვითი მომავალი არ მეღავნდება, ბევრამ ყველა თანრიგში მოიპოვა კვებითი თვისება. 10 დღის მუშაობის შემდეგ, ვინაიდან ბევრაზე ვერც ერთხელ ვერ მივიღე თავდაცვითი რეაქცია, გადავწყვიტე ყველა თანრიგში ბევრის მტკივნეულთან შეულლება და ამ გზით მასზე თავდაცვითი რეაქციის გამომუშავება. პირველ დღეს 15-ჯერ შევაუღლე ბევრა ელდენთან, მაგრამ თავდაცვითი რეაქცია ვერ მივიღე; უკანასკნელ 4 ცდაში ბევრის დროს ადგილი პქნდა მხოლოდ თავის მოუსვენარ მოძრაობას აქეთ-იქით და ელდენის მიცემისას წქმუტუნით კიდურის აწევასთან ერთად მთელი სხეულის გადანაცვლებას. ცდათა შორის ძალი სრულიად არ იძროდა, მხოლოდ მე-7 ცდაში, მტკივნეულის შემდეგ იწყო ცარიელი ჯამის ლოკვა. ნერწყვა ბევრაზე გრძელდებოდა, იძლეოდა 2—4 წვეთს, მეორე დღეს ბევრაზე კიდურის აწევა მივიღე მე-11 ცდაზე (თავიდან 26-ე ცდაზე). შემდეგ ცდებში იგი სუსტად ვლინდებოდა, მესამე დღესაც ხან იყო, ხან არა. ასევე შემდეგ დღესაც, ნერწყვა კი მუდამ იყო. მეხუთე დღეს ნერწყვა შეწყდა.

2 თვისა და 10 დღის შემდეგ ცდების განახლებისას ისევე თავდაცვითი რეაქციის გამომუშავებას შევუდექით. განახლებული ცდის პირველი დღის მე-6 ცდაზე გამოჩნდა კიდურის აწევა და პირველ ცდებში—ნერწყვაც. შემდეგ დღეს თავდაცვითი რეაქციები სისტემატური შეიქნა, ძალი ცდათა შორის აღარ იყო მოუსვენარი. ნერწყვა პირობით გამლიზიანებელზე ძლიერ შემცირდა.


ამის შემდეგ ისევ შევუდექი საკვებისა და ელდენის მორიგეობით შეულლებას. ზოგ დღიურ ცდას ვიწყებდი საკვებთან შეულლებით და ზოგს კი ელდენთან. პირველ დღეს ყველა თანრიგში არის კიდურის მოძრაობა, შემდეგ დღეშიც ასევე, მხოლოდ ბოლო ცდებში საჭმელს აღარ ჭამს. მესამე დღეს თავდაცვითი რეაქციები თანდათან მოისპო. ათი ცდიდან მხოლოდ სამ ცდაში, ნერწყვა კი უფრო გახშირდა. შემდეგ, მეორე დღეს, ბევრაზე კიდურის აღარ წევს, ნერწყვა ორივე თანრიგშია, თუმცა ბევრის მიცემაზე თავს ჯამიდან განხე წევს.

ამის შემდეგ გადავედით ცდათა შორის მუდმივი ხარვეზების დაცვაზე, რათა ამით გაგვეადვილებინა ძალისათვის ამოცანა. ცდათა შორის ხარვეზები მუდამ 4'-ი იყო. ოთხი დღის განმავლობაში ამ წესით მუშაობითაც ვერავითარი ცვლილება ვერ მივიღეთ: თავდაცვითი რეაქცია არ გამომუშავდა, ნერწყვა კი ორივე თანრიგში 4—5 წვეთი იყო. ელდენის მიცემაზე ძალი ხშირად პირს ილოკაცია. მე-5 დღიდან ძალმა იწყო ცდათა შორის მოუსვენობა. ნერწყვა თუმცა ყველა თანრიგში იყო, მაგრამ კვებით თანრიგში უფრო მცირე ფარული პერიოდი ახსიათებდა და უფრო მეტი რაოდენობითაც გამოიყოფოდა, ვიდრე თავდაცვით თანრიგში.

მუშაობის 38-ე დღის შემდეგ ვიწყებდი ყოველდღიურ ცდას ერთი და იმავე სახის შეულლებით, სახელდობრ, კვებითი შეულლებით. ამრიგად, ყოველი კენტი ცდა კვებასთან ულლდებოდა და ყოველი ლუწი — კი ელდენთან. ასეთი წესით ცდების განახლების პირველ დღესვე ერთ ცდაში მივიღეთ ბევრაზე კიდურის აწევა, მაგრამ ნერწყის გამოყოფის დამატებით. ამის შემდეგ დღეებში თანდათან გახშირდა ბევრაზე კიდურის რიტმული მოძრაობა;

ნერწყვა, თუმცა შემცირებული, მაგრამ ყველა თანრიგში იყო, უფრო მეტად
კი—კვებით თანრიგში (იხ. ნახ. 1)*.

რამდენიმე დღის შემდეგ თავდაცვით თანრიგში ცხოველი აწარმოებს
თავდაცვით რეაქციას თუ არა—ნერწყვა მაინც არაა; კვებით თანრიგში კი
მოძრაობა არასოდეს არ არის და ნერწყვას კი მუდამ აქვს ადგილი. ამასთა-



ნახ. 1.

ძაღლი „ჭარბა“. 20/10 1954 წ. რეფლექსის გამომუშა-
ვების პირველ სტადიაში ნერწყვი ორივე თანრიგშია,
მაგრამ მეტია კვებითში (კენტ თანრიგში), ვიდრე თავ-
დაცვითში (ლუწში).

ნავე შეიმჩნა, რომ თავდაცვითი ცდის წინ ხარვეზებში ძაღლი მოუსვენრობას
იჩენდა, კვებითი თანრიგის წინ კი მშვიდად იყო და მხოლოდ ნერწყვის
გამოყოფას ჰქონდა ადგილი (იხ. ოქმი № 1).

რამდენიმე (5) დღის შემდეგ მოისპო ხარვეზებში ცხოველის მოძრაობა.
ამასთანავე რეაქციათა მორიგეობა სრულყოფილია: ლუწ თანრიგში მხოლოდ
კიდურის აქვას აქვს ადგილი და კენტ თანრიგში—მხოლოდ ნერწყვის გამო-
ყოფას (იხ. ოქმი № 2).

* სურათებზე აღინიშნება: I სუნთქვა; II. თავის მოძრაობა; III მარჯვენა წინა კიდუ-
რის მოძრაობა; IV მარცხენა წინა კიდურის მოძრაობა; V ნერწყვი წვეთებში; VI უპირობო-
ბრი საჭრაობა—კენტ თანრიგში საჭმელი, ლუწში კი ელდენი; VII პირობითი გამდინანებე-
ლი (ტონი გვერატორიდან—600 რს) და VIII დრო წამებში.

არაბული ციფრებით აღინიშნება ცდის რიგითი № და ცდების დრო.

ოქტო № 1

მარკაზე გამოსახული

ძალი „წარბა“ 1 ნოემბერი 1954 წ.

ძალი თავდაცვით თანრიგში, ე. ი. წყვილად ცდაში ნერწყვას არ იძლევა და კვებით თანრიგში პირობით ნერწყვას მუდამ აქვს ადგილი. ამასთანვე თავდაცვის წინ ცდათა შორის ხარებში მოძრაობს და მოუსვენარია, კვებით თანრიგის წინ კი მშევიდათაა და ნერწყვის გამოყენას აქვს ადგილი.

№	სახელი და გვარი	გალიზიანების ხასიათი				ცხველის რეაქციის ხასიათი
			ნაირული და მიმდევად მდგრადი	ზურბული და მიმდევად მდგრადი	ნერწყვის და მიმდევად მდგრადი	

(ზღურბლი მტკიფნებლი გალიზიანებისა უდრის 9 სანტ., ალებულია 8,5 სანტ.)

3	126.8'	ბგერა 600 რს 10"+ქ.	167	5	3	დახვედა ცალმხრივად ყუთს, გა- ხსნისთანვე ჭამს.
---	--------	------------------------	-----	---	---	--

(ცდის ხარვეზში ხშირი მოძრაობა მე-3'-ზე დაწყებული)

4	126.12'	ბგერა 600 რს 6"+ელ.	167	3	-	ფეხის ძლიერი აწევა
---	---------	------------------------	-----	---	---	--------------------

(ხარვეზში არავითარი მოძრაობა არაა. 3'-დან 3 წვეთი ნერწყვი)

5	12 ს. 16'	ბგერა 600 რს 10"+ქ.	168	4	4	ბგერაზე მყის თავის შერჩევა. განზე გადახდას ჭამს, გახსნისთ- ანავე ჭამს.
---	-----------	------------------------	-----	---	---	--

(ხარვეზში კიდურის აწევა 2-ზე და 3,5 წუთზე).

6	12 ს. 20'	ბგერა 600 რს 10"+ელ.	168	9	1	არ იძერის, ელდენის მიღებაზე ძლიერი რეაქციები.
---	-----------	-------------------------	-----	---	---	--

(ხარვეზში 3 წვეთი ნერწყვი: 1, 5'-ზე, 2, 5 და 3, 5-ზე.)

7	12 ს. 24'	ბგერა 600 რს 10"+ქ.	169	3	4	ბგერაზე გადახდას ჭამს, გახს- ნისთანვე ჭამს.
---	-----------	------------------------	-----	---	---	--

(ხარვეზში 3-დან კიდურის აწევა ორჯერ)

8	12 ს. 28'	ბგერა 600 რს 10"+ელ.	169	3	-	კიდურის აწევა. ნერწყვი არაა
---	-----------	-------------------------	-----	---	---	-----------------------------

(ხარვეზში ერთი წვეთი ნერწყვი).

9	12 ს. 32'	ბგერა 600 რს 10"+ქ.	170	5	3	ბგერაზე გადახდას ჭამს, გახსნისთანვე ჭამს.
---	-----------	------------------------	-----	---	---	--

(ხარვეზში ხშირი მოძრაობებია, როგორც კიდურის აწევის, ისე სხეულის
საერთო გადანაცვლების).

10	12 ს. 36'	ბგერა 600 რს 10"+ელ.	170	-	-	არ იძერის. მტკიფნებლები ძლი- ერი რეაქცია
----	-----------	-------------------------	-----	---	---	---

¹ ჭ.—აღნიშნულია საჭმელთან შეულლება² ელ.—აღნიშნულია ელდენთან შეულლება.

თ ქ მ ი № 2
ძალით „წარჩა“ 6 ნოემბერი 1954 წ.

მარკის დაცვის
გამოყენების შემთხვევა

სრული მორიგეობა თავდაცისა და კვებითი რეაქციებისა ერთ და იმავე
პირის გამოიზიანებელზე

რიცხვი	გალიზიანების ხასიათი	გალიზიანების ხასიათი	გალიზიანების ხასიათი	გალიზიანების ხასიათი	რეაქციის ხასიათი
--------	----------------------	----------------------	----------------------	----------------------	------------------

(ზღურბლი მტკივნეულ გალიზიანებისა 8,5 სანტ. აღებულია 8 ს.)


1	12 ს.	ბგერა 600 რხ 5''+ჭ.	186	3	3	ბგერის მიცემისთანავე რეაქცია ყუთისკენ. გახსნისას ჭამს.
2	12 ს. 4'	ბგერა 600 რხ 5''+ელ.	186	4	—	თავის განშე გაწევა და მარცხენა კიდურის აწევა 5''-ზე 1 წევთი ნერწყვით.
3	12 ს. 8'	ბგერ 600 რხ 10''+ჭ.	187	3	7	ბგერის მიცემისთანავე თავის შე- რწყვა ყუთისკენ. გახსნისთანავე ჭამს.
4	12 ს. 12'	ბგერა 600 რხ 10''+ელ.	187	3	—	კიდურის ძლიერი აწევა. მტკივ- ნეულის მიცემისას 1 წე. ნერწყვით.
5	12 ს. 16'	ბგერა 600 რხ 10''+ჭ.	188	2	6	ბგერის მიცემისას რეაქცია ყუთი- სკენ. გახსნისას ჭამს.
6	12 ს. 20'	ბგერა 600 რხ 10''+ელ.	188	2	—	შეირჩა. თავი განშე გასწია და კიდური ძლიერი აწია.
7	12 ს. 24'	ბგერა 600 რხ 10''+ჭ.	189	9	1	ბგერაზე ოდნავ შეირჩა თავი, განშე გახედა ყუთს. გახსნისთა- ნავე ჭამს.
8	12 ს. 28'	ბგერა 600 რხ 10''—ელ.	189	3	—	2''-ზე შეირჩა და აწია მარცხენა კიდური, ძლიერ აწევული უკავია. 8''-მდე, მტკივნეულის მიცემისას ისევ აწია. ნერწყვა არა.
9	12 ს. 32'	ბგერა 600 რხ 10''—ჭ.	190	7	4	ბგერაზე საორიენტაციო ყუთი- სკენ. გახსნისთანავე ჭამს.
10	12 ს. 36'	ბგერა 600 რხ 10''—ელ.	190	3	—	ბგერაზე მყის შეირჩა, გადაინა- ცვლა მეორე ფეზზე. 3''-ზე მარ- ცხენა კიდურის ძლიერი აწევა.

იმის გასარკვევად, თუ რა როლი შეიკუთხება ამ მორიგეობის დაყა-
რებაში საჭმლის მიცემას ან პირობით გამლიზიანებელს, ჩატარებულ იქნა შემ-
დეგი სახის საკონტროლო ცდა: ერთხელ ცხოველს კვებით თანრიგში პირო-
ბითი ბგერის გარეშე მიეცა საჭმელი და მეორედ იმავე თანრიგში მიეცა
მხოლოდ პირობითი ბგერა საჭმელთან შეუულებლად.

პირველ შემთხვევაში პირობითი ბგერის თავდაცვით თანრიგში მიცემამ
გამოიწვია ცხოველის კიდურის აწევა და მეორე შემთხვევაში კი მხოლოდ
ნერწყვითი რეაქცია (იხ. ოქმი № 3, ნახ. 2).

ასეთივე ცდები ჩატარებულ იქნა განმეორებით რამდენიმე დღის შემდეგ
და იგივე შედეგი იქნა მიღებული. ამრიგად, გამოირკვა, რომ ამ მორიგეობის
დაყარებაში, სახელდობრ, კვებითი თანრიგის შემდეგ მიცემულ ბგერაზე თავ-
დაცვით რეაქციას აპირობებს არა პირობითი ბგერა, არამედ ცხოველის მიერ
საჭმლის მიღება.

04036320
80220000033



55b. 2.

ଦାଲ୍ଲୀ ପାଇଁ ୮୩ ରକ୍ତାଳି । 16. XI. 54 ଫି. କ୍ଷେତ୍ରିକ ତାନନ୍ଦିଗଢ଼ି (ପ୍ରଦା 5) ଦଶକିଲି
ଗାର୍ଜେଶ୍ଵି ସାକ୍ଷମଣିଲି ମିଶ୍ରମିଳି ଶୈମଦ୍ଦେଖ (ପ୍ରଦା 6) ଦଶକିଲା ନିତ୍ୟକୁଳ ତାଙ୍ଗଦାତ୍ରୀତ
ରହ୍ୟାକ୍ଷରିତାଳି, ମାଗରାମ କ୍ଷେତ୍ରିକ ତାନନ୍ଦିଗଢ଼ି (ପ୍ରଦା 9) ସାକ୍ଷମଣିଲି ଗାର୍ଜେଶ୍ଵି ଦଶକ-
କିଲି ମିଶ୍ରମିଳି ଶୈମଦ୍ଦେଖ ଦଶକିଲାଙ୍କ (ପ୍ରଦା 10) ନିତ୍ୟକୁଳ ବସ୍ତି ବ୍ରଦ୍ଧିପ୍ରଭା ଦା-
ରା ତାଙ୍ଗଦାତ୍ରୀତ ରହ୍ୟାକ୍ଷରିତାଳି ।

ოქთი № 3
ძაღლი „წარბა“ 16. XI 54 წ.

თავდაცვით და კვებით მორიგეობაში პირობითი გამლიზიანებლის და საჭმლის მნიშვნელობა

სახელი როგორ	გვარი დღი	გადაწყვიტილების ხასიათი	სულ რამდენჯერა ნიცადი გადაწყიტების	პირობები. რეაქციის ფაზა.	პირ. წერძიშვილს რა- ოდენობა წევთხდი	რეაქციის ხასიათი.
1	2	3	4	5	6	7
გადაწყიტილების დღი	გადაწყიტილების ხასიათი	სულ რამდენჯერა ნიცადი გადაწყიტების	პირობები. რეაქციის ფაზა.	პირ. წერძიშვილს რა- ოდენობა წევთხდი	რეაქციის ხასიათი.	



(ზოგრობლი 7,5 სანტ. ალებულია 7 სანტ.)

4	2 ს. 12'	ბგერა 600 რჩ 5"+ელ.	217	3		შეირხა 1—2"-ზე და 3"-ზე ასწია კიდური.
5	2 ს. 16'	საჭმელი	2	—	—	გახსნისთანავე მიგარდა, ჭამს. ნერწყვა დაიწყო 7"-დან.
<p>(ზარვეზში ორჯერ ფეხის აწევა).</p>						
6	2 ს. 20'	ბგერა 600 რჩ 5"+ელ.	218	2		საერთო მოძრაობა და კიდურის აწევა.
7	2 ს. 24'	ბგერა 600 რჩ 5"+ჭ.	219	4	1	შეირხა. მოიხედა ჯამისკენ: გახ- სნისთანავე ჭამს.
8	2 ს. 28'	ბგერა 600 რჩ 5"+ელ.	219	2		შეირხა 1". ასწია კიდური 2". ნერწყვა არაა.



1	2	3	4	5	6	7	სამიზნო დოკუმენტი
9	2 ს. 32'	ბგერა 600 რს 10''	1	4	5	შეირჩა. მიიხედა ჯამისკენ. ბგერას შეწყვეტის შემდეგ კიდევ 4 წ. ნერწყვი.	
10	2 ს. 36'	ბგერა 600 რს 10''+ელ.	220	7	3	თავს მიატრიალებს ყუთისკენ. მტკიცნეულის შემდეგ კიდევ 2 წ. ნერწყვი.	

იმის გასარკვევად, თუ რა მნიშვნელობა მოიპოვა შაბღლონურმა თანრიგმა აღნიშნული მორიგეობის დამყარებაში, ერთ დღეს ვცალე პირველი ცდის დაწყება არა საჭმელთან, არამედ მტკიცნეულთან შეუღლებით და შემდეგ დღეს კი ზღურბლი წინასწარ არ მოვძებნე.



ნახ. 3.

ძაღლი „წარბა“ 23. XI 54 წ.
პირველ ცდაში ბგერა (კენტი თანრიგი) უზღლდება ჩვეულებისამებრ არა საჭმელს, არამედ ელდენს; ცხოველი ელდენს თავდაცვით არ რეაგირობს, იწვევა ნერწყვა. თავდაცვით რეაგირობს ელდენის მხრიდან მეორედ მიცემას.

ძაღლი მუდამ იძლეოდა ნერწყვის გამოყოფას და არა მოძრაობას (იხ. ნახ. 5).


როგორც საკონტროლო ცდებიდან გამოირკვა, ამ სხვადასხვაგვაროვან რეაქციებში თავისითავადი მორიგეობა კი არ ყოფილა, არამედ ამ მორიგეობის პირობამდებელი გამოდიოდა წინა ცდაში შესრულებული რეაქციის ხასიათი. მაგალითად, როდესაც ცხოველს მიიღწოდეთ ზედიზედ ორ ცდაში პირობითი

ორივე დღეს მორიგეობა დაირღვა, იგი აღსდგა მხოლოდ დღის ბოლო ცდებში. თუ რამდენად მნიშვნელოვანი გამხდარა ყოველდღიურად ცდის გარკვეული გალიზიანებით დაწყება, ნათლად გამოჩნდა პირველი ცდის საჭმელთან შეუღლების ნაცვლად მტკიცნეულთან შეუღლებიდან: ძაღლი მტკიცნეულ გალიზიანებას საკმაოდ დაგვიანებით პასუხისმგებლად, თითქოს მოუღლოდნელობის გამო (იხ. ნახ. 3).

მორიგეობაში პირობითი გამლიზიანებლის მნიშვნელობა შემოწმეულ იქნა აგრეთვე თავდაცვით, ე. ი. ლუწ თანრიგში; სახელდობრ, ცხოველს დაგვეწყვეთ ლუწ თანრიგში ელდენის ბგერის გარეშე მიცემა და ვაკვირდებოდით შემდეგ მიცემულ ბგერაზე რეაქციას—იგი მუდამ კვებითი იყო,—მასზე ცხოველს არც ერთხელ არ ჰქონდა ტენდენცია კიდურის აწევისა, იძლეოდა მხოლოდ ნერწყვას. საჭმლის მიღების შემდეგ ბგერა ისევ იწვევდა თავდაცვით რეაქციას (იხ. ნახ. 4 და ოქმი № 4).

შემდეგ დღეს ლუწ, ე. ი. მტკიცნეულის თანრიგში მივეცით მხოლოდ პირობითი ბგერა გამხოლობებულად—შეუღლებლად მტკიცნეულთან, მაგრამ ამით კვებით თანრიგში რეაქცია არ აშლილა: მომდევნო ბგერაზე ძაღლი მუდამ იძლეოდა ნერწყვის გამოყოფას და არა მოძრაობას (იხ. ოქმი № 5).

როგორც საკონტროლო ცდებიდან გამოირკვა, ამ სხვადასხვაგვაროვან რეაქციებში თავისითავადი მორიგეობა კი არ ყოფილა, არამედ ამ მორიგეობის პირობამდებელი გამოდიოდა წინა ცდაში შესრულებული რეაქციის ხასიათი. მაგალითად, როდესაც ცხოველს მიიღწოდეთ ზედიზედ ორ ცდაში პირობითი



ჩან. 4.

ძალლი „წარბა“ 29. XI. 54 წ.

ბგერის გარეშე ელდენით გაღიზიანების შემდეგ მიცემულ ბგერაზე ძალლი ნერწყებს გამოყოფს

ოქმა № 4

ძალლი „წარბა“ 29 ნოემბერი 1954 წ.

პირობითი ბგერის გარეშე ელდენის მიცემა მორიგეობას
არ არღვევს

რიგ. №	სახელი და გვ. გვ.	გაღიზიანების ხასიათი	სულ ნაცვლი ნიანება	პირ. ზე გამო მოდე	პირ. ზე გამო მოდე	პირ. ზე გამო მოდე	რეაქციის ხასიათი
1	2	3	4	5	6	7	
		(ზღურბლი 10 სანტ. აღებულია 9,5 სანტ.).					

1	11 ს.	ბგერა 600 რს 10"+ჟ.	226	8	2	დასჩერებია ყუთს. გახსნისთა- ნავე ჭამს.
2	11 ს, 4'	ელდენი	1	2-3		მოულოდნელობა. —შეგვიანებით იწყო კიდურის აწევა. ნერწყები არაა.
3	11 ს. 8'	ბგერა 600 რს 15"+ჟ	227	7	5	დასჩერებია ყუთს. გახსნისას ჭამს.
4	11 ს. 12'	ელდენი	2			იძლევა რეაქციას მტკიცნეულზე, კიდურის აწევისას, ნერწყები არაა.
5	11 ს. 16'	ბგერა 600 რს 15"+ჟ	228	9	2	შეირჩა, თავი იღნავ დახარა ყუ- თისაკენ. გახსნისას ჭამს.
6	11 ს. 20'	ელდენი	3			1-2' ასწია კიდური. ნერწყები არაა.
7	11 ს. 24	ბგერა 600 რს 15"+ჟ	229	6	6	ბგერაზე თავს ყუთისაკენ დას- წევს. გახსნისას ჭამს.
8	11 ს. 28'	ელდენი	4			1' აწევა კიდურისა. ნერწყები არაა.

1	2	3	4	5	6	7
9	11 ს. 32'	ბგერა 600 რხ 15°+ჭ	230	4	6	ბგერაზე მყის შეირჩა, დააჩერდა ყუთს. გასნისას ჭამს.
10	11 ს. 36'	ბგერა 600 რხ 5°+ელ.	226	3		ბგერაზე მყის შეირჩა მოვლი სხეულით. 3° კიდურის აწევა. მტკიცნეულის შემდეგ 7°-ზე 1 წე. ნერწყვი

ოქთი № 5
ძაღლი „წარბა“ 30 ნოემბერი 1954 წ.

ლუწ თანრიგში პირობითი ბგერის ელდენთან შეუზღულებლად მიცემა
კვებითი რეაქციის მორიგეობას არ შელის

რიცხვი	გაღიზიანების დრო	გაღიზიანების ხასიათი	შენარჩუნებული მუხლები	შენარჩუნებული მუხლები	შენარჩუნებული მუხლები	რეაქციის ხასიათი
			სულ დანერგული სულ დანერგული სულ დანერგული	არ და არ და არ და	არ და არ და არ და	


(ზღურბლი 10 სმ, ალტულია 9,5 სმ.).

1	11 ს.	ბგერა 600 რხ 5°+ჭ	231	3	4	დასჩერებია ყუთს, გახსნისას ჭამს.
2	11 ს. 4'	ბგერა 600 რხ 5"	1	3		ასწია ფეხი და გადაინაცვლა ად- გილი. 5" 1 წე. ნერწყვი.
3	11 ს. 8'	ბგერა 600 რხ 10°+ჭ	232	3	3	ბგერის მიცემაზე დასჩერებია ყუთს, გახსნისას ჭამს.
4	11 ს. 12'	ბგერა 600 რხ 10"	2	3		შეირჩევა. 3° აწევს კიდურს რიტ- მულად 3-ჯერ და 7" ძლიერ აწევს. 10" 1 წე. ნერწყვი.
5	11 ს. 16'	ბგერა 600 რხ 10°+ჭ	233	9	1	ბგერაზე ყუთისაკენ საორიენტა- ციო რეაქცია. გახსნისას ჭამს.
6	11 ს. 20'	ბგერა 600 რხ 10"	3	3		შეირჩევა ბგერაზე, 3° ფეხის აწევა. ნერწყვა არა.
7	11 ს. 24'	ბგერა 600 რხ 10°+ჭ	234	3	3	ბგერაზე ყუთისაკენ მიტრიალდება, გახსნისთანავე ჭამს.
8	11 ს. 28'	ბგერა 600 რხ 15"	4	5		მოძრაობა 5°, სუსტი აწევა კი- დურის, 13" კიდუვ აწია. ნერწყვა არა.
9	11 ს. 32'	ბგერა 600 რხ 15°+ჭ	235	11	3	ბგერაზე ყუთს დასჩერებია. გა- ხსნისას ჭამს.
10	11 ს. 36'	ბგერა 600 რხ 10°+ელ.	227	3		შეირჩა ბგერაზე 3° რამდენჯერ- მე ფეხის აწევა. ნერწყვა არა.

ბგერა ელდენთან შეუძლებით, შემდეგ, მესამე ცდაში მიცემულ ბგერაზე მან
უბასუხა კვებითი რეაქციით (იხ. ნახ. № 5).

ასევე, როდესაც მივეცით ზედიზედ ორ ცდაში პირობითი ბგერა საჭ-
მელთან შეუძლებით, მესამე ცდაში ცხოველმა პირობით ბგერაზე უბასუხა
თავდაცვითი რეაქციით (იხ. ნახ. № 6).

როგორც ზევით აღვნიშნეთ, რათა ძალისათვის გამეაღვილებინა სხვა-
დასხვაგვაროვანი რეაქციების მორიგეობის გამომუშავება, ცდათა შო-



ნახ. № 5.

ძალლი „წარბა“ 15. XII 54 წ.

პირობითი გამღიზიანებელი ბგერა ზედიზედ ორ (2—და 3) ცდაში უუღლდება ელდენს, ამის შემდეგ მიცემულ ბგერაზე (ლუწ თანრიგში, ცდა 4) ძალლი ნერწყვს გამოყოფს.

ოქთ. № 6


ძალლი „წარბა“ 21 დეკემბერი 1954 წ.

რიც. №№	საცისიანებელი და დანართი	გაღიზიანების ხასიათი	სულ ნაცისტული ზიანები	პირობების ზურგული ფართი	რაზე ნერწყვის დღესასწაული	რეაქციის ხასიათი
---------	--------------------------	----------------------	-----------------------	-------------------------	---------------------------	------------------

(ზღურბლი 13 სმ. აღებულია 12,5 სმ.)

4	11 ს. 12'	ბგერა 600 რს 12''+ელ	297	—	—	შეირბა ბგერაზე. 3'' ასწა კიდური 5'' 1 წ. ნერწყვი.
5	11 ს. 16'	ბგერა 600 რს 10''+ჭ	311	9	1	2'' დასჩერებია ყუთს. გახსნისას კაჟს.
6	11 ს. 20'	ბგერა 600 რს 2''+ჭ	312	—	—	ყუთი ეხსნება 2''—ძალლი უცად მიიხდავს, დახრის თავს და იწყებს ჭამას. ნერწყვი ჭამის დაწყებიდან მე-3'-ზე.
7	11 ს. 24,	ბგერა 600 რს 10''+ელ	298	4	—	მყის შეირბა, 5''-ზე ასწა კიდური.

რის მუდმივ 4'-ნი ხარვეზი ავიღე. მას შემდეგ, რაც ეს მორიგეობა დამყარდა, რა როლი ჰქონდა ამაში ცდათა შორის მტკაცე დროს დაწყებულების ამავე გასარევევად ჩვენ საკონტროლო ცდაში შევცვალეთ დრო ერთობრად შეცვირებით და ერთობრად გადიდებით, ე. ი. ავიღეთ ცდათა შორის როგორც 2'-ანი, ისე 8'-ნი ხარვეზები; აღმოჩნდა, რომ ძალით ამ პირობებშიც იცავდა მორიგეობას კვებითი და თავდაცვითი რეაქციებისას (იხ. ნახ. 6.).



ნახ. № 6.

ძალლი „წარბა“ 24. III. 1955 წ.

მორიგეობა კვებითი და თავდაცვითი რეაქციებისა ცდათა შორის 2,4 და 8 წუთიან ხარვეზებში.

მიღებულ შედეგთა განხილვა

ერთ და იმავე გამლიზიანებელზე მორიგეობით კვებითი და თავდაცვითი რეაქციების გამომუშავებისას ძალებზე გამოირკვა, რომ ეს ამოცანა მეტისმეტად ძნელი ამოცანაა ძალლის უ. ნ. მოქმედებისათვის. როგორც ფაქტური მასალიდან ჩანს, „ბროლიასა“ და „მურაზე“, მიუხედავად ხანგრძლივი მუშაობისა, ვერ შევძელით ასეთი მორიგეობის გამომუშავება; არსებითად ორივე ძალლი, როგორი ვარიაციითაც არ უნდა დაგვეწყო მათზე ამ მორიგეობის გამომუშავება (წინასწარ პირობით ბეგრაზე ცალკე კვებითი და ცალკე თავდაცვითი რეაქციების გამომუშავების შემდეგ მორიგეობაზე გადასცლით, თუ თავიდანვე პირობით გამლიზიანებელზე კვებისა და ელდენის მორიგეობით შეუღლებით), შედეგი მაინც ერთი იყო: ბეგრაზე მუდამ პასუხობდნენ შერეული რეაქციებით—კიდურის მოძრაობით ან ნერწყვის გამოყოფით. იყო პერიოდები, როდესაც ნერწყვის გამოყოფა იქარებოდა და თავდაცვითი რეაქციები კი მუდამ იყო. მაგრამ საერთოდ თავდაცვითი რეაქციის სიჭარბის ფონზე ნერწყვაც აღინიშნებოდა ყველა თანრიგში. ამრიგად, „ბროლიასა“ და „მურაზე“ მიღებული შედეგებით კვებითი და თავდაცვითი რეაქციების ურთიერთობა ჩვენ შემთხვევაშიაც, მსგავსად წინამორბედ ავტორებისა (5, 6, 7), თავდაცვითი რეაქციების უძირატესობით აღინიშნება, რომლის შემცირება ჩვენ ვერ მივიღეთ მთელი რიგი დღეების განმავლობაში პირობით გამლიზიანებლის ელდენთან შეუღლებლად მიცემის მიუხედავად.

რაც შეეხება ძალლ „წარბას“, რომელიც პირველად იყო გამოყენებული პირობით რეფლექსებზე მუშაობაში, მასზე აღნიშნული სახის მორიგეობა წანა გრძლივი მუშაობის შემდეგ იქნა მიღწეული.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ ძალლზე, განსხვავებით სხვა ძალლებისაგან, თავდაცვითი რეაქცია პირობითი ბერების მორიგეობით საჭმელთან და ელდენთან ათი დღის განმავლობაში შეულლებისას ვერ მივიღე და ბერები ყველა თანრიგში მოიპოვა მხოლოდ კვებითი თვისება—მასზე ნერწყვის გამოყოფა მუდამ ჰქონდა ადგილი; თვით ელექტროლენით შეულლებაც კი არ სპობდა ამ ნერწყვას.

თავდაცვითი რეაქციის გამომუშავება შევძელი მხოლოდ კვებითი მორიგეობის გამორიცხვის შემდეგ, ე. ი. პირობით გამლიზიანებელთან მხოლოდ ელდენის შეულლებისას და ისიც მეორე დღეს 26-ე შეულლებიდან. ამასთანავე დამჭირდა გამხოლოებულად თავდაცვის რეაქციაზე კიდევ რამდენიმე დღით მუშაობა, რათა იგი გამემტკიცებინა. ამის შემდეგ, თავდაცვისა და კვებითი რეაქციების მორიგეობით გამომუშავებამ სასურველი შედეგი არ მომცა. პირველ დღეებში მოძრაობა ყველა თანრიგში იყო, მაგრამ შემდეგ იგი თანდათან მოისპო და ბერებაზე ყველა თანრიგში მხოლოდ ნერწყვითი რეაქცია დარჩა. ბოლოს ცდათა შერის ხარვეზების ხანგრძლიობის ცვლა შევწყვიტე მუდამ 4' ხარვეზის დაცვით; 10 დღის მუშაობის შემდეგ, როდესაც ელდენის მორიგეობით შეულლება უდრიდა 117, პირველად მივიღე პირობით გამლიზიანებელზე კიდურის აწევა. კიდევ რამდენიმე დღის მუშაობის შემდეგ ეს რეაქცია შედარებით გამტკიცდა, მაგრამ კვებითი რეაქციები ჭარბობდა და თავდაცვითი რეაქციის გამოვლინება შერეული გამოდიოდა კვებით რეაქციასთან, (იხ. ნახ. № 1), ხოლო კვებითი თანრიგის რეაქცია არც ერთ შემთხვევაში არ არეულა თავდაცვითში, კვებით თანრიგში ბერებაზე ძალლი მუდამ მხოლოდ ნერწყვას და ყუთისაკენ ცქერას იძლეოდა (იხ. ოქმი № 1). ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ „წარბაზე“ კვებითი რეაქციები უფრო ჭარბობდა, ვიდრე თავდაცვითი.

როგორც საქონტროლო ცდებმა გამოარევია, ინიშნული სახის რეაქციები არ წარმოადგენდა მხოლოდ პირობით ბერებისთან დაკავშირებულ უბრალო მორიგეობას, ვინაიდან როდესაც კვების თანრიგში მივეცი ბერება კვებასთან შეულლებლად, შემდეგ ცდაში მიცემულ ბერებას თავდაცვითი რეაქცია კი არ გამოუწევია, არამედ ისევ კვებითი (იხ. ნახ. № 2 და ოქმი № 3).

ლუწ-კენტის მორიგეობა იშლებოდა იმ შემთხვევაშიაც, თუ ჩვენ ცხოველს ზედიზედ ვაძლევდით პირობით გამლიზიანებელს საჭმელთან ან ელდენთან შეულლებით: თუ ბერება ეძლეოდა ორ მიმდევნო ცდაში საჭმელთან შეულლებით, მესამეჯერ ბერებაზე ცხოველი პასუხობდა არა ისევ კვებითი, არამედ თავდაცვითი რეაქციით და ასევე ორ ცდაში ბერებასთან ზედიზედ ელდენის შეულლების შემთხვევაში მესამედ მიცემულ ბერებაზე იძლეოდა არა თავდაცვით, არამედ კვებით რეაქციას (იხ. ნახ. № 5 და ოქმი № 6).

მაგრამ ძალლს მორიგეობა არ აშლია პირობითი ბერების გარეშე თავის თანრიგში მიცემული საჭმლის ან ელდენის მიცემის შემთხვევაში (იხ. ნახ. № 2 და № 4 და ოქმი № 3 და № 4).

ეს გარემოება ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ ერთსა და იმავე ბერებაზე სხვადასხვაგაროვანი რეაქციის აღზრდაში პირობითი ბერება შედარებით მეორეხარისხოვან როლში გამოდის და ცხოველისათვის მნიშვნელობა უნდა ეძლეო-

დეს სხვა, უფრო მეტად გამსაზღვრელ გამლიზიანებელს. იმდენად, რამდენად—
დაც საჭმლის მიცემის შემდეგ მიცემული ბეგრა იწვევს თავდაცვით რეაქციას, კუნდა
ვფიქრობთ, რომ ჩვენ შემთხვევაში მნიშვნელოვანი უნდა იყოს პირობით ბეგ-
რასთან ერთად პირის ღრუს გალიზიანება საკვებით და ჭამის ღროს პრო-
პრიოცეპტულ გალიზიანებათა თანმიმდევრული კომპლექსი, როგორც სიგნალი
მომდევნო თავდაცვითი რეაქციისათვის, მიმყოლი რეაქციის სახით. რაც შეე-
ხება თავდაცვითი რეაქციის შემდეგ პირობით გამლიზიანებელზე კვებითი რეაქ-
ციის გამოვლინებას, ვფიქრობთ, რომ ეს ძირითადად გაბირობებულია გამლი-
ზიანებელთა იმ თანმიმდევრული კომპლექსით, რომელიც შედგება პირობითი
გამლიზიანებლისა და კიდურის აწევისას კუნთების პროპრიოცეპტორთა გალი-
ზიანებისაგან.

დ ა ს პ ვ ნ ა

1. ერთი და იმავე პირობით გამლიზიანებელზე მორიგეობით კვებითი
და თავდაცვითი რეაქციების გამომუშავება ძალზე ძალიან ძნელია. უმთავრე-
სად მყარდება შერეული სახის რეაქცია: თავდაცვითი და კვებითი, სადაც
უმთავრესად თავდაცვითი რეაქცია ჭარბობს.

2. ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ შესაძლებელი გახდა ერთსა და იმავე
ტონზე მორიგეობით, დიფერენციულად, კვებითი და თავდაცვითი რეაქციების
გამომუშავება იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ცდათა შორის ხარვეზები 2-დან,
8-მდე იცვლებოდა.

3. აღნიშნული მორიგეობის გამომუშავება უმთავრესად უნდა წარმოებ-
დეს, ერთი მხრივ, საჭმლით პირის ღრუსა და პირის პროპრიოცეპტორთა გა-
ლიზიანებისა და, მეორე მხრივ, კიდურის აწევისას კუნთების პროპრიოცეპ-
ტორთა გალიზიანების საფუძველზე; საჭმლის მიღების აქტი უნდა წარმოად-
გენდეს მომდევნო ბეგრასთან ერთად თავდაცვითი რეაქციის სიგნალს, ხო-
ლო კიდურის მოძრაობა და მომდევნო ბეგრა—კვებითი რეაქციის სიგნალს.

ფიზიოლოგის
კათედრა

(შემოვიდა რედაქციაში 24. 1. 1961)

А. БРЕГАДЗЕ

ВЫРАБОТКА ПООЧЕРЕДНО ПИЩЕВОЙ И ОБОРОНИТЕЛЬНОЙ РЕАКЦИИ НА ОДИН И ТОТ ЖЕ УСЛОВНЫЙ РАЗДРАЖИТЕЛЬ

Резюме

После того, как были достигнуты соответствующие результаты в изучении высшей нервной деятельности животных по методу слюнной реакции, а также по оборонительной методике, стало необходимо изучение взаимоотношения пищевых и оборонительных рефлексов.

Вообще, для уяснения взаимоотношения между пищевыми и оборонительными условными реакциями, авторы вырабатывали пищевые и оборонительные реакции на разные условные раздражители в отдельности.

Конради (5), Майоров (6), Рикман (7) и др. по результатам ^{15/10/57}
^{Запись 1030} своих опытов отмечали, что оборонительная реакция затормаживает пищевую.

В последнее время некоторые авторы стали изучать взаимодействие пищевых и оборонительных условных реакций при дифференциации близких индивидуальных раздражителей с применением разных безусловных (оборонительных и пищевых) подкреплений. Рикману удалось выработать на тон в 600 кол. пищевую реакцию, а на тон в 594 кол.—оборонительную. Абуладзе тоже удалось получить дифференциацию разнородных реакций как на близкие звуковые раздражения (стук метронома 156 пищевой реф. и 152 оборон. реф.), так и на тактильные раздражения, т. е. на касалки, чрезвычайно сближенные друг с другом (8).

Мы же задались целью проследить взаимодействие между пищевой и оборонительной условными реакциями поочерёдным сочетанием одного и того же индивидуального раздражения, то с пищей, то с электрическим раздражением.

Для опытов были взяты три собаки. Условным раздражителем был взят тон в 600 кол., от генератора, который сочетали с пищей и электрическим раздражением поочередно, т. е. если пища сочеталась в первом опыте, то дальше сочетание с пищей происходило в нечетных, а с электрическим раздражением в четных опытах и, наоборот, если электрическое раздражение сочеталось в нечетных опытах, то пища в четных, и т. д. В день ставили в среднем 10 опытов, из них 5—сочетанием с пищей, а 5—с болевым раздражением.

Результаты опытов на этих собаках показали, что установление поочерёдно разнородной реакции на один и тот же условный раздражитель—чрезвычайно трудная задача для них. На двух собаках, несмотря на то—сочетали ли мы условный сигнал с самого начала же поочередно с пищей и электрическим раздражителем или на этот сигнал сперва вырабатывали отдельно пищевую и отдельно оборонительную реакцию и после этого переходили к поочередному их сочетанию, нам не удалось выработать у них поочерёдности; эти собаки на индивидуальный звук всегда давали смешанную реакцию одновременным выделением слюны и поднятием ноги. Вообще же у них отмечалось превалирование оборонительной реакции: на звук слюна иногда не выделялась, а оборонительная реакция всегда имела место. Нам не удалось уменьшить у них оборонительную реакцию, несмотря на то, что несколько дней подряд условный сигнал давали без сочетания с болевым раздражением.

На третьей собаке (Царба) оборонительная реакция, при чередовании в продолжении 10 дней сочетания с условным—разнородных безусловных (пищевого и оборонительного) раздражителей, не выработалась; в отличие от первых двух собак, индивидуальный звук у нее вызывал всегда пищевую реакцию. Чтобы получить у этой собаки оборонительную реакцию, пришлось во всех опытах условный тон сочетать лишь с электрическим раздражением. Оборонительная реакция появилась на второй день работы и то лишь с 26 сочетания. После укрепления оборонительной реакции на тон, мы опять перешли на поочередное подкрепление звука пи-

щей и электрическим раздражением. Но несмотря на многодневную работу, нам не удалось у этой собаки на условный тон получить ~~последнюю~~^{разнородную} пищевую и оборонительную реакцию: собака давала большей частью пищевую реакцию—обращивалась к кормушке, лизала чашечку и выделяла слюну. Промежутки между опытами мы обычно меняли от 3 до 8 минут. В дальнейшей работе мы постоянно стали применять 4-х минутный интервал между каждым опытом. Мы изменили также и очередность в сочетании безусловных раздражителей. Если раньше в каждого дневном опыте менялась эта очередность таким образом, что пища сочеталась с условным иногда в четном, а иногда в нечетном порядке, дальше пищу стали сочетать всегда с первого опыта, т. е. пища давалась всегда в нечетном порядке, а электрич. раздражение сочетали всегда в четном порядке. На 10-ый день после установления такого фиксированного промежутка между опытами и определенного порядка поочередного сочетания мы стали получать на тон оборонительную реакцию в соответствующей очереди, т. е. после пищевой реакции. Но в этот период работы все еще превалировала пищевая реакция: собака в четном порядке дачи условного раздражения все-таки давала пищевую реакцию, хотя сравнительно в меньшем количестве—(см. рис. 1)¹, но не было случая, чтобы она реагировала оборонительной реакцией в нечетном порядке. Затем через 15—20 дней работы очередь пищевой и оборонительной реакции на условный тон более или менее укрепилась.

В дальнейшем нам удалось получить эту очередь разнородных реакций на один и тот же условный раздражитель и при изменении промежутков между опытами от 2-х до 8-ми минут (см. рис. 6). Но вообще следует указать при этом, что такая очередь более точно проявлялась сравнительно при малых (2—5') промежутках.

В установлении очередности разнородных реакций у нашего животного определенно содействовало применение устойчивой очередности в сочетаниях пищи и электрического раздражения. Так, после установления очередности в разнородных реакциях, собака при даче в начале опыта вместо пищи электрического раздражения реагирует на нее не оборонительной реакцией, а слюноотделением; лишь при повторной даче болевого раздражения реагирует поднятием ноги (см. рис. 3).

Как показали контрольные опыты, очередь разнородных реакций не связана только с условным сигналом, так как после дачи условного сигнала без пищи, в следующем опыте этот сигнал вызывает уже не оборонительную реакцию, как обычно следовало бы, а опять пищевую (см. рис. 2).

¹ На рисунках в основном отмечается следующее: I — запись дыхания; II — запись движения головы; III — запись движения правой передней конечности; IV — запись движения левой передней конечности; V — слюна в каплях; VI — безусловное раздражение в нечетном порядке — пища, а в четном — электрическое раздражение; VII — условное раздражение; VIII — время в секундах. Арабскими цифрами обозначены №№ опыта и время опыта.

Но очередь в разнородных реакциях не нарушалась, если без применения условного сигнала: после принятия пищи без сопровождения условного тона, в следующем опыте на этот тон собака реагировала оборонительной реакцией (см. рис. 2); также после дачи электрического раздражения в отсутствии условного тона, в следующем опыте на дачу тона собака реагирует выделением слюны, т. е. пищевой реакцией (см. рис. 4).

Очередность в разнородных реакциях нарушалась тогда, когда мы условный тон два раза подряд сочетали с электрическим раздражением. После такого двухкратного электрического раздражения в следующем опыте собака реагировала не оборонительной реакцией, как следовало бы реагировать согласно очередности, а пищевой реакцией (см. рис. 5). Точно также нарушалась очерёдность и тогда, когда мы условный тон два раза подряд сочетали с пищей; в следующем, т. е. нечётном опыте собака давала оборонительную, а не пищевую реакцию.

Таким образом, получается, что очередность в разнородных реакциях у нашей собаки обусловливается характером той реакции, которую она произвела в предыдущем опыте; условный же сигнал играет сравнительно второстепенную роль. Получается, что поочередное дифференцированное реагирование выработалось у нашей собаки не только на индивидуальный звук, а на комплекс раздражителей. Поскольку на испробованный, после дачи пищи, условный тон собака реагирует оборонительной реакцией, надо думать, что прием пищи, т. е. сильное предыдущее раздражение полости рта пищевой и проприоцептивное раздражение мышц во время еды вместе с условным тоном в виде комплекса последовательных раздражений должны обусловливать проявление оборонительной реакции. А в том случае, когда после оборонительной реакции условный тон вызывает пищевую реакцию, думается, это в основном обусловливается последовательным комплексом раздражений, который составляется из условного тона болевого раздражения и проприоцептивных раздражений мышц конечности, происходящих во время поднятия ноги.

ମୁଦ୍ରଣ ପାତା

- Павлов И. П., Двадцатилетний опыт, Полное собрание трудов, 3, 1949.
 - Бехтерев В., Общие основы рефлексологии человека, 1926.
 - Беритов И. С., Индивидуально приобретенная деятельность центральной нервной системы, Тифлис, 1932.
 - Иванов-Смоленский, Труды физ. лабор. акад. И. П. Павлова, 4, 208, 1932.
 - Конради Г. П., Труды физ. лаб. акад. И. П. Павлова, 4, 60, 1932.
 - Майоров Ф. П., Павловские среды, т. I, 58, 67, 1949.
 - Рикман В. В., Павловские среды, т. I, 67, 131, 204 — 205, 261, 1949.
 - Абуладзе К. С., Павловские среды, т. 3, 54 — 55, 82 — 83, 166 — 167, 1949.
 - Павлов И. П., Павловские среды, 3, 136, 1949.
 - ბ რ ე გ ა ძ ე ა, ძალის უნარი რეგისტ „თვლისა“ და მისი ბუნება. ი. ბერიტაშვილის სახელმისამართის ფიზიოლოგის ანსტრუქტურის შრომები, № 4, 251, 1941.

ଗାମନିପ୍ରେମଲଙ୍ଘନିର ରୂପାଖ୍ୟତିନାରି ନ. ଢେରଦେବନ୍ଧୁ ମଣିଷ





წელმოწერილია დასაბეჭდად 14/IV-65 წ.

ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1/16}$

ნაბეჭდი თაბაზი 20,55

სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბაზი 15,59

ფასი 1 გან. და 40 კაპ.

შეკვეთის № 1525

უე 07306

ტირაჟი 500

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Тбилисского университета, Тбилиси, пр. И. Чавчавадзе, 1.